ISSN–0132–6058

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

მაცნე

ისტორიის,
არქეოლოგიის,
ეთნოლოგიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

1

2014

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ისტორიის არქეოლოგიის ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

Series of History, Archeology, Ethnology and Art History

თბილისი
Tbilisi

1. 2014

სარედაქციო კოლეგია:

ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, მარიამ დიდებულიძე, სერგო ვარდოსანიძე, ბუბა კუდავა, გიორგი ლორთქიფანიძე (პასუხიმგებელი მდივანი), გურამ ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ლია მელიქიშვილი, როინ მეტრეველი (რედაქტორი), დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჟორდანია, კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია, ნანა ხაზარაძე, ოთარ ჯაფარიძე.

Editorial Board:

Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, Mariam Didebulidze, Otar Japaridze, Nana Khazaradze, Buba Kudava, David Lordkipanidze, Georgi Lordkipanidze (Editorial Manager), Guram Lordkipanidze, Mariam Lordkipanidze, Lia Melikishvili, Roin Metreveli (Editor), David Muskhelishvili, Kiazo Pitskhelauri, Kakha Shengelia, Sergo Vardosanidze, Otar Zhordania.

ტექსტის
რედაქტორ-კორექტორი: ირმა რუხაძე

Text corrector-editor: Irma Rukhadze

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: პაატა ქორქია

Computer design: Paata Korkia

© Georgian National Academy of Sciences, 2014

შინაარსი

საქართველოს ისტორია

ნინო ჯაველიძე. ეთნონიმების „აბაზგი“ და „აბაზა“ რაობის საკითხი ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროების მიხედვით..... 5
მადონა მშვილდაძე. იბერიის ქალაქი არტანისა კლავდიოს პტოლემაიოსის კოორდინატების მიხედვით 19
მიხეილ ბახტაძე. მანუჩარ II ჯაყელი.....31
ბერდო გოიშვილი. საქართველოს საზღვარი და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.....41

მსოფლიო ისტორია

ანა კლდიაშვილი. „მადამ“ ჩანკაიში და მისი როლი ჩინეთის პოლიტიკაში.....51

არქეოლოგია

ზურაბ ბრაგვაძე. კოლხური ნამოსახლარი სოფელ ძევრიდან 60

ეთნოლოგია

ნინო მაისურაძე. ხალხური მუსიკის ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტი. მუსიკალური ეთნოლოგია // ეთნომუსიკოლოგია.....67
გიორგი ანდრიაძე. უმცირესობების სტატუსის განსაზღვრა საერთაშორისო სამართალში და ქართული რეალიები 77

ხელოვნების ისტორია

ნელი ჩაკვეტაძე, ზაზა სხირტლაძე. ახლად აღმოჩენილი რელიეფი მცხეთაში.....89

პუბლიკაცია

ზაზა ალექსიძე. განძასარის წარწერა.....107
გიორგი სოსიაშვილი. აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ცნობები თბილისის შესახებ 123

ისტორიოგრაფია

გურამ ლორთქიფანიძე. ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე (ნაწილი I).....134
ელდარ მამისთვალიშვილი. იოანე ხუცესის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში .153

დისკუსია

ზურაბ პაპასქირი. განასხვავებდა თუ არა ივანე ჯავახიშვილი ეთნიკურად ე.წ. „ძველ“ და „ახალ“ აფხაზებს 165

გეოპოლიტიკა

ზურაბ ხონელიძე. სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი).....176

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები

ვახტანგ გოლაძე. დიდი მეფე ბაგრატ III კურაპალატი – გარდაცვალებიდან 1000 წელი.....189

საისტორიო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები

ნანა ხაზარაძე. გიორგი ცქიტიშვილი 201
კიტი მაჩაბელი. ვახტანგ ბერიძე – 100 216

გენეალოგია

Иване Шервашидзе. Базисные идей в фамилиях Шервашидзе и Маршания 223

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნინო მაისურაძე. გამოხმაურება წიგნზე „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ (თბილისი, 2011) 225
ნუგზარ ანდღულაძე. „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“, 1-I, (თბილისი, 2013) 227

ქრონიკა და ინფორმაცია

გურამ ლორთქიფანიძე, ნოდარ კახიძე. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი 55 წლისაა...229
ოთარ ჯანელიძე. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 231
ახალი წიგნები.....235

TABLE OF CONTENTS

GEORGIAN HISTORY

N. Javelidze. The "Abazg" and "Abaza" Ethnonims Meaning According Greek-Latinian and Armenian Historical Sourses Data (The First Part) 5

M. Mshvildadze. Iberian Town – Artanissa According to Claudius Ptolemy's Coordinates....28

M. Bakhtadze. Manuchar II Jakeli (The First Part)....31

B. Goishvili. Georgia's Border and its State Importance 50

WORLD HISTORY

A. Kldiashvili. Madam Chiang Kai-Shek and her Contribution to China's Politics 59

ARCHAEOLOGY

Z. Bragvadze. Colchis Settlement From Dzevri....66

ETHNOLOGY

N. Maisuradze. Historic and Ethnologic Aspects of the Folk Music (Musical Ethnology / Ethnomusicology) 76

G. Andriadze. The Status of Minority in International Law and Georgian Realities....87

ART HISTORY

N. Chakvetadze, Z. Skhirtladze. The Donor Relief from Mtskheta 106

PUBLICATIONS

Z. Alexidze. Gandzasar Inscription 122

G. Sosiashvili. Abraham Valentine Williams Jackson's Reports about Tbilisi....133

HISTORIOGRAPHY

G. Lortkipanidze. The Historiography of Georgian Antique Archaeology on the Boundary of *XX-XXI Centuries (The First Part)*....151

E. Mamistvalishvili. The Problem Concerning Priest John in the Georgian Historiography....163

DISCATION

Z. Papaskiri. Did Ivane Javakhishvili See any Ethnic Distinctions Between the So-Called "Old" and "New" Abkhazs....174

GEOPOLITICS

Z. Khonelidze. South Caucasia - Geopolitical Space 188

PROMINENT PUBLIC FIGURES

V. Goiladze. The Great King Bagrat III Curopalates - the 1000th Anniversary of his Death 199

PROMINENT FIGURES IN THE HISTORY OF SCIENCES

N. Khazaradze. Giorgi Melikishvili....214

K. Machabeli. Vakhtang Beridze – 100....222

GENEALOGY

I. Shervashidze. Basic Ideas in Surames Shervashidze and Marshania 223

CRITICISM AND BYBLIOGRAPHY

N. Maisuradze. Historic and Ethnologic Aspects of the Folk Music 225

N. Andguladze. Description of the Monuments of Georgian History and Culture (book 1-I. Tbilisi. 2013) 227

CURRENT EVENTS AND SCIENTIFIC INFORMATIONS

G. Lortkipanidze, N. Kakhadze. Niko Berdzenishvili Institute 55 Years Old 229

O. Janelidze. International Conference Dedicated to David Agmashenebeli....231

New Books....235

ნინო ჯაველიძე

ეთნონიმების „აბაზგი“ და „აბაზა“ რაობის საკითხი ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროების მიხედვით

სამეცნიერო ლიტერატურაში ეთნონიმების „აბაზგი“ და „აბაზა“ შინაარსი მკვლევართა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ისტორიკოსები და ენათმეცნიერნი წყაროთა ცნობების საფუძველზე და სიტყვათწარმოების წესების გათვალისწინებით ცდილობენ, აბაზგი და აბაზა ტომების ურთიერთმიმართებისა და მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხი გაარკვიონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ იმ საქმეში, რასაც სიმართლის დადგენა ჰქვია. თუმცა, ამ პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართა შორის, როგორც ვთქვით, ერთიანი აზრი არ არსებობს. მათი ერთი ნაწილი ემხრობა თვალსაზრისს, რომ აბაზგი და აბაზა ტომები ერთი და იგივე ეთნოსებია და ისინი წინაპრები არიან იმ „აფხაზი“ (Апхазец) ხალხისა, რომელნიც საკუთარ თავს აფსუა ერს უწოდებენ. ამ აზრისაა უკლებლივ ყველა აფსუა მკვლევარი, ზოგიერთი უცხოელი სპეციალისტი და ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილიც (ნ. ლომოური, მ. ინაძე და სხვ.). მეორენი აბაზგებს სხვა ქართველი ტომების მსგავსად მიიჩნევენ, როგორც ქართველი ერის შემქმნელ ერთ-ერთ ტომს და მათ განასხვავებენ სკვითური წარმომავლობის იმ აბაზა ტომებისგან, რომელთა შთამომავლები დღევანდელი აფსუები არიან (ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, თ. გამყრელიძე და სხვ.). თუკი დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას გავითვალისწინებთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კამათი ამ ტომების ეთნიკური რაობის შესახებ სცილდება მეცნიერების სფეროს და საკითხის კვლევა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს. ნინამდებარე წერილი კიდევ ერთი მცდელობა გახლავთ, რათა „აბაზგი“ და „აბაზა“ ეთნონიმების რაობის საკითხი უფრო სრულყოფილად იქნეს შესწავლილი.

ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ბერძნულ-რომაულ თუ სომხურ წყაროებში ეთნონიმები „აბაზგი“ და „აბაზა“ სხვადასხვა მნიშვნელობით არის გამოყენებული. ცნება „აბაზგი“ და „აბაზგია“ თავდაპირველად ცალკე აღებულ აბაზგთა ტომსა და მის სამთავროს აღნიშნავდა. შემდეგ ეს ცნებები ძირითადად იმიერ ქართველსა და დასავლეთ საქართველოს ნიშნავდა. და ბოლოს, აბაზგი და აბაზგია ზოგადად ქართველს და სრულიად საქართველოს შეესატყვისებოდა. რაც შეეხება ეთნონიმ „აბაზას“, ამ ცნებას სომხურ წყაროებში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მიეყვეთ წყაროთა მონაცემებს.

1. აბაზგთა ტომი და აბაზგიის სამთავრო.

ეთნონიმი აბაზგი საისტორიო წყაროებში ახალი წელთაღრიცხვის შემდგომ ჩნდება და ამ სახელწოდების ტომი პირველად ფლავიუს არიანემ (II ს.) მოიხსენია. რომის მოხელე არიანე აღნიშნავს, რომ აბასკები აფშილთა და სანიგთა ტომების შორის მკვიდრობდნენ: „ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფე იულიანემ მეფობა შენი მამისგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე მდებარეობს სებასტოპოლისი“ [1; 222-223]. მკვლევარ თ. ყაუხჩიშვილის თქმით, არიანეს დროისთვის ლაზებს დაახლოებით მდინარე აფსაროსიდან მდინარე კოდორამდე მთელი სანაპირო უკავიათ და აქედან გამომდინარე, იგი მიმართულებას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გვიჩვენებს, ე.ი. სანაპიროს გაყოლებით ჯერ აფსილები და მერე აბასკები ცხოვრობენ [2; 122]. მკვლევარ ნ. კეჭაღმაძეს თავის შედგენილ რუკაზე ასეთივე სურათი აქვს ნაჩვენები: ჯერ აფსილთა ტომია ზღვის სანაპიროსთან დამკვიდრებული, შემდეგ აბასკთა ტომის საცხოვრისია სანაპიროდან მოშორებით, მთისწინეთში, ხოლო აბასკთა გასწვრივ, სანაპიროს გაყოლებით სანიგთა ტომია განლაგებული [3; 43]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა საკუთრივ ამ ეთნონიმისა, ფლავიუს არიანე ჰიდრონიმ აბასკოსსაც ასახელებს, პუნქტ ნიტიკიდან ჩრდილო-დასავლეთით, 90 სტადიონის მანძილზე რომ მდებარეობს. ამ ჰიდრონიმის სახელწოდება, რომელიც აბასკთა ტომის სახელიდან მომდინარეობს, კიდევ ერთხელ იმის დასტურად აღიქმება, რომ აბასკებს ეგრისის სამეფოს იმ რეგიონში უნდა ეცხოვრათ, რომელიც კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ მთისწინეთსა და ხსენებული მდინარის მიმდებარე მიწებს მოიცავდა.

შემდეგ ცნობას აბაზგთა ტომის შესახებ ორფიკულ „არგონავტიკა“-ში ვხვდებით (III-IV ს.ს.). გვიანანტიკური ხანის ამ პოემის ავტორი ფსევდო-ორფევსი აბაზგთა ტომს „სახელგანთქმული“ კოლხებისა და ჰენიოხების გვერდით მიუჩენს ადგილს. მართალია, იგი აბაზგებს არგონავტების დროინდელი ამბების თხრობისას ახსენებს და მისი მონაყოლი ქრონოლოგიური კონტამინაციის შედეგია, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ფსევდო-ორფევსი არიანეს შემდგომ მეორე ავტორია, ვინც აბაზგებს იცნობს და მათ არსებობას ეგრისის სამეფოში მოსახლე სხვა ტომების – კოლხებისა და ჰენიოხების გარემოცვაში მოიაზრებს [4; 104]. ანტიკურ წყაროთა შორის აქვე უნდა ვახსენოთ რომაელი ავტორების პლინიუს უფროსის (I ს.) ნაშრომი „ბუნების ისტორია“ და ვალერიუს ფლაკუს სეტინუს ბალბუსის (I ს.) პოემა „არგონავტიკა“. ეს ნაწარმოებები ერთ საუკუნეშია შექმნილი და ორივე მათგანში პირველად ვხვდებით იმიერკავკასიელ სკვითურ-სარმატულ ტომებს, რომელთა სახელწოდებების შეცვლილ ვარიანტს ადრე შუა საუკუნეების სომხურ წყაროებშიც ვკითხულობთ. ვალერიუს ფლაკუსი ახსენებს აბხეთების ტომსა და მათ ეთნარქ აბხს. ნაწარმოებში ეთნარქი აბხის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „მოსული იყო თავის ათასობით თანამოაზრესთან ერთად და კიმერიის სიმდიდრე გამოეყოლებინა საჩვენებლად“ [5; 208]. დასახელებულია აგრეთვე აბხეთი

მეომარი, რომელიც დაოსტატებულია ქამანდის სროლით [5; 210][1]. პლინიუს სეკუნდი ასევე ახსენებს აბხეთების ტომს და, ამას გარდა, სხვა სკვითურ ტომთაგან აბთაკების, აბთიანებისა და აბზოეს ტომებსაც ასახელებს (ეთნონიმ აბზოეს სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება პირველად მკვლევარმა მ. ინაძემ მიაქცია). მოვუსმინოთ პლინიუს უფროსს, თუ როგორ აღწერს იგი აბზოეს ტომთა ადგილმდებარეობას: „პირველ ყურეს (კასპიის ზღვის) ეწოდება სკვითიის ყურე, ვინაიდან მის ორივე მხარეს სკვითები სახლობენ, რომელნიც ერთმანეთს ვიწრო სრუტის მეშვეობით უკავშირდებიან. იქითა მხარეს – ნომადები და სავრომატები, მრავალი სხვადასხვა სახელით (ცხოვრობენ), აქეთა მხარეს კი – აბზოები, არცთუ უფრო ნაკლები რაოდენობის დასახელებით. ზღვაში შესასვლელის მარჯვენა მხარეს, სრუტის უკიდურეს განაპირას უდინების სკვითური ტომი ცხოვრობს“ [5; 184]. როგორც ვხედავთ, პლინიუს სეკუნდი აბზოების „მრავალსახელიან“ ტომებს ჩრდილოკავკასიის იმ მიწა-წყლის ბინადრებად ასახელებს, რომელიც კასპიის ზღვას ეკვროდა და სადაც სარმატულ-სკვითური წარმომავლობის ტომები სახლობდნენ. ე.ი. აბზოეს ტომების პირველსაცხოვრისი არის ჩრდილოეთ კასპიისპირეთი. გარდა აბზოე ტომებისა, პლინიუს უფროსი კავკასიონის ჩრდილოეთით, მრავალ სკვით ტომთა შორის, როგორც ვთქვით, აბთაკების, აბთიანდების და აბხეთების ტომებსაც ასახელებს. აბხეთები ათერნეებისა და ასამპეტების ტომებთან ერთად არიან ჩამოთვლილნი და პლინიუს უფროსი აღნიშნავს, რომ მათ ამ ტომებთან ერთად ამონყვიტეს ტანაიდების და ინაპეების ტომები და მათ მიწებზე დასახლდნენ. აბხეთები ცხოვრობდნენ „ტავრების შემდგომ, შიდა ტერიტორიაზე და მათ სამფლობელოში სათავეს მდინარე ჰიპანისი იღებდა“ [5; 174, 181]. ამას გარდა, გეოგრაფოსი კლავდიოს პტოლემაიოსი (II ს.) მდინარე ფსატიის სიახლოვეს ასევე აღნუსხავს გეოგრაფიულ პუნქტ აბხიდას, რაც ვალერიუს ფლაკუსისა და პლინიუს უფროსის მიერ მითითებული აბხეთების საცხოვრისის ფარგლებში თავსდება და, ამდენად, ადასტურებს რომაელი ავტორების ცნობას ჩრდილოკავკასიაში ამ ტომის არსებობის შესახებ [1; 240]. სხვა ტომების – აბთაკების და აბთიანდების ადგილსაცხოვრისი პლინიუსს დაზუსტებული არა აქვს, თუმცა მისი თხრობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორი ტომი და აბხეთები იმიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. ერთი სიტყვით, რომაელი ავტორები თავიანთ ნაშრომებში სხვადასხვა ტომთა შორის რამდენიმე ტომს ჩამოთვლიან, რომლებიც შემდგომი პერიოდის სხვადასხვაენოვან წყაროებშიც წარმოჩინდებიან და აბაზგი ტომის სახელთან იქნებიან დაკავშირებულნი. ესენი არიან სკვით-სარმატთა მოდგმის აბზოე, აბხეთა, აბთაკი და აბთიანდი ტომები. ხაზი უნდა გაესვას, რომ ისინი ამ „მრავალსახელიან“ ტომებს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე მიწებზე განათავსებენ: აბხეთები, აბთაკები და აბთიანდები მდინარე ყუბანის ზემოწელში და მის გაყოლებაზე

1 უნდა ითქვას, რომ პლინიუს სეკუნდისა და ვალერიუს ფლაკუსის ცნობებს აბხეთების ტომის თაობაზე მომდევნო საუკუნეების რომაელი ავტორები – სოლინუსი (III ს.) და მარტიანე კაპელაც (V ს.) იმოწმებენ.

სახელდებიან, აბზოეს ტომები კი კავკასიონის ქედის აღმოსავლეთით, კასპიისპირეთში მკვიდრობდნენ.

ამრიგად, თუკი გვიანანტიკური ხანის ავტორთა ცნობებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ აბაზგები (აბასკები) პონტოსპირელი ხალხი იყო, რომელიც ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები ქართველი ტომების (*კოლხები, მისიმიანები, აფშილები, სანიგები და სხვ.*) გარემოცვაში, ქართულ ეთნოკულტურულ სამყაროში მკვიდრობდნენ. ისინი II საუკუნისთვის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების იმ დონეზე იმყოფებოდნენ, რომ მათ უკვე ჰყავდათ საკუთარი მთავარი („მეფე"), რომელიც რომის იმპერატორისგან იყო ხელდასხმული. თავად ასეთი ფაქტი მთავრის ინსტიტუტის არსებობისა მეტყველებს, რომ აბაზგების ტომს უწინაც უცხოვრია ეგრისის სამეფოში და მათი მკვიდრობა აქ გაცილებით ადრეული საუკუნეებიდან უნდა ვიგულისხმოთ. რაიმე პირდაპირი ცნობები აბაზგი ტომების ეთნიკური კუთვნილების ან მათი სამეტყველო ენისა თუ წეს-ჩვეულებების შესახებ ანტიკური ხანის წყაროებში დაცული არ არის. რაც შეეხება აბხეთა, აბთაკი, აბთიანდი და აბზოე ტომებს, მათი საცხოვრისები ეგრისის სამეფოს ფარგლებს გარეთ მდებარეობდა. მეტიც, მათი სამკვიდრო ადგილები კავკასიონის ქედის გადაღმა იყო განფენილი და მეოტიდის მიწებიდან დაწყებული ჩრდილოეთ კასპიისპირეთამდე გრძელდებოდა. კასპიისპირეთში აბზოეს ტომები სხვადასხვა მომთაბარე ხალხთან – ნომადებთან, სავრომატებთან, უდინებთან და სხვ. გვერდიგვერდ არსებობდნენ. აბზოე იყო მრავალრიცხოვანი ტომის კრებითი სახელი და მათ „სავრომატებზე არანაკლები დასახელებები ჰქონდათ". ხოლო აბხეთების, აბთაკების და აბთიანდების შესახებ ცნობილია, რომ ისინი მდინარე ყუბანის აუზის მცხოვრებლები იყვნენ და წყაროებში სკვითსარმატ ტომთა შორის სახელდებიან. გვიანანტიკური წყაროებიდან დასტურდება, რომ აბაზგთა ტომისა და ზემოხსენებული სკვითი ტომების სამკვიდრებლები სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში მდებარეობდა და მათ ამ მხრივ ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდათ.

ადრე შუა საუკუნეების წყაროებში ასევე მრავლად მოიპოვება ცნობები აბაზგთა ტომის შესახებ. ამ მასალიდან ჩანს, თუ რა შინაარსით იყენებდნენ ამ ცნებას იმდროინდელი ავტორები. თავდაპირველად უნდა ვახსენოთ IV-V ს.ს.-ში მოღვაწე თეოდორე კვირელი, ვინც აბაზგებს სხვადასხვა ქართველ ტომთან – ლაზებთან, სანებთან, ტიბარენებთან და სხვ. ერთად ჩამოთვლის [6; 226]. იმავე ხანის ანონიმი ავტორის ნაშრომშიც აბაზგები პონტოსპირელთა ტომებს შორის მოიხსენებიან: „კოლხების ზემოთ მაქელონები და ჰენიოხები არიან. მათ მეზობლად – ძიდრიტები, მათ გვერდით – ლაზები, მათ შემდეგ – აფსილები. აფსილების მეზობლები არიან აბასკები". ამას გარდა, არიანეს მსგავსად, ანონიმიც ადასტურებს ჰიდრონიმ აბასკოსის არსებობას [7; 8, 10]. აბაზგებს ასევე ევაგრი სქოლასტიკოსი (VI ს.) ახსენებს და იგი ამ ტომისა და ბიზანტიელების ურთიერთობებს აღწერს [8; 297]. სტეფანე ბიზანტიელი (VI ს.) მათ სანიგების მეზობლებად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ

„სანნიგები, სკვითიის ტომი, აბაზგების მახლობლად ცხოვრობენ“-ო [8; 284][1]. იუსტინე თავის ერთ-ერთ ნოველაში (XXXI) შენიშნავს, რომ ლაზიკესა და ჭანთა ქვეყნის შემდეგ დამკვიდრებულნი არიან სხვადასხვა ტომები, კერძოდ, „სუანები, სკვიმანები, აფსილები, აბაზგები“ [7; 37], რომელთაც იგი „ჩვენ მეგობარ ტომებს“ უწოდებს. შედარებით ვრცელი ცნობები აბაზგთა ტომის შესახებ პროკოპი კესარიელს მოეპოვება. იგი მათ „ბევრ სხვადასხვა ტომს“ შორის ჩამოთვლის, რომელთაგან ასახელებს ალანებს, ზიქებსა და ჰუნებს: „შავი ზღვის „ნახევარმთვარე“ ნაპირის“ შემდეგ მეორე ნაწილში, ზღვის სიახლოვეს აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება. აბაზგების საზღვრების შემდეგ კავკასიონის გასწვრივ (კავკასიონის ქედის გადაღმა – ნ.ჯ.) ბრუქები ცხოვრობენ, აბაზგებსა და ალანებს შუა, ზღვის მხრიდან კი მათ ზიქები ესაზღვრებიან“ [7; 100]. პროკოპის მომდევნო მონაყოლიდან კვლავაც ცხადდება, რომ აბაზგების საცხოვრისი კავკასიონის მთისწინეთამდე ვრცელდებოდა, რადგანაც აბაზგთა მთავარი ოფსიტე, რომელიც რომაელებს გაექცა, „გაემართა მეზობელ ჰუნებში და კავკასიის მთებში“ [7; 133, 135] – ვკითხულობთ ბიზანტიელ ავტორთან. აქვე უნდა ითქვას, რომ, თუკი არიანეს თანახმად II საუკუნეში აბაზგებს ერთი მთავარი („მეფე“) მართავდა, პროკოპი კესარიელის მიხედვით, მათ ორი მთავარი ჰყავთ – ერთი დასავლეთ ნაწილში, მეორე კი – აღმოსავლეთში. აქედან ჩანს, რომ VI საუკუნისთვის აბაზგებს საკმაოდ განუვრციათ თავიანთი სამთავროს საზღვრები და მათ რამდენიმე „მეფე“ მართავთ. მართლაც, ცნობილია, რომ ამ დროისთვის აბაზგებს უკვე შემოერთებული აქვთ სანიგების მიწა-წყალი. მათი სამეფოს ტერიტორია იზრდება და შესაბამისად იცვლება სიტყვა აბაზგის შინაარსიც – იგი თანდათან უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ეთნონიმი აბაზგი ნახსენებია შემდგომი საუკუნეების არაერთ ბიზანტიურ და სომხურ წყაროშიც. თუმცა, სანამ ამ წყაროების მონაცემებს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სომეხი ავტორები დასავლეთ საქართველოს, ანუ ეგრისის სამეფოს, უმეტესწილად არა ლაზიკას უწოდებენ, როგორც ეს ძირითადად გვიანანტიკური და შემდგომი ხანის ბერძნულ-რომაულ წყაროებშია, არამედ მას „ეგერის სამეფოს“ ეძახიან. ასე, მაგ.: ლაზარ ფარპეცი (V ს.), როდესაც თავის თანადროულ ამბებს აღწერს, გვაუწყებს, თუ როგორ გაეცალა სპარსელებთან მებრძოლი ვახტანგ გორგასალი ქართლის ქვეყანას და „ცოტა ხნით ეგრისის ქვეყნის მხარეებში მივიდა“ [9; 264]. იმავე საუკუნის მეორე მემატიანე ეღიშე ვარდაპეტთან დასავლეთ საქართველო ეგრისის სამეფო, იგივე კოლხიდაა [10]. ფავსტოს ბუზანდი (V ს.) იცნობს ეგრისის სამეფოს მკვიდრ „ეგეროსვანებს“ [11; 15], რაც კლავდიოს პტოლემაიოსის „სუანოკოლხებია“. მისი თანამედროვე მოვსეს ხორენაცი (V ს.) კი ეგრისის სამეფოს განვრცობის თაობაზე საკმაოდ გათვითცნობიერებული ჩანს, რადგანაც იგი „ეგერელთა იმ მხარეს“ ასახელებს, რომელიც მდინარე

1 ბერძენ-რომაელი ავტორები საქართველოს და სომხეთის ტერიტორიებს ხშირად სკვითიას უწოდებდნენ და სანიგები, როგორც სკვითიის ტომი, ამიტომაც სახელდებიან.

ჭოროხის ქვემო აუზში მდებარეობდა: „სომეხთა მეფემ მოაწესრიგა მაჟაქის, პონტოელთა და ეგერელთა მხარეები, მერმე მიბრუნდა იგი ჩრდილოეთში, პარხალის მთების ფერდობებისკენ, ტაოში“ [12; 103]. მართლაც, ტექსტიდან ჩანს, რომ ეს სწორედ ის ეგრევიკაა, რომელიც VII ს-ის „სომხური გეოგრაფიის“ თანახმად, კოლხიდის, ანუ „ეგერის სამეფოს“ ოთხი რეგიონიდან (მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი, ჭანივი-ქალდეა) ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს. მომდევნო ხანის სომეხი ავტორი სებეოსიც (VI ს.) დასავლეთ საქართველოს „ეგერთა ქვეყნის“ სახელით იცნობს და მის მმართველსაც „ეგერთა მეფეს“ უწოდებს [13; 30]. ერთი სიტყვით, V-VI საუკუნეების სომეხ ავტორთათვის აბაზგია იგივე ეგერია, ისინი ეგრისის სამეფოს ამ სახელით მოიხსენიებენ და მოსახლეობასაც ეგერელებს უწოდებენ. რაც შეეხება ბერძენ-რომაელ ავტორებს, მათგან ხსენებულ ტერმინს (ეგრიტიკა, კეგრეტიკა) მხოლოდ ორი მოღვაწე – პლინიუს უფროსი და კლავდიოს პტოლემაიოსი – იყენებს. დანარჩენი ავტორები ეგრისის სამეფოს ლაზიკას უწოდებენ.

აბაზგების ტომის სახელი და აბაზგიის სამთავროს სახელწოდება, როგორც ვთქვით, ხსენებული პერიოდის არაერთმა მემატიანემ შემოგვინახა. თეოდორე განგრელი (VII ს.) აბაზგიის ცნებით დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს, აბაზგების სამთავროს გულისხმობს, როდესაც ეგრისის სამეფოს სხვადასხვა მხარეს (სვანიდი, აფსილია, თაკვირია, მისიმიანთა მხარე) ჩამოთვლის და მათ შორის აბაზგიასაც უთითებს. ასე, მაგ.: „სვანიდის ციხე, თაკჳრიის ციხე, აბაზგიის მახლობლად“, ანდა: „სტეფანემ, ნეტარი იოანე ხუცესის შვილმა, როგორც სულიერმა ცხენმა მოირბინა მთელი ლაზიკე, აფსილია, აბაზგია“ (14; 43-46]. ასეთივე მნიშვნელობისაა ეს სიტყვა ეპიფანე კონსტანტინეპოლელთანაც (VIII ს.), რომელიც აღწერს, თუ როგორ ჩავიდნენ მოციქულები ქრისტეანობის საქადაგებლად ლაზიკაში და შემდეგ „აბაზგიაში, დიდ სებასტოპოლისში იქადაგეს ღმერთის სიტყვა“ [14; 57-58]. თეოფანე ჟამთააღმწერელიც (VIII ს.) აბაზგიას საკუთრივ სამთავროს უწოდებს და მოგვითხრობს, რომ VII ს-ში აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც სარკინოზებს ეპყრათ, ხოლო ალანები აბაზგიაში შეჭრილან [14; 95, 105, 107]. X ს-ში მცხოვრები გიორგი კედრენე, როცა VII ს-ის დროინდელ ამბებს მოგვითხრობს, სხვათა გვერდით აბაზგების ტომსაც ასახელებს [15; 20, 24]. ასევე, XII ს-ის მოღვაწე იოანე ზონარა, ისტორიულ ამბებს დასაბამიდან XII ს-მდე რომ აღწერს, ეთნონიმ აბაზგს სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებს და მას VII საუკუნის საქართველოში განვითარებული მოვლენების გადმოცემისას, როგორც ცალკე ტომს, ისე ახსენებს [16; 228-29]. ამრიგად, აქ ყველგან აბაზგთა ტომი და მათი სამთავრო იგულისხმება, რომელიც ეგრისის სამეფოს ერთი კუთხეთაგანია.

ამავე პერიოდშია შექმნილი „სომხური გეოგრაფიაც“ (VII ს.). ჩვენთვის საინტერესო ცნობები დაცულია თხზულების იმ ნაწილში, რომელიც „სარმატიითაა“ დასათაურებული. ამ თავში ჩამოთვლილია 53 დასახელების ტომი და მათი უმეტესობა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი და სამხრეთი კალთების ბინადარია. ამ ტომთა შორის ავტორი აპშეგების (Апшеги) და აპხაზების

(Апхазы) ტომებს ასახელებს [17; 37] და ყოველ მათგანს სამკვიდრო ადგილების მიუთითებლად ჩამოთვლის. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ დასახელებული 53 ტომიდან უმეტესობა მთიელი ტომები არიან, გვაფიქრებინებს, რომ აპშეგებიც და აპხაზებიც მთისწინეთის ბინადარი ტომებია. გარდა ამ ძირითადი ტექსტისა, არსებობს „სომხური გეოგრაფიის“ ე.წ. „ახალი ნუსხა“, სადაც არა მხოლოდ კავკასიონის იმიერი და ამიერი მთისწინეთის ტომები სახელდებიან, არამედ პონტოსპირეთში მობინადრე ეთნოსებიც არიან ჩამოთვლილნი. აი, რას ვკითხულობთ ტექსტის შესაბამის ადგილას: „ბოლგარებსა და პონტოს ზღვას შორის ცხოვრობენ გარშის, კუტის და სვანთა ხალხები ქალაქ პიტიუნტამდე აბაზგთა ქვეყნის სანაპიროზე, სადაც აფშილები და აბხაზები მკვიდრობენ თავიანთ ზღვისპირა ქალაქ სებასტოპოლისამდე და შემდგომ მდინარე დრაკონამდე, რომელიც აქვანიდან (არა ალბანეთის) მოედინება და აფხაზეთს ეგერის ქვეყნისგან ჰყოფს“ [18; 29]. ერთი სიტყვით, სომხური წყაროს ორივე ტექსტში დასახელებულნი არიან აფხაზები (ერთგან – Апхазы, მეორეგან – Абхазы), აპშეგები და ნახსენებია აბაზგების (აბასგი) ქვეყანა. აბაზგების ქვეყანა, ცხადია, აფხაზეთის სამთავროა, რადგანაც, ტექსტის მიხედვით, მასსა და ეგერის ქვეყანას შორის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ საზღვრად მდინარე დრაკონია მიჩნეული. რაც შეეხება აფხაზებს, ისინი ორგზის არიან ნახსენები – როგორც კავკასიონის სამხრეთ მთისწინეთში მოსახლე ტომთა შორის, ასევე პონტოსპირეთშიც. ეს არც უნდა იწვევდეს რაიმე გაუგებრობას, რადგანაც, ანტიკური წყაროების თანახმად, მათი ადგილსაცხოვრისი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ერთი მონაკვეთიდან კავკასიონის მთისწინეთამდე ვრცელდება და ავტორები მათ პონტოსპირელ ტომსაც უწოდებენ და მთისწინეთშიც მიუჩენენ ადგილს. რაც შეეხება ტექსტში ნახსენები აპშეგების ტომს, გასათვალისწინებელია, რომ სომხური წყაროს აპშეგები და ლათინი ავტორების აბხეთები, ორივენი აზიის სარმატიაში, იმიერკავკასიის სკვით-სარმატ ტომთა გარემოცვაში სახელდებიან და თანაც მათი სახელები ენობრივ-ფორმალურად ერთმანეთის მსგავსნი არიან. ამდენად, ჩვენი აზრით, VII საუკუნის სომხური წყაროს აპშეგები და I საუკუნის ლათინურ თხზულებებში დამოწმებული აბხეთები ერთი და იგივე ტომი უნდა იყოს, რომელიც კავკასიონის ჩრდილოეთით, მდინარეების ყუბანისა და ფსატიის აუზებში და პუნქტ აბხიდასთან მკვიდრობდა[1]. ადრეფეოდალური ხანის წყაროებში აბაზგთა ტომის აბხეთა-აპშეგი თუ აბზოე ტომებთან რაიმე სახის კავშირების შესახებ ცნობები შემონახული არ არის, ისინი სხვადასხვა ეთნოგრაფიულ სამყაროში არსებობდნენ და ვითარდებოდნენ.

აბაზგების ტომის შესახებ საყურადღებო ცნობებს უფრო მოგვიანო ხანის ბიზანტიელი და სომეხი ავტორები კვლავაც გვაწვდიან. მათ ნაამბობში ასახვას ჰპოვებს ანტიკურ ისტორიოგრაფიაში წარმოჩენილი ტრადიცია,

1 სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში სხვა მაგალითებიც მოიპოვება, თუ როგორი სახეცვლილი ფორმით გადმოგვცემენ ბერძენი და სომეხი ავტორები ერთსა და იმავე, მათთვის უცხო ეთნონიმს. სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ ეღიშე ვარდაპეტის თხზულებაში ნახსენები „ბრუშების“ ტომი და ბიზანტიელ ავტორებთან მისი ბერძნულენოვანი ვარიანტი – „ბრუქები“.

რომლის მიხედვით სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილას და სხვადასხვა ეთნიკურ გარემოცვაში არსებობდნენ განსხვავებული გენეტიკური ძირის მქონე ტომები, რომელთა თვითსახელების თარგმანისას ბერძნები მათ ერთმანეთთან აიგივებდნენ.

თავდაპირველად გვსურს დავასახელოთ XII ს-ის ქრონოგრაფის იოანე ცეცეს თხზულება. ამ ნაშრომში ცნება აბაზგი ხშირად არის ნახსენები და ისე ჩანს, თითქოსდა იგი ერთსა და იმავე ეთნონიმს ნიშნავს. მაგრამ შინაარსის გაცნობისას ცხადდება, რომ აქ საუბარია ორი ეთნოსის შესახებ. ასე, მაგ.: ერთის მხრივ ავტორი გვაუწყებს, რომ „იბერები, აბაზგები და ალანები ერთი ტომისანი (არიან)“[1], და აგრეთვე ვგებულობთ, რომ იოანე ცეცეს დედა ევდოკია „დედით იყო იბერიელი“, ხოლო მეორე მხრივ ცეცე ამბობს, რომ „ის (კტეზიასი) ფიქრობს, მასაგეტები არიან აბაზგები“-ო და თავადაც შემდეგს გვამცნობს: „ესეც კარგად იცოდე – აბაზგები და ალანები, საკები და დაკები, როსები და სავრომატები და საკუთრივ სკვითები და ყველა ის ტომი, რომელნიც ჩრდილოეთით ცხოვრობენ, საზოგადოდ, იწოდებიან სკვითებად, სკვითთა სახელწოდების მიხედვით“ [19; 23, 25]. ამრიგად, ამ ნათქვამიდან კარგად ჩანს, რომ იოანე ცეცეს დროს, XII საუკუნეში ზოგადი სახელით „აბაზგი“ აღინიშნებოდნენ განსხვავებული ძირების მქონე ეთნოსები. ერთნი იყვნენ იბერთა თვისტომი აბაზგები და ამის დასტურია, რომ ცეცეს დედა ევდოკია ერთდროულად აბაზგ ქალად და იბერიელადაც მოიხსენიება, მეორენი კი სკვითური წარმოშობის აბაზგები, რომელთაც მასაგეტებსაც ეძახდნენ. ამ ორ განსხვავებულ ეთნოსს ადგილსაცხოვრისებიც სხვადასხვა ჰქონდათ – სკვითი აბაზგები „ჩრდილოეთით“ ცხოვრობდნენ, ანუ იგულისხმება კავკასიონის ჩრდილოეთი მიწები, სკვითიის ტერიტორიას რომ შეადგენდნენ, ხოლო იბერთა თვისტომი აბაზგები, რომელნიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ, კავკასიის სამხრეთით, ეგრისის სამეფოში მოსახლე აფხაზთა ტომი იყო. ამრიგად, იოანე ცეცეს თხზულებაში კიდევ ერთხელ დადასტურებულია პლინიუს უფროსის ნაშრომსა და „სომხურ გეოგრაფიაში“ აღნუსხული ფაქტები იმის თაობაზე, რომ კავკასიონის გადაღმა მკვიდრობდნენ სკვითურ-სარმატული ტომები აბხეთ-აპშეგები, აბთაკები, აბთიანდები, აბზოები და სხვ., ხოლო ეგრისის სამეფოში ცხოვრობდა აბაზგების ტომი, რომელნიც ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანნი – აფხაზები იყვნენ. ამ ორ, ეთნიკურად განსხვავებულ და სხვადასხვა სამკვიდრო ადგილების მქონე ტომს ბერძნულ-რომაულ წყაროებში ერთი ცნებით – აბაზგთა ტომის სახელით მოიხსენიებდნენ. აქვე ერთიც უნდა ითქვას: ჩვენი თვალსაზრისის საპირწონედ შესაძლოა ასეთი არგუმენტი დასახელდეს – აფხაზ და მასაგეტ აბაზგებს ერთმანეთთან იმიტომ აიგივებდნენ, რომ, როგორც უკვე ვთქვით, ანტიკურ ხანაში სკვითიად აღიქმებოდა არა მხოლოდ იმიერკავკასია, არამედ ამიერკავკასიის ტერიტორიაც. ამიტომ, ზემოხსენებული ფაქტების საფუძველზე ამა თუ იმ ტომის

1 იოანე ცეცეს მცდარი თვალსაზრისი ალანთა და იბერების ეთნიკური ნათესაობის შესახებ, ჩანს, იმ ფაქტს ეფუძნება, რომ ქართველ და ოს მეფეებს შორის საუკუნებრივი დინასტიური კავშირი არსებობდა

ეთნიკურობის განსაზღვრა უმართებულოა. თუმცა, ხსენებული არგუმენტის საწინააღმდეგოდ შეგვიძლია თუნდაც იოანე ცეცეს სხვა ცნობები მოვიშველიოთ. კერძოდ, ავტორი ამ ტრადიციას რომ გაჰყოლოდა და მისთვის მასაგეტი აბაზგები და იბერთა თვისტომი აბაზგები ეთნიკურად ერთი ტომი რომ ყოფილიყო, მაშინ ის ნაშრომში ნახსენები სხვა ქართველი ტომების (იბერები, კორაქსები და სხვ.) შესახებაც იმავეს გაიმეორებდა, მაგრამ იოანე ცეცე ეთნიკურად მარტო აბაზგ ტომებს განასხვავებს. ასე რომ, იოანე ცეცე აბაზგ ტომს ერთდროულად იბერსა და მასაგეტს არა იმიტომ უწოდებს, რომ მისთვის მთელი კავკასია – იმიერიც და ამიერიც – სკვითიას წარმოადგენს, არამედ იგი „მასაგეტ აბაზგებსა“ და „იბერთა თვისტომ აბაზგებს“ ერთმანეთისგან განასხვავებს და თავისი ნათქვამით წარმოაჩენს რეალობას, რომ მის დროს ეთნიკურად განსხვავებული ორი აბაზგი არსებობდა.

იმავე პერიოდის სომხურ და ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში შემონახული სხვა ცნობები ჩვენი თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს. ასე, მაგალითად, XIV ს-ის ავტორი ნიკიფორე გრიგორასი, რომელიც იოანე III დუკას (1222-1243 წ.წ.) დროს მოწყობილ სკვითთა ლაშქრობას აღწერს, ჩამოთვლის ჩრდილოკავკასიის იმ ტომებს, „მეოტის ტბის მეზობლად რომ იყვნენ და პონტოს სანაპიროს მოსდებოდნენ“. ესენი არიან გუთები, ამაქსოვრები, ტავროსკვითები, ბორისთენები, ჰუნნები, კომანები, აბაზგები [20; 129-131]. როგორც ვხედავთ, ავტორი აბაზგთა ტომს სკვითური წარმოშობის ტომებთან ერთად ასახელებს და მის თავდაპირველ საცხოვრისს აზოვის ზღვისპირეთში უთითებს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ცნებით „აბაზგი“ ის სკვითი ტომი უნდა იყოს ნახსენები, რომლის სახელწოდება ძლიერ ჰგავდა ეგრისის სამეფოს ძირძველი მკვიდრი ტომის აფხაზის ბერძნულ ვარიანტს. ბიზანტიელი ნიკიფორე გრიგორასისგან განსხვავებით, მისი სომეხი თანამეკალმე თომა მეწოფეცი (XIV-XV ს.ს.) თავის თხზულებაში იმ ტომს ახსენებს, ვინც პონტოსპირელ აბაზგებს განასახიერებდნენ. კერძოდ, თომა მეწოფეცი აღწერს თემურ ლენგის ლაშქრობებს და მოგვითხრობს, რომ როცა საქართველოს მეფე ბაგრატ V დამპყრობელს მოჩვენებით სთავაზობდა თავის სამსახურს, აუწყებდა, თუ რომელი „რვა ტომისგან“ შედგებოდა მისი ქვეყანა და მათ შორის იგი აფხაზებსაც მიითვლიდა: „დვალნი, ოსნი, იმერნი, მეგრელნი, აფხაზნი, სვანნი, ქართველნი (იბერები – ნ.ჯ.), მესხნი“ [20; 22, 23]. ამ შემთხვევაში, ცხადია, ბაგრატ V-ის პირით არა სარმატი აბაზგები, არამედ „იბერთა თვისტომი აბაზგები“ არიან ჩამოთვლილნი, რომელნიც საქართველოს „რვა ენათაგან“ ერთ-ერთს შეადგენდნენ.

„ორი აბაზგის“ თემა არც შემდგომ საუკუნეებში მიჩქმალულა. XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ის I ნახევარში მცხოვრები სომეხი ავტორი მინას ბჟიშკიანი (მინაი მედიჩი) ამ საკითხს თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს და ვრცლად მიმოიხილავს მას. მხითარიანელი ბერი ნაშრომში „ისტორია პონტოსი, რომელიც არის შავი ზღვა“, დაწვრილებით აღწერს პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროსა და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ მთისწინეთში დასახლებულ ტომებს და მისი დაკვირვების მიღმა არ დარჩენილან

არც აბაზგები. ავტორის ნაამბობიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის სამთავროსა და ჩრდილოკავკასიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა მსგავსი სახელწოდების, თუმცა ეთნიკურად განსხვავებული, ორი დასახელების ტომი, რომლებსაც აბასკები (აბაზგები) და აბაზები ერქვათ. ეს ტომები ზოგიერთ დასახლებულ ადგილას ერთმანეთში ისე იყვნენ შერეულნი, რომ ხშირად ერთ ეთნოსად აღიქმებოდნენ. თუმცა ავტორი იქვე შენიშნავს, რომ მათ ჰქონდათ განსხვავებული სამეტყველო ენა, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და აღმსარებლობა. ზემოთქმულის დამადასტურებელი მასალა მინაი მედიჩის თხზულებაში მრავლად გვხვდება. როგორც უკვე ვთქვით, ერთ ტომს იგი უწოდებს აბასკს (აბაზგი), მეორე დასახელების ტომები კი, მისი თქმით, აბაზები არიან. როდესაც იგი ტრაპეზუნტიდან სანაპიროს გაყოლებით ჩრდილოეთისკენ განსახლებულ ტომებს ჩამოთვლის, მათ ასეთი რიგით ახსენებს: ტრაპეზუნტელები, კოლხები, დრილები ანუ სანები (ჭანები), მახელონები, ჰენიოხები, ჩიტრეტიები, ლაზები, აფსილები, აბასკები, რომელნიც, ავტორის თქმით, უფრო აბაზინები უნდა იყვნენ და სანიგები. მაგრამ თხზულების სხვა ადგილას რამდენიმე პარაგრაფის შემდგომ იგი სიტყვასიტყვით ასე ამბობს: „ამ ქვეყანაში, ტრაპეზუნტიდან დაწყებული 7 ტომი ცხოვრობს: ლაზები ანუ ლეზგები, იბერები ანუ მეგრელები, ქისტები, ოსები, თათრები, ჩერქეზები, აბაზები [21; 165]. ე.ი. მინაი მედიჩი, როდესაც შავიზღვისპირა ტომების განსახლების ისტორიულ სურათს აღწერს, ქართველ ტომთა გვერდით აბაზგებს ახსენებს (მისი თქმით, იგივე აბაზინები), ხოლო, როცა „ამ ქვეყანაში“ ანუ სრულიად საქართველოში მცხოვრებ ტომებს ჩამოთვლის, თათართა, ოსთა და ჩერქეზთა შორის აბაზას ტომს ასახელებს (თუკი გავითვალისწინებთ, რომ გვიან შუა საუკუნეებამდე საქართველოს სამეფოს სასაზღვრო ზოლი კავკასიონის დასავლეთ მთისწინეთსა და მდინარე ყუბანის ქვემოწელის მიწებზე გადიოდა და ეს ტერიტორია საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, მაშინ მინაი მედიჩის ზემოხსენებული ნათქვამი, რომ თათარ-ოს-ჩერქეზ-აბაზას ტომები საქართველოს მიწებზე მცხოვრები ეთნოსები იყვნენ, იმ დროისათვის უჩვეულო არ გახლდათ).

ერთი სიტყვით, სომეხი ავტორის ნაამბობიდან ჩანს, რომ ეს ორი ტომი – აბაზგი და აბაზა სხვადასხვა სამკვიდრო ადგილებში ცხოვრობენ. აბაზგების ტომის საცხოვრისები სოხუმიდან ჩრდილოეთის მიმართულებით განფენილია იმ ადგილამდე, საიდანაც „თათართა ტერიტორია“ იწყება. თათართა სამოსახლოებიდან კი, „ანაპელი აბაზების“ ანუ მინაი მედიჩის თქმით „ნამდვილი აბაზების“ ადგილსაცხოვრისი იწყება, საიდანაც მდინარე ყუბანის სანაპიროებამდე ვრცელდება. ამ „ანაპელი აბაზების“ ქვეყანას ეწოდება აბაზა, ანუ აბასი, ანუ აბხაზი – გვაუწყებს ავტორი [21; 170, 172]. მისივე აზრით, „აბაზას სახელმწიფო“ 2 ნაწილად იყოფა. მას ჰყავს ორი ბეგი, ერთი ზის ანაპის რაიონში, სოვუკ-სუში, მეორე კი – სოხუმში. ისიც ირკვევა, რომ იმერეთის *საკათალიკოსოს რელიგიური საზღვარი აბაზას სახელმწიფოს ასევე* ორ ნაწილად ჰყოფს და საკათალიკოსოს ექვემდებარება აბაზგებით და სხვა ქართველი ტომებით დასახლებული მიწა-წყალი. სომეხი ავტორი აბაზგების

შესახებ წერს, რომ ეს ტომი მეგრელი პატრიარქის (იმერეთის) სამწყსოა-ო. იგი ამასთანავე აზუსტებს, რომ ეს სამწყსო მოიცავს 10 რაიონს და აბაზას ტერიტორიამდე ვრცელდება. აქ „აბაზას ტერიტორიის“ ქვეშ, ავტორი, ცხადია, „ანაპელი აბაზების“ ქვეყანას გულისმობს [21; 168]. მხითარიანელი ბერის ნაამბობიდან ცხადდება, რომ ეს ორი აბაზა, ანუ აბაზგები და „ნამდვილი აბაზები“ ეთნიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რასაც მათი სხვადასხვაგვარი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, განსხვავებული სამეტყველო ენა, აღმსარებლობა და იერსახეც მეტყველებს.

დავიწყოთ იმით, რომ მინაი მედიჩი ამ ორი ტომის განსხვავებული ეთნიკურობის თაობაზე გვთავაზობს თავის დაკვირვებას. მისი თქმით, სოხუმელი აბაზები (ანუ აბაზგები – ნ.ჯ.) ქრისტეანები არიან, ისინი უდიდეს პატივს მიაგებენ ბიჭვინთის ტაძარს, ქედის მოხრით იწერენ პირჯვარს და ფიცს ამ ეკლესიაში დებენ. გარდა ამისა, ადლერში ღვთისმსახურების შესასრულებლად ყოველწლიურად დადიან. როდესაც ამ ტომის ხალხს ვისიმე გასამართლება სურს, უხუცესები იკრიბებიან ერთ განსაზღვრულ ადგილას, რომელსაც „სამალდა“ ეწოდება (სომხური ტექსტის მთარგმნელის, ლ. მელიქსეთ-ბეგის მართებული შენიშვნით, სამალდა გახლავთ ქართული სიტყვა სამართალი). სოხუმელი აბაზები ვაჭრობაში დახელოვნებულები არიან და მათთვის უცხო ხელობა არც ქურდობაა. მათ ახასიათებთ გარდაცვლილი ადამიანის 40-დღიანი გლოვა, რომლის დროსაც შავით იმოსებიან. მათი სამფლობელოს და სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე კორაქსზე გადის. ყოველივეს საფუძველზე მინაი მედიჩი ასკვნის, რომ სოხუმელი აბაზები განეკუთვნებიან იბერებისა და მეგრელების ტომებს, თუმცა შემდგომ ხეების თაყვანისმცემლები გახდნენ და შეერწყნენ „ნამდვილ აბაზებს“ [21; 167-169, 170-172]. ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებს იგი ამ „ნამდვილ აბაზებს“: აბაზა – სკვითთა ტომთაგანია, რომელნიც, ჩანს, „დიდი სათათრეთიდან“ არიან გამოსულნი და აქ დასახლებულნი. არსებობს აბაზას მეამბოხე ტომი ხოია, რომელიც „დევრენთსა და ბიჭვინთას შორის სახლობს“. გარდა ამისა, ტუხლარს ზემოთ აბაზას სხვადასხვა ტომები მკვიდრობენ, რომელთაც სხვადასხვა ჩვეულებები აქვთ, თუმცა ისინიც ხეებს ეთაყვანებიან. მათ სათაყვანო დიდ ხეს ტაპში ჰქვია. აქვთ საკუთარი ენა (აქ ავტორი ამ ენაზე რიცხვებს ჩამოთვლის ერთიდან ათამდე). გელენჯიკთან, გარდა აბაზათა სოფლებისა, ორი სომხური სოფელია, აქაური სომხები ლაპარაკობენ აბაზათა ენაზე, მაგრამ სომხურიც იციან. აბაზები უმარილო საკვებით იკვებებიან, საერთოდ არ ჭამენ თევზს. არიან ველურები და უყვართ ნადირობა, ხოლო ყაჩაღობა მათთან გმირობის ტოლფასია. ძალიან უყვართ ცეკვა-თამაში, აქვთ ეპიკური ოდები. მაგრამ არა აქვთ მუსიკა და არც მუსიკალური ინსტრუმენტები. მათ უყვართ მოკუმული პირით სიმღერა. არა აქვთ წიგნები, დამწერლობა, კანონები. ანაპელი და ყუბანელი აბაზების მეტყველება ერთმანეთისგან განსხვავდება. აბაზებს ჰყავთ ეთნარქები და ტომის უფროსები. ეშინიათ ხეების, განსაკუთრებით ეთაყვანებიან ხის ტოტებს. მას შემდეგ, რაც აბაზები მეგრელებს შეერივნენ, ძალიან განსხვავდებოდნენ ძირძველი აბაზებისგან. ისინი ქრისტეანები გახდ-

ნენ, შემდეგ კი ცრურწმენის გამო დაიწყეს ხის თაყვანისცემა. რადგანაც მეგრელთა ზნე-ჩვეულებები და სამოსელი ძლიერ ჰგავს აბაზებისას, ზოგიერთი მათ ერთ ხალხად მიიჩნევს და ყველა ქართველთან ერთად საერთო სახელით – კოლხებით მოიხსენიებს. მაგრამ ისინი სხვანი არიან და კოლხები – სხვანი. აბაზებს ძლიერ ჰგვანან ოსები [21; 168-169, 173-174]. უნდა აღინიშნოს, რომ „აბაზათა ქვეყანას" სომხურ ისტორიოგრაფიაში კიდევ ერთი ავტორი, XVIII ს-ში მოღვაწე სიმეონ ერევანცი ახსენებს. იგი ლაპარაკობს „ნაზარ ცრუ თბილისელის" შესახებ, ვინც იმერეთის სამეფოში მავან მუსტაფა ბეგს ეძებდა. ეს ნაზარ ცრუ, ავტორის თქმით, მუსტაფა ბეგის ცოლს ატყობინებს, რომ მისი ქმარი „ბაშიაჩუხამდე აბაზათა ქვეყანაში ყოფილა და ამის გამო იქაც გადასულა მის საძებნელად". ამ მონათხრობიდან არ ჩანს, თუ სიმეონ ერევანცი აბაზათა რომელ ქვეყანას გულისხმობს – ჩრდილოკავკასიაში მდებარე აბაზა ტომების სამოსახლოს თუ „სოხუმიდან ანაპამდე" მდებარე აბაზგთა ქვეყანას, ანუ აფხაზეთის სამთავროს. თუმცა ფაქტია, „აბაზათა ქვეყანას" XVIII ს-ში მოღვაწე სიმეონ ერევანციც ასახელებს [21; 111].

როგორც ვხედავთ, მინაი მედიჩი ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს „ორ აბაზას", რომელთაგან ერთი საქართველოში, პონტოსპირელ ტომებს შორის მკვიდრობდა და მეორე აბაზა ერთ-ერთი სკვითთა მრავალრიცხოვან ტომთაგანია, ვისი პირველსაცხოვრისიც იმიერკავკასიაშია. ტომით ქართველი აბაზას მამული ცხუმიდან ანაპამდეა განფენილი, ისინი ქრისტეანები არიან, ღრმად მორწმუნენი, ლოცვას ბიჭვინთისა და ადლერის ეკლესიებში აღავლენენ. უხუცესები სათემო საკითხებს შეკრებებზე წყვეტენ, „სამართალი" რომ ეწოდება. ისინი ვაჭრობაში დახელოვნებულნი ჩანან, მათი ენაც ქართულია და ტომით იბერთა და მეგრელთა მოდგმისანი არიან. „ორ აბაზათაგან" მეორე, ანუ „ნამდვილი აბაზა" სკვით-სარმატთა ტომისაა. ისინი ოდესღაც „დიდი სათათრეთიდან" მოსულან და ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულან. ნამდვილი აბაზები მრავალენოვანი ტომები არიან. მათი სამეტყველო ენა იმდენად განსხვავებულია, რომ ანაპელ აბაზებს არ ესმით ყუბანელი აბაზებისა, ხოლო ზოგიერთი აბაზას ტომი და ყაბარდოელები ერთ ენაზე საუბრობენ. მათ არა აქვთ დამწერლობა, წიგნები, არ იციან ფულის რაობა, წონის ერთეულები. არ ჭამენ თევზს, საკვებს სრულიად უმარილოს შეექცევიან. ის აბაზები, რომელნიც ანაპასა და ცხუმს შორის, აფხაზეთის სამთავროს მიწებზე დასახლდნენ, დროთა განმავლობაში გაქრისტიანდნენ, თუმცა თავიანთი ზნე-ჩვეულებების გამო ნაწილობრივ წარმართებად დარჩნენ. ჩამოსახლებული აბაზები და მეგრელ-აფხაზნი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად ისე შეერივნენ ერთმანეთს, რომ უცხო თვალისთვის ძნელი გამხდარა მათი გარჩევა, ამიტომ ყველას კოლხებს უწოდებდნენ. თავად მინაი მედიჩისაც ზოგჯერ უჭირს მათი განსხვავება ერთურთისგან, თუმცა მას შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენია, რომ ნამდვილი აბაზები ოსებს ძლიერ ჰგვანან. ამრიგად, XIX საუკუნის სომეხი ავტორი ადასტურებს, რომ მის დროს არსებობდნენ აბაზა-აფხაზები და ნამდვილი, ანუ სკვითი აბაზები და ეხმიანება ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად პირველი საუკუნიდან მოყოლებული

კავკასიის რეგიონში ბინადრობდნენ მსგავსი სახელწოდების მქონე (ასეთად აღიქმებოდნენ უცხოელი ავტორების მიერ), ოღონდაც გენეტიკურად განსხვავებული ტომები – აბაზგები, რომლებიც ქართველ ტომთაგანნი იყვნენ და ნამდვილი აბაზები, იგივე მასაგეტი აბაზგები, სკვით-სარმატთა მოდგმას რომ განეკუთვნებოდნენ. თუკი თავს მოვუყრით პლინიუს უფროსის, ვალერიუს ფლაკუსის, კლავდიოს პტოლემაიოსის, „სომხური გეოგრაფიის“, იოანე ცეცეს და მინას ბჟიშკიანის (მედიჩი) ცნობებს „ორი აბაზგის“, გნებავთ „ორი აბაზას“ ტომების შესახებ, მაშინ ცხადი გახდება, რომ მათ ერთმანეთთან, გარდა მსგავსი სახელებისა, საერთო არაფერი ჰქონდათ. სკვითურ-მასაგეტური წარმოშობის აბაზები ჩრდილოკავკასიაში დამკვიდრებული ხალხია. ისინი ცხოვრობდნენ ვრცელ არეალში – დაწყებული აზოვისპირეთიდან ვიდრე კასპიისპირეთამდე. ეს მოდგმა მრავალრიცხოვანი ტომებისგან შედგებოდა. ისინი არაერთ ენაზე საუბრობდნენ და ზოგიერთ მათგანს ერთმანეთის არ ესმოდათ. ამ ტომების სახელწოდება სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია, როგორც აბზოე, აბთიანდი, აბთაკი, აბხეთა-აპშეგი და შუა საუკუნეებში მათი საერთო სახელი აბაზა ტომებია. აბაზები განვითარების თვალსაზრისით შუა საუკუნეებშიც ნომადი ტომები იყვნენ, მათ არ ჰქონდათ დამწერლობა და წარმართული ჩვეულებანი მათში ფესვგამდგარი იყო. მათგან განსხვავებით, აბაზგთა ტომი, წერილობითი წყაროების მიხედვით, ოდითგანვე საქართველოს ტერიტორიაზე, ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში მკვიდრობდნენ. მათი საცხოვრისები შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და კავკასიონის ქედის სამხრეთ მთისწინეთს შორის მდებარეობდა. აბაზგების ტომი ამ რეგიონის ძირძველი მოსახლეობაა და მათ სხვა სამკვიდრო ადგილები არც არასდროს ჰქონიათ. უცხოური წყაროების აბაზგები ქართული წყაროების აფხაზებია. აფხაზები ქართულენოვანი ტომია, მათი სამეტყველო ენა ქართულია და სხვა ქართველი ტომების მსგავსად, ისინი I საუკუნეში გაქრისტეანდნენ. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების სხვადასხვაენოვან წყაროებში აფხაზეთი (აბაზგია) და აფხაზი (აბაზგი) რამდენიმე მნიშვნელობით არის გამოყენებული და ამ სიტყვებით აფხაზთა ტომისა და მათი სამთავროს გარდა, ქართველს (ზოგჯერ იმიერქართველს) და სრულიად საქართველოს (ზოგჯერ გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს) აღნიშნავდნენ.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Латышев В.В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, ч. 1, С-Пб., 1893.
2. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1983.
3. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა,

კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, თბილისი, 1961.
4. ორფიკული არგონავტიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნათელა მელაშვილმა, თბილისი, 1977.
5. Латышев В.В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. II, ч. 1, С-Пб., 1904.
6. გეორგიკა, ტ. I, თბილისი, 1961.
7. გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1965.
8. გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936.
9. ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962.
10. История Егише Вардапета, Борьба Христианства с учением Зороастровым в пятом столетии, в Армении. Перевод с армянского П. Шаншиева, Тифлис, 1853.
11. История Армении Фавстоса Бузинда, перевод с древнеармянского и комментарии М.А. Геворгяна, под ред. С.Т. Еремяна, вступ. статья Л.С. Хачикяна, Ереван, 1953.
12. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი, 1984.
13. История Епископа Себеоса, перевел с четвертого исправленного ямянского издания С.Т. Малхасянц, Ереван, 1939.
14. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი I, თბილისი, 1941.
15. გეორგიკა, ტ. V, თბილისი, 1963.
16. გეორგიკა, ტ. VI, თბილისი, 1966.
17. Армянская география VII века по Р.Х. (приписываемая Моисею Хоренскому), издал К.П. Патканов, С-Пб., 1877.
18. 18. ЖМНП, К.П. Патканов, из нового списка географии приписываемой Моисею Хоренскому, 1883, март, ч. CCXXVI.
19. გეორგიკა, ტ. VII, თბილისი, 1967.
20. თომა მეწოფელი, ისტორია ლანგ-თემურისა, შესავალი და კომენტარები პროფესორ ლ. მელიქსეთ-ბეგის, თბილისი, 1937; თოვმა მეწოფელი, ისტორია თემურლენგისა და მისი შთამომავლებისა, ძველსომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, თბილისი, 1987.
21. Л.М. Меликсет-Беков, Pontica Transcaucasica Ethnica (по данным Миная Медичи от 1815-1819 гг.), "Советская этнография", 1950, №2.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მადონა მშვილდაძე

იბერიის ქალაქი არტანისა კლავდიოს პტოლემაიოსის კოორდინატების მიხედვით

იბერიის ქალაქთა ლოკალიზაციისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. 90-168 წწ., ცნობილია როგორც მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფოსი, ასტროლოგი, სამეცნიერო კარტოგრაფიის ფუძემდებელი) „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". Geographia რვა თავისაგან შემდგარი ნიგნია, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ რადიკალური ზეგავლენა იქონია და ახალი მიმართულება მისცა ტოპოგრაფთა მიერ კონკრეტული კონცეფციის ჩამოყალიბებას [4; 3]. ფაქტიურად ეს ნაშრომი წარმოადგენდა ისეთი ტიპის მოცემულობას (თანამედროვე გაგებით ატლასს), რომელზეც ასახულია ადამიანის მიერ ათვისებული სამყარო, იგივე „oikumene". მასზე დაყრდნობით შემუშავდა 26 რეგიონალური და 67 შედარებით მცირე არეალის რუკები, რომლებზეც ილუსტრირებული იყო სიბრტყეზე მოცემული სფეროს (დედამიწის) გამოსახულება სამი განსხვავებული მეთოდის პროექტირებით, როგორიცაა, მაგალითად: არეალის სიბრტყითი, სტერეოგრაფიული (ანუ პერსპექტივში დანახული მოცემულობა) და კონუსური პროექცია. დატანილი და აღნიშნული იქნა რვა ათასი პუნქტი მათთვის მინიჭებული კოორდინატებით, გრძედებისა და განედების გეოგრაფიული განფენილობით [10; 17-20]. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ პუნქტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დიდ და მცირე ქალაქებს მინიჭებული ჰქონდა სპეციალური ინდიკატორი მკვეთრად გამოხატული სიმბოლოებით.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კლავდიოს პტოლემაიოსის გეოცენტრისტული მეთოდებით შექმნილმა კოორდინატთა სისტემამ გრადუსის სიგრძის უზუსტობა გამოიწვია, საქართველოს ისტორიის მკვლევარები (აკად. ი. ჯავახიშვილი, აკად. ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა და სხვები) ამ მონაცემებს მაინც აქტიურად იყენებდნენ. პტოლემაიოსის კვლევების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს და დღემდე აქტიურად გრძელდება ამ კოორდინატთა სისტემის მიხედვით საქართველოს პუნქტების ლოკალიზაციის განსაზღვრა ნ. ლომოურის, გ. ლორთქიფანიძისა და გ. ყიფიანის მიერ ჩატარებული კვლევებით.

ნ. ლომოურმა სტატიაში „კლავდიოს პტოლემაიოსი „გეოგრაფიული სახელმძღვანელო" ცნობები საქართველოს შესახებ" (1955), კ. მიულერის (1901), პ. მონტანოს (1605), ფრ. ვილბერგის (1838), ფრ. ნობეს (1843-45), ედ. სტივ-

ენსონისა (1932) და ორი ხელნაწერის ფოტოტიპურ პუბლიკაციებზე დაყრდნობით გადმოგვცა კრიტიკული აპარატი, და რაც მთავარია საქართველოსა და მისი მეზობელი მხარეების აღწერილობა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეზრებინა პტოლემაიოსის მონაცემები.

კონკრეტულად იბერიის აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ იბერია ისაზღვრება ჩრდილოეთიდან სარმატიის დასახლებული ნაწილით; დასავლეთიდან – კოლხეთით; სამხრეთიდან – დიდი არმენიის ნაწილით; აღმოსავლეთიდან – კავკასიის ალბანეთით (ალვანეთი) [3; 32].

ქალაქები და სოფლები (იბერიაში) შემდეგია: სოფელი ლუბიონი (Λούβιον κώμη) - 75° 40′–46° 50′, აგინა (Ἄγιννα) -75° – 46° 30′, უასაიდა (Οὐάσαιδα) - 76°–46° 20′, უარიკა (Οὐαρίκα) - 75° 20′ – 46°, სურა (Σοῦρα) - 75° – 45° 20′, არტანისსა (Ἀρτάνισσα) - 75° 40′ – 46°, მესტლეტა (Μεστλήτα) - 75° 40′ – 45°, ძალისა (Ζάλισσα) - 76° – 44° 40′ ჰარმაკტიკა (Ἁρμάκτικα) - 75° – 44° 50′.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში ნახსენებ ქალაქ არტანისას ლოკალიზების საკითხზე, რომელიც დღემდე საკამათოა და დიდ ინტერესს იწვევს. პროფ. ს. კაკაბაძე და პ. იოსელიანი მას აიგივებენ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარე არტაანთან, რომელიც მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე (3; 59), მდ. მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს, მისი თურქული სახელია ა რ დ ა ჰ ა ნ ი. ფარნავაზის დროს, ძვ. წ. III ს-ში ტერიტორია წუნდის საერისთავოში ერთიანდებოდა (ჯავახეთთან და კოლასთან ერთად). ვ. ტომაშეკის მოსაზრებით კი არტანისაში ქ. არტანუჯი იგულისხმება, რომელიც ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს (3; 59) მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ამას აფიქრებინებს ვ. ტომაშეკს თვით ამ სახელის ეტიმოლოგიური მსგავსება: თითქოს ბოლო ორი სიგმა (-σ σ) უნდა მიანიშნებდეს რაიმე აფრიკატის არსებობაზე, სადაც სავარაუდებელია ჯ-ანი. მეტი დამაჯერებლობისათვის, ტომაშეკს მოჰყავს პტოლემაიოსის ნაშრომის ერთ-ერთ ხელნაწერში (13; 82) შენახული ამ სახელის განსხვავებული ფორმაც - Ἀρτάυοισσα. მკვლევარის ვარაუდით, - οι - კომპლექსი მიღებული უნდა ყოფილიყო გრაფიკული შეცდომის შედეგად — ου (ანუ „უ") კომპლექსიდან, ამ შემთხვევაში კი - Ἀρτάουσσα - ლოგიკურად უკვე დაუკავშირდება არტანუჯის სახელს.

აკად. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, საკვლევი ტერიტორია ის არტანუჯია, რომელსაც X ს-ში მოღვაწე კონსტანტინე პორფიროგენეტი იხსენებდა, როგორც VIII-X სს-ის იბერიის სავაჭრო ცენტრს [9; 72-73].

მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. გრიგოლიასაც. სტატიაში „არტაანი იბერიაში" [2; 50] ის წერს, რომ ქვეყანა ანუ ხევი არტანისა, რომელიც ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა და ცნობილია როგორც „არტაჰანი", იგივეა რაც პტოლემაიოსის მიერ მოხსენიებული „იბერიის ქალაქი არტანისა". მისი თქმით, თითქმის ყოველთვის, არტაანი იბერიის ნაწილს წარმოადგენდა კოლასთან ერთად, რომელზეც გადიოდა ბიზანტიიდან (და ასევე პერსარმენიიდან, ანუ სპარსული არმენიიდან) შიდა ქართლი-თბილის-ბარდავისაკენ

მიმავალი საერთაშორისო გზა, რომელიც არტაანიდან ჯავახეთში შედიოდა. ფაქტიურად, ის აკავშირებდა შავი ზღვის სანაპიროს პორტებს თბილისი-ბარდავთან არტანუჯის გზით, ხოლო სპარსეთ-ბიზანტიას კოლადან შემოსული გზით. იმავე ავტორის აღნიშვნით, მოგვიანებით „ქალაქი არტანისა" ნაქალაქარად ქცეულა და ჰურის (იგივე ქაჯთა ქალაქი) სახელი დაუმკვიდრებია.


ცხადია, საინტერესოა და ლოგიკურიც აღნიშნული მოსაზრებები არტანისას ლოკალიზებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე ტექნიკური აპარატურის ხელმიუწვდომლობის გამო კვლევის პროცესში მკვლევართა მიერ ვერ მოხერხდა ისტორიული საქართველოს რუკების (შუა საუკუნეების ევროპელი გეოგრაფოსებისა და კარტოგრაფების მიერ შედგენილი რუკები) დეტალური შესწავლა და მყარი წერტილის გამოყენებით საქალაქო სივრცეთა ვექტორის გამოთვლა, რაც უფრო მეტად შესძლებდა სადავო საკითხის დაკონკრეტებას.

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მუშაობა რამდენიმე მეთოდით წარიმართა: 1. ადრეული და თანამედროვე პერიოდის ისტორიული რუკების მოძიება და შესწავლა; 2. კოორდინატთა ბადეზე მყარი წერტილის აღება და ტრიანგულაციის სისტემით ვექტორის განსაზღვრა; 3. შესაბამისი პარალელებისა და მერიდიანების გათვალისწინებით ტოპონიმების რუკაზე დატანა; 4. ტოპონიმების იდენტიფიკაცია – ადრეული და თანამედროვე ტოპონიმების შედარება და მათ შორის თანხვედმის განსაზღვრა; 5. ტოპონიმების თეოფორიული წარმომავლობის ალბათობის დადგენა.


ლოკალიზაციის დასადგენად, კოორდინატთა ბადეზე საყრდენ პუნქტებად აღებულ იქნა პტოლემაიოსის მიერ მოცემული მესტლეტასა (მცხეთა) და ჰარმაკტიკას (არმაზციხე) გრადუსები და მინუტები. ტრიანგულაციის სისტემით, მესამე კუთხე არტანისა იყო (ტაბ. II, 1, 2). დაკვირვებით აშკარად გამოიკვეთა, რომ პტოლემაიოსისეული მონაცემების გათვალისწინებით არტანისა სავარაუდოდ თანხვდება იორის მარჯვენა სანაპიროზე ლოკალიზებულ, თიანეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ არტანს (ტაბ. III). დაკვირვებითაც კარგად ჩანს, რომ ბუნებრივად იქ სწორედ ისეთი სივრცეა, რომელიც მისაღები უნდა ყოფილიყო ურბანული განაშენიანებისთვის. სოფელი ორ ხევს შორისაა მოქცეული, მარცხენა მხრიდან ჩამოუყვება მდ. არტანულა, რომელიც შემდეგ იორს უერთდება. პუნქტის ლოკალიზება ბუნებრივ წინაღობებს შორის მოქცეულ არეალში, გარკვეულწილად პასუხობს მის დომინანტის როლზე გარემოში. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ კიდევაც, რომ მხოლოდ არტანისას შეეძლო იორს დაყოლილი გზის კონტროლი, თანაც საკმაოდ დიდ მანძილზე.

თიანეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი არტანი დღესდღეობით მოიხსენიება როგორც ზემო და ქვემო არტანი (ა რ ტ ა ნ ი მისი ძველი სახელწოდებაა). სამწუხაროდ, სოფელში შემავალი ისტორიული მნიშვნელობის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები დეტალურად შესწავლილი და აღწერილი არაა. 1925 წელს სსრ ადმინისტრაციული დაყოფით, არტანი ტფილისის მაზრაში შედიოდა 50 კომლითა და 288 მცხოვრებლით. 2002 წლის

ტაბ. I.1




ტაბ. I.2



ტაბ. I.3



ტაბ. I.4




ტაბ. I.

1. N.Germanus, XV c. Tabula Asiae III. რუკის რეკონსტრუქცია კლავდიოს პტოლემაიოსის „Geography"-ს მიხედვით


2. N. Sanson, 1968. Tabula Asiae III. რუკის რეკონსტრუქცია კლავდიოს პტოლემაიოსის „Geography"-ს მიხედვით

3. C. Cellarius, 1706. Iberia and Colchis. რუკის რეკონსტრუქცია კლავდიოს პტოლემაიოსის „Geography"-ს მიხედვით

4. N. Germanus, XVc. „Black Sea to Caspian Sea" (call numb. HM 1092, Folio: ff. 35v-36 Huntigton Catalog Images). რუკის რეკონსტრუქცია კლავდიოს პტოლემაიოსის „Geography"-ს მიხედვით



1.



2.

ტაბ. II.

1. კოორდინატთა ბადე. დატანილია მცხეთის (მესტლეტა), არმაზციხისა (ჰარმოზიკე) და არტანას (არტანისა ?) პუნქტები

2. პუნქტების თანამედროვე ასახულობა



ტაბ. III. კოსმოსური ფოტო „Google"-დან. წითელი ისრით აღნიშნულია არტანისას სავარაუდო მონაკვეთი

აღწერით ქვემო არტანში 64 მცხოვრებია. მდებარეობს მცხეთა მთიანეთის მხარის თიანეთის მუნიციპალიტეტში, არტანის თემში, მდ. იორის მარჯვენა მხარეს, ზღ. დ. 1170 მ. თიანეთიდან დაშორებულია 12 კმ-ით. ექვემდებარება საქართველოს საპატრიარქოს თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიას. ამავე წლის აღწერით, ზემო არტანში ცხოვრობს 49 ადამიანი. მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარის – თიანეთის მუნიციპალიტეტში, არტანის თემში. მდ. იორის მარჯვენა მხარეს, ზღ. დ. 1180მ. თიანეთიდან დაშორებულია 13 კმ-ით.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2004 წ.) ზემო არტანში დაფიქსირებული და აღწერილია სამი ხატი, ექვსი ეკლესია (აქედან ერთი კომპლექსია), რამოდენიმე კოშკის ნანგრევი და ბეღელი.

ზემო არტანის მოხილვისას. ღორღაშულას ხევში, ხეობის ირგვლივ, მთელს ტერიტორიაზე დაფიქსირდა დამუშავებული ქვები (ტაბ. IV), ხოლო ხეობის მარჯვენა სანაპიროზე, მიწის ზედაპირზე ქვათლილთა წყობა, რომელიც ბორცვის გარკვეულ მონაკვეთს აუყვება (ტაბ. V, 1, 2). ქვებზე ჩანს იარაღით დამუშავების კვალიც. აღნიშნული პუნქტის ჩრდილოეთით დაფიქ-

სირდა ნაგებობის ნაშთიც, საკმაოდ ვრცელ ფართობზე (ტაბ. VI, 1, 2). სამწუხაროდ, ნაგებობა მთლიანად განადგურებულია. აქვე დაფიქსირდა რამოდენიმე არქიტექტურული დეტალი და კერამიკის ფრაგმენტი. მოხდა ძეგლის ფოტოფიქსაცია და ამ ტერიტორიის GPS კოორდინატების აღება. მხოლოდ ამ მონაცემბზე დაყრდნობით, რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება ძალიან რთულია. თუმცა ცხადია, რომ ეს პუნქტები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაშიც არაა მოხსენებული, შესასწავლია. აუცილებლად უნდა დადგინდეს ამ ორ ძეგლს შორის ურთიერთკავშირიც.





ტაბ. IV. ქვაზე აღბეჭდილი იარაღის კვალი

ზემო არტანში ყურადღება მიიქცია ასევე XVIII ს-ის მთავარანგელოზთა ეკლესიამ (სოფლის ტერიტორიაზე) (ტაბ. VII). ეკლესია ძლიერ დაზიანებულია და ამჟამად აღარ ფუნქციონირებს. აქ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მშენებლობაში გამოყენებულია ადრეული პერიოდის კაპიტელები (ტაბ. VIII, 1, 2).


მოხილულ იქნა ასევე გვიანშუასაუკუნეების მრავალსართულიანი კოშკი, რომლის მხოლოდ ორი სართული და ნაეკლესიარია შემორჩენილი.

დიდ ინტერესს იწვევს თვითონ ტოპონიმის თეოფორიული კუთხით განხილვაც. დადგენილია, რომ ისტორიული საქართველოს არც ერთი მხარის პანთეონში არ შეინიშნებოდა ისე მძლავრად ძველი და ახალი რელიგიური წარმოდგენების დაახლოება, როგორც იბერიაში. მისი სტრატეგიული მდებარეობა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში და ამავე დროს კავკასიონის გადასალახავი უმთავრესი უღელტეხილის, იგივე დარიალის არსებობა მნიშვნელოვნად განაპირობებდა გარე სამყაროს მუდმივ დაინტერესებას აქ





ტაბ. V.
1) ღორღაშულას ხეთან დაფიქსირებული ქვის წყობა
2) სქემატური ანაზომი






ტაბ. VI. 1-2 ღორღაშულას ხეობის ჩრდილოეთით დაფიქსირებული ნაგებობის ნაშთები




ტაბ. VII. მთავარანგელოზის ეკლესია (XVIIIს.)

მიმდინარე მოვლენებით. იბერია წარმოადგენდა არა მხოლოდ ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის, არამედ მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის-აღმოსავლური ოიკუმენეს ჩრდილო-აღმოსავლურ საყრდენ პუნქტს. ამ გარემოებას თან ერთვოდა ქვეყნიერების ოთხივე მხარეს მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ზედამხედველობა, რომლის დროსაც აუცილებლად მოხდებოდა განსხვავებული წარმომავლობისა და კულტურული თავისებურებების მქონე მოსახლეობის თავმოყრა შედარებით შეზღუდულ ტერიტორიაზე (ტაბ. IX). ეს კი ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა საზოგადოებრივი განვითარებისა და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისათვის. მსგავს პოლიტიკურ გარემოში მოსალოდნელი იქნებოდა განსხვავებული რელიგიური კულტებისა და სისტემების თანაარსებობაც. ისტორიულად, ახ. წ. II ს. ის პერიოდია, როდესაც იბერია ერთდროულად განიცდის რომისა და ირანის პოლიტიკურ ზეგავლენას. სავსებით დასაშვებია ადგილობრივთა წარმართულ რელიგიურ შეხედულებებთან მომხდარიყო მათი რელიგიური კულტების სინკრეტიზაციაც. ლოგიკურად შესაძლებელია ამას გარკვეული ნიშანი დაეტოვებია ქალაქთწარმოქმნისას მისთვის ტოპონიმის დამკვიდრებაშიც.

არტანისა როგორც ტოპონიმი თეოფორიული ფუძის შემცველია. „Art", „Asha", „Ash" – ფუძით ნაწარმოები ღვთაებები, გვხვდება როგორც ბერძნულ, ისე სპარსულ რელიგიურ პანთეონში. ბერძნულ პანთეონში შემავალი "Αρτεμις (Ártemis) – Artemis – ნადირობის, ტყის, უდაბნოს, ცხოველების, სასჯელისა და ნაყოფიერების ქალღმერთად მოიაზრება. მოგვიანებით ის გაი-





ტაბ. VIII. 1-2 ადრეული პერიოდის კაპიტელები (მეორადი გამოყენებით)

გივებულია მთვარესთან. იბერიასთან მიმართებაში, ქალღვთაება არტემიდასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ეპიზოდიც, რომელიც დაცულია ქართლის ცხოვრებაში ჩართულ დანამატში „ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოში" (BP`b), თითქოს აწყვერში „...იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი არტემი და აპოლონ" (7: 41; 8: 16-25; 5: 381, 40314, 55922). თუ ამ ჩანართის მიხედვით ვიმსჯელებთ და დავუშვებთ, რომ ქართლის ანუ იბერიის სამეფოს დასავლეთ ნაწილში დამკვიდრებული იყო არტემიდას კულტი, მაშინ შესაძლოა ვივარაუდოთ ისიც, რომ მისი გარკვეული სახით ასახულობა მთაშიც მომხდარიყო [1; 354]. ირანულ მითოლოგიაში კი Asha Vakchishta, იგივე Arta Vakchishta, შედის უმაღლეს ღვთაებათა ტრიადაში, რიგორც სამყაროში იდეალური წესრიგისა და სამართლიანობის დამცველი, ცეცხლის სული [6; 81].



ტაბ. IX. რუკა. იბერია ძვ. წ. 600 — ახ.წ. 500 წწ.ჩ

კვლევის ამ საფეხურზე, კონკრეტული დასკვნების გაკეთება რთულია, თუმცა სამუშაოების გაგრძელებით, როგორიცაა სავარაუდო პუნქტებში არქეოლოგიური მასალის მოძიება და შესწავლა, ძეგლის ტოპოგრაფიული აგეგმვა და თანამედროვე ტექნოლოგიებით (GIS) გეოგრაფიული რუკის შემუშავება და სხვა, უფრო მეტ დამაჯერებლობას შევმატებთ საკვლევ საკითხს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. ბოჭოიძე, თუშეთი, თბ., „მეცნიერება", 1993.
2. გ. გრიგოლია, არტაანი იბერიაში, სამეცნიერო ჟურნ. „სვეტიცხოველი", 2, თბ. 2010.

3. ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ ცნობები საქართველოს შესახებ“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.
4. გ. ლორთქიფანიძე, გ. ყიფიანი, ქალაქ „Σαράη“-ს ლოკალიზაციისათვის, თბ., „არტანუჯი“, 2009.
5. ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „მერიდიანი“, „არტანუჯი“. თბ., 2008.
6. გ. ქავთარაძე, წარმართული იბერიის ღვთაებათა არსისათვის, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული – XIII, თბ., 2009.
7. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „სახელგამი“, თბ., 1955.
8. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტის აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1973.
9. ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964.
10. L. Bagrow, The origin of Ptolemy's Geographia. Geografiska Annaler 318-387, Stokholm 1945.
11. J. Berggren, A. Lennart, Jones, ptolemy's GEOGRAPHY, An annotation of The Theoritical Chapters, Princeton University Press 2000.
12. T. Campbell, The Earliest Printed Maps. British Museum Press 1987.
13. Jos. Fischer, Claudii Ptolemaei Geographiae. Codex Urbinas Graecus 82; [Codices e Vati canis selecti, vol. XIX], Lugduni-Batavorum Lipsiae, 1932.
14. E. L. Stevenson, Translation - `Ptolemy, Claudius Geographica", New York Public Library, 1932 (Geografiska Annaler, Vol. 27).
15. A. Tsorlini, Spatial distribution of Ptolemy's Geographia coordinate differences in north Mediterranean eliminating systematic effects, e-Perimetron, Vol. 4, No. 4. 2009.
16. A. Tsorlini, Higher order systematic effect in Ptolemy's Geographia coordinate description of Iberia, e-perimetron, Vol. 4, No, 2009.
17. A. Brychtov, A. Angeliki, Differences of Ptolemy based cartography of Central Europe with respect to recent Czech Republic representations, e-Perimetron, Vol. 6, No 2011.
18. *Мифологический словарь*. М., 1990.

MADONA MSHVILDADZE

IBERIAN TOWN – ARTANISSA ACCORDING TO CLAUDIUS PTOLEMY'S COORDINATES

Summary

One of the essential sources for studying the localization of Iberian towns is Geographia by Claudius Ptolemy (AD 90-168 known as a mathematician, astronomer, geographer, astrologer and the founder of scientific cartography). Geographia comprises eight chapters and each chapter covers each of the regions specified by the author, together with its textual and digital data. According to the description of Iberia given in Chapter eight we find out that Iberia is bordered by: a populated land of Sarmatia – on the North; Colchis – on the West; Great Armenia – on the South; Albania – on the East. The author thereby mentions eight towns and one village. In this specific case the

subject is focus on the issue of localization of Artanissa – one of Iberian towns, which till now remains a matter of controversy and interest. There have been more than a few views on the issue, which still require further specification and research on the basis of modern methods. In order to determine the localization -- the studies of historical maps of the earliest and the latest eras, and vector determination on the basis of steady point on the coordinate grid, also placing toponyms on map, together with corresponding meridians and parallels, allowed to identify Artanissa with the village Artany, located on the right bank of the river Iori, in Tianeti municipality. Naturally there's space that might have been suitable for urban development. The village is situated between the two ravines, with the river Artanula on the left, which later joins the river Iori. The localization of the point-between the natural hindrances, somehow answers the question of it's role of dominance in the environment. The review of toponyms in a theophoric point of view draws interest as well. As it is well known, none of the pantheons of any historical lands of Georgian has manifested such a strong convergence of old and new religions as Iberia – interesting with its strategic location. At this stage it is not easy to make any particular conclusions, but if the works such as: searching for archaeological materials on potential points, sites topographic planning and map-making using modern technologies (GIS) carry on, it will add more confidence to the research issue.

М. Г. МШВИЛДАДЗЕ

О ЛОКАЛИЗАЦИИ ИБЕРИЙСКОГО ГОРОДА АРТАНИСА СОГЛАСНО КООРДИНАТАМ КЛАВДИЯ ПТОЛЕМЕЯ

Резюме

В предлогаемой статье речь идёт о локализации города Артаниса, упомянутого среди Иберийских городов в восьмой главе труда Клавдия Птолемея (известного географа, математика, астронома, астролога, основателя научной картографии, жившего в 90-168 гг до н.э.) – «Руководство по Географии». Этот вопрос по сей день является дискуссионным и вызывает большой интерес.

С целью прояснения вопроса о локализации города Артаниса, изучая древние и современные исторические карты, определяя вектор на основании опорных точек на сетке координатов и определяя топонимы на карте на основе учета соответствующих параллелей и меридианов, нам удалось упомянутый среди городов Иберии город Артаниса идентифицировать с поселением Артана, расположенного в Тианетском районе, на правом берегу реки Иори. В статье дана также попытка рассмотрения указанного пункта с геофорической точки зрения.

На данном этапе трудно делать конкретные выводы, но дальнейшие исследования – а именно, добытие и изучение археологического материала, топографический обмер памятника, составление географической карты современными технологиями (GIS) и т.д. – придадут определенную убедительность выдвинутой гипотезе.

მიხეილ გახტაძე

მანუჩარ II ჯაყელი

ნაწილი 1

1582 წლის სექტემბერში სამცხეში მყოფმა ოსმალო სარდალმა ჰადიმ მეჰმედ ფაშამ სამხედრო თათბირი მოიწვია. სხვებთან ერთად ახალციხის, იგივე ჩილდირის საფაშოს გამგებელი მუსტაფაც დაიბარეს. თათბირის ოფიციალური მიზეზი სტამბულიდან მიღებული ახალი ბრძანების გაცნობა იყო. სინამდვილეში ოსმალო სარდლებს მუსტაფას მოკვლა ჰქონდათ განზრახული. ჰადიმ ფაშამ, ცოტა ხნის წინ, მუხრანთან ქართლის მეფე სვიმონ I-თან, განცდილი მარცხი სწორედ მუსტაფას დააბრალა და შურისძიება ჰქონდა გადაწყვეტილი [1:152].

მუსტაფა გამაჰმადიანებული მანუჩარ ჯაყელი იყო. ფრთხილმა და წინდახედულმა ჯაყელმა, რომელიც ოსმალო სარდლებს არ ენდობოდა, თან 50 ერთგული მეომარი წაიყვანა და თათბირზე გამოცხადდა. კარავში შესულმა მუსტაფამ იკითხა, „რას მიბრძანებთო. მას რაღაც განკარგულება ნაუკითხეს. მანუჩარმა შესრულება აღუთქვა და გამოსვლა დააპირა. ამ დროს ერთმა თურქმა სახელოთი მოსწია და დაკავებას უპირებდა. მანუჩარმა ხმამაღლა დაიყვირა, თავდამსხმელს ხმალი გამოსტაცა და მის წინ მდგომ ფაშას თანაშემწეს ისეთი სიძლიერით დაარტყა, რომ თავიდან მუცლამდე გააპო. გააფთრებულ მანუჩარს ხუთი ჭრილობა მიუყენებია თვით მეჰმედ ფაშასთვის. სწორედ ამ დროს შემოვარდნილან მანუჩარის კაცები, რომლებსაც ის გადაურჩენიათ“ [2:135].

მანუჩარმა ისლამი უარყო, კვლავ გაქრისტიანდა, სვიმონ I-ს დაუკავშირდა და საათაბაგოში ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

მანუჩარი 1550 წელს დაიბადა. მამამისი მესხეთის მთავარი, ათაბაგი ქაიხოსრო II იყო. დედა, დედისიმედი კი მუხრანელ ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ოცდასამი წლის იყო მანუჩარი, როდესაც 1573 წელს ქაიხოსრო ყაზინში გარდაიცვალა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, „ყაზმინს ყოფასა შინა მოკუდა ათაბაგი ქაიხოსრო ... და დაუტევა ძენი ყუარყუარე, მანუჩარ და ბექა“ [3:718]. ამ დროს მძიმე პერიოდი ედგა საათაბაგოს. მესხეთის სამხრეთ-დასავლეთი მხარეები ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი და სულთნის ხელისუფლება მთელი საათაბაგოს დაუფლებას ლამობდა. ოსმალთა აგრესიის შესაჩერებლად ქაიხოსრო II ირანის გამოყენებას აპირებდა და სწორედ ამი-

ტომ იმყოფებოდა შაჰის კარზე ყაზვინში.

ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ ათაბაგი უფროსი ვაჟი ყვარყვარე IV გახდა. „ქვეყნის ფაქტიური მმართველი დედამისი, ქაიხოსროს ქვრივი ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე და ძალაუფლების მოყვარული ქალი – დედისიმედი იყო“ [2:125]. აქტიურად აღმოჩნდა ჩართული საათაბაგოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მანუჩარიც.

1576 წელს საათაბაგოში ჯაყელთა წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო, რომელსაც სათავეში შალიკაშვილები ედგნენ. ქართული წყაროების ერთი ნაწილის მიხედვით, კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის სახლთუხუცესმა ჩოლოყაშვილმა კარს მომდგარი ყიზილბაშების შემოსევის თავიდან აცილების მიზნით მეფეს შემდეგი რჩევა მისცა – დედისიმედს ვაცნობოთ, ვითომ „ვარაზას (შალიკაშვილს - მ.ბ.) შაჰ-თამაზ ყაენი მანდ მოჰყავსო, ნებავს ამოწყუეტა სამცხისაო და ძისა შენისაო მანუჩარის სიკუდილიო, და მრავალგზის მოგაყივნა ქუეყანასა ზედაო და თჳთონ უნდა ეგ ქუეყანა დაიჭიროსო. და მანდ გაბატონდესო. და დაიჭირე ვარაზა, მოჰკალ და მერმე შაჰ-თამაზ ყაენი ველარ მოვა და გაბრუნდება და ნავა და მორჩება ქუეყანაო“. დედისიმედმა დაიჯერა, „შეიპყრა ვარაზა შალიკაშვილი ღალატითა და მოკლა. ესე ვარაზა იყო შვილი ოთარ შალიკაშვილისა და ცოლის-ძმა შაჰ-თამაზ ყაენისა. და რა ესმა შაჰ-თამაზს სიკუდილი მისი, განწყრა შაჰ-თამაზ და წარვიდა სამცხეს და დაუტევა კახეთი. და შევიდა სამცხეს, და მოაოჴრა და ამოსწყჳტა სამცხე და მრავალი ბოროტი შეამთხჳა სამცხესა, და შემდგომად ამისსა შემოიქცა და წარმოვიდა.“

ვარაზა შალიკაშვილი მამასავით ამაყი და პატივმოყვარე იყო. ჯაყელებს არაფერში ტოლს არ უდებდა და მის გარეშე სამთაეროში ბევრი ვერაფერი წყდებოდა. შალიკაშვილის მოკვლის რეალური მიზეზი, სავარაუდოდ, მისი გავლენა და ძალა იყო და არა კახეთიდან ჩოლოყაშვილის მიერ შემოთვლილი ამბავი. შალიკაშვილებს სხვებიც მიემხრნენ: ამატაკიშვილები, დიასამიძეები, თუხარელები და სხვ. მალე მესხეთი სამოქალაქო ომის ხანძარში გაეხვია.

მესხეთში განვითარებული მოვლენების შესახებ უპირველეს წყაროს „მესხური მატიანე“, იგივე „მესხური დავითნის ქრონიკა“ წარმოადგენს. მასში დაცული ინფორმაციის თანახმად, „ივნისსა, ათაბაგი პატრონი ყვარყვარე და ძმა მათი პატრონი მანუჩარი და ბიძაშჳლი მათი მეფისშვილი პატრონი ჰერაკლე[1] მგელციხეს წავიდეს ყაენთან ელჩის გასაგზავნელად. ავკარგად სამოცამდის კაცი იახლა. სამწუბთ ღელეში დავდეგით. აცნობაი ოლადის ქუაბიდამა ბედანისშჳლმა იასონ ვარაზაშვილს კოკოლასა და მის ძმასა ლაშქარასა და მის ბიძას გურგაქს. იახლნეს თანა დიასამისძის ელიას შვილი ავთანდილ და მისი ძმა შერმაზან, ამატკისშვილის როსტომის შვილი ამატაკ და აბდუყაფარ და მათი ძმისწული როსტომ და ამატკის ვაჟი სეხნიაი. დაეკაზმნეს ხუთასამდი კაცი და წარმოვიდეს და ორთვალთჴიდს გამოვიდეს, ბორგს მივიდეს. იქ ფანასკერტელი იობის შვილი ჯირასონ გუშრც იახლა, საუბარს შეესწრა კაცსა, თუ – გულმართლა ბატონებზე თავს დასასხმელად

1 საუბარია დედისიმედის ძმის არჩილ ბაგრატიონის (მუხრანის შტო) ვაჟზე – ერეკლეზე.

და დასაჰოცლად მიდიანო. იარა და აცნობა უგუბოს დოლენჯიშვილს ყანდურალის, თუ გულმართლა ბატონიშვილებს დაჰჰოცენ! ფიცხლა აცნობა! წამოვიდა ყანდურალი, აცნობაი ბატონებსა. ქათამს ეყივლა. ადგეს ბატონები და ვინც იყო, დაეკაზმნეს. ოცამდე შეკაზმული კაცი იყო“ [4:43]. ჩვენი აზრით, ჯაყელები აჯანყებას არ ელოდნენ, მაგრამ მცდარია მოსაზრება, თითქოს თავიდან ისინი მოულოდნელობისგან კარგა ხანს დაბნეული ყოფილან [4:154]. უბრალოდ, თავისი მომხრეების შესაკრებად ჯაყელებს გარკვეული დრო დასჭირდებოდათ.

„ივნის ლ (30), შაბათს დღის განთიად დაესხნეს ნასადგომევსა. სხვაი აღარა დახუდა რა: თუხარლიანთ კარავი და ბარგი დახუდა და ის დაიფორაქეს; ჯორები კიდევ მოსცეს. ჩვენი და მათი კაცი გარდაიკიდნეს; ერთი მოკლეს და ერთი ჴელ დაიჭირეს ჩუენთა. წავიდეს გაწბილებულნი. ეკუჴხა - არ გაგუსწრობოდეს, თავებს დავსჭრიდით და მკუდარს ასო-ასო ავიქმოდით. და ეს გუსქნა, მარტუილებსაც არ გაუშუსბდით ცოცხალსა.

დავარდა ჴმაი. დაიწყო ჩუენმა ლაშქარმა მოდენა. გაემართნეს პატრონი ყუარყუარე და პატრონი მანუჩარი და ჰერაკლე სახელსა ზედა ღთისასა და მიევედით ზედა-თმოგუს. და თმოგუის ქალაქი მოვარბიეთ და იქიეე ზედა-თმოგუს ამოვედით და პატრონი დედა მათი, დედისიმედ ყოფილი დებორა იქ მოვიდა. და ორშაბათს ვანის-ქუაბს მოვადეგით და ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ და პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდეგით, რჩეულიანი შემოვინყუსნით“ [4:44].

აღსანიშნავია, რომ ამ შინა ომში ძალიან აქტიურად მონაწილეობს მანუჩარი. ის ხან დამოუკიდებლად მოქმედებს, ხანაც უფროს ძმასთან ერთად. ყვარყვარე კი ცალკე არაფერს აკეთებს და მხოლოდ მანუჩართან ერთად იბრძვის. ყოველივე ეს გვავარაუდებინებს, რომ მანუჩარი თავისი პირადი თვისებებით (ვაჟკაცობა, ენერგიულობა, გამჭრიახობა და სხვა) აღემატებოდა ძმას. ფაქტობრივად, ის არის ჯაყელთა საგვარეულოს რეალური ლიდერი ამ ბრძოლების დროს.

„ამავე ქორანიკონსა სსდ (1576 წელი 1312+264), აგჳსტოს ოცდაათერთმეტსა ვარნეთის ციხეს უღალატეს მგელციხიდამა და ენკეთისთუსს ოთხსა პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე, მათი ბიძაშჳლი, მგელციხეს იყვნეს და შალიკაანთ აზნაურიშვილებს თავს დაესხნეს. აზნაურიშვილები გარდაეხუსწნეს... ქორანიკონსა სიე (1577 წელი) მარტში, მოგჳკდა კოკოლა და ახჩიის ქუაბი წაგუართუა. წავიდა ბატონი მანუჩარ და იმავ წამს წაართუა. ერეკლე თან ახლდა. მერმე გურგაქ უკუდგა კოკოლას, თავის ძმისწულსა და ბატონს მანუჩარს შემოჰფიცა, ქაჯისციხე უკმოუჭირა. მერმე ფიცი გაუტეხა და კიდევ უკუდგა ბატონს მანუჩარს. უკმობრუნდა ბატონი მანუჩარ; ჩაუდეგით კიდევ გაზაფხულზე, ვეუბნეთ. არ შემოგაუსწყუნეს. დაურბიეთ ფოსო“ [4:45].

„ბოსტოლანაშვილმან მატამა უხუცესი მისი ძმა მოკლა, ათამირძა ერქუა. წამოვიდა ბატონი მანუჩარ, დაიჭირა მატაი და თუალები დასწუა მას და მისთან მყოფთა ყმათა. მობრუნდა ბატონი მანუჩარ, მგელციხეს მოვიდა,

ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ იქ დადგეს და ბატონი დედისიმედი წამოვიდა, ახალციხეს მოვიდეს... ქრისტიშობისათუეს ოცდათერთმეტს ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ თმოგუს მოადგეს, სამშაბათს დღესა. იანვარსა ე (5) კუირას დღესა, ქორონიკონსა სჲვ (1578 წელი) პატრონი დედისიმედი და ბატონი ბექა ყუჱლს მოადგეს. ამასვე იანვარს ჱ (8) ოთხშაბათს თმოგუი წაართუჱს და აქეთ იმავ დღეს წავართუით... პშეიყარა კოკოლამ ყარახან, წამოვიდა თმოგუზე მაოსაშუჱლებლად, ველარ მოესწრა. ციხე ორივ წაერთმევინა. ყუჱლიდამ თმოგუს წავიდა ბატონი დედისიმედი. იქიდამა ბატონი მანუჩარ ჯავახეთს წავიდა. ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და გურგაქს ქაჯისციხე გაუბარაქიანა. ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ ახალციხეს წამოვიდა და ბატონი დედისიმედი თმოგუს დადგა“ [4:46-47].

ამასობაში შეიცვალა ვითარება საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან. 1578 წელს ოსმალთა სულთანმა მურად III-მ ირანის წინააღმდეგ ახალი ომი დაიწყო. „მესხური მატიანეს“ მიხედვით, შეტაკებები ოსმალებსა და ყიზილბაშებს შორის ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო. „პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე – ლაშქარი შეიყარეს – ნავიდეს, ურუმთ პირს მიუდგეს“. მაგრამ ბრძოლაში არ ჩარეულან. „მობრუნდა ბატრონი მანუჩარ და აწყუჱრს ჩამოვიდა“ [4:47].

სულთანმა სარდლად ლალა მუსტაფა ფაშა დანიშნა. ფაშამ საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ ქართველ მეფე-მთავრებს წერილები დაუგზავნა, მორჩილება და ირანის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება მოსთხოვა. 5 აგვისტოს ლალა მუსტაფა ფაშა არტაანში ჩავიდა და ფაქტობრივად ჯაყელთა საგამგებლოს საზღვარს მიადგა [1:103].

საათაბაგოს მმართველი ამ დროს ყვარყვარე IV იყო, თუმცა ოსმალთა სარდალმა მის ძმას, მანუჩარს გაუგზავნა წერილი. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „თურქეთის სარდალმა, ცხადია, კარგად იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისი ლაშქრობის წარმატებისათვის საათაბაგოს მმართველ წრეებში არევ-დარევის შეტანას, მათს ზნეობრივად მოშლას. აი, რატომ მიმართა მან ზემოთ აღნიშნულ წერილებით მანუჩარს. ეს დამპყრობლების ჩვეულებრივი ხერხი იყო. მაგრამ საყურადღებოა, რომ ადრესატად მან აირჩია არა ათაბაგი ყვარყვარე IV და არც მისი დედა, პოლიტიკური ამბების მხურვალე მონაწილე დედისიმედი, არამედ მანუჩარი. ეტყობა, მას წინასწარვე ჰქონდა ცნობები ამ პიროვნების ზნეობრივი ავლადიდებისა და მისი უზომო მთავრობისმოყვარეობის შესახებ“ [4:166-167].

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყვარყვარესა და მანუჩარს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო და მანუჩარი ძმას „ხელისუფლებას ეცილებოდა“ [1:105].

სანამ ჯაყელთა საგვარეულოში არსებულ თუ არარსებულ დაპირისპირებაზე ვისაუბრებთ, უნდა გავიხსენოთ, თუ რა ვითარება იყო მესხეთში ლალა მუსტაფა ფაშას შემოსევის წინ. ცოტა ხნის დამთავრებული იყო სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი ჯაყელებსა და მათ მოწინააღმდეგე ფეოდალებს შორის. ერთიანობის გარეშე ამ ომში ჯაყელები ვერ გაიმარჯვებდნენ. ამ შინაო-

მის დროს ძმები ერთად იბრძვიან და მათ შორის არანაირი წინააღმდეგობა არ ჩანს.

ქრისტინე შარაშიძე მართებულად აღნიშნავს ლალა ფაშას სურვილს, ჯაყელთა შორის უთანხმოების ჩამოგდების შესახებ. ამის გაკეთება კი მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა – მანუჩართან დაკავშირებით. წერილის მიწერა ყვარყვარესადმი სრულიად გასაგები იქნებოდა და საგვარეულოში ურთიერთდაპირისპირებას არ გამოიწვევდა. არ არის აუცილებელი, რომ ძმებს შორის წინააღმდეგობა და ცილობა ყოფილიყო. ოსმალო სარდალს სხვანაირად ჯაყელთა შორის დაპირისპირების გამოწვევა არც შეეძლო.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რეალობა. სავარაუდოა, რომ მანუჩარი თავისი პიროვნული თვისებებით ძმას აღემატებოდა კიდეც და ფაშამ ამიტომაც მიმართა მას, როგორც სამხედრო საქმეში უფრო გამოცდილსა და გამოსადეგს. ამას თომაზო მინადოიც ადასტურებს – „მანუჩარმა მუსტაფას ლაშქრობის ცხოვრება გაიზიარა და მეომრის აშკარად გამოსახული თვისებები გამოავლინა“. შემდგომში განვითარებული მოვლენები მართლაც დაადასტურებენ მანუჩარის ვაჟკაცობას, ენერგიულობას, გამჭრიახობას.

მანუჩარსა და ლალა ფაშას შორის აქტიური მიწერ-მოწერა გაიმართა. ფაშა „მოითხოვს მანუჩარისაგან მორჩილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰპირდება ქვეყნის სრულ განადგურებას. შემდეგ მოდის კონკრეტული წინადადება, თუ რაში უნდა გამოიხატოს ეს მორჩილება: ოსმალეთის ჯარი მოამარაგოს საომარი იარაღით, სურსათ-სანოვაგით და ოსმალებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში და მეგზურობა გაუწიოს მას. ყოველივე ამის საფასურად, ლალა მუსტაფა ფაშა მანუჩარს პირდება, რომ მისი ქვეყანა დაცული და გაშენებული იქნება“ [1:105]

ჯაყელის ამ მუქარით შეშინება ძნელი იქნებოდა. თანაც, მანუჩარი ალბათ კარგად ხვდებოდა, რომ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ოსმალებთან „ვაჭრობა“ და უკეთესი პირობების მიღება სავსებით რეალური იყო. მანუჩარი საპასუხო წერილში „მოითხოვდა არა მარტო მის მფლობელობაში მყოფი მამულების შენარჩუნებას, არამედ კიდევ უფრო მეტი, მას სურდა დაებრუნებინა ის ადგილები და ციხეები, რომლებსაც ადრე მისი წინაპრები ფლობდნენ“. მუსტაფა ფაშა მანუჩარის მოთხოვნებს დათანხმდა. თუმცა აღნიშნა, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდებოდა, რაც მანუჩარი საქმით დაამტკიცებდა თავის ერთგულებას. მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდა. ჯაყელი ამჯერად „მოითხოვდა, რომ ოსმალებს ხელი არ ეხლოთ ადგილობრივი მოსახლეობისა და რელიგიისთვის. საპასუხოდ ლალა ფაშა წერდა, „თქვენ თვითონ, თქვენს ქვეშევრდომებს, ციხეებს, ნაჰიებსა და თქვენს ჯარისკაცთაგან არავითარი გზით არავინ არ გაეკარება და წინააღმდეგობას არ გაუწევს. თქვენ თვითონ ბედნიერად იქნებით და თქვენი ქვეშევრდომები კეთილდღეობაში იქნებიან. თქვენს მფლობელობაში მყოფი ადგილები, ისევე როგორც უწინ, თქვენს განკარგულებაში იგულეთ“ [1:106].

ამაზე უკეთესი პირობების მიღება ოსმალთაგან შეუძლებელი იყო. სხვა საკითხია, სჯეროდა თუ არა მანუჩარს, რომ ოსმალები პირობას ბოლომდე

შეასრულებდნენ.

არსებობდა მეორე გზაც, ომის გზა – ოსმალებთან ბრძოლის დაწყება. მანუჩარი, სავარაუდოდ, კარგად ხვდებოდა, რომ მარტო საათაბაგოს (თანაც თითქმის ორწლიანი შიდა ომის შემდეგ) ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლო. საერთო ქართული კოალიციის შექმნა თითქმის შეუძლებელი იყო. ომის გზა საათაბაგოს აოხრებასა და მოსახლეობის გაწყვეტას ნიშნავდა, უეჭველ დამარცხებასთან ერთად. ასე რომ, რეალურად ასარჩევიც არაფერი იყო.

ამასობაში ოსმალთა ჯარი საქართველოს საზღვრებში შემოვიდა. „მარიამობისთუჱს ზ (7) ხუთშაბათს დღესა ხუანთქრის ლაშქარი და ლალაფაშა მგელციხის ციხეს მოადგეს, შეიბნეს. სამშაბათამდის ყოველთ დღეთ ომში იყუნეს ციხოანი. გოგორიშვილი როინ და მისი ძმა ბერი ერუშნელი და მისი ძმისწული ზურაბ იყუნეს, მათის ყმითა და ღთის შეწევნით უკუყარნეს და ციხე ჩუენვე დაგურჩა, ჩუენთ გაემარჯუა. პარასკევს დღესა, ჱ (8) მარიამობისთუჱსა ქაჯის ციხე, ველი და თეთრციხე წაგუართუჱს ურუმთა და ქაჯის ციხის მეციხოვნენი სრულად შემოეჴოცნეს“ [4:47].

ოსმალო ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ლალა ფაშა „(9 აგვისტოს) არტაანიდან დაიძრა და ველე-ს ციხის მახლობლად დაბანაკდა. შესაძლებელი გახდა ამ ციხის ადვილად დაპყრობა. მეორე დღეს ჯარი იენი-ყალას უსწორმასწორო ადგილებში დაბანაკდა. ეს ციხე მდებარეობს ორ მთას შუა, მაღალი გორაკის მწვერვალზე. მაღალი ალაჰის შემწეობით სასტიკი ბრძოლის შემდეგ ციხე აღებულ იქნა შუადღემდე“ [6:39]. ჩვენი აზრით, ქართველი მემატიანე უფრო ზუსტ ცნობებს იძლევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 9 აგვისტოს ჩილდირის ბრძოლა გაიმართა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ 9 აგვისტოს არტაანიდან გამოსულ ოსმალთა სარდალს, იმავე დღეს გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა მოწინააღმდეგესთან.

1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირთან, ირან-ოსმალეთის მეორე ომის გადამწყვეტ ბრძოლაში ოსმალებმა ყიზილბაშთა და ქართველთა გაერთიანებული ჯარი დაამარცხეს. „მანუჩარი ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. იდგა იქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა“ [2:132].

ქართული ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ოსმალთა სარდალი „დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა მანუჩარის მხარდაჭერას ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი დიდი ალერსით მიიღო და ამის შესახებ სულტანს აცნობა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, მომავალი დიდი ამბების დასწყისის კარგი მომასწავებელი“ [1:109].

რა მნიშვნელობა ჰქონდა მუსტაფა ფაშასთვის მანუჩარის მხარდაჭერას? ჯაყელი კარგი სარდალი და უბადლო მეომარი იყო. მისი 6 000 მებრძოლიც ხელწამოსაკრავი ძალა არ იყო. თუმცა ჩილდირის ბრძოლაში მოპოვებული დიდი გამარჯვების შემდეგ ოსმალები მანუჩარის გარეშეც შეძლებდნენ დასახ-

ული ამოცანის შესრულებას. ეგებ მუსტაფა ფაშას მანუჩართან ურთიერთობა სჭირდებოდა, როგორც მაგალითი სხვა ქართველი მეფე-მთავრებისთვის, რომ თუ ისინიც ჯაყელივით მოიქცეოდნენ, არაფერი დაემუქრებოდათ. გარდა ამისა, ცხადია ოსმალთა სარდალი მანუჩარის დახმარებით საათაბაგოს უბრძოლველად დაკავებას ცდილობდა.

„მანუჩარის მოსვლამ ოსმალთა ბანაკში გააორკეცა მუსტაფას სიხარული. მან ბრძანა, რომ ყველა ფაშა და ჯარის ნაწილების სხვა მეთაურები სრული წესრიგით, დიდი ზეიმით, საყვირების დაკვრით, ზარბაზნების სროლით და სიხარულით მიგებებოდნენ მანუჩარს და მას წინ გაძღოლოდნენ მანამ, სანამ მანუჩარი მივიდოდა ლალა ფაშას კარავში. როცა მანუჩარი გამოცხადდა მუსტაფასთან, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, გაამეორებინა ზარბაზნებისა და თოფების სროლა და საყვირებისა და დაფდაფების ხმაური. მართალია, ლალა ფაშამ მანუჩარი დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა, მაგრამ იქვე უსაყვედურა და დასძინა, რომ მისთვის კიდევ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, თუ იგი მის მოწოდებას დროზე გამოეხმაურებოდა და მასთან დაუყოვნებლივ გამოცხადდებოდა“ [1:110].

მართებულია ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ჯაყელებსა და ოსმალთა სარდალს სხვადასხვანაირად ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა საათაბაგოს მორჩილება „ბრწყინვალე პორტასადმი“ [1:110]. თითოეული მხარე „მორჩილების“ გაგებაში იმ შინაარსს დებდა, რაც თვითონ აწყობდა. მანუჩარი – მაქსიმალურ დამოუკიდებლობასა და მინიმალურ დაქვემდებარებას, ხოლო სულთნის კარი, პირიქით – მინიმალურ დამოუკიდებლობასა და მაქსიმალურ დაქვემდებარებას.

ამასობაში ოსმალები მესხეთის ციხეების დაკავებას განაგრძობდნენ. „იმავ კუირას, ი (10) მარიამობისთუჱსა, პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა. ვერც ლაშქრის ომსა და ვერც ციხეების აღებას ვერ მიესწრა. ამილახორიშვილი ქოიარ მიეგებაჲ არტანს და ორი ციხე მან შესძლუნა ლალაფაშასა მარიამობისთუჱსა ორსა. აგრეთვე არფაქსად ჰბირებოდა ექუსით ციხეთა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა და პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა, იმწამს გამოჰგუარეს, ციხეები გამოართუჱს და ხახული სასანჯახოდ მისცეს. პატრონმა მანუჩარ იზ (17) ამავე თუჱსა თმოგუის ციხე მისცა ლალაფაშასა“ [4: 48-49]. თმოგვი შალიკაშვილთა ერთ-ერთი მთავარი ციხე-სიმაგრე იყო. სავარაუდოდ, იქ კოკოლა შალიკაშვილის მეციხოვნეები იდგნენ და საინტერესოა როგორ „გადასცა“ მანუჩარმა ოსმალებს შალიკაშვილების ციხე? აქ ალბათ იგულისხმება ფორმალური გადაცემა.

ქ. შარაშიძე წერს, „სად იმყოფება მანუჩარ 1578 წლის მარტიდან მარიამობის თვის 10 რიცხვამდი, არ ჩანს. „მატიანე“, საერთოდ სდუმს ამ საბედისწერო ხუთი თვის ამბების შესახებ“. მკვლევარის აზრით, მანუჩარი ლალა ფაშასთან 2 აგვისტოზე ადრე მიდის, არფაქსად ამატაკიშვილთან ერთად და ოსმალებს ექვს ციხეს, მათ შორის ხერთვისს უძღვნის. საბოლოოდ მეცნიერი აკეთებს დასკვნას, რომ „მანუჩარის ყოველი ნაბიჯი 1578 წლის მარტიდან მოყოლებული, როდესაც იგი ბრძოლის ველიდან მობრუნდა და აწყურს

ჩამოვიდა, ამავე წლის მარიამობისთვის (აგვისტოს) 17-დის, როცა მან თმოგვის ციხე მისცა ლალა-ფაშას, გამცემლობით არის აღბეჭდილი“ [4:163-164]. მძიმე ბრალდებაა. ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით გავერკვეთ მოვლენათა თანმიმდევრობაში, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქ. შარაშიძე ეყრდნობა ჰამერის (Hammer) ცნობას, რომ მანუჩარი ჩილდირის ბრძოლამდე ორი კვირით ადრე მივიდა ლალა ფაშასთან [4:165]. სავარაუდოდ, ჰამერის ცნობა მცდარია. მას არ ადასტურებენ სხვა წყაროები. იბრაჰიმ ფეჩევის თანახმად, „ხსენებული ბეგი ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. იდგა აქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა. და როგორც კი გაიგო, თუ რა ბედი ეწია თოქმაქხანს, წამოვიდა მანუჩარი დილას და ღირსეული სარდლის კარავში შეაღწია“ [6:41]. თუ მანუჩარი ჩილდირის ბრძოლამდე გამოცხადდა ოსმალებთან, გადასცა მათ ციხეები ანუ თავი მათ ვასალად აღიარა, განა გასაკვირია არაა, რომ ჩილდირის ბრძოლაში ოსმალებს არ ეხმარება? ჩილდირის ბრძოლის დროს მისი საქციელი იმაზე მიუთითებს, რომ მას კავშირი ჯერ არც ერთ მხარესთან არ აქვს და მოვლენათა განვითარებას ელოდება.

„მესხური მატიანეს“ მიხედვით, 2 აგვისტოს ქოიარ ამილახორიშვილი არტაანში შეხვდა ოსმალებს და ორი ციხე გადასცა. 7 აგვისტოს ოსმალები მგელციხეს შემოადგნენ, მაგრამ ვერ აიღეს. 8 აგვისტოს კი მათ ქაჯის ციხე, ველის ციხე და თეთრციხე აიღეს. 9 აგვისტოს გაიმართა ჩილდირის ბრძოლა. 10 აგვისტოს მანუჩარი ქაჯის ციხეს „შეეყარა“, მაგრამ ცხადია იქ მას ოსმალთა გარნიზონი დახვდებოდა (ქაჯის ციხის დამცველები ყველანი ბრძოლაში დაილუპნენ). 17 აგვისტოს მანუჩარი ოსმალებს თმოგვის ციხეს გადასცემს. უცნობია, როდის მივიდნენ არფაქსადი და მანუჩარი ოსმალებთან. მემატიანის სიტყვებიდან გამომდინარე, „პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა“ – ქ. შარაშიძე ვარაუდობს, რომ მისვლისა და ექვსი ციხის გადაცემის ინიციატორი მანუჩარი იყო და არა არფაქსადი. მატიანეში ჯერ წერია, რომ 2 აგვისტოს ქოიარ ამილახორიშვილი მივიდა ოსმალებთან და მერეა აღნიშნული არფაქსადისა და მანუჩარის მისვლა „ურუმებთან“. აქ გასათვალისწინებელია, რომ ქოიარის მისვლის ამბავი 10 აგვისტოს განვითარებული მოვლების აღწერას მოსდევს, ანუ დარღვეულია თხრობის ქრონოლოგია. ამიტომ ძნელი სათქმელია, არფაქსადის და მანუჩარის მისვლა ოსმალებთან ზუსტად როდის მოხდა.

ჩვენი აზრით, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 2 აგვისტოს ქოიარ ამილახორიშვილმა ოსმალებს ორი ციხე გადასცა. 7 აგვისტოს ოსმალებმა მგელციხის წარუმატებელი იერიში დაიწყეს, ხოლო 8 აგვისტოს ქაჯის ციხე, ველის ციხე და თეთრციხე აიღეს. 9 აგვისტოს გაიმართა ჩილდირის ცნობილი ბრძოლა. 10 აგვისტოს მანუჩარი ქაჯის ციხეს, ოსმალთა გარნიზონს „შეეყარა“. ამის შემდეგ ის და არფაქსადი მიდიან ოსმალებთან. 17 აგვისტოს კი მანუჩარი ოსმალებს თმოგვის ციხეს გადასცემს. მართებულია ქ. შარაშიძის შენიშვნა, რომ 7-8 აგვისტოს ბრძოლების დროს მანუჩარი არ ჩანს,

მაგრამ ამ ბრძოლებში არც სხვა ვინმე ჩანს. არც ჯაყელთაგან და არც მათ მოწინააღმდეგეთაგან. ბრძოლას მხოლოდ ციხის გარნიზონები აწარმოებენ.

ლალა-ფაშა არტაანიდან ჩილდირის მიმართულებით დაიძრა. ველის ციხე, ქაჯის ციხე და თეთრციხე ოსმალთა ჯარის მოძრაობის არეალში მოექცნენ. მგელციხე ოსმალთა მარშრუტში არ ხვდებოდა, ის უფრო ჩრდილოეთითაა, მტკვრის ხეობაში. სავარაუდოდ, მის ასაღებად ლალა-ფაშა საგანგებო რაზმს გაგზავნიდა, მაშინ, როცა გზაზე მყოფი ველის ციხის, ქაჯის ციხისა და თეთრციხის აღება ძირითად ლაშქრს მოუწევდა (მანძილი არტაანიდან ჩილდირამდე ოსმალებს თავისუფლად შეეძლოთ ერთ დღეში გაევლოთ. სავარაუდოდ, ციხეების ასაღებად ლალა-ფაშა გარკვეულ ძალას ტოვებდა და დანარჩენი ლაშქარი გზას აგრძელებდა). მგელციხე ჯაყელთა ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი იყო. მისი აღების მცდელობა, ოსმალთა მხრიდან ჯაყელებთან დადებული შეთანხმების დარღვევად შეიძლება ჩავთვალოთ. ამიტომ, თავის მხრივ, მანუჩარსაც შეეძლო შეთანხმება გაუქმებულად ჩაეთვალა და ბრძოლა დაეწყო, მაგრამ ასე არ გააკეთა.

მგელციხისათვის ბრძოლა ხუთშაბათს, 7 აგვისტოს დაიწყო და სამშაბათამდე ანუ 12 აგვისტომდე გაგრძელდა. ცხადაია მანუჩარს თავისუფლად შეეძლო ამ ბრძოლისთვის მიესწრო, მაგრამ არ მივიდა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, მანუჩარ ჯაყელი იმიტომ არ ჩანს 7-8 აგვისტოს ბრძოლებში, რომ უბრალოდ ვერ მოასწრო ბრძოლების ადგილზე მისვლა. თუმცა მგელციხესთან მისი მიუსვლელობა უფრო სხვა რამეს გვაგარაუდებინებს. მანუჩარი ოსმალებთან პირდაპირ შეტაკებას გაურბოდა (არ სურდა თავიდანვე დაპირისპირება და ომის დაწყება) და დროს „ჭიმავდა“. ელოდებოდა რა მოხდებოდა. სურვილის შემთხვევაში შეიძლება მისი ეს გადწყვეტილება გარკვეულწილად ღალატად ჩავთვალოთ. ოსმალებთან ბრძოლის გამართვა ძალიან პატრიოტული და თავდადებული საქციელი იქნებოდა, მაგრამ რამდენად რაციონალური? მანუჩარის პოზიცია ციხე-სიმაგრეების დამცველთა გაწირვას ნიშნავდა, ეს ცხადია. მართალია, ზოგი ციხე მის მონინააღმდეგეებს ეკუთვნოდა და ჯაყელს შესაძლოა მისი გარნიზონის ბედი არც აღელვებდა. პირიქით, მოხარულიც კი იქნებოდა, თუ, ვთქვათ შალიკაშვილების კუთვნილი ქაჯის ციხე დაეცემოდა. თუმცა ნაწილი ციხეებისა ჯაყელების კუთვნილებას წარმოადგენდა (მგელციხე ჯაყელების ერთ-ერთი მთავარი ციტადელი იყო). მანუჩარის პოზიცია, ალბათ, მცირეს გაწირვით უფრო მნიშვნელოვანის გადარჩენა იყო.

ჩილდირის ბრძოლის შემდეგ კი ყველაფერი გაირკვა და მანუჩარიც ლალა-ფაშასთან გამოცხადდა.

რთულია პასუხის გაცემა კითხვაზე, რა უნდოდა მანუჩარს 10 აგვისტოს ქაჯის ციხესთან? ძნელი დასაშვებია, რომ ოსმალთა მიერ ამ ციხის დაკავების ამბავი არ სცოდნოდა.

სწორედ ამის შემდეგ მიდიან არფაქსადი და მანუჩარი ოსმალებთან. ქ. შარაშიძე აქცენტს აკეთებს სიტყვებზე – „არფაქსად... პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა“ და თვლის, რომ მისვლის ინიციატორი ჯაყელი იყო. მატია-

ნეში პირდაპირ წერია, „არფაქსად ჰბირებოდა ექუსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა.“ მემატიანეს სიტყვები შეიძლება ასეც გავიგოთ, რომ მანუჩარს თავისი საქმე ჰქონდა ოსმალებთან, არფაქსადმა კი გამოიყენა მანუჩარის კავშირი ლალა-ფაშასთან და მას გაჰყვა.

ლალა მუსტფა ფაშასა და ჯაყელებს შორის მოლაპარაკების შედეგად ამ უკანასკნელებს ებოძათ: „ქაიხოსროს შვილთაგან ზემოხსენებულ მელიქ მანუჩარს – აწყურის სანჯაყი, მის ძმას მელიქ ყვარყვარეს ძველთაგანვე მისი დაბადების ადგილი – ოლთისის სანჯაყი და სხვა მის ძმებს – დიდი ზეამეთები და მათ დედას ზემოაღნიშნულ დედისიმედს – სამი სოფელი სახასო მამული“ [1:111]. აღსანიშნავია, რომ „ოსმალეთის მთავრობა საერთოდ მიღებულ წესს არღვევდა, როდესაც ათაბაგის სახლის წევრებს ქრისტიანობით და არა მაჰმადიანობით უმტკიცებდა მიწის ნაკვეთს, რაც მეტად იშვიათი მოვლენა იყო ოსმალეთში“ [1:111].

ლალა მუსტაფა ფაშასა და ჯაყელების ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში. „საქართველოს მეფე ქალმა, დედისიმედად წოდებულმა, თავისი შვილი მანუჩარი ექვსათასიანი ქართველთა ჯარით და რამდენიმე აზნაურით გაგზავნა და უბრძანა – რომელი მხარეც გამარჯვებული გამოვა, იმ მხარეს დამორჩილდითო. როდესაც მანუჩარმა დაინახა, რომ ისლამის ჯარია გამარჯვებული, მივიდა და მათ მორჩილება მოახსენა. სარდალმა მას პატივი სცა, საპატიო ხალათი ჩააცვა, ყიზილბაშთაგან აღებული დოლი და დროშები უბოძა. შემდეგ არტაანის ბეგი აბდარ-რაჰმანი გაგზავნა და აიღო და დაიპყრო ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეები. ზემოხსენებული მანუჩარი საქართველოს მეფეების დიდებულთა ჩამომავალი იყო. მამამისი ქაიხოსრო რომ გარდაიცვალა, ის და მისი ძმა ყვარყვარე პატარები დარჩნენ. მათმა დედამ დედისიმედმა ქვეყნის საქმეების მოწესრიგება დაიწყო. იგი ალთუნ ყალას[1] ფადიშაჰის სახელწოდებით იყო ცნობილი. მანუჩარი თავის ძმა ყვარყვარესთან ერთად სარდლის უდიდებულესობის წინაშე მივიდა. როდესაც დიდებული ისლამის მიღებით იქნენ გაპატიოსნებული, დიდი გულკეთილობითა და უდიდესი პატივისცემით მიიღეს. მანუჩარს მუსტაფა ეწოდა და მის ძმას ყვარყვარეს კი ისლამის სახელებიდან ერთ-ერთი სახელი დაერქვა. მუსტაფას აწყურის სანჯაყი და მის ძმას ოლთის სანჯაყი ებოძა. მათ დედას სამი ციხე ხასად დაენიშნა. სხვა ტერიტორიები დაპყრობილ იქნა“ [7:122]. მუნეჯიმ-ბაშის უზუსტობა მოსდის. მანუჩარი ცოტა გვიან, სტამბულში გამაჰმადიანდა. ყვარყვარეს კი ისლამი არ მიუღია, ეგებ ამიტომაცაა, რომ ოსმალო მემეატიანემ მის გამუსლიმების შემდგომ სახელს არ ასახელებს.

ისტორიკოსის ცნობა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება ერთ დეტალზე გავამახვილოთ. დედისიმედი მანუჩარს ავალებს ჩილდირის ბრძოლისათვის თვალყურის დევნებას და შემდეგ სათანადო გადაწყვეტილების მიღებას, და არა ყვარყვარეს. მიუხედავად იმისა, რომ ყვარყვარე უფრისი ძმაა და ათაბაგის წოდებაც მას ჰქონდა. ჩვენი აზრით, ეს

1 ოქროსციხის თურქული სახელწოდება.

კიდევ ერთი არაპირდაპირი მინიშნებაა, რომ მანუჩარია რეალურად მთავარი პოლიტიკური ფიგურა და არა მისი უფროსი ძმა.

ისკანდერ მუნშის თანახმად, „ლალა ფაშა ... ახალციხის ველაიეთში მოვიდა, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა, სიმონ-ხანის სიძის მანუჩარ-ხანის საგამგეო ოლქი იყო და ამ მხარის (ირანის) საზღვრებში შემოდიოდა. მან (მანუჩარმა) ოსმალთა მორჩილებისაგან თავი შორს დაიჭირა და წინააღმდეგობის გზას დაადგა. თავისი ციხე გაამაგრა და თვითონ კი სიმონ-ხანთან მივიდა. ლალა ფაშამ მისი ციხე გარემოიცვა, ზარბაზნები მიუმარჯვა და ბრძოლა-ჭიდილით დაიმორჩილა. მერე შიგ მცველები და იანიჩრები დასტოვა და სიმონ-ხანის ქვეყნისკენ გამოემართა... ჩილდირის ომში ყიზილბაშთა დამარცხების შემდეგ ლალა ფაშამ ახალციხის ციხე იმავ ორ-სამ დღეში დაიპყრო, შიგ სანოვაგე და ლაშქარი დასტოვა და ამ გზით სიმონ-ხანის ქვეყნისკენ გაემართა“ [8:29]. ირანელი ისტორიკოსი რამდენიმე შეცდომას უშვებს ამ პატარა ფრაგმენტში. სავარაუდოდ, მას სხვადასხვა დროს მომხდარი ფაქტები მექანიკურად აქვს გაერთიანებული. საინტერესოა ლალა ფაშას მიერ ახალციხის დაკავების ფაქტი. ქართული წყაროები ამის შესახებ სდუმან.

საათაბაგოს საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ოსმალთა ჯარი თბილისისკენ დაიძრა და 24 აგვისტოს ქალაქი აიღო, ამის შემდეგ კი შაქი-შირვანისკენ გაემართა. სართიჭალასთან ლალა მუსტაფა ფაშას ალექსანდრე კახთა მეფე მიეგება და მორჩილება გამოუცხადა. მალე ოსმალთა ჯარმა შირვანიც დაიკავა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. სვანიძე, საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს-ში. თბ., 1977.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4 თბ., 1973.
3. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ტ. IV, თბ., 1973.
4. ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIსს.) თბ., 1961.
5. ჯოვანი თომაზო მინადოი. ტექსტი თარგმნა ბ. გიორგაძემ (ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).
6. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964.
7. ნ. შენგელია, ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბ., 1968.
8. ვ. ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1969.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გერდო გოიშვილი

საქართველოს საზღვარი და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა

დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა და დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სასაზღვრო სივრცესა და სასაზღვრო ხაზის დადგენას. ამისთვის კი აუცილებელია, რომ კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენდეს: ტერიტორიის თავისებურება, მოსახლეობა, მათი სამეურნეო საქმიანობა, სარწმუნოება და პოლიტიკური ორიენტაცია. ქვეყნის მიდგომა საზღვრისადმი უნდა მოიცავდეს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ზუსტ ანალიზს და ამავდროულად უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ტერიტორიის ზოგადგეოგრაფიულ თავისებურებათა პოლიტიკური და ტაქტიკური შეფასება [8].

სუვერენული სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: ტერიტორია, საზღვრები, ალამი, გერბი, ჰიმნი და კონსტიტუცია. ამიტომაა, რომ ყოველი სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო საზღვარს. მოწესრიგებული სასაზღვრო ზოლი, რომელიც მეცნიერულ და სამართლებრივ საფუძველს ემყარება, ქვეყნის ტერიტორიის დაცვისა და რაციონალური გამოყენების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს [3].

საქართველოს სასაზღვრო სივრცეს ტერიტორიის განაპირა მდებარეობა უკავია.

რა არის სახელმწიფო ტერიტორია – ეს არის დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილი, რომელიც გარკვეული სახელმწიფოს სუვერენულ დაქვემდებარებაში იმყოფება და სხვა სახელმწიფოსაგან გამოყოფილია საზღვრებით, მოიცავს ხმელეთს, შიდა წყლებს, ტერიტორიულ წყლებს, წიაღსა და საჰაერო სივრცეს. სახელმწიფო ტერიტორიად ითვლება აგრეთვე მოცემული სახელმწიფოს დროშით ზღვებსა და ოკეანეებში მოცურავე გემები, საჰაერო ხომალდები.

რა არის სახელმწიფო საზღვარი – ესაა მეზობელ სახელმწიფოებს შორის დელიმიტაციისა და დემარკაციის საფუძველზე დადგენილი სახელმწიფო ტერიტორიის გავრცელების განმსაზღვრელი ხაზი. მნიშვნელოვანია საკანონმდებლო აქტი, კანონი საზღვრის შესახებ.

ტერიტორიული წყლები – ტერიტორიული ზღვა, ზღვის სივრცე, რომელიც უშუალოდ ეკვრის ხმელეთს ან მის ტერიტორიაზე მოქცეულ სახელმწიფოს შიდა წყლებს. ტერიტორიული წყლების რეგულირება ხდება 1958 წლის ჟენევის კონვენციით.

საზღვრის დელიმიტაცია – ნიშნავს სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე პარიტეტულ საწყისებზე, მათ შორის საერთო სახელმწიფო საზღვრის დადგენას, ეს არის სპეციალური შეთანხმება ან საზავო ხელშეკრულება საზღვრის ხაზის მიმართულების დაწვრილებით აღწერასა და შესაბამისი ხაზის გავლებაში მსხვილმასშტაბიან რუკაზე.

საზღვრის დემარკაცია – გულისხმობს სახელმწიფო საზღვრის გატარებას ადგილზე, რომლის დროსაც ხდება რუკიდან ადგილზე სასაზღვრო წერტილების გეგმილების განსაზღვრა და შესაფერისი სასაზღვრო ნიშნების დადგმა. ხდება ე.წ. „კროკების" შედგენა, დეტალური ინვენტარიზაცია და გეოგრაფიული აღწერა.

საქართველოს სასაზღვრო სივრცე მოქცეულია კავკასიონის ყელის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთით, ევროპასა და აზიას შორის. სასაზღვრო სივრცე ძირითადად კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემის სამხრეთითაა (მთა აგაფშტიდან დასავლეთით, მთა ტინოვროსომდე აღმოსავლეთით) გადაჭიმული; მხოლოდ მთების ზილგახოხისა და შავკლდეს შორის მოქცეულ მონაკვეთზე კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზეც გადადის (მდ. თერგის, ასას, არღუნისა და სულაკის – ანდის ყუისუს აუზებში). მისი საზღვრები ვრცელდება ჩრდილოეთით – ჩ.გ. 43°35'25" და ა.გრ. 40023'31"-ზე; აღმოსავლეთით – ჩ.გ. 4107 და ა. გრ. 46°44'32", სამხრეთით – ჩ.გ. 41°02'58" და ა. გრ. 46°30' დასავლეთით ჩ.გ. 43°23'31" და ა. გრ. 40°00'30".

ჩრდილოეთით უკიდურესი წერტილია მთა აიბგა (650მ), უკიდურესი სამხრეთი წერტილი მინგეჩაურის წყალსაცავთან, მდინარე ალაზანთან, მდ. აგრიჩაის შესართავთანაა, ხოლო უკიდურესი დასავლეთი მდინარე ფსოუს შესართავია შავ ზღვასთან.

საზღვრის უკიდურეს წერტილებს შორის დაშორება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ 616,5 კმ-ია. მაქსიმალური სიგანე – 201 კმ-ია. საქართველოს საზღვრის საერთო სიგრძე 1981 კმ-ია, აქედან ზღვის სანაპირო ხაზის სიგრძე 316 კმ, ხოლო სახმელეთო საზღვარი 1665 კმ.

საქართველოს აზერბაიჯანის რესპუბლიკა ესაზღვრება 404,6 კმ-ზე, სომხეთ-საქართველოს საზღვრის სიგრძე 200,3 კმ-ია, თურქეთ-საქართველოსი 240,8 კმ, რუსეთთან კი 825,4 კმ აქედან 775 კმ მაღალმთიანია.

საქართველოს საზღვრის სივრცის ფართობი 28,8 ათასი კმ^2-ია, ხოლო ტერიტორიული წყლების ჩათვლით 35,9 ათასი კმ^2-ს შეადგენს.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები ტომობრივი მოსახლეობის საზღვრებს არაერთხელ გასცდენია [7]. ძლიერების ხანაში XI-XIII საუკუნეებში, განსაკუთრებით კი XII საუკუნეში, საქართველოს პოლიტიკური გავლენა მთელს კავკასიაზე ვრცელდებოდა, იცვლებოდა საზღვრის სივრცეც და სასაზღვრო ხაზიც.

როგორი იყო საქართველოს საზღვრები ისტორიულად, ეს აღწერილი გვაქვს წიგნში „საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია" გამოცემული 2002 წელს გამომცემლობა „განათლების" მიერ. ამის განხილვას აქ არ

შეუდგებით. მთავარია, როგორია ის თანამედროვე პირობებში, სად გადის საზღვრები ამჟამად, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო სამართალს და საბჭოთა პერიოდში დადგენილ (დაკანონებულ) საზღვრებს, ისე რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ იყოს შელახული და სამართლიანობა აღდგენილ იქნას.

მიგვაჩნია, რომ დღეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ ზუსტად, სად გადიოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სულ ბოლო პერიოდში, დადგენილი საბჭოთა სახელმწიფოს მიერ, აღარ ვლაპარაკობთ იმ საზღვარზე, რომელიც იყო ფეოდალური საქართველოს პერიოდში, თუმცა ესეც საჭიროა ვიცოდეთ (ეს მოცემული გვაქვს წიგნში „საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრეფია“) [4].

ვინაიდან საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამართლებრივი აქტები ტოპოგრაფიულ ანალიზს ეფუძნება, ამიტომ სასაზღვრო ზოლს არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით აღვწერთ. არ განვიხილავთ მხოლოდ საზღვარს თურქეთთან, რადგან ის იურიდიულად და სამართლებრივად ზუსტად არის დადგენილი და დაცული.

საქართველოს თანამედროვე საზღვარი სომხეთთან

საქართველოსა და სომხეთს შორის დასავლეთი საზღვარი იწყება მთა ერკატარის (3008 მ) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე (1275მ-ში) უსახელო მწვერვალიდან (298 სმ). ამ მწვერვალის 300-იანი დაქანების თხემით საზღვრის ხაზი ეშვება 2829 მეტრი სიმაღლის უნაგირზე, იმავე დახრილობის თხემით ადის მთაზე, გაივლის ნიშნულებს 2825,9 მ, 2822,5მ, სწორხაზოვნად ეშვება ჩრდილო-აღმოსავლეთით 2748,0 მეტრი სიმაღლის ნიშნულზე და 2600 მეტრის შემდეგ მიადგება 2568მ. ნიშნულს, საიდანაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით (ერთ კილომეტრში) გაივლის უნაგირას (2224,0 მ), მცირე ტბების უბანს (აქ არსებული ოთხი ტბიდან, ჩრდილოეთით მდებარე ერთი ტბა მოქცეულია ჩვენს საზღვრებში), აქედან ადის 350-იანი ფერდობით თხემზე და გაივლის 2602,7 მეტრი სიმაღლის მთას. აქ საზღვრის ხაზი იღებს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებას და 2546,9 მეტრი სიმაღლის მთიდან გაზდევს ჩილდირის ქედის თხემს 2505 მეტრი სიმაღლის მთამდე, აღმოსავლეთით ეშვება ფერდობზე, აქედან 3კმ შემდეგ გაივლის 2357,9 მეტრი სიმაღლის მთას, საიდანაც ერთი კილომეტრის შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით 2366,3 მ სიმაღლის მთის გავლით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. 2448,6 მეტრი სიმაღლის მთიდან უხვევს აღმოსავლეთით მწვერვალ ორტულუდაგზე (2445 მ), ციცაბო ფერდობით ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ვაკეზე, გაივლის ნიშნულებს (2280,9, 2206,4 მ), კვეთს მადატაფის ტბაში ჩამდინარე მდინარეს (სეზონურს) სათავესთან და იმავე მიმართულებით ადის მთა ოკიუზდაგზე (2441,58 მ), აქედან საზღვრის ხაზი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ხუთას მეტრში აუვლის სომხურ დასახლებას, მიემართება 2163,4 მეტრი სიმაღლის ბორცვზე, აქედან 500 მეტრის შემდეგ კვეთს ჟდანოვო-გუკასიანის საავტომობილო გზას, გადის

2178,5მ სიმაღლის ბორცვზე (სოფელ კალინინოდან 1050 მეტრის დაშორებით), შემდეგ ვიწრო წყალგამყოფის გავლით (სოფელ სარაგიუხის ნანგრევებიდან ჩრდილოეთით 800 მეტრში) უახლოვდება მთა აჩკასარს (3196მ) და ეშვება მდინარე ყარანდიხდერის ხევში, მიუყვება მას და სოფელ ირგან-ჩაიდან 2კმ-ში მკვეთრად უხვევს სამხრეთით. 1კმ-ს შემდეგ მიემართება აღმოსავლეთისაკენ, გაზდევს მდინარე სავუგბულახს და ჩრდილო მიმართულებით მიდის მდინარე ყარასუს სათავამდე. აქ უკვე მკვეთრად უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და გაზდევს წყალგამყოფ სერს ტყის პირზე, ეშვება სოფელ საატლოს სამხრეთით, უვლის მას სამხრეთიდანვე და ჩრდილოეთის მხრიდან მიუყვება მშრალ ხევს, ადის 1929მ სიმაღლის მთაზე, აკეთებს მცირე რკალს ჩრდილოეთისაკენ და გაივლის ლოქის უღელტეხილს (1848მ), შემდეგ გაზდევს წყალგამყოფ სერს, 2122მ. სიმაღლის მთას მიუყვება თხემს, გაივლის მთა ოსინოვაიას და ეშვება მგლის-ჭიშკარის უღელტეხილზე (1787მ), აქედან კი მიუყვება გზის პირს და მთა დეზაკარის ტყით დაფარული თხემით ეშვება 1430 მეტრი სიმაღლის ბორცვზე. შემდეგ ეშვება ახკერპ-სტეფანავანის საავტომობილო გზაზე, კვეთს მას სოფელ ახკერპიდან 2800 მეტრში, კვლავ მიუყვება ტყის კონტურს, უვლის სამხრეთიდან სოფლებს ხოჯორნინის, ბრდაძორს სომხეთის ქედის დაბოლოებიდან ეშვება მდინარე დებედაზე, მიუყვება სოფ. მამაის შემდეგ მდ. დებედიდან უხვევს მარჯვნივ და ადის მთა ტანადაგზე (800მ). აქედან ბაპაყარის ქედის თხემით გაივლის 959 მეტრი სიმაღლის მთას, მთა ტარსს (883მ) მიზდევს თხემს და მწვერვალ ბაპაყარის სამხრეთით 1000 მეტრში უნაგირაზე მთავრდება.

საზღვრის ამ მონაკვეთში მოქცეულია: ნინოწმინდის, დმანისის, ბოლნისის და მარნეულის ტერიტორიის ნაწილები. აქ განლაგებულია 61 სოფელი, აქედან ნინოწმიდის რაიონის 10 სოფელი, დმანისის 24 სოფელი, და მარნეულის 27 სოფელი.

საქართველო-აზერბაიჯანის დღევანდელი საზღვარი

1996 წლის მონაცემებით საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანთან იწყება იმ წერტილიდან, რომლის კოორდინატებია ჩრდ. განედის 40º17'50" და *აღმოსავლეთი გრძედის 41º17'50". ამ წერტილიდან საზღვარი მიემართება* ჩრდილო-აღმოსავლეთით მწვერვალ ბაბაყარამდე (*700 მ*), ეშვება აღმოსავლეთით 440 მეტრი სიმაღლის წერტილამდე, უხვევს ჩრდილოეთით და 1100 მეტრის შემდეგ ეშვება მდინარე ხრამზე გადებულ ხიდზე (წითელ ხიდზე). წითელი ხიდიდან ჩრდილოეთით მიემართება მდინარე მტკვრისაკენ და კვეთს მას (ჩ.გ. 41º20'46" და ა.გ.45º 05'56"). ამ წერტილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით მიდის სარწყავ არხამდე და ამავე არხის გაყოლებით (რომელიც სოფ. რუისბოლოსა და სოფელ სადახლოს შორის გადის) კვეთს რკინიგზას, შემდეგ არხისავე მიმართულებით მიდის ჯანდარის ტბის პირზე, სწორხაზოვნად კვეთს მას ჩრდილო-აღმოსავლეთით და კვლავ მიემართება იმავე მიმართულებით, უხვევს ჩრდილოეთით და მწვერვალ ყარათებედან

(725 მ) აღმოსავლეთით მიუყვება გზას, აქედან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით ადის წყალგამყოფ სერზე და ამ სერითვე მწვერვალ უდაბნოსა (878 მ) და პატარა უდაბნოს (766 მ) დასავლთიდან შემოვლით, საზღვრის ხაზი გზის გაყოლებით მიემართება იაილაჯის ქედზე, მისივე თხემით გადის მწვერვალ გიოგთებეზე (829 მ) გეოდეზიურ წერტილამდე (648 მ). შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით უსახელო ტბამდე (მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 800 მეტრში) საიდანაც მკვეთრად უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე თხემის გეოდეზიური წერტილისაკენ (615 მ), თხემითვე გაივლის მთა აღაჯიგს, გეოდეზიურ წერტილებს (494 მ, 466 მ) კვეთს ყაჯირის სტეპს და ადის ჩობანდაგის (890 მ) ერთ-ერთ მწვერვალ უჩბულაკზე (817 მ), შემდეგ მთა ჩობანდაგის, მთა ყარადიუზის (798 მ), მთა ტახტაფას (763 მ) და სიმაღლეების (657 მ, 504 მ) გავლით იმავე ქედის თხემიდან ეშვება მდინარე იორზე, იორის გაყოლებით საზღვრის ხაზი მიდის სოფელ კესამანთან და ადის 310 მ სიმაღლის მთაზე, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჭრის ელდარის სტეპის სამხრეთ მხარეს, მიდის მდ. ივრის პირზე, მიუყვება ბურუნკოვაკის სარწყავ არხს და მის ბოლოდან სწორხაზოვნად მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლემდე (415 მ). აქედან ჯერ მდინარე მლაშე წყლის ხეობით და შემდეგ აჯისუს ხეობიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მიდის მდინარე ალაზნის მეანდრულ მუხლთან (ჩ.გ. 41°06'30), (ა.გ. 46°38'43"). აღნიშნული წერტილიდან საზღვრის ხაზი გაზდევს მდინარე ალაზანს და მანქანა-ტრაქრორების ფარეხიდან (რომელიც ჯერ-ჯეროობით არსებობს) ჩრდილოეთის მიმართულებით აუყვება მდინარე ულკანსუს, შემდეგ მაზმიჩაის ხეობით მიდის მაჩხალროსოს უღელტეხილზე (2800 მ) მთა ტინოვროსოსთან (3337 მ).

საზღვრის სიგრძე აზერბაიჯანთან 404,6 კმ-ია. საზღვრის გასწვრივ, 15 კმ სიგრძის ზოლში განლაგებულია 78 სოფელი და ერთი ქალაქის ტიპის დასახლება-ლაგოდეხი. განსახლების ეს ზოლი მოიცავს ხუთი ადმინისტრაციული რაიონის (გარდაბნის, საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის) ტერიტორიების ნაწილებს.

საქართველოს საზღვარი რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან

საქართველოს რუსეთთან უკიდურესი დასავლეთი საზღვარი იწყება შავ ზღვაზე მდ. ფსოუს შესართავიდან (ჩ.გ. 43°23'32", ა.გ. 40°00'30") ამ ნაწილში, საქართველო 72 კმ-ზე ესაზღვრება კრასნოდარის მხარეს. მდ. ფსოუს შესართავთან საზღვრის ხაზი მიუყვება მდინარეს და ადის აცეტუკის ქედზე მდებარე მთა აგეფსტაზე (3256 მ), მიუყვება მის თხემს, გაივლის 2791 მ სიმაღლის მთას, შემდეგ მდინარეების მზიმთასა და ავადხარას წყალგამყოფი სერით ახუკდარის გადასასვლელს, ღებულობს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებას და ადის კავკასიონის ცენტრალური ქედის წყალგამყოფზე, მიუყვება მას, გაივლის მთა აჯარას, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 კმ-ის შემდეგ მიადგება საქართველო-სტავროპოლის მხარის უკიდურეს აღმოსავლეთ

წერტილს. კავკასიონის ქედის თხემით საქართველო ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, 173 კმ სიგრძის ეს საზღვარი მიუყვება კავკასიონის ქედის წყალგამყოფს, გაივლის დამხურცის უღელტეხილს, მთა ჩამხარას (2664მ) უღელტეხილებს: ჩამხარას (2486მ), აძათს (2497მ), სანჩაროს (2589მ), ალაშტრახუს (2723მ), ლაბას (2575მ), 2928მ სიმაღლის მთას, უღელტეხილ მაგანას (2265მ), 2794მ სიმაღლის მთას, უღელტეხილ წყარგეხულირს (2539მ), აქედან აკეთებს რკალს და ჩრდილოეთის მიმართულებით მიემართება 3451მ სიმაღლის მთამდე, მიუყვება კვლავ თხემს, გაივლის ნაურის უღელტეხილს (2839მ), 3489მ. სიმაღლის მთას, კიზგიჩის უღელტეხილს (2997მ) და რიგი სიმაღლეების (3443მ, 3434მ) გავლის შემდეგ შედის მარუხის უღელტეხილზე (2746მ), ყარაჩაის მწვერვალიდან (3892მ) მიემართება სამხრეთით და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მთა ერწახოზე (3910მ), კვლავ მიუყვება კავკასიონის მთავარ ქედს, გაივლის მთა საფურუჯუს (3786მ), მთა ჯუგუტურულჩატს, პტიშის უღელტეხილს (2995მ), ჩრდილო-აღმოსავლეთით მთა დონბაიულგენს (4046მ), მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით გაივლის მთა ხაკელს (3645მ), ქლუხორის უღელტეხილს (2781მ) აკეთებს რკალს ჩრდილოეთისაკენ და ნახარის უღელტეხილის გავლით მიდის მთა გვანდარზე (3984მ), გაივლის უღელტეხილებს დალარს (3291მ) და ჩიპერს (3264მ). აქ მთავრდება საზღვარი ყარაჩაი-ჩერქეზეთთან.

საზღვრის შემდეგი მონაკვეთით საქართველო ესაზღვრება ყაბარდო-ბალყარეთს. იგი იწყება ჩიპერ-აზაუს (3264მ) უღელტეხილიდან გაივლის დონლუზ-ორონბაშის (3203მ), ბეჩოს (3367მ) უღელტეხილებს და მთა შხელდას (4368მ), შემდეგ მთა ჩატინთაუსთან (4410) მკვეთრად უხვევს ჩრდილოთით, გაივლის მთა კავკასოს (4280მ), ჯანტუგანის (3483მ), გარვაშის (3769მ), მესტიის (3757მ) ლეხზორის (3687მ), ტვიბერის (3607მ), კიტლოდის (3629მ), სემის (3769მ), ცანერის (3887მ) უღელტეხილებს, აქედან საზღვარი გადის შოთა რუსთაველის მწვერვალზე (4859მ), მწვერვალ შხარას (5068მ) შემოუვლის ჩრდილოეთიდან და გადის შოროვცეკის (3434მ) გეზევცეკის (3462მ) უღელტეხილებზე. გეზევცეკის აღმოსავლეთით 4კმ-ში მთავრდება 120კმ სიგრძის საზღვარი ყაბარდო-ბალკარეთთან.

გეზევცეკის უღელტეხილიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით იწყება საქართველოს საზღვარი ჩრდილო ოსეთთან (ალანია). ამ მონაკვეთის სიგრძე 170კმ-ია. გეზევცეკიდან საზღვრის ხაზი მიუყვება გებევცეკის (3461მ), გეურძიევცეკის (3349მ), მამისონის (2820მ) უღელტეხილებს, სამხრეთით გაივლის მდინარეების ჭანჭახისა და მამისონის წყალგამყოფზე (კოზიკომრახის ქედზე) აქედან კედარის (2952მ) მედოს (2994მ), ზეკარის (3506მ), ბახფანდაგის (3037მ), კუთხას (2995მ), როკის (2995მ) უღელტეხილებისა და მთა ვიციგპარსის (3573მ) გავლით მიემართება ჩრდილოეთით, შემდეგ თრუსოს (3132მ) უღელტეხილიდან მიუყვება ხოხის ქედის თხემურ ნაწილს და მწვერვალ ყაზბეგიდან (5033მ) მიემართება ჯერ ჩრდილოეთით, შემდეგ აღმოსავლეთით მთა კაიჯონისა (3914 მ) და 3159 მ სიმაღლის გავლით ეშვება თერგის ხეობაში, კვეთს მას, ადის ოხნურის ქედზე. აქ მთავრდება საქართველოსა და

ჩრდილო ოსეთის (ალანია) შორის არსებული საზღვარი.

ოხნურის ქედის უსახელო მთიდან (3330 მ) რომლის კორდინატებია ჩრ.გ. 42°50'10 და აღ.გრ.44°41'50 აღმოსავლეთ საქართველო 137 კმ-ზე ესაზღვრება ჩეჩნეთსა (იჩქერიას) და ინგუშეთს. ოხნურის ქედიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, გაივლის მთა მალაჩეჩკარტს (3669 მ), მთა შანს (4451 მ), ბაჩახოს (4291 მ), კვლავ მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, აკეთებს რკალს და მთა შახარასთან (3691 მ) უხვევს ჩრდილოეთით, გაივლის ორ უსახელო უღელტეხილს, შემდეგ საჯიხვის ღელეს (3725 მ), სალაშქროს ღელეს (3647 მ), მარტინის მთას (3898 მ), არჯელომის ქედის თხემით და მთა ტერხკარტის (3209 მ) გავლით ეშვება მდინარე ასას ხეობაში, კვეთს მას, აქედან მთების მახისმაღალისა (3890 მ) და ცუზუნკორტის გავლით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, კვეთს მდინარე არღუნს, ადის მუცოს ქედზე, შემდეგ თებულოს ქედის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის თხემზე, უხვევს დასავლეთით თუშეთის ქედისაკენ, მისივე თხემის და მთების: კამიტოს (4261 მ), დონოსმთის (4174 მ) უსახელო მწვერვალის (3965 მ) გავლით მიდის დიკლოს მთამდე. დიკლოს მთიდან სამხრეთით საქართველოს 143 კმ-ზე ესაზღვრება დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა.

დიკლოს მთიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთით ბუცაბაჩის ქედის თხემით. მთა სარმაგ-ღელეს (2596 მ) და უღელტეხილის გავლით კვეთს მდინარე ანდიის-ყუისოს, შემდეგ ახტალის თხემის ქედით და მთების პატარანაბადის (3252 მ), ენჩოს (3304 მ), შავიკლდის (3578 მ) გავლით მიუყვება კავკასიონის ცენტრალურ ქედს, ყადორის (2363 მ) უღელტეხილის, მთა ნინიკასციხეს (3115 მ), აქედან უხვევს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და მთავრდება აღმოსავლეთით ტინოვროსის მთაზე (3385 მ).

თუ რუსეთთან სასაზღვრო ზოლს შევხედავთ განსახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, აქ შესაძლოა გამოიყოს 9 უბანი:

1. მდ. ფსოუ – შავიზღვისპირა უბანი. აქ არის 14 დასახლებული პუნქტი. მოსახლეობის რაოდენობა 13287 კაცი, ცხოვრობენ აფხაზები – 3,2%, ქართველები – 22,2%, რუსები – 25%, სომხები – 11,7% (ეს არის 1998 წლის მონაცემები).

2. დოურ-ანჩხოს (ბზიფის სათავეების) უბანი, აქ 11 დასახლებული პუნქტია, სადაც 1999 წლის მონაცემებით მოსახლეობის საერთო რაოდენობა 250 კაცია. 16 სოფლიდან ექვსში ცხოვრობენ რუსები, ერთში – აფხაზები, ოთხში – ჭარბობენ ქართველები. დანარჩენში შერეულია ოთხი ეროვნების მოსახლეობა.

3. აფხაზეთ-სვანეთის (გენცვიშ-საკენის უბანი) (მონაცემები ყველგან 1998-99 წლებისაა) აქ 18 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდა 2500 კაცი, რომელთა 99% ქართველია.

4. სვანეთის უბანი (ზემო სვანეთი). აქ არის 134 დასახლებული პუნქტი დაბა მესტიით, სადაც 2763 მცხოვრებია, მთლიანად ზემო სვანეთში 14709 ადამიანი ცხოვრობს, ყველა ქართველია (1998-99 წწ. მონაცემები).

5. ღები-გლოლას (ზემო რაჭის) უბანი. აქ არის 14 სოფელი და კურორტი შოვი (ლაპარაკია 15კმ სიგანის ზოლზე). ცხოვრობენ ქართველები რომელთა რაოდენობა 1542 ადამიანია (1998-99 წწ. მონაცემები).

6. კვაისა-როკის უბანი – მოიცავს მდ. ჯეჯორას, მდ. კეშელთას და მდინარე ლიახვის ზემო მაწილის ხეობას. აქ ცხოვრობდა 3321 კაცი, არის 23 დასახლებული პუნქტი, მათ შორის დაბა კვაისა – 2271 მოსახლით. მოსახლეობის 81% ოსია (1998-99 წწ. მონაცემებით).

7. მდინარე თერგის ზემო წელის (ყაზბეგის უბანი) მოსახლეობაში 1924 კაცი 8 სოფელში ოსებია, დანარჩენში – ქართველები (19989-99 წწ. მონაცემები).

8. შატილ-ომალოს უბანი – მოიცავს მდ. ასას ზემო წელს, მდინარეების არგუნის, ანდაკის, თუშეთისა და პირიქითა ალაზნის ხეობებს. აქ არის 15 დასახლებული პუნქტი 336 კაცით, ყველა ქართველია (1998-99 წწ. მონაცემები).

9. ნაფარეულ-შილდის უბანი – მოიცავს მდ. ალაზნის მარცხენა მხარესა და კავკასიონის ქედს შორის მოქცეულ ტერიტორიას აქ 21 დასახლებულ პუნქტში ჭარბობენ ოსები, ერთში აზერბაიჯანელები (სოფ. კაშალო), დანარჩენში 80% ქართველებია (1998-99წ. მონაცემები).

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ ტოპოგრაფიულ საფუძველზე აღწერილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მოცემულია იმ სიზუსტით, რომელიც დადგენილ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ. თუ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საქართველომ სამხრეთ საზღვარზე დაკარგა 22144 კმ² ფართობის ტერიტორია, აქედან სომხეთთან 2478 კმ² (ლორე, ბამბაკი, შამშადილი), აზერბაიჯანთან – 3667 კმ² (საინგილო და სხვა), თურქეთთან – 15622 კმ² (ღაზისტანი – 3925 კმ², ართვინი – 2933 კმ², არდაგანი – 5724 კმ², ოლთისი 3040 კმ²) [9].

2005-2007 წლების მონაცემებით საბჭოთა პერიოდში დადგენილი საზღვარიც დარღვეულია და მეზობელ სახელმწიფოებთან გაჩნდა სადავო პრობლემები: აზერბაიჯანთან – წითელი ხიდის მონაკვეთში, შირაქში, ვაშლოვანის ნაკრძალთან, დავით-გარეჯთან, სულ სადავო უბნები 25-ია;

სომხეთთან – ჰუჯაბის მონასტრის მონაკვეთსა, და სხვაგან, სულ სადავო უბანი 11-ია. საზღვრის ხაზი გადმოწეულია 14კმ-ით.

რუსეთთან, კრასნოდარის მხარესთან, სადავო უბანია ერთი, ჩრდილო-ოსეთთან (ალანია) – სამი, დაღესტანთნ – სამი, რუსეთი შემოიჭრა ხევსურეთში ადგილ ფიჭვნის მონაკვეთში, დარიალის ხეობაში, სოფ. ლარსთან. აფხაზეთში სადავო გახდა კრასნოდარის მხარის ერთ-ერთი სოფელი, სადაც აფხაზები და რუსები ცხოვრობენ, თუშეთში დაღესტნის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სოფ. ჩეღო ცუმატინსკის რაიონის თუშეთის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობის საკუთრებაა. აქ წინათ თუშები მათ საძოვრებს აქირავებდნენ, ეხლა კი შემოიჭრნენ 24კმ² ფართობზე, რაჭაში მამისონის უღელტეხილთან რუსეთმა იძულებული გაგვხადა სამხრეთით 20კმ დაგვეხია.

2013 წელს „კავკასია“-ში გამოქვეყნდა ბატონ მ. არეშიძის წერილი „საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობა და საფრთხეები“ [1;]. ავტორი დეტალურად განიხილავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ

რუსეთის ინტერესებსა და კონტროლს საქართველოს ჩრდილო საზღვართან დაკავშირებით. განიხილავს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელ თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის თავდაცვის გეგმას, რომელიც მოიცავდა სამ თავდაცვის ზღუდეს, რომელშიც იკვეთებოდა რუსეთის აქტიურობა, კავკასიის ქედის მიმდებარე საქართველოს ტერიტორიის ხელში ჩაგდების სურვილი. რუსეთი დღეს ფლობს, სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერით მათ ტერიტორიაზე გამავალ საზღვრის მონაკვეთებს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ მის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა კოდორის ხეობა და მამისონის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორია. კავკასიონის ქედზე არსებულ 44 გადასასვლელიდან 24-ს აკონტროლებს რუსეთი. როგორც ავღნიშნეთ, საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა უკანონო, თვითნებური შემოჭრა და საზღვრის გადმონევა სამხრეთით. ეკონომიკური სიდუხჭირისა და მძიმე სოციალური პირობების გამო ჩვენი მთიანეთი იცლება მოსახლეობისაგან, დაცლილ ტერიტორიებს კი რუსეთი და მასში შემავალი რესპუბლიკები ეპატრონებიან. 1989 წლის მონაცემებით, კავკასიონის ქედის მონაკვეთზე განლაგებული იყო 260 სოფელი, არსებობდა განსახლების 9 უბანი. დღეს 5 უბანს მთლიანად აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია. საქართველო-რუსეთის ფედერაციის საზღვრის პერიმეტრში შეიმჩნევა ინტენსიური საკურორტო და საავტომობილო გზების მშენებლობა. იგეგმება როკის გვირაბის რესტავრაცია და ახალი გვირაბის გაჭრა, კოდორის ხეობაში შეიქმნა სახელმწიფო პარკი, რომელიც ნაგულისხმევია, რომ გახდეს ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე არსებული პარკის ნაწილი. 90-იან წლებში საქართველოს ხელისუფლებამ სასაზღვრო პუნქტი გადმოწია დარიალის ხეობაში 850მ-ით უკან. ეს ღონისძიება დროებით ხასიათს ატარებდა, მაგრამ დღესაც ასე გადმოწეული დარჩა და მას ნეიტრალური ტერიტორია დაერქვა, რომელსაც დღეს მთლიანად რუსეთი აკონტროლებს.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა საგანგაშოა და საქართველოს მთავრობის მიერ აქტიურ კონტრლონისძიებებს მოითხოვს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივხედოთ ჩვენ მთიან რეგიონებს [4;], ავამოქმედოთ 1999 წლის 19 ივლისს მიღებული მთის კანონი და 2010 წელს შექმნილი დამატებანი და ცვლილებები ამ კანონში, შევაჩეროთ კატასტროფულად გაზრდილი მიგრაციული პროცესი. ხელი შევუწყოთ მთის მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას. საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ გაითავისოს მთის პრობლემები, ჩვენი მთიანეთი, გარდა ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტებისა, ხომ ყველა იმ აუცილებელი პროდუქტების შემცველია, რაც ადამიანს სიცოცხლისათვის სჭირდება, გარდა ამისა, მთამ შემოგვინახა ჩვენი სულიერი კულტურის უნიკალური ძეგლები, ტრადიციები და ადათწესები, ავაღორძინოთ სვანეთი, რაჭა, ხევი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთი, მთიანი აჭარა, ფაქტობრივად ჩვენი ტერიტორიის 79%. ჩვენი მთიანი რეგიონების მოსახლეობა ისტორიულად იყვნენ საზღვრის დამცველები. დავუბრუნოთ მათ ეს ფუნქცია. მთა და მთიანეთი, მთის მოსახლეობა ხომ ქართველთა სიამაყეა. გადავარჩინოთ მთა, დავიცვათ და აღ-

ვადგინოთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, „საქართველოვ, შენ არა გაქვს მიწა დასაკარგავი“.

წყაროები და ლიტერატურა

1. მ. არეშიძე – საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობა და საფრთხეები – გაზეთი „კავკასია“. გვ.-2,3,№7-8 (71-72); 2013წ.
2. ბ. გოიშვილი – „საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია“ – გამომცემლობა „განათლება“, 2002წ.
3. ჯ. კეკელია – „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“, თბ., 1996წ.
4. მ. კოხრეიძე – „უშეცდომოდ განვსაზღვროთ“ გაზეთი „ბჭე“ 9/XII 1998წ.
5. ლ. მარუაშვილი – „საქართველოს გეოგრაფია“, ტომი I, უნივერსიტეტის გამოცემა. თბ., 1980წ.
6. საქართველოს სსრ – ატლასი. თბ., 1964წ.
7. ივ. ჯავახიშვილი – „საქართველოს საზღვრები“, თბ., 1996წ.

BERDO GOISHVILI

GEORGIA'S BORDER AND ITS STATE IMPORTANCE

Summary

At present the issue of protection of the state border is of particular importance for a free and independent Georgia. It should be noted that the border is violated in many places because of the occupation of Georgia's territories by the Russian Federation.

This paper considers such issues as the state border, delimitation, demarcation, the legal basis of a sovereign state. There has been given a topographic description of the state border since 1930. Due to the fact that the border runs along the mountainous regions of Georgia, particular attention should be paid to these regions and their inhabitants, who have been defenders of the Georgian borders for centuries.

Б. А. ГОИШВИЛИ

ГРАНИЦА ГРУЗИИ И ЕЕ ГОСУДАРСТВЕННОЕ ЗНАЧЕНИЕ

Резюме

В настоящее время для свободной и независимой Грузии вопрос защиты государственной границы приобретает особенное значение. Следует отметить, что из-за оккупации Российской Федерацией, она во многих местах нарушена.

В данной статье рассмотрены такие вопросы, как государственная граница, делимитация, демаркация, правовая основа суверенного государства. Дано топографическое описание государственной границы с 1930 года. Так как граница проходит по горным районам Грузии, следует особое внимание уделить этим районам и их жителям, которые веками являлись защитниками грузинских границ.

ანა კლდიაშვილი

„მადამ“ ჩან კაიში და მისი როლი ჩინეთის პოლიტიკაში

XX-ე საუკუნეში აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკაში ქალების როლის შესწავლისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ჩინეთის რესპუბლიკის პირველი ლედის, ლეგენდარული ქალბატონის, უბადლო ორატორის, ძლიერი პოლიტიკოსისა და მხატვრის, სუნ მეილინის, ანუ „მადამ“ ჩან კაიშის ფენომენის განხილვა. იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ ამ ძალზედ საინტერესო და ქარიზმატული ქალბატონის ფენომენი და მნიშვნელობა, უნდა დავიწყოთ მისი ბავშვობის წლებისა და ოჯახის შესწავლა. როგორც ანტუან დე სენტ ეგზიუპერი ამბობდა: „ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ არც სუნ მეილინი იყო გამონაკლისი.

სუნ მეილინის მამა ჩარლი სონგი დაიბადა 1866 წელს კუნძულ ჰაინანზე და თორმეტი წლის ასაკში მუშაობა დაიწყო ბოსტონის ჩაიხანაში, მას შემდეგ, რაც ბიძამ უარი განუცხადა სწავლის გაგრძელებაზე, იგი სახლიდან გაიქცა და ბედისწერამ მეთოდისტ (ინგლისელი პროტესტანტების ერთ-ერთი მიმდინარეობა) კაპიტანს შეახვედრა. კაპიტანმა მალევე შეამჩნია ჩარლის მისწრაფება განათლებისადმი. ჯერ ამერიკის სახაზინო დეპარტამენტის შემოსავლების სამსახურში დაასაქმა და შემდეგ ქრისტიანობაც მიაღებინა. მილიონერი კაპიტნის შემწეობით ჩარლიმ დაამთავრა კოლეჯი და დაბრუნდა ჩინეთში, შანხაიში მისიონერის სტატუსით. იგი მალევე დაქორწინდა ადგილობრივი ელიტის ნარმომადგენელზე – ნი კვეიცენზე და შეეძინა ექვსი შვილი, სამი ვაჟი და სამი ქალი. მიღებულმა განათლებამ და უცხოეთში მოღვაწეობის გამოცდილებამ ჩარლი სონგს მისცა საშუალება შეექმნა საკუთარი წარმატებული ბიზნეს-იმპერია.

ჩარლი სონგი გახლდათ აბრაამ ლინკოლნის იდეოლოგიის მატარებელი და დემოკრატიული ღირებულებების გამავრცელებელი ჩინეთში. იგი თარგმნიდა და ავრცელებდა ლინკოლნის ცნობილ გამონათქვამებს, რამაც საფუძველი დაუდო სუნ იატსენის მიერ ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორის გადაგდებასა და დემოკრატიული ჩინეთისათვის ბრძოლას.

სონგების ოჯახში განათლება პრიორიტეტი იყო, ისინი ეთაყვანებოდნენ ამერიკულ მუსიკას, ხელოვნებასა და დემოკრატიულ ღირებულებებს. ზუსტად ეს გახლდათ იმის საწინდარი, რომ ჩარლი სონგის სამივე ქალიშვილმა უმაღლესი განათლება მიიღო, რაც მეოცე საუკუნის ჩინეთისათვის სულაც არ იყო დამახასიათებელი. უმაღლეს განათლებას ოჯახის მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები იღებდნენ, ხოლო თხუთმეტ წელს მიღწეული

გოგონები სწავლას წყვეტდნენ, რადგან უფროსი ასაკის მანდილოსნებისათვის სკოლები უბრალოდ არ არსებობდა. სონგების სამივე დამ განათლების მიღება გააგრძელა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კი ვესლის კოლეჯში, ხოლო ერთ-ერთმა ძმამ თ. ვ. სონგმა დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი და ცნობილი იყო როგორც ფინანსური გენიოსი. იგი მოღვაწეობდა როგორც ჩინეთის ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრად და ასევე მომქმედ პრემიერ მინისტრადაც. უმცროსი და აილინი კი დაკავებული ოყო ოჯახური ბიზნესით, მან გააძლიერა სონგის ბიზნეს-იმპერია, რაშიც ხელს უწყობდა მისი მეუღლე ჰ.ჰ. კუნგი, რომელიც გახლდათ ჩინეთის საბანკო მაგნატების შთამომავალი. აილინ სონგი აღიარებულია, იმ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალბატონად [6:9].

ჩინეთში დღესაც ახსოვთ სამი დის ამბავი და ხშირად მათ ასე ახასიათებენ: „ერთს უყვარდა ფული (აილინ), მეორეს უყვარდა ძალაუფლება (სუნ მეილინ), ხოლო მესამეს კი უყვარდა ჩინეთი (ცინ ლინი)" [6:8].

სუნ მეილინმა 1917 წელს დაამთავრა ვესლის კოლეჯი ინგლისური ლიტერატურის განხრით, ასევე სწავლობდა და დაინტერესებული იყო ფილოსოფიითა და სამხატვრო ხელოვნებით. იგი სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ ენას და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ცუდად საუბრობდა ჩინურად. იგი ამბობდა: – „ერთადერთი რაც აზიური მაქვს ეს სახეა". განათლების დასრულების შემდეგ სამივე და დაბრუნდა შანხაიში და აქტიურად ჩაებნენ ჩინეთის მაშინდელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სუნ მეილინი ხშირად წერდა წერილებს თავის კოლეჯის მეგობარს და უზიარებდა მას შთაბეჭდილებებს ჩინეთის შესახებ, ეს წერილები გახდა არა ერთი ლიტერატურული ნაშრომის საფუძველი [2:34]. ზუსტად ასეთ ერთ-ერთ წერილში ნერდა იგი, თუ როგორი კონტრასტი იყო პრივილეგირებულ ფენასა და ჩვეულებრივ ხალხს შორის, როგორი გაუსაძლისი სანიტარული პირობები და შიმშილი იყო ჩინეთში იმხანად. სუნ მეილინის გამბედავმა და თვითდაჯერებულმა ქმედებებმა მალე მიიქცია ჩინეთის მაშინდელი პოლიტიკური ელიტის ყურადღება. მითუმეტეს, როდესაც მისი უფროსი დაც ინლინი დაქორწინებული იყო ნაციონალური პარტიის ლიდერზე და ჩინეთის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტზე – სუნ იატსენზე და თითონაც აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა. აქვე მინდა ორიოდე სიტყვით მოგითხროთ ჩინეთის პირველ პრეზიდენტ – სუნ იატსენზე [6: 271].

ჩინეთის პირველი პრეზიდენტი 1866 წელს გუანდუნის პროვინციის სოფელ ცუისენში, სკოლის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად გადავიდა ჰავაიზე, სადაც იმყოფებოდა მისი ძმა. დაამთავრა სამედიცინო კოლეჯი და 1883 წელს დაბრუნდა სამშობლოში. სწავლა გააგრძელა ჰონ-კონგის სამედიცინო უნივერსიტეტში და 1894 წელს დაარსა ანტიმანჯურიული რევოლუციური ორგანიზაცია – ჩინეთის აღორძინების კავშირი. ავჯანყების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, იმოგზაურა აშშ-ში, ევროპაში, კანადასა და იაპონიაში. 1905 წელს იაპონიაში გამოაცხადა რევოლუციური ორგანიზაციის ტუნმენხოის დაარსების შესახებ. წარმატებული მუშაობის

შემდეგ იგი 1911 წელს არჩეულ იქნა ჩინეთის რესპუბლიკის დროებით პრეზიდენტად, მაგრამ არ დასცალდა და სამი თვის შემდეგ იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო იმპერატორის არმიის სასარგებლოდ. თუმცა ამით არ დამთავრებულა მისი ბრძოლა იმპერატორის წინააღმდეგ, მან 1912 წელს ჩამოაყალიბა პარტია გომინდანი და 1913 წელს ხელმეორედ გამოაცხადა რევოლუცია. ეს წამოწყება ფიასკოთი დასრულდა და სუნ იატსენი მეუღლესთან, ცინ ლინთან ერთად იაპონიაში გაიქცა.

1912 წელს მოხდა მონარქიის დამხობა ჩინეთში, რამაც დიდი პოლიტიკური ვაკუუმი გამოიწვია. ნაციონალური პარტიის ლიდერი სუნ იატსენი, რომელსაც „ჩინელ ჯორჯ ვაშინგტონს" უწოდებდნენ, იღწვოდა ჩინეთის გასაერთიანებლად. იგი ჩარლი სონგის ფინანსური და იდეოლოგიური დახმარებით ცდილობდა დემოკრატიის ელემენტების შეტანას ჩინეთის ყოფასა და მმართველობაში, რაც ხშირად ძვირად უჯდებოდა. 1925 წელს იგი, პეკინში საკუთარ სახლში გარდაიცვალა. სუნ იატსენის როლი და მნიშვნელობა ჩინეთის გარდაქმნაში მისი გარდაცვალების შემდეგ დაფასდა და მას 1940 წელს „ერის მამის" ტიტული მიანიჭეს.

ჩინეთში 1925 წელი იდგა, როდესაც ქვეყნის შეიარაღებული ძალების სათავეში სუნ იატსენის თანამოაზრე და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი გენერალი - ჩან კაიში მოვიდა.

ჩან კაიში 1925 წლიდან გახლდათ გომინდანის თავჯდომარე, 1928 წლიდან გენერალი სიმუსი და 1927-1949 წლებში ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1949 წლის 12 იანვარს ჩან კაიში გადადგა პრეზიდენტობიდან, მაგრამ შეინარჩუნა გომინდანის ბელადის „ძუნცაის" თანამდებობა. კომუნისტების ბელადი მაო ძედუნი პეკინში 1949 წლის 1 ოქტომბერს საზეიმოდ აცხადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნას, ხოლო გენერალი სიმუსი ჩან კაიში იმავე წლის 10 დეკემბერს სამუდამოდ ტოვებს მატერიკულ ჩინეთს და იძულებული ხდება გადაიიდეს კუნძულ ტაივანზე, სადაც გარდაცვალებამდე იმყოფებოდა.

ამ ისტორიული პერსონის შესახებ შეიძლება დიდხანს ვისაუბროთ, მისი მოღვაწეობის ირგვლივ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგი მიიჩნევს, რომ დიქტატორი იყო, ზოგიც კი მას პროგრესულ ადამიანად წარმოაჩენს, მაგრამ ჩან კაიში ვერაფერს გახდებოდა საერთაშორისო და კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების გარეშე, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა ზუსტად დასავლური განათლების მქონე, აზიური სახის მატარებელმა ქალბატონმა სუნ მეილინმა.

სუნ მეილინის უმცროსი დის აილინის ხელშეწყობით 1923 წელს ჩან კაიში და სონგების შუათანა ქალიშვილი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხვედრა პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და გადაწყვიტეს თავიანთი ცხოვრება ერთმანეთისათვის დაეკავშირებინათ, იმ დროისათვის ჩან კაიში ქორწინებაში იმყოფებოდა და ერთი საკუთარი და ერთიც ნაშვილები ვაჟი ჰყავდა, თუმცა როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს ფაქტი სირთულეს არ წარმოადგენდა, ჩან კაიშიმ მეუღლე ამერიკაში გაუშვა საცხოვრებლად. ამ პერიოდიდან იწ-

ყება ჩან კაიშისა და „მადამ“ ჩან კაიშის მმართველობის ხანა.

1927 წლის 1 დეკემბერს შედგა ქორწილი, რომელიც დაიწყო მოკრძალებული ჯვრისწერით ქრისტიანულ სახლში და დასრულდა პომპეზური წვეულებით სასტუმრო „მაჯესტიკ'-ში. ქორწილში ათას კაცამდე სტუმარი მოიპატიჟეს, მათ შორის იყვნენ ჩინეთის დიპლომატიური და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ასევე ქორწილს ესწრებოდა ამერიკის ფლოტის მეთაური.

აქედან იწყება შანხაის მდიდარ ოჯახში დაბადებული და ამერიკაში განათლება მიღებული ჩინელი ქალბატონის - სუნ მეილინის „მადამ“ ჩან კაიშად გარდაქმნა, რომელიც მიჩნეულია მე-XX საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილ ადამიანად, წარმატებულ დიპლომატად და ძლიერ პოლიტიკოსად [2: 85].

იმისათვის, რომ დავინახოთ ამ ქალბატონის როლი და ღვაწლი მისი სამშობლოსადმი, უნდა გადავხედოთ მე-XX საუკუნის ჩინეთის ისტორიას.

მე-XIX საუკუნის ბოლოს ჩინეთში ჩამოყალიბდა კაპიტალისტური წყობა. ამასთან ერთად გაძლიერდა კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიაც. 1894-1895წწ იაპონია იბრძვის ჩინეთის წინააღმდეგ, რის შედეგადაც მან მიიტაცა ჩინეთის კუნძულები: ტაივანი, პენხულე და ოდა, გააძლიერა თავისი გავლენა კორეაში. ჩინეთი დაშლის პირას იდგა. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მიითვისეს რეგიონები: გერმანიამ შან დუნის პროვინცია, ინგლისმა მდინარე იანძის აუზი, საფრანგეთმა სამხრეთ-დასავლეთ პროვინციები, რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიები ჩაიგდო ხელში, ხოლო იაპონიამ კი ფუძიანის პროვინცია. აქვე ამერიკამ „ღია კარის“ დოქტრინის საფუძველზე მთელი ჩინეთის ტერიტორიაზე გამოაცხადა პრეტენზია. ამ ყოველივეს მოჰყვა არა ერთი აჯანყება და გამოიწვია ცინის დინასტიის რღვევა. რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია 1905-1907 წლებში რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ, რომელმაც ლენინის თქმით „გამოაღვიძა აზია“.

1928 წელს გომინდანის მთავრობას ოფიციალურად აღიარებს ამერიკის შეერთებული შტატები. იწყება მწვავე დაპირისპირება მაოს მომხრეებსა და გომინდანს შორის. კომუნისტები ადანაშაულებდნენ გომინდანს იმპერიალიზმთან კაპიტულაციაში. ამის მიუხედავად, გომინდანის მმართველობის პერიოდში ქვეყანა გარკვეულწილად ვითარდებოდა. გაუქმდა იმპერატორის დროინდელი არათანაბარი ხელშეკრულებები კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, შეიქმნა სახელმწიფო საბანკო სისტემა, განახლდა კომუნიკაციის საშუალებები და სუნ იაცენის კონცეფციაზე დაფუძნებით შეიქმნა პროგრესული შრომითი კანონმდებლობა.

დადგა 1937 წლის ზაფხული, იაპონია ჩინეთს დაესხა თავს და მისი საჰაერო ძალები ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც გზად შეხვდებოდათ. ჩინეთში საშინელი კრიზისი დაიწყო, უამრავი ადამიანი დაიღუპა, ხალხი საკვებისა და სახლ-კარის გარეშე დარჩა. გომინდანი და კომუნისტები იძულებულნი გახდნენ გაერთიანებულიყვნენ მტრის წინააღმდეგ, თუმცა მათ შორის დაპირისპირება მაინც იგრძნობოდა. ისინი ერთმანეთს ბოლომდე არ ენდობოდნენ. ჩინეთი საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდებოდა აგრესორს, მას საერთაშორისო დახმარება სჭირდებოდა. ვინ, თუ არა ამერიკის ელიტაში კონტაქტების

მჭონე „მადამ“ ჩან კაიში შეძლებდა მსოფლიოს ჩინეთისაკენ შემობრუნებას. იგი 1937 წელს მიმართავს მსოფლიოს: „ცისფერი, მოწმენდილი ციდან სიკვდილის ბომბები ცვივა ჩემს ქვეყანაში..... მილიონობით ადამიანია დარჩენილი უსახლკაროდ, უამრავი დაღუპულია... არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება მოქმედებდეს ასე სასტიკად და ამავდროულად, ინარჩუნებდეს საერთაშორისო თანამეგობრობის პატივისცემას“. 1937-1938 წლებში იგი ასზე მეტ სტატიას გამოაქვეყნებს და უამრავ ინტერვიუს ჩანერს, რათა მსოფლიო ინტერესი შემოაბრუნოს დაბეჩავებული ჩინეთისაკენ. იგი მიზანმიმართულ კამპანიას აწარმოებს, რათა მსოფლიო ყურადღება მიიპყროს. ამერიკა არ ჩქარობდა იაპონიასთან ურთიერთობის დაძაბვას, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ 1940 წელს მაინც დაადო ემბარგო იაპონურ პროდუქციას და გაყინა იაპონური აქტივები აშშ-ში. ამერიკამ ჩინეთს ასევე კვალიფიციური მფრინავები გაუგზავნა ჩინური ავიაციის დასახვეწად და იაპონელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩინეთ-იაპონიის ომი რეა წელიწადი გაგრძელდა და რომ არა მსოფლიო არენაზე ჰიტლერის გამოჩენა, არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა ჩინეთს. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერმა მთელი ევროპა ჩააბა ომში, ამერიკა შორს იჭერდა თავს, რადგან მას უშუალოდ არ ერჩოდნენ, თუმცა 1941 წლის 7 დეკემბერს პერლ ჰარბორზე მიტანილმა იერიშმა გამოაფხიზლა იგი და ოცდაოთხ საათში ამერიკა ომში ჩაება. ზუსტად ჰიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბების ჩამოგდებამ განაპირობა იაპონიის კაპიტულაცია. იაპონია იძულებული გახდა ჩინეთისთვის დაებრუნებინა მითვისებული ტერიტორიები, მათ შორის ტაივანიც [7:141].

ჩინეთ-იაპონიის ომის დასრულებით ქვეყანამ ვერ ამოისუნთქა, ახლა სამოქალაქო ომისთვის ემზადებოდნენ კომუნისტები და ჩან კაიშის მომხრეები. ეს დაპირისპირება 1949 წლამდე გაგრძელდა [7:339].

მეი ლინისა და ჩან კაიშის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა, ამდენმა ომებმა და დაპირისპირებამ სააშკარაოზე გამოიტანა გენერლის მძიმე და ჭირვეული ხასიათი, როდესაც მისი ავტორიტეტი სუსტდებოდა, მისი მეუღლის გავლენა ძლიერდებოდა. ჩან კაიში საერთაშორისო დახმარების გარეშე ვეღარ უმკლავდებოდა სტალინის დახმარებით ზურგმომაგრებულ მაოს. „მადამ“ ჩან კაიში ათვითცნობიერებდა მის როლს ქვეყნის გადარჩენის საკითხში. თუმცა მეუღლესთან შიდა დაპირისპირებამ დაანახა, რომ თვითონაც შეუძლია იყოს წამყვანი ლიდერი. მისი გრძნობების გაციებას ხელი შეუწყო ასევე იმ ფაქტმა, რომ მათ არ ჰყავდათ შვილები. „მადამ“ ჩან კაიში იღებს გადაწყვეტილებას, რომ თავისი პერსონა წამოწიოს წინ და აღარ იყოს გენერლის მუნდირს ამოფარებული პირველი ლედი. ამ ყოველივეს ხელი შეუწყო ქალაქ ჩუნცინში აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის, რესპუბლიკელი ვენდელ უილკის ვიზიტმა. მას თან ახლდა მისი ახლო მეგობარი, ჟურნალისტი გ. ქუილსი, რომელიც შემდგომ თავის მემუარებში წერდა: „წვეულების დროს ყველამ შეამჩნია, თუ როგორ გაუჩინარდნენ „მადამ“ ჩან კაიში და პრეზიდენტობის კანდიდატი“. ვ. უილკი გამოტყდა, რომ შესთავაზა „მადამ“ ჩან კაიშის ვაშინგტონში მასთან ერთად გამგზავრება. მეორე დღეს ჟურნალისტი იძულებული იყო აეხსნა

პირველი ლედისთვის, თუ რაოდენ დელიკატური საკითხი იყო და რა პრობლემებს გამოიწვევდა ყოველივე ეს. „მადამ“ ჩან კაიში ისე გაბრაზდა, რომ ქუილსს ლოყაც კი დაუკაწრა.

ჩინეთის რესპუბლიკის პირველ ლედის არ სჭირდებოდა სხვისი დაპატიჟება ვაშინგტონში, მითუმეტეს, როდესაც იგი ისედაც გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული დახმარების მოსაპოვებლად. მან რვა თვე დაჰყო ამერიკაში. ამ პერიოდში შემოიარა თითქმის მთელი ამერიკა ლოს-ანჯელესიდან ნიუ-იორკამდე.

სასტუმრო „ვორლდოფ ასტორია“-ში შედგა შეხვედრა ჟურნალისტ გ. ქუილსსა და „მადამ“ ჩან კაიშის შორის. მას სურდა, რომ ვ.უილკის გამარჯვება მოეპოვებინა, შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე და ფინანსური დახმარება აღუთქვა მას. როგორც ჟურნალისტი მოგვიანებით წერდა, ჩინეთის პირველი ლედი ამბობდა: „თუ უილკი პრეზიდენტი გახდება, ჩვენ ერთად შევძლებთ მსოფლიოს მართვას. ის იქნება დასავლეთის, მე კი აღმოსავლეთის მმართველი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველივე აბსურდი იყო, ჟურნალისტი თავის მემუარებში იხსენებს, რაოდენ მომხიბვლელი იყო „მადამ“ ჩან კაიში იმ საღამოს. იგი ყოველთვის საჭიროებისამებრ იყენებდა თავის გარეგნობას, ინტელექტსა და შარმს.

1943 წელს ამერიკაში ჩასულ „მადამ“ ჩან კაიშის თვით რუზველტების ოჯახი მასპინძლობდა. იგი ერთ კვირა სტუმრობდა თეთრ სახლს. „მადამ“ ჩან კაიში ჩვეული პომპეზურობით ეწვია მათ. არ ერიდებოდა დამხმარე პერსონალს და როგორც საკუთარ სახლში, ისე გასცემდა ბრძანებებს. როგორც ელეონორა რუზველტი მოგვიანებით იტყვის: „იგი არაჩვეულებრივად საუბრობს დემოკრატიაზე, მაგრამ სრულებით არ იცის როგორ იცხოვროს მასში“. ასეთი მჭიდრო კავშირის მიუხედავად, „მადამ“ ჩან კაიშიმ ვერ მოახერხა პრეზიდენტი რუზველტის დაყოლიება – გამოეყო ფინანსური დახმარება ჩინეთისათვის. უკიდურესი ზომაღა იყო დარჩენილი – კონგრესი!

1943 წლის 18 თებერვალს მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა – „მადამ“ ჩან კაიშიმ მიმართა კონგრესს. ეს იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც კონგრესს სიტყვით მიმართა უცხო ქვეყნის წარმომადგენელმა და თან მანდილოსანმა. მან წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ცნობილია, როგორც მისი ერთ-ერთი სანიმუშო და შთამბეჭდავი გამოსვლა. ჩინეთის რესპუბლიკის პირველმა ლედიმ მოახერხა კონგრესისა და სენატის დარწმუნება ჩინეთის დახმარების აუცილებლობაში. ელეონორა რუზველტი წერდა, რომ „მადამ“ ჩან კაიშიმ ასეთი გულისამაჩუყებელი გამოსვლით ადგილი მოიპოვა მსოფლიო ისტორიაში. მას აღარ აღიქვამდნენ სუსტი სქესის წარმომადგენლად. კონგრესში გამოსვლის შედეგად, ჩინეთმა მიიღო მილიარდობით აშშ დოლარი და სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებისთვის შეღავათიანი კრედიტები [3:467].

სამშობლოში დაბრუნებულ „მადამ“ ჩან კაიშის პრობლემები დახვდა სახლში. პრესა წერდა გენერლისა და მისი მეუღლის დაშორების შესახებ. აღნიშნული კონფლიქტი გამოძახილი და ერთგვარი სასჯელი იყო ვენდელ უილკინსთან რომანის გამო. უილკი გამოეთიშა საპრეზიდენტო მარათონს და

მალევე გულის ინფარქტით გარდაიცვალა. პარტნიორის გარეშე დარჩენილ „მადამ“ ჩან კაიშის აღარ ჰქონდა იმის ფუფუნება, რომ მარტო თავის თავზე ეფიქრა. იგი დაუბრუნდა მეუღლეს და ჩინეთს.

1945 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა აშშ-ს პრეზიდენტი – ფრანკლინ რუზველტი და ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალი პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი, რომელიც არ წყალობდა ჩინელ პარტნიორებს, მას მიაჩნდა, რომ ისინი ამერიკის მიერ გამოყოფილ თანხებს ფლანგავდნენ და საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებდნენ. იგი ჩინელ ნაციონალისტებს ქურდებს ეძახდა.

სანამ მსოფლიო ჰიტლერზე გამარჯვებას ზეიმობდა, ჩინეთში ჰუმანიტარული კრიზისი დადგა, კორუფცია ყვაოდა და მაო ძლიერდებოდა.

„მადამ“ ჩან კაიში კვლავ ამერიკაში მიდის დახმარების საძიებლად. კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად ფინანსები იყო საჭირო. ამერიკის ტურნეს შემდეგ, იგი აღარასოდეს დადგამს მატერიკული ჩინეთის მიწაზე ფეხს.

ამერიკის პრეზიდენტმა ცხრადღიანი ლოდინის შემდეგ მოკლე აუდიენცია გაუმართა ჩინეთის პირველ ქალბატონს. მან აღარ გამოუყო დახმარება გომინდანის პარტიას, რადგან მიაჩნდა, რომ ჩან კაიშის ხალხის მხარდაჭერა აკლდა. 1949 წელს თანამდებობიდან გადადგა ჩან კაიში, ხოლო 1950 წელს „მადამ“ ჩანი სამშობლოში – უკვე ტაივანში დაბრუნდა.

გენერალმა ორ მილიონამდე ნაციონალ თანამოაზრესთან ერთად დააარსა ნაციონალური მმართველობა გადასახლებაში. მისი მეუღლე, როგორც ერთგული თანამებრძოლი, კვლავ წამყვან პოზიციაზე იყო სახელმწიფო ადმინისტრაციაში. იგი კურირებდა საგარეო პოლიტიკას და მეუღლესთან ერთად აგრძელებდა ბრძოლას ჩინეთის გასაერთიანებლად. ჩან კაიშიმ გომინდანის პარტია ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად გამოაცხადა, თუმცა არც კომუნისტები თმობდნენ პოზიციებს. „მადამ“ ჩან კაიშიმ, მაქსიმალური ძალისხმევითა და უბადლო დიპლომატიური უნარ-ჩვევებით მოახერხა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთს, გადასახლებაში მყოფი და ერთადერთი ლეგიტიმური მთავრობის კანდიდატი წარმოადგენდა. ამ პოზიციას ოცი წლის განმავლობაში ინარჩუნებდნენ. ეს მოვლენა გახლდათ „მადამ“ ჩან კაიშის უდიდიესი მიღწევა [7:411].

მიუხედავად იმისა, რომ ტაივანი სამხედრო პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო გახლდათ, იგი მყარი ეკონომიკური სისტემით სწრაფად ვითარდებოდა. ჩან კაიში შეეგუა იმ აზრს, რომ ველარ გააერთიანებდა ჩინეთს და მშვიდი სვლით შეუდგა ტაივანის აღორძინებას. „მადამ“ ჩან კაიში ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობს, თუ როგორ ენატრება ჩინეთი: „გეოგრაფიული მაჩვენებლებით, ლანდშაფტითა და ცის მოცულობით ჩვენი ქვეყანა არ არის ერთი სახელმწიფო, ის ხომ მთელი კონტინენტია, რომელიც მე ძალიან მენატრება“.

1975 წლის 5 აპრილს გარდაიცვალა გენერალი ჩან კაიში. მისი მეუღლე დიდხანს აღარ გაჩერებულა ტაივანზე და საცხოვრებლად ამერიკაში, ნიუ-იორკში გადავიდა. ქვეყნის მმართველობა ჩან კაიშის ერთ-ერთმა ვაჟმა გადაიბარა, რომელიც 1988 წელს გარდაიცვალა და უკვე ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალგაზრდა ნაციონალი თენგ ჰუი.

ამერიკაში გადასვლის შემდეგ „მადამ" ჩან კაიში გაიტაცა ჩინურმა მხატვრობამ. იგი უკანასკნელად გამოჩნდა კონგრესში 1995 წელს და ამის შემდეგ ფაქტიურად ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. იგი უკანასკნელად საზოგადოებამ ნახა 2003 წელს, ქ. ნიუ-იორკში გამართულ მისი ნამუშევრების გამოფენაზე [3:657].

ჩინეთის რესპუბლიკის პირველი ლედი, ლეგენდარული ქალბატონი, „მადამ" ჩან კაიში 2003 წელს 106 წლის ასაკში ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, თავის ბინაში გარდაიცვალა. მისი ცხოვრება იმდენად დატვირთული, კონტრასტული და საინტერესო იყო, რომ ალბათ შემიძლია კიდევ და კიდევ ვწერო ამ უაღრესად ცოცხალ და საინტერესო ადამიანზე. ყველამ ვიცით მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური სახე. თუმცა იგი საკმაოდ ტრაგიკული პიროვნებაც გახლდათ. 1976 წელს მას მკერდის სიმსივნე დაუდგინეს და რომ არა მისი შეუპოვარი ხასიათი, იგი 106 წლამდე ვერ მიაღწევდა. თუ როგორი ადამიანი იყო სინამდვილეში „მადამ" ჩან კაიში, დღემდე ამოუცნობია. ცხოვრებამ იგი ბევრი გამოწვევებით, წარმატებებითა და წარუმატებლობებით დააჯილდოვა. მიუხედავად მისი რიგი წარუმატებლობებისა და შეცდომებისა, იგი გახლდათ შეუპოვარი, დაუცხრომელი, სიმტკიცით სავსე და თავისი ქვეყნის სიძლიერესა და მომავალში დარწმუნებული პოლიტიკოსი. „მადამ" ჩან კაიში იყო ის ადამიანი, რომელმაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძერწა დასავლეთისა და ჩინეთის ურთიერთობები, რამაც შემდგომში გამოიწვია თანამედროვე ჩინეთისაკენ გეზის აღება.

წყაროები და ლიტერატურა:

1. "Madam Chiang Kai-Shek" Tyson Li. 2006/NewYork.
2. "Chinese eternal First Lady" Laura Tyson Li/ Atlantic monthly press/ 2006.
3. "The Last Empress" - Madam Chiang Kai-Shek and the Birth of modern China/ Hanna Pakula/2009.
4. "Madam Chiang Kai-Shek and her China" Samuel C.Chu/ Norwalk, CT: East Bridge/ 2004.
5. Политическое участие женщин в современом Тайване// КНР: институционализация опыта реформ (материалы ежегодной конференции Центра современной истории и политики Китая ИДВ РАНб 2010, 3 марта).
6. "Soong Dynasty" Sterling Seagrave/1986 19 March.
7. "The Generalissimo: Chiang Kai-Shek and the strugglr for Modern China" Jay Taylor/2009.
8. "Modern China" –P: 279/Fenby, Jonathan/2009.

ANN KLDIASHVILI

MADAM CHIANG KAI- SHEK AND HER CONTRIBUTION TO CHINA'S POLITICS

Summary

The story of Madam Chiang Kai-Shek is a story of a lady who's life path is still very interesting to people. She was wonderful diplomat, great orator and famous politician. She is regarded as the most powerful lady of the XX century. Once she sad "We live in the present, we dream of the future and we learn eternal truths from the past."

Her story shows the way she led from very childhood to her very late days. how important was the democratic values in her family, the education she has got and how all this helped her to rule the ruined and hungry country with her husband General Chiang Kai-Shek. Her courage and outstanding diplomatic skills has many times saved China and Chinese people from total disaster. After her famous speech in Congress of United States of America she was no longer regarded as just the wife of the general but as the independent and very powerful politician in the world.

А. Р. КЛДИАШВИЛИ

МАДАМ ЧАН КАЙ ШИ И ЕЕ РОЛЬ В КИТАЙСКОЙ ПОЛИТИКЕ

Резюме

История жизни Мадам Чан Кай Ши это история женщины, жизнь которой и по сей день вызывает живой интерес общества. Она была непревзойдённым оратором, прекрасным дипломатом и выдающимся политиком. Она признана одной из самых влиятельных женщин XX века. Однажды Мадам Чан Кай Ши сказала: "Мы живем в настоящем, мы мечтаем о будущем и мы учимся вечным истинам у прошлого". В статье прослеживается путь, который она прошла с самого детства до последних ее дней, как важны были демократические ценности в ее семье, образование, которое она получила и как все это помогло ей совместно с ее мужем Генералом Чан Кай Ши в управлении голодной и разрушенной страной. Ее мужество и выдающиеся дипломатические способности неоднократно спасали Китай и китайский народ от полной катастрофы. После своей знаменитой речи в Конгрессе Соединенных Штатов Америки она больше не была просто женой Генерала, в мире ее рассматривали как самостоятельного и очень серьёзного политика.

ზურაბ ბრაგვაძე

კოლხური ნამოსახლარი სოფელ ძევრიდან

ძევრის არქეოლოგიური ძეგლის გათხრა 1998 წელს დაიწყო აკადემიკოს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და იმავე წელს ფინანსური კრიზისის გამო იძულებით დაასრულა. შემდგომი წლების განმავლობაში აქ გათხრების გაგრძელება აღარ ხერხდება.


ძევრი მდებარეობს თერჯოლის რაიონში, რაჭა-იმერეთის გზაზე. მდინარე ძევრულას მარჯვენა ნაპირზე აღმართულია ე.წ. კორტების გორა, რომლის ცენტრალური ტერასა არქეოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო ობიექტს. სწორედ აქ მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები და გამოვლენილ იქნა ორფენიანი ნამოსახლარი, გვიანანტიკური ხანის სამარხები და აქემენიდური ეპოქის სამაროვნის ნაშთები [2: 89-98].

ნამოსახლარი მდებარეობს ცენტრალური ტერასის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის რ. მეფარიძის ეზოში. უნდა აღნიშნოს, რომ კორტების გორა საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული, რაც დიდად აზიანებს არქეოლოგიურ ობიექტებს, რადგან მიწის სამუშაოებს, როგორც წესი, თან სდევს ძეგლების შემთხვევითი აღმოჩენა და განადგურება.

კორტების გორის ნამოსახლარი ორფენიანი ძეგლია. ზედა ფენაში აღმოჩენილია 1 მეტრი სიმაღლის ფლეთილი ქვით ნაგები შენობის ნაშთები, კოლხური კერამიკის, ლითონის ნივთებისა და ანტიკური შავლაკიანი ჯამის ფრაგმენტები. ვინაიდან ამ ფენის კვლევა ამჟამად სცილდება თემის ფარგლებს, მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იგი ძვ.წ. V–IV საუკუნეებს განეკუთვნება.

მე-II ფენა პირველისგან გამოიყოფა 30-40 სმ-ის სტერილური შრით (ტაბ. I).


ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები თითქმის მთელ კოლხეთშია აღმოჩენილი. საერთოდ, ეს პერიოდი კოლხეთის არქეოლოგიაში ერთ-ერთი კარგად შესწავლილი ეპოქაა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოლხური კულტურის ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცესი სწორედ აღნიშნულ დროს მთავრდება და საბოლოო სახეს იღებს. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლართა ტოპოგრაფია საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში სახეზე გვაქვს ცხოვრების უწყვეტი კვალი მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, დაწყებული




ტაბ. I. ძევრის კორტების გორის სტრატიგრაფიული ჭრილი

ლიხის ქედიდან აფხაზეთის ჩათვლით. არქეოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არის ერთგვარი დემოგრაფიული აფეთქებისა და სამოსახლოთა წარმოქმნის თავისებური ბუმი [6: 17-32]. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ დასავლეთ საქართველოში არ არის დარჩენილი არც ერთი კუთხე, სადაც არ ფიქსირდებოდეს ძვ.ნ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარი. ამ მხრივ გამონაკლისი არც დღეყანდელი თერჯოლის რაიონია. ძევრის გარდა ამ ეპოქის ფენები გამოვლენილი და შესწავლილია ჩოლაბურის ,,ციხურაზე" [10: 46-58] ჩხარში და ღვანკითში [3: 9]. ძევრის კორტების გორის მე-II ფენა 1 მ-ს აღწევს და როგორც აღინიშნა, ზედა ფენისგან გამიჯნულია 30-40 სმ სისქის სტერილური შრით. იგი განფენილია პირველი ფენის ნაგებობის ქვეშ და ხასიათდება მოშავო ფერის, უმეტესწილად ფხვიერი, ხოლო ალაგ-ალაგ ბათქაშნარევი მიწით. არქეოლოგიური მასალა მხოლოდ კერამიკითაა წარმოდგენილი. გვხვდება როგორც სასუფრე (ტაბ. II. V. VI), ასევე სამზარეულო (ტაბ. III–IV) და სამეურნეო დანიშნულების (ტაბ. III. IV, V, VIII) კერამიკა. სასუფრე ნაწარმიდან გამოიყოფა დოქები და სასმისები. სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებისა და ხუფების (ტაბ.VII), ხოლო სამეურნეო ნაწარმი – ქვევრებისა და დერგების სახით. სამივე ტიპის ჭურჭელი დამზადებულია მოშავო-მორუხო ფერის, განლექილი თიხისაგან, კვარცის მცირე მინარევებით. თუნის ნაწარმის დიდი ნაწილი მდიდრულადაა ორნამენტირებული. ძირითადად გვხვდება ტალღოვანი ორნამენტი, თუმცა რამდენიმე ნიმუშზე ფიქსირდება სპირალისებური და წერტილოვანი ორნამენტებიც.


ძევრის მე-II ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ანალოგები, როგორც აღვნიშნეთ, უხვადაა წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს




ტაბ. II. სასმისები და ყურები



ტაბ. III. ქოთნების ფრაგმენტები




ტაბ. IV. დერგებისა და კანელურებიანი ქოთნების ფრაგმენტები



ტაბ. V. დერგების გვერდების ფრაფმენტები. ყურები



ტაბ. VI. ზოომორფული ყურები და გრეხილი სახელურები




ტაბ. VII. სარქველები, კვირისტავი და ქოთნის ფრაგმენტები

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე. მრავალრიცხოვანი პარალელებიდან შეგვეძლო დაგვესახელებინა საირხის საბადურის გორის ქვე- და მე-III ფენა [8: 8-10], მოდინახეს მე-II ფენა [7: 16-20], მთისძირი [4: 45], დაბლაგომი [15: 261], ნოსირი-მუხურჩა [12: 40-50], ფიჩორი [11: 239], ნამჭედური [13: 23-27] და სხვა. ძევრის ნამოსახლარის მე-II ფენის მასალაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზოომორფული (ტაბ. VI) და კანელურებიანი (ტაბ. IV) ჭურჭლების ფრაგმენტები. კანელურიანი კერამიკის გენეზისის პრობლემა დღემდე მთლად გადაჭრილი არ არის. საკამათოდ რჩება საკითხი იმის შესახებაც, ფართო კანელურებიანი ჭურჭლები ჩნდება თავდაპირველად თუ ვიწრო კანელურებით შემკული თუნის ნაწარმი. თ. მიქელაძე ნამჭედურის, ურეკის, ნიგვზიანისა და ერგეტას მასალებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ კოლხეთში თავდაპირველად ვრცელდება ფართო კანელურებიანი ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებს მიეკუთვნება [14: 37]. დაბლაგომის კანელურებიან კერამიკას ვ. თოლორდავა ძვ.წ. VIII–VII საუკუნეებით ათარიღებს [15: 260-261]. ნოსირი-მუხურჩის იმ არქეოლოგიურ ფენებს, რომლებიც კანელურებიან კერამიკას შეიცავს, ე. გოგაძე ძვ. წ. X–IX საუკუნეებს მიაკუთვნებს და მიიჩნევს, რომ ამ დროს გაჩენილი კერამიკის ეს ტიპი ინერციით აგრძელებს არსებობას ძვ.წ. VIII–VII საუკუნეებშიც, მაგრამ ამ დროს ჭურჭლებს უჩნდება ე.ნ. დანაძერწი კანელურები. მისივე მოსაზრებით, თავდაპირველად ჩნდება ვიწრო კანელურიანი ჭურჭლები, ხოლო ფართო კანელურები ხმარებაში შემოდის შედარებით გვიანდელ ეპოქაში [12: 40-49].

ძევრის კორტების გორის ნამოსახლარის მე-II ფენის არქეოლოგიური

მასალა განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ყვირილის ხეობის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიურ ძეგლებთან. გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, ეს სიახლოვე სრულიად ბუნებრივი ჩანს. ჩვენი ცოდნის ამჟამინდელ ეტაპზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. I ათასწლეულიდან ძევრი წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ არტერიას აღმოსავლეთ და დასავლეთ კოლხეთს შორის. ჩემი აზრით, აქ გადიოდა უმოკლესი გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონს აკავშირებდა აღმოსავლეთ პროვინციებთან. პირველ ფენაში აღმოჩენილი ატიკური იმპორტიც რაღაც ამდაგვარზე უნდა მიუთითებდეს.



ტაბ. VIII. რკინის თოხი და ქვევრების ფრაგმენტები

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დღევანდელი იმერეთის რეგიონი არ წარმოადგენდა გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ფორმირების არეალს და ის ამ ზონაში მოექცა სწორედ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან [6: 29-30]. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთ საქართველოს კანელურებიანი და არქაული ზოომორფული ყურების შემცველი ფენების ქვედა ქრონოლოგიური თარიღი ბოლო წლების გამოკვლევების მიხედვით ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისკენ, ძვ.წ. X–IX საუკუნეებისკენ იხრება [6: 29], რაც, თავის მხრივ, გარკვეულწილად აძველებს კოლხეთის ადრე რკინის ხანის ნამოსახლარების წარმოქმნის თარიღებს. აღნიშნული ნამოსახლარის ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება რკინის თოხს, რომელიც მოპოვებულ მასალაში ერთადერთი ლითონის ნივთია (ტაბ.VIII). აღნიშნულ თოხს ლ. ძიძიგური აერთიანებს კოლხური ადრე რკინის ხანის თოხების პირველ სახეობაში და მას ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით ათარიღებს [9: 89]. ამ სახეობის თოხებისთვის დამახასიათებელია ფართო სამუშაო პირი, მარაოსებურად გაშლილი მხრები, გამოკვეთილი *ყუა და სწორი ტანი [9: 88]. ანალოგიური თოხები მრავლადაა აღმოჩენილი* დასავლეთ საქართველოს ისეთ ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორიცაა ურეკი, ნიგვზიანი [5: 76-85], მუხურჩა [12: 38], პალური [1: 104], დღვაბა [14: 42]. ლ. ძიძიგურის კვლევით, დასავლეთ საქართველოში ორასზე მეტი ასეთი თოხია აღმოჩენილი და როგორც ჩანს, წარმოადგენს ადრე რკინის ხანის კოლხეთის წამყვან სამეურნეო იარაღს [9: 89]. ამდენად, ძევრის ნამოსახლარის მე-II ფენა ზოგადად VIII–VII საუკუნეებს მიეკუთვნება.

როგორც აღინიშნა, იმ კოლხური ნამოსახლარების წარმოქმნის თარიღი,

რომლებიც შეიცავენ კანელურებიან კერამიკას და არქაულ ზოომორფულ ჟურებს, ძვ.წ. X–IX საუკუნეებისკენ იხრება. რამდენად ჯდება ამ სქემაში ძევრის ნამოსახლარის მე-II ფენა, საკამათო საკითხია, რადგან ჩვენს განკარგულებაში არსებული არტეფაქტები ძირითადად ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნება. აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ კორტების გორის ნამოსახლარი ბოლომდე გათხრილი არ არის. ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შესწავლილია მხოლოდ არა უმეტეს ძეგლის 20 %. არქეოლოგიური გათხრების გაგრძელებას კი, სამწუხაროდ, პერსპექტივა ჯერ კიდევ არ უჩანს. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ მომავალმა აღმოჩენებმა შემოთავაზებული თარიღი უფრო დააძველოს და იგი სიღრმეში გადასწიოს.

ამრიგად, ძევრის კორტების გორის მე-II ფენა, ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე ძვ.წ. VIII–VII საუკუნეებს მიეკუთვნება და იგი ადრე რკინის ხანის კოლხური ნამოსახლარია, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებიდან წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს კოლხეთის დასავლეთ და აღმოსავლეთ პროვინციებს შორის და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კოლხეთის მთისა და ბარის რეგიონების ურთიერთობებში. ხსენებული დასახლება შექმნილია კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ, რომლებიც აქ ჩნდებიან ძვ.წ. VIII საუკუნიდან. ძევრის კორტების გორის მე-II ფენა არსებობას წყვეტს ძვ.წ. VII საუკუნეში, მაგრამ ცხოვრების კვალის შეწყვეტის მიზეზი ამ ეტაპზე ცნობილი არ არის, რადგან არ ფიქსირდება მისი ძალდატანებით განადგურების კვალი.

წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. ბარამიძე, შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულების პირველ ნახევარში. სადოქტორო დისერტაცია. თბ., 1998.
2. ზ. ბრაგვაძე, ძევრის გვიანანტიკური ხანის სამარხები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი „ძიებანი“. №12. თბ., 2003.
3. ზ. ბრაგვაძე, არქეოლოგიური გათხრები სოფელ ღვანკითში. „იბერია-კოლხეთი“ N5, თბ., 2009.
4. გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ნამოსახლარები. თბ., 1982.
5. თ. მიქელაძე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.
6. გ. მახარაძე, ყვირილის ხეობის ნამოსახლართა ქრონოლოგია. საქართველოს შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. V. თბ., 2000.
7. ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975.
8. ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ., 1990.
9. ლ. ძიძიგური, სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედების ისტორიისათვის. თბ., 2002.
10. ტ. ჩუბინიშვილი, არქეოლოგიური ძეგლები „ციხურას“ მიდამოებიდან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-B. თბ., 1953.
11. М. Барамидзе, Пичорское поселение. Материалы международного симпозиума по древней истории Причерноморья. V. Тб., 1990.

12. Э. Гогадзе. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXVII–B. თბ., 1984.
13. Т. Микеладзе, Д. Хахутаишвили. Древнеколхское поселение Намчедури. Тб., 1985.
14. Т. Микеладзе. К Археологии Колхиды. Тб., 1990.
15. В. Толордава. Культовый комплекс VIII-VII вв. до н.э. из Вани. Материалы международного симпозиума по древней истории Причерноморья. V. Тб., 1990.

ZURAB BRAGVADZE

COLCHIS SETTLEMENT FROM DZEVRI

Summary

Colchis settlement of Early Iron Age is located on the "Kortebis Gora" (Korti hill) in the village Dzevri (West Georgia, Terjola district). From the I millennium B.C. Dzevri was connecting link between the western and eastern provinces of Colchis and at the same time it played an important role in the relations between Colchis mountains and valleys regions too. The settlement is designed by Colchis culture tribes. It can be concluded that Colchis tribes reappear in this area from the VIII century B.C. The settlement resolves the existence in the VII century B.C. The traces at this point of life reason is not known, because compulsion of destruction footprint was not detected.

З. Д. БРАГВАДЗЕ

ДРЕВНЕКОЛХСКОЕ ПОСЕЛЕНИЕ ДЗЕВРИ

Резюме

Древнеколхское поселение Дзеври расположено в Западной Грузии, в селе Дзеври Терджольского района, на правом берегу реки Дзеврула, на восточном склоне "Кортебис Гора" (холм Кортеби). Археологическими раскопками было обнаружено поселение, который состоит из двух культурных слоев. Верхный слой принадлежит к V-IV вв до н.э. и он не входит в интерес нашего данного исследования. Нижный слой выделено от верхного слоя 30-40 см. стерильным слоем и ее толщина достигает 50 см. Археологический материал в основном состоит из керамических изделии (фрагменты зооморфных и канелурованых горшков и кувшинов) и из железного мотига. Поселение датируется VIII-VII вв до н.э. На данном этапе исследования невозможно определить причины прекрашения жизны на холме, так как пока не подтверждается след ее разрушения.

ნინო მაისურაძე

ხალხური მუსიკის ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტი. მუსიკალური ეთნოლოგია // ეთნომუსიკოლოგია

ტრადიცია ერთგვაროვანი ჯგუფური ჩვევაა, რომელიც გადაიცემა დროში და განაგრძობს არსებობას. ტრადიციის არსი და მნიშვნელობა ფართოა, რადგან იგი საზოგადოების ყველა სფეროს მოიცავს. ტრადიცია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ცხოვრების ნაწილია, ამიტომ იგი განიხილება, როგორც სოციალური მოვლენა. ამა თუ იმ ხალხის თავისებურებას, რომლითაც იგი სხვა ხალხისაგან განირჩევა, განაპირობებს ტრადიციების ანუ ეთნიკური კულტურის ერთობლიობა. ეთნიკური ტრადიციები მყარია, მაგრამ არა სტატიკური. იგი დინამიურია და განვითარებადი. ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ცალკეული მხარეების კვლევა არა იზოლირებულად, არამედ მათ ურთიერთკავშირში უნდა ხდებოდეს. ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სპეციფიკა მრავალჯერად განმეორებასა და მემკვიდრეობაში მდგომარეობს, რაც განაპირობებს ქცევისა და ჩვევის ნორმების ხანგრძლივ არსებობას. ამავე დროს, ისინი, როგორც სოციალური მოვლენები, განვითარებას და ცვლილებებს განიცდის [3: 140-157].

ხალხური მუსიკა საყოფაცხოვრებო ტრადიციის წიაღში ჩნდება და ყალიბდება, გარკვეული შინაარსის მქონეა და ყოფის ცალკეული მხარეების ამსახველი. იგი მოიცავს არა მხოლოდ მუსიკალურს, არამედ სიტყვიერ ტექსტს, მათ შორის მჭიდრო ინტონაციური და სემანტიკური ურთიერთკავშირი არსებობს. ნიშანდობლივია, რომ სიმღერა „ლექსის დამღერებით თქმას“ ნიშნავს. სიმღერის ამგვარი ინტერპრეტაცია უკანასკნელ დრომდე შემორჩათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს. ხალხური სიმღერა, როგორც საყოფაცხოვრებო ტრადიციის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, მასთან ერთობლიობაში გაიაზრება, იგი ყოფისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ყოფითი ტრადიცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ აღწერილობით, ორივე, სიმღერაც და ტრადიციაც ურთიერთმიმართებაში უნდა განიხილებოდეს, რადგან ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სიმღერის შესრულების ნესს, ხასიათს და, შესაძლოა, მის ასაკსაც. თავის მხრივ, სიმღერის ხნიერება შესაბამისი ტრადიციის ასაკის განმსაზღვრელია. ამგვარი თვალთახედვა მუსიკალურ-ფოლკლორულ ნიმუშებს მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობას სძენს.

სულიერი კულტურა ეთნიკური ერთობის კოლექტიური ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოვლინებაა, მისი შეგნებისა და თვითშეგნების ფორმათა

სისტემა [20: 80]. გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფების ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად საწარმოო, სოციალური და სულიერი ურთიერთობის პირობებში ყალიბდება ერთიანი სპეციფიკური კულტურა, რომელიც ამ ჯგუფების ფსიქოლოგიური წყობის ერთობაში გამოიხატება და ერთი ენის საფუძველზე აღმოცენდება. სიტყვა გარკვეული ენობრივი ჯგუფის კუთვნილებაა და ამ ჯგუფის ენობრივი ჩვეულებით არის განპირობებული. ენობრივი ჩვეულება ადამიანთა ჯგუფის ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრების წარმონაქმნია. ეს ჩვეულება მოიცავს გარკვეულ ენაზე გამოთქმული **ბგერების, ბგერათა შეერთების ნესებისა და შესაძლებლობების, სიტყვის თანმხლები ემოციური ელფერის თავისებურებებს**, რომლებიც მხოლოდ ამ ენობრივი ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. იაკობ გოგებაშვილის განმარტებით, „დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან დაკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსს, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმა გამდგარი ფესვები ადამიანის **ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში**, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში, იგი არის უძვირფასესი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს აგებულებაზედ" [17: 46-48; 3: 46-50].

ენობრივი ჩვეულების ინტონაციური თავისებურება ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის თუ, უფრო მოგვიანებით, ეთნოსის მუსიკალურ ფუძე-ჰანგში, ფუძე-ენაშია დალექილი და მისი ფსიქიკის გამომხატველია. გასაზიარებელია საზღვარგარეთის და ქართველ მუსიკისმცოდნეთა მოსაზრება მუსიკალური ინტონირების ანუ მყარი ბგერული სიმაღლეების სამეტყველო ინტონაციებიდან მომდინარეობის შესახებ [26: 6-8]. მეტყველება და მუსიკა დაკავშირებულია ადამიანის აზროვნებასთან. ეს ორი ელემენტი ბგერით („ჰმით") გამოიხატება. თავდაპირველი ინტონაცია – უმარტივესი მეტყველების („სიტყვის") ელემენტალური გამოვლინება – ადამიანის მიერ ამა თუ იმ მოვლენის აღქმისა და შესაბამისი შეგრძნების, განცდის, სულიერი მღელვარების შედეგია. აქედან გამომდინარე, სამეტყველო ინტონაცია, უფრო მოგვიანებით კი მუსიკალური ინტონაცია ორგანულად არის დაკავშირებული სულთან. მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრეულ საფეხურებზე მეტყველების ბგერათა აკუსტიკურმა და ფიზიოლოგიურმა (არტიკულაციურმა) თავისებურებებმა, ინტონაციურმა მხარემ არსებითი როლი შეასრულა მუსიკალურ-ინტონაციური აზრობრივი ერთეულის – ფუძე-ჰანგის ანუ ფუძე-ენის ჩამოყალიბებაში.

ნიშანდობლივია, რომ ქართველურ ენებში სხვა ენობრივი სამყაროდან ოდესღაც შეთვისებული სიტყვები ქართველური ენების ინტონაციურ არეში ექცევა და ადგილობრივი ხასიათის ინტონაციურ ცვლილებებს განიცდის [11: 206-207]. ფუძე-ჰანგი, რომელშიც თავს იყრის ადრე არსებული ყველა მუსიკალურ-სმენითი მონაპოვარი, უნივერსალურია. ამასთანავე იგი გარკვეული სტრუქტურის მქონე ინტონაციურ არეში თავსდება და გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური და მორფოლოგიური წყობით.

ცნობილი ეთნომუსიკოლოგი, პროფ. ი. ზემცოვსკი ინტონაციური არეალის შესახებ შემდეგ ინტერპრეტაციას იძლევა: ხალხი მუსიკალურად აზროვნებს არა ცალკეული ბგერებით, არამედ ცალკეული ინტონაციური კომპლექსებით, კონკრეტულად — ინტონაციურ-რიტმული უჯრედებით, მელოდიური მიმოქცევებით, ფრაზებით. ეს კომპლექსები ზეპირი გზით გადაიცემა და ტრადიციულად მომდინარეობს. ასეთ კომპლექსებში ბგერათა სიზუსტე შეუძლებელია. ისინი პრინციპულად მობილურია და ამასთანავე ურთიერთექვივალენტური. ერთი და იგივე ინტონაციურ კომპლექსს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ბგერითი გამომსახველობა ახასიათებს, მაგრამ არა უსასრულოდ განსხვავებული. საზღვარს, რომელშიც ინტონაცია სახეცვლილების შემდეგ თავისთავადი რჩება, **ინტონაციური არე** ეწოდება [4: 43].

ვფიქრობ, რომ ხალხური მუსიკის ეთნიკური სპეციფიკის დადგენისათვის მუსიკალურ-ინტონაციური არეალის განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს ინტონაციური უჯრედი ანუ მუსიკალური ფუძე-ენა, ფუძე-ჰანგი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, მოგვიანებით ეთნოსის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურების მატარებელია. იგი საწესო მოქმედებათა კომპლექსში შემავალი რიტუალის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი შინაარსის გამომხატველი [10: 28-47]. დამაჯერებელია ქართველ და საზღვარგარეთის მუსიკის მკვლევართა მოსაზრება, რომ მაგიური ქმედებები მუსიკალური ინტონირების წარმოქმნის საფუძველი უნდა ყოფილიყო. იგი დახასიათებულია როგორც გარდამავალი საფეხური სამეტყველო და მუსიკალურ ინტონაციათა შორის. მაგიურ ქმედებებს უკავშირდება მუსიკალურ-ესთეტიკური არქეტიპის ჩამოყალიბება, რომლის ატრიბუტებია მრავალჯერადი განმეორება, ერთგვაროვნება და რეგლამენტურობა [1: 24]. აქედან გამომდინარე, მუსიკალური ფუძე-ენა ეთნიკური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მსგავსად, მდგრადია და იგი მელოდიური ფორმულის (ფორმულების) სახით არსებობს, მაგრამ იმავდროულად განვითარებადია. ფუძე-ჰანგის ინფილტრაცია ყოფის სხვადასხვა სფეროში იწვევს მის სემანტიკურ ტრანსფორმაციას: ცვლილებებს განიცდის მუსიკალური ტექსტის ფორმა და შინაარსი, შესრულების ხასიათი და ბოლოს ყალიბდება თვისებრივად ახალი, განსხვავებული სასიმღერო ნიმუშები, რომლებიც ზოგად მუსიკალურ სტრუქტურაში გარკვეულ ადგილს იმკვიდრებს. აშკარაა, რომ მრავალფეროვანი მუსიკალური ჟანრების ფორმირება საყოფაცხოვრებო ტრადიციის წიაღში მიმდინარეობს და, რომ სიმღერა სიტყვიერ ტექსტთან ერთად საწესო მოქმედებათა კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამიტომ **ხალხური სიმღერის ფუნქცია ყოფაში შეისწავლება უშუალო დაკვირვების გზით, კომპლექსურად და ინტენსიურად, ცხოვრების მატერიალურ, სოციალურ და სულიერ მხარეებთან ერთობლიობაში, ანუ სიმღერა განიხილება, როგორც ზედნაშენი მოვლენა ბაზისურ კატეგორიებთან ურთიერთმიმართებაში, რომლის ნიაღშიც იგი ნარმოიქმნა.**

ამგვარად მუსიკალური ენა, სამეტყველო ენის ანალოგიურად, ეთნოსის, როგორც სოციალური ორგანიზმის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია.

აქედან გამომდინარეობს ხალხური მუსიკის ანუ მუსიკალური ფოლკლორის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა ეთნიკური ისტორიის საკითხების, შიდა-მიგრაციული თუ გარემიგრაციული პროცესების, განსახლებების, ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევისათვის [9].

გეოგრაფიული გარემო ანუ განსაზღვრული ბუნებრივი არეალი, მაგალითად, საქართველოსათვის დამახასიათებელი ვერტიკალური ზონალობა (მთა, ზეგანი (გარდამავალი ზოლი), ბარი), ასახვას ჰპოვებს სამეურნეო, სოციალური და სულიერი კულტურის სფეროებში. საქართველოს მთის ზოლის მუსიკალურ-ფოლკლორული და ეთნოგრიაფიული მასალის კომპლექსურ-ინტენსიური და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შედეგები, თავის მხრივ, ასახავს მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი კულტურის განვითარების დონეს. მთიელთა ხალხური მუსიკა წარმოდგენილია, როგორც კულტურული კომპლექსის ნაწილი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი კულტურის ისტორიასთან.

ხალხთა ისტორიული კავშირების კვლევაში მუსიკალურ-ეთნიკურ მონაცემებს გარკვეული ადგილი ეთმობა [10: 53-72; 11: 239-247]. ამ მხრივ ინტერესს იწვევს ი. ზემცოვსკის გამოკვლევები, რომლებიც გამოირჩევა *მეთოდოლოგიური ძიებით*. იგი ვრცლად განიხილავს მუსიკისმცოდნეთა (ფ. ფეტისი, ე. ხორნბოსტელი, კ. ზაქსი, ვ. პეტრი, ზ. კოდაი, ი. კუნსტი, ზ. ევალდი, რ. გრუბერი, ქ. კუშნარიოვი, ვ. გოშოვსკი, ლ. კერშნერი, ვ. ვინოგრადოვი, ფ. რუბცოვი და სხვ.) ნაშრომებს და ამასთანავე მუსიკალური მასალის განხილვის საფუძველზე მუსიკალურ-ეთნიკური კვლევის ფართო პერსპექტივებს გვისახავს. მკვლევრის აზრით, მუსიკალურ-ფოლკლორული მასალის ეთნოგენეტიკურ მაჩვენებლებს შეადგენს მუსიკალური სტრუქტურები, რომლებშიც ასახულია ეთნიკურად და სტადიალურად კონკრეტული, გარკვეული მუსიკალური აზროვნება და შესაბამისი მუსიკალური აღქმა.

მუსიკალურ-ინტონაციური აზროვნების კონკრეტული ნიმუშების, როგორც ფორმის და შინაარსის ერთიანობის ანალიტიკური აღრიცხვა მასალისადმი არსებითი მიდგომის მეთოდოლოგიური წინაპირობაა. მუსიკალური ფოლკლორის როლი ეთნოგენეტიკურ გამოკვლევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მუსიკა განასახიერებს რა კულტურისათვის დამახასიათებელ ეთნიკურ ნიშნებს, იმავდროულად მკვეთრად არ არის დეტერმინირებული, როგორც კულტურის სხვა კომპონენტები. ამიტომ მუსიკალური მონაცემების უგულებელყოფა, უდავოდ აღარიბებს ეთნოგენეზის შესწავლის ტრადიციულად ჩამოყალიბებულ გზებს [5: 15-16, 22]. ეთნოგენეზის საკითხების კვლევისას ეთნომუსიკოლოგიური მონაცემები შეიძლება დაემთხვეს მომიჯნავე დარგების (ენათმეცნიერება, ისტორია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია) მონაცემებს, ან – არა. მაგალითად, ოსური მუსიკალური მასალის რეტროსპექტული და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები უფრო ფართოა, ვიდრე იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის. მასში შედის ოსური მუსიკალური ენა, თუმცა ოსური ენა განეკუთ-

ვნება ინდოევროპულ ენათა ირანულ შტოს. მუსიკალური მონაცემებით მკაფიოდ ჩანს, რომ ოსური მუსიკალური ენის სუბსტრატი კავკასიურია, ქართველურია [10: 57-58; 12: 282-284, 289-290], ან – მუსიკალურ-ფოლკლორული მასალის კომპლექსურ-ინტენსიური და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადასტურებულია ათასწლეულების მიღმა საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის არსებობა და, მოგვიანებით მისი დიფერენციაციის, მუსიკალურ დიალექტებად ჩამოყალიბების პროცესი, რაც თავის მხრივ შეესატყვისება ერთობლივი ქართველური ეთნოსის არსებობას და მის დიფერენციაციას, ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების ანუ კუთხეების ჩამოყალიბებას [11: 205-239].

გასათვალისწინებელია, რომ მუსიკალური ენის განვითარების პროცესი, სამეტყველო ენის მსგავსად, ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. იგი ათასწლეულების მანძილზე ვითარდება. ნელა იცვლება მუსიკალური ენის ზოგიერთი კანონზომიერება, რომელიც ტიპოლოგიურად ახლო დგას ენის გრამატიკულ კანონზომიერებებთან [7: 13-15].

ეთნიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ხმიერი მუსიკის და სამუსიკო საკრავების კვლევის შედეგები შესაძლებლობას იძლევა გააშუქოს არა მხოლოდ ქართულ-კავკასიური ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკური კავშირები, არამედ უფრო შორეულ კულტურებთან მათი მიმართების საკითხები, როგორიცაა ქართულ-ნინააზიურ ან ქართულ-ხმელთაშუაზღვისპირულ კულტურათა ურთიერთმიმართება და სხვა [10; 11: 272-317; 19].

რა კავშირშია მრავალხმიანობა და მისი ფორმები ეთნიკური ისტორიის საკითხების კვლევასთან? მრავალხმიანობა ეთნოსის თანდაყოლილი თვისებაა, „შინაგანი სმენითი ნყობის" შედეგია [30: 293-295, 326-327; 6: 37-39, 47-48]. პოლიფონიური აზროვნება ეთნოსის ფსიქიკის სტრუქტურული ელემენტია. ამავე დროს მის რეალიზებას მუსიკალური აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ეძლევა ბიძგი, კერძოდ მაშინ, როცა უკვე ჩამოყალიბებულია ძირითადი მუსიკალურ-ბგერითი ფონდი და მრავალხმიანობა გაიაზრება, როგორც მუსიკალურ ბგერათა შეხამების გარკვეული ფორმა ანუ მრავალხმიანობის რეალიზება მოითხოვდა მუსიკალური აზროვნების განვითარების სათანადო დონეს, რაც თავის მხრივ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, მრავალხმიანობა სტადიალურია, განვითარებადია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური ისტორიის, ეთნოგენეზის საკითხების კვლევისას. მაგალითად, ქართველურ, სვანურ ტომებში მრავალხმიანობის კომპლექსური ფორმის („სინქრონული ხმათასვლა" – 2. 27) ჩამოყალიბება (რომელიც ქრონოლოგიურად ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის არსებობის ხანას უკავშირდება) და მისი გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, შეესატყვისება ენობრივ მონაცემებს II ათასწლეულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში სვანურ ტომთა განსახლების შესახებ დასავლეთ საქართველოს არა მხოლოდ მთიან, არამედ ბარის რეგიონებში. ქართული მრავალხმიანობის კომპლექსურმა ფორმამ ფაქტიურად განაპირობა მუსიკალური კულტურის ორი დიდი წრის ჩამოყა-

ლიბება: აღმოსავლურქართულის და დასავლურქართულის [11: 212, 235-237]. ეს მონაცემები შეესატყვისება საქართველოს მოსახლეობის დაყოფას ისტორიულად ჩამოყალიბებულ ორ მთავარ ჯგუფად: იბერიული და კოლხური.

როგორც ზემოხსენებული მსჯელობიდან ჩანს, ხალხურ მუსიკას, ისე როგორც ხალხური მხატვრული შემოქმედების სხვა სახეებს აქვს არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ ეთნიკური ფუნქცია. მომიჯნავე დარგების (ენათმეცნიერება, ისტორია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია) ანალოგიურად, მუსიკალურ ეთნოლოგიას გარკვეული წვლილი შეაქვს ხალხთა ისტორიული კავშირების, ეთნოგენეზის საკითხების კვლევაში. ყოფილ საბჭოთა და ევროპის ქვეყნების სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასა და ენციკლოპედიებში მუსიკალური ეთნოგრაფიის არა ერთი დეფინიციაა მოცემული. აკად. გიორგი ჩიტაია ეთნოლოგიის დარგში მრავალი მიმართულების ფუძემდებელი იყო, მათ შორის – მუსიკალური ეთნოგრაფიის (მოგვიანებით მუსიკალური ეთნოლოგიის). მეცნიერის ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული ეთნოლოგია“ (1926) დასახულია ეთნოლოგიის დარგის მიზანი, ამოცანები და კვლევის მეთოდი. მაგრამ ქართულ მეცნიერებაში „ეთნოლოგიის“ ნაცვლად დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში აღიარებული ტერმინი „ეთნოგრაფია“, რომელიც გულისხმობდა ხალხის ყოფის და კულტურის აღწერას. „ეთნოლოგიის“ მიზანი აღწერასთან ერთად, ხალხის მეცნიერული შესწავლა იყო [24: 10-11; 13: 35-36]. ტერმინ „ეთნოგრაფიის“ დამკვიდრების მიუხედავად გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდი არ შეცვლილა. ეთნოგრაფიის დარგს იგი ეთნოლოგიის განვითარების საფუძვლად მიიჩნევდა. XX საუკუნის ბოლოს „ეთნოგრაფიას“ კვლავ ჩაენაცვლა „ეთნოლოგია“. ამ ცვლილების შესაბამისად „მუსიკალურ ეთნოგრაფიას“ „მუსიკალური ეთნოლოგია“ ანუ „ეთნომუსიკოლოგია“ ეწოდა.

გ. ჩიტაიას შეხედულებით, „ეთნოგრაფიული მოვლენები და ფაქტები უნდა შეისწავლებოდეს არა იზოლირებულად, გარემო მოვლენებთან კავშირის გარეშე, არამედ, პირიქით, მათთან მჭიდრო კავშირსა და გარემო მოვლენათა განპირობებულობაში. ცნობილია, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იქნეს გაგებული, თუ მას იზოლირებული სახით, გარემო მოვლენათაგან მოწყვეტილად განვიხილავთ, რადგან ყოველი მოვლენა ბუნების ნებისმიერ სფეროში შეიძლება უაზრობად იქცეს, თუ მას გარემო მოვლენებთან კავშირის გარეშე, მათგან მოწყვეტილად განვიხილავთ. საველე ეთნოგრაფიული მუშაობა მოითხოვს, რომ აღწერილობა არ იყოს ზედაპირული, ფრაგმენტული, არამედ იგი უნდა ასახავდეს საგანს და მოვლენებს სრულყოფილად, რათა აღწერა შეეხებოდეს არა მარტო მის გარეგან მხარეს, არამედ შინაგან შედგენილობასაც; დასახელებული მოთხოვნები – მოგვცეს ადეკვატური, უტყუარი, ყოველმხრივი აღწერილობა და გამოვლინდეს საგნის და მოვლენის ისტორიზმი, გარემო, სტრუქტურა, ტექნიკა და ფუნქცია – შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მოვლენათა კომპლექსური შესწავლისას [22: 78-79].

გ. ჩიტაიას მიერ ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდი ითვალისწინებს ხალხის ეთნოგენეზის, ყოფისა და კულტურის საკითხების, ისტორიული გან-

ვითარების სხვადასხვა პერიოდთა დანაშრევების შესწავლას ინტენსიურად და კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობაში, ისტორიზმის პრინციპების დაცვით. ამ მეთოდის მიხედვით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე, ეთნოგრაფიული მოვლენის გავლით დაფიქსირება, რადგან კუთხური თავისებურებების კვლევის შედეგები საკითხების განზოგადებას ემსახურება [22: 57-58, 78-79].

მუსიკალური ეთნოლოგია ანუ ეთნომუსიკოლოგია კვლევის ზემოხსენებულ პრინციპებს ემყარება. ეთნოლოგიის ამ მიმართულებას საქართველოში XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში და, მოგვიანებით, იგი ეთნოლოგიის სფეროში შემავალ ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდა. გ. ჩიტაიას შეხედულებით, მუსიკალური ეთნოგრაფია (შემდეგში მუსიკალური ეთნოლოგია) ხალხურ მუსიკას შეისწავლის ყოფასთან მჭიდრო კავშირში, უშუალო დაკვირვების გზით, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით. მუსიკალური ეთნოლოგიის ზემოხსენებულმა ინტერპრეტაციამ ასახვა ჰპოვა მრავალ ნაშრომში [28; 23; 18; 8; 10; 14; 24; 14; 16; 29 და სხვ.]. მუსიკალური ეთნოლოგიის მკვლევარი უნდა იყოს არა მხოლოდ ისტორიკოს-ეთნოლოგი, არამედ იმავდროულად მუსიკისმცოდნე. მას უნდა ჰქონდეს, ერთი მხრივ, ეთნოგრაფიული მასალის და, მეორე მხრივ, მუსიკალურ-ფოლკლორული მასალის, მუსიკის ჰარმონიის ღრმა ცოდნა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შინაგანი სმენითი მონაცემი, მუსიკალური მასალის სმენითი აღქმის მაღალი უნარი, რათა გაანალიზებული მასალიდან (მელოდია, კილო, რიტმი, მუსიკალური ფორმა, პოლიფონია, ჰარმონია, ეროვნული მუსიკალური სტილი) მან მაქსიმალურად სწორი დასკვნები გააკეთოს.

თანამედროვე ინტერპრეტაციით, ეთნოლოგია სწავლობს ადამიანს, როგორც სოციალურ მოვლენას, შესწავლის ერთეული მისთვის არის ეთნოსი. საანალიზო მონაცემებს ეთნოლოგია კვლევისა და შედარებისათვის იღებს ეთნოგრაფიისაგან. ეთნოლოგია წარმოადგენს მეცნიერების განზოგადების ფაზას და განიხილავს განვითარების საერთო კანონზომიერებებს, რომლებიც დამახასიათებელია ზოგადი კულტურისათვის. არსებობს კულტურულ-ისტორიული ტიპი, რომელიც წარმოადგენს ყოველი კულტურის სპეციფიკურ სახეს. ამ კულტურათა წარმოშობას, განვითარებას და ურთიერთობას ეთნოლოგია სწავლობს. ეთნოლოგია კულტურას შეისწავლის როგორც სოციალურ სისტემას საზოგადოების პრაქტიკასა და აზროვნებაში, რომელიც თავის თავში შეიცავს მატერიალურ, სოციალურ, სულიერ და ყოფით ასპექტებს [13: 47-48].

მუსიკალური ეთნოლოგია ანუ ეთნომუსიკოლოგია ეთნოლოგიისა და მუსიკისმცოდნეობის სამეცნიერო დარგია, რომელიც ემსახურება ეთნოსის (ხალხის) მეცნიერულ შესწავლას. იგი წარმოადგენს ეთნოლოგიის და მუსიკალური ფოლკლორის სინთეზს. მუსიკალური ეთნოლოგია ხალხურ მუსიკას

შეისწავლის ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტით. მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალა გამოყენებულია როგორც ისტორიული წყარო ხალხის ყოფისა და კულტურის, ეთნიკური ისტორიის, ეთნოგენეზის, ხალხთა მიგრაციებისა და ინტეგრაციის, განსახლების, თანამედროვე ეთნიკური პროცესების კვლევისათვის. მუსიკალურ-ეთნოლოგიურ მონაცემებს გარკვეული წვლილი შეაქვს ეთნოსის კულტურულ-ისტორიული ტიპის განსაზღვრაში, ზოგადკულტურული მემკვიდრეობის კანონზომიერებათა დადგენაში. მუსიკალური ეთნოლოგიის კვლევის ამოცანებია ხალხური მუსიკის, როგორც ყოფის ორგანული ნაწილის, ერთი მხრივ, კულტურულ-ყოფითი და მეორე მხრივ, ეთნიკური ფუნქციების გამოვლენა, ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკური პრობლემები. მუსიკალური ეთნოლოგიის საკითხები შეისწავლება კომპლექსურად, მატერიალურ, სოციალურ და სულიერ კულტურასთან ერთობლიობაში, კომპლექსურ-ინტენსიური და ისტორიულ-შედარებითი მეთოდებით.

წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. ბაღაშვილი. ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკის სათავეებთან, ავტორეფერატი, თბ., 2005.
2. თ. გაბისონია, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები, ავტორეფერატი, თბ., 2009.
3. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978.
4. Земцовский И., Мелодика календарных песен, Ленинград, 1975.
5. Земцовский И., Музыка и этногенез (исследовательские предпосылки, задачи, пути). Советская этнография. Москва, 1988.
6. Zemtsovsky I. I., Polyphony as a way of creating and thinking. The musical identity of homo polyphonicus. The First International Symposium on Traditional Polyphony. Tbilisi, State Conservatoire, 2002.
7. Мазель Л., О мелодии, Москва-Ленинград, 1952.
8. Маисурадзе Н., Проблемы генезиса, становления и развития грузинской народной музыки. Автореферат. Тбилиси, 1983.
9. ნ. მაისურაძე, კვლევის ფართო პერსპექტივა, ხალხური მუსიკის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტი, გაზ. „თბილისი", 25 მაისი, 1985.
10. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989.
11. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და ეროვნული ცნობიერება. ანალები, №6, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2010.
12. ნ. მაისურაძე, იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების წესახებ, ანალები, №7, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2011.
13. ლ. მელიქიშვილი, ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000.
14. Пакашидзе К., Музыкальная культура горцев Западной Грузии (по мазыкально-

этнографическим материалам Рачи). Автореферат. Ереван. 1987.

15. Петриашвили А., Музыкальная культура предгорья Восточной Грузии, Автореферат, Тбилиси. 1990.
16. გ. სულაბერიძე, ქართული მუსიკა ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით („ქართლის ცხოვრება"), ავტორეფერატი, თბილისი, 1993.
17. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
18. მ. შილაკაძე, მუსიკალური ეთნოგრაფიის საგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, XVI-XVII, 1972.
19. მ. შილაკაძე, ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი, თბილისი, 2007.
20. Чистов К., Этническая общность, этническое сознание и некоторые проблемы духовной культуры. Советская этнография. Москва, 1972. №3.
21. გ. ჩიტაია, შესავალი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, თბილისი, 1980.
22. გ. ჩიტაია, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია (1930-1968). იხ. გ. ჩიტაია, შრომები, თბილისი, 2001.
23. ს. ჭანტურიშვილი, ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ისტორიიდან, დისერტაცია, 1971.
24. ს. ჭანტურიშვილი, ეთნოლოგია, თბილისი, 1993.
25. Читанава К., Музыкальная культура равнинного населения Западной Грузии (по музыкально-этнографическим материалам Самегрело). Автореферат. Ереван. 1987.
26. ე. ჭოხონელიძე, ქართული ხალხური სიმღერის კილოური საფუძვლების შესახებ. სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი, 1983.
27. ხარძიანი მ., ნადირობის თემა სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში, დისერტაცია, თბილისი, 2009.
28. Хашба И., Абхазские народные музыкальные инструменты. Сухуми. 1967.
29. Хашба М., Народная музыка абхазов и ее кавказские параллели (по музыкально-этнографическим материалам). Автореферат. 1991.
30. ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

NINO MAISURADZE

HISTORIC AND ETHNOLOGIC ASPECTS OF THE FOLK MUSIC (MUSICAL ETHNOLOGY / ETHNOMUSICOLOGY)

Summary

Musical Ethnology or Ethnomusicology is a scientific discipline of Ethnology and Musicology, which studies people (Ethnos, ethnic group)scientifically. It is a synthesis of Ethnology and Musical folklore. Musical Ethnology studies music from the historical and Ethnological aspects. Musical – ethnographic material is used as a historical source for studding every-day life and culture of people, ethnic history, ethnogenesis, migrations and integration of peoples, their resettlement, modern ethnoprocesses. Musical and Ethnological data contribute in determining the cultural - historic type of people, ethnic group, establishing of general cultural heritage patterns. The task of the Musical Ethnology studies, from the one hand, is to reveal people's culture and every-day life and on the other hand, ethnical functions of the folk music as an integral part of people's every-day life; to reveal ethnocultural and ethnogenetic problems. The issues of the Musical Ethnology are studied in a complex together with material, social and spiritual culture with the help of complex-intensive and historical-comparative methods.

Н. МАИСУРАДЗЕ

ИСТОРИКО-ЭТНОЛОГИЧЕСКИЙ АСПЕКТ НАРОДНОЙ МУЗЫКИ (МУЗЫКАЛЬНАЯ ЭТНОЛОГИЯ//ЭТНОМУЗЫКОЛОГИЯ)

Резюме

Музыкальная этнология или этномузыкология – научная дисциплина этнологии и музыкознания, которая служит научному изучению этноса (народа). Она является синтезом этнологии и музыкального фолклора. Музыкальная этнология изучает народную музыку в историко-этнологическом аспекте.Музыкально-этнографический материал используется как исторический источник для изучения быта и культуры этноса, этнической истории, этногенеза, миграции и интеграции народов, расселения, современных этнических процессов. Музыкально-этнологические данные вносят свой вклад в определении культурно-исторического типа, в установлении закономерностей общекультурного наследия. Задачами исследования музыкальной этнологии являются выявление, с одной стороны, культурно-бытовой, а с другой - этнической функций народной музыки, этнокультурные и этногенетические проблемы. Вопросы музыкальной этнологии изучаются комплексно, в совокупности материальной, социальной и духовной культуры, комплексно-интенсивным и культурно-историческим методами.

გიორგი ანდრიაძე

უმცირესობების სტატუსის განსაზღვრა საერთაშორისო სამართალში და ქართული რეალიები

უმცირესობათა დაცვის პრობლემა საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხთაგანია. სწორედ უმცირესობების დაცვაზე ზრუნვამ შეასრულა გადამწყვეტი როლი ადამიანის უფლებების დაცვის მთელი სისტემის ჩამოყალიბებაში იმ სახით, რომლითაც ის დღეს გვევლინება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში.

უმცირესობების პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მე-XX საუკუნეში შეიძინა და ასეთ აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს. ისტორიულად, უმცირესობათა უფლებების დაცვის საერთაშორისო პრაქტიკა, ძირითადად ევროპის სახელმწიფოებს უკავშირდებოდა და რელიგიური მოტივებით ხასიათდებოდა.

უმცირესობათა დაცვის პირველი მცდელობა მე-XVII საუკუნეში განხორციელდა. ერთ-ერთ ყველაზე მნრიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებად იქცა 1648 წლის ვესტფალის სამშვიდობო ზავი, რომელიც რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს იცავდა. ამ ზავმა ბოლო მოუღო 1618-1648 წლების რელიგიურ ომს ევროპაში.

უმცირესობათა პრობლემები და მათი საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა მსჯელობის საგნად იქცა ასევე 1815 წლის ვენის კონგრესზე. თუმცა კონგრესის წევრ სახელმწიფოებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ და უმცირესობათა დაცვა ნაკლებად აინტერესებდათ; მაგრამ ის გარემოება, რომ უმცირესობის პრობლემები ვენის კონგრესის გენერალური აქტის ნორმებში აისახა, იმაზე მიუთითებს, რომ უმცირესობათა პრობლემების სამართლებრივ და პოლიტიკურ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა.

1919-1939 წლებში ერთა ლიგის პერიოდში, ევროპული ქვეყნებისთვის პოლიტიკური მიზნების მისაღწევ იარაღად იქცა უმცირესობათა დაცვის პრობლემების წინ წამოწევა. 1919 წელს, ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე, ერთა ლიგის დამფუძნებლებმა შექმნეს საგანგებო კომიტეტი ახალი სახელმწიფოებისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების განსახილველად. „უმცირესობათა უფლებების ტრაქტატები“, რომლებიც საფუძვლად დაედო ერთა ლიგაში უმცირესობების დაცვის სისტემას, როგორც წესი, შეიცავდა დებულებებს, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციას ცნობდნენ უზენაეს

დამკვირვებლად და სახელმწიფოების მიერ უმცირესობათა მიმართ თავიანთ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების გარანტად.

სახელმწიფოთაშორისი ორგანოს კონტროლი საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვასა და შესრულებაზე უმცირესობათა უფლებების გარანტირების სისტემაში ახალ ელემენტად იქცა.

1919 წელს დაიდო ხელშეკრულებები, რომლებიც საგანგებოდ მიეძღვნა ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებს. ეს ხელშეკრულებები, რომლებსაც „ერთა ლიგის ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სისტემა“ ეწოდა, ძირითადად, ეხებოდა ახლადშექმნილ სახელმწიფოებსა და ასევე, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ სახელმწიფოებში მცხოვრებ უმცირესობათა მდგომარეობას ანუ ამ ხელშეკრულებებს უნივერსალური ხასიათი არ ჰქონია.

უმცირესობათა დაცვის პროცესის მეორე ეტაპს უკავშირებენ მეორე მსოფლიო ომის დასრულების პერიოდს, გაეროს დაარსებისა და კოლონიური სისტემის დაშლის ეპოქას. ამ პერიოდში ჩნდება თვითგამორკვევის ცნების უფრო ფართო გაგება და მასთან დაკავშირებული პოლიტიკურ-სამართლებრივ ამოცანათა კომპლექსი. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა გაეროს პირველი უნივერსალური ხელშეკრულებები ადამიანის და უმცირესობათა დაცვის უფლებების სფეროში. უპირველეს ყოვლისა, მათ რიცხვს მიეკუთვნება 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და 1966 წლის ორი საერთაშორისო ფაქტი ადამიანის უფლებების შესახებ.

მესამე ეტაპი – ესაა ამ საკითხების თანამედროვე მდგომარეობა. უმცირესობათა დაცვის სისტემა მიმდინარე ეტაპზე ემთხვევა 1990-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში გარდაქმნათა დაწყებას.

მე-20 საუკუნის ბოლო წლებში ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო დამატებითი ზომების მიღება, რათა მომხდარიყო უმცირესობების წარმომადგენელთა უფრო ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა დისკრიმინაციისგან და მათი თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა. ამასთან დაკავშირებით, მოხდა უმცირესობათა საგანგებო უფლებების ფორმულირება და მიიღეს დამატებითი ზომები, რომლებმაც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებში განამტკიცა ნორმები აკრძალვის შესახებ.

როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია გვიჩვენებს, ზოგადად ადამიანისა და მათ შორის, უმცირესობის უფლებებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება ძირს უთხრის ქვეყნის შიდა სტაბილურობას და უარყოფითად აისახება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებზე, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. „უმცირესობათა“ პრობლემა დღეს უკვე აღარ არის სახელმწიფოს მხოლოდ შიდა საქმე; ის საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ზრუნვის საგანი გახდა.

უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო სისტემა მოიცავს დისკრიმინაციის დაუშვებლობას და უმცირესობათა თვითმყოფადობის დაცვას, რაც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა 2001 წლის დურბანის დეკლარაციით. საერთაშორისო სამართალი, უპირველეს ყოვლისა, იცავს უმცირესობათა ისეთ

უფლებებს, როგორიცაა ფიზიკური არსებობის უფლება; ამ სისტემისთვის ყოვლად დაუშვებელია უმცირესობებისთვის: კანონის წინაშე თანასწორობის დარღვევა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდვები, ასიმილაციის სახელმწიფო პოლიტიკა, ენობრივი უფლებებისა და განათლების უფლების დაუცველობა, უფლებების შეზღუდვები ინფორმაციის სფეროში და უმცირესობის წარმომადგენლებისთვის სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებთან კონტაქტების შეზღუდვები და სხვა.

გაეროს წესდება [1] განსაზღვრავს „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა." გარდა იმისა, რომ საერთასორისო თანამეგობრობის სამართლებრივ ნორმად იქცა აღიარება იმისა, რომ უმცირესობის დაცვა წარმოადგენს იმ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, რომლის ტერიტორიაზეც ის ცხოვრობს.

დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი უმცირესობათა ეფექტური დაცვისათვის ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში.

უმცირესობების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში პირველ ამოცანად იქცა იმის განსაზღვრა, თუ ვინ არის „უმცირესობა"!

„უმცირესობის" განსაზღვრების შემუშავება ამჟამად არის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა და მეტად მნიშვნელოვანია უმცირესობების ეფექტური დაცვისთვის. 1948 წლის 217(III) რეზოლუციაში (ქვეთავი) გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ „ძნელია მიიღო ერთგვაროვანი გადაწყვეტილება ამ („უმცირესობების" გ.ა.) რთულ საკითხზე, რომელიც ფრთხილ მიდგომას საჭიროებს; ყველა ქვეყანაში, სადაც იგი შეიქმნა, უმალ თავისი განსაკუთრებული ასპექტები შეიძინა" [2].

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განმარტება უმცირესობის შესახებ, ეკუთვნის ფრანჩესკო კაპოტორტის, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1977 წელს, როგორც გაეროს ქვეკომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა. „უმცირესობა" არის მოქალაქეთა საზოგადოება, რომელსაც აქვს არადომინანტური მდგომარეობა ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და რომლის წევრებიც გამოირჩევიან განსხვავებული ეროვნული, რელიგიური, კულტურული თუ ლინგვისტური ნიშნებით, რაც ასხვავებს მათ სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილისაგან; ამ თემის წევრებს ახასიათებს სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ, ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ თვითმყოფადობა, მიზნად ისახავენ ფაქტობრივი და სამართლებრივი თანასწორობის მიღწევას, რაც ასევე გულისხმობს თავიანთი კულტურის, ტრადიციებისა და ენის შენარჩუნებისკენ სწრაფვას [3].

უმცირესობის განსაზღვრის შესახებ არ არსებობს ერთიანი მიდგომა არც საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში და არც ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობაში.

ს. ტომუშატის მოსაზრებით, უმცირესობები არიან „ის ჯგუფები, რომ-

ლებიც იმ დონეზე ათვითცნობიერებენ თავის განსხვავებულობას, რომ თავიდანვე ცდილობენ განსაზღვრონ თავისი მომავალი, ნაწილობრივ მაინც" [4].

თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთაღნიშნული მახასიათებლები არ ნიშნავს ამა თუ იმ ჯგუფის უმცირესობად ავტომატურ აღიარებას. განმასხვავებელი ნიშნების ქონასთან და ერთობლივ ნებასთან ერთად, უმცირესობად აღიარების კიდევ ერთი მთავარი ფაქტორია სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეს საკითხი კი ცალსახად და ერთხმად არის აღიარებული საერთაშორისო სამართალში.

კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტში, ადამიანის განზომილების შესახებ (1990 წ., ეუთო), რომელიც სხვადასხვა უმცირესობებს ეხება, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში განსხვავებული ეროვნული, კულტურული, ენობრივი და რელიგიური ნიშნების მქონე ჯგუფების ცხოვრება თავისთავად არ გულისხმობს უმცირესობათა არსებობის დადასტურებას; ვინაიდან საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ნებისმიერი სახელმწიფო თავად იტოვებს იმის გადაწყვეტის უფლებას, აღიაროს თუ არა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ჯგუფები უცირესობებად. მაშასადამე, უმცირესობები არსებობენ იქ, სადაც მათი არსებობა აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ მცხოვრებ ჯგუფებზე არ ვრცელდება საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და არ ხორციელდება ამის შესაბამისი დაცვა. საერთაშორისო სამართალში უმცირესობების კრიტერიუმებად, როგორც წესი, მიეთითება ეროვნული, რელიგიური, ენობრივი ან კულტურული მახასიათებლები და ასევე სოლიდარობის კრიტერიუმები და უმცირესობის მიერ გამოხატული ერთობლივი ნება [5].

წინამდებარე სტატიაში, ჩვენ გვინდა შევეხოთ ენობრივი უმცირესობების საკითხს და განვიხილოთ მისი საქართველოს რეალობასთან მიმართების რამდენიმე ასპექტი.

სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლების უფლებებთან ერთად, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, სულ უფრო ხშირადაა ჩართული მშობლიური ენისა და კულტურის განვითარების სამართლებრივი უფლებები და გარანტიები.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1992 წლის 18 დეკემბერს მიიღო №47/135 დეკლარაცია „ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების შესახებ."

ცალკე ენობრივი უმცირესობების შესახებ კი 1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭომ მიიღო „ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ."

1999 წელს საქართველომ იკისრა ვალდებულება, შეუერთდეს აღნიშნულ ქარტიას. თუმცა საქართველოს პარლამენტს ამ ქარტიის რატიფიკაცია დღემდე არ განუხორციელებია. ამის შესახებ „სპეციალური სამუშაო მოხსენება" 42 (ივნისი, 2009წ.) მოამზადა უმცირესობების შესახებ ევროპული ცენტრის სპეციალურმა ექსპერტმა ჯონათან უიტლიმ. თავის ვრცელ მოხსენებაში იგი აკრიტიკებს ქართული საზოგადოების მცდარ წარმოდგენებს

და ხელისუფლების უუნარობას „რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ" ევროპული ქარტიის მიუღებლობის გამო. კერძოდ, სპეციალური მომხსენებელი წერს:

„ამ საკითხის პოლიტიკური დელიკატურობა შეიძლება ავხსნათ ქართველების ცნობიერებაში ფსიქოლოგიური კავშირით „ერსა" და „ენას" შორის და ასევე იმით, თუ როგორი შეფასებაა მიცემული მეგრული იდენტობის საკითხისთვის თანამედროვე ისტორიაში. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს შესვლამდე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მე-XIX საუკუნის დასაწყისში, მეგრული ენა გახლდათ ადგილობრივი ენა, რომელზეც მეტყველებდნენ სამეგრელოს მთელი მოსახლეობა (თუ არა, უმრავლესობა მაინც) და ასევე იმ ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც დღეს აფხაზეთი ჰქვია. სალიტერატურო ენა ამ რეგიონებში, რომელზეც მეტყველებდა საეკლესიო ელიტის მცირე კასტა, იყო ქართული".

სხვადასხვა საისტორიო ფაქტებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების ანალიზის შემდეგ ექსპერტი მოხსენების ბოლოს აკეთებს ასეთ დასკვნას:

„მე-7 მუხლში აღწერილია რეგიონული ან უმცირესობათა ენების განვითარებისთვის ხელის შეწყობის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც წარმოადგენს სასარგებლო ინსტრუმენტს გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი ენების დასაცავად. მსგავსი მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ ასევე მეგრული, სვანური, და ლაზური ენების დაცვისთვის."

უპირველეს ყოვლისა, გვინდა შევნიშნოთ, რომ „ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ" უფლებას აძლევს ყველა სახელმწიფოს, თავად დაადგინოს უმცირესობათა ენების სტატუსი და ჩამონათვალი, ხოლო უმცირესობის განმსაზღვრელი უმთავრესი კრიტერიუმი (გარეგნულად დამახასიათებელ ფაქტორებთან ერთად) არის ჯგუფის სუბიექტური ნება-სურვილი, თავი შერაცხოს უმცირესობად, რაც ეფუძნება საკუთარ წარმოდგენას თავის თავსად და თავის ინტერესებზე, როდესაც ჯგუფს განზრახული აქვს შეინარჩუნოს თავისი თვითმყოფადობა, კულტურა, ტრადიციები, რელიგია ან ენა.

ამა თუ იმ უმცირესობისადმი მიკუთვნების საქმე პიროვნებისათვის არის მისი პირადი არჩევანი. „უმცირესობებისათვის" განკუთვნილი უფლებების გამოყენება ან არგამოყენება არ იწვევს რაიმე არასასიკეთო შედეგებს უმცირესობას მიკუთვნებული არც ერთი წევრისთვის" – აცხადებს გაეროს დეკლარაცია [6].

შეიძლება ადამიანი გარეგნული ნიშნებით ატარებდეს უმცირესობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს: კანის ფერს, ენას, რელიგიას, მაგრამ ის თავს არ მიაკუთვნებდეს ამა თუ იმ უმცირესობას. ამის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ბრიტანეთის შავკანიანი მოქალაქე შეიძლება თავს მოიაზრებდეს ინგლისელად, საფრანგეთის მოქალაქე „ფორმალურ" მუსულმანად, არაბი კი – ფრანგად.

ეს მაგალითები უფრო თვალსაჩინოა საქართველოს რეალობაში, სადაც

მრავალსაუკნოვანი ტოლერანტული, მრავალფეროვანი ეთნო-კულტურული გარემოა, მაგალითად, შეიძლება მრავალი სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქე, რომელიც ყველა ნიშნით (ეთნიკურ-ენობრივ-რელიგიური) უმცირესობისთვის დამახასიათებელ ელემენტებს ატარებს — თავს მოიაზრებდეს ქართველად, თუმცა ინარჩუნებს საკუთარ ენას, მაგრამ საკუთარ შვილებს ატარებს ქართულ სკოლაში, მაშინ როდესაც შეუძლია ისინი სომხურ სკოლაში წაიყვანოს. ფორმალურად რჩება სომხური ეკლესიის წევრი, მაგრამ თავს არ მიიჩნევს რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლად.

განვიხილოთ სხვა მაგალითი საქართველოს რეალობიდან. შესაძლებელია, ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ეთნიკური ჯგუფის წევრები თავს მიაკუთვნებდნენ განსხვავებულ ეთნო-კულტურულ სივრცეებს. მაგალითად, თურქი-მესხების ერთი ნაწილი თავს მიიჩნევს ქართველად, ხოლო მეორე ნაწილი – თურქად, თუმცა ორივე მათგანს „უმცირესობების" ერთი და იგივე მახასიათებლები გააჩნია. ამავდროულად ეს მაგალითი მოწმობს იმასაც, რომ ენობრივი უმცირესობებისადმი კუთვნილება ავტომატურად არ ნიშნავს მის განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფად აღიარებას. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში თურქულ ენაზე ლაპარაკი არ ნიშნავს ამ ჯგუფის უპირობოდ თურქულ ეროვნულ უმცირესობად მიჩნევას.

სალაპარაკო ენასა და ეთნიკურ კუთვნილებას შორის კავშირის შესახებ ძალიან საინტერესო მაგალითები მოჰყავს თავის მოხსენებაში ბატონ ჯ. უიტლის:

„ფორმალურად რომ ვთქვათ, „რეგიონული ენა" არ არის ქარტიის ჩარჩოებში არსებული ცალკე ტერმინი: იგი არ შეიძლება გამოვყოთ „განუყოფელი ტერმინისაგან" – რეგიონული ან უმცირესობათა ენა". „რეგიონული ენა" არ ატარებს იმ შინააარსს, რომ ის გამოვიყენოთ - „დიალექტური ნახევრადენის" მნიშვნელობით. (ანუ როგორც შუალედური მოვლენა ენასა და დიალექტს შორის, გ.ა.) მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ნევრ ქვეყანაში, როგორიცაა, მაგალითად, გერმანია, ნიდერლანდები და პოლონეთი, მათ სწორედ ისეთად განიხილავენ და ამ ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება, დაიცვან ისეთი ენები, რომელთა მატარებლებიც არ მიაკუთვნებენ თავს ეროვნულ უმცირესობებს.

არსებობს ადგილობრივი ენების მრავალი მაგალითი, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დაშორებულები „საწყის ენას", მაგრამ ამავე დროს მათ დიალექტებად მიიჩნევენ (აქ შეიძლება მოვიხმოთ იტალიური „დიალექტების" მაგალითი, როგორიცაა ნეაპოლიტანური)... დიალექტები ხშირად აღიარებულია ენებად, თუკი მათზე იბეჭდება პუბლიკაციები და ითვლება, როგორც სალიტერატურო ენა" [7].

აქვე მხსენებელს მოჰყავს გერმანიის მაგალითი, სადაც ქვემოგერმანული დიალექტი, რომელიც მე-16 საუკუნემდე სამწერლობო ენა იყო, სახელმწიფოს ქარტიის მოქმედების არეალში ჰყავს შეყვანილი, ხოლო ბავარიული დიალექტი კი ამ სტატუსით არ აქვს აღიარებული. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ განსხვავებულ ენაზე საუბარი ყოველთვის არ ნიშნავს განსხვავებულ ეთნოსისადმი კუთვნილებას და მათ შორის, არც „უმცირესობად" ოფიციალურ

აღიარებას. ზემოაღნიშნული მაგალითები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ენობრივ უმცირესობად ცნობის შესახებ მკაფიო, ერთიანი სტანდარტები არ გააჩნია. თუმცა გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრინციპი, რომ ადამიანის და ადანიანთა ჯგუფის ეთნიკურ-კულტურული, რელიგიური და ენობრივი უფლებები არ უნდა შეილახოს.

საერთაშორისო სამართალში პასუხგასაცემია ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა – რა კავშირშია სალაპარაკო ენა ეთნიკურ კუთვნილებასთან? ნიშნავს თუ არა განსხვავებულ ენაზე მეტყველება ეთნიკურ უმცირესობისადმი კუთვნილებას?

ჩვენი აზრით, ენობრივი უმცირესობა შეიძლება ამავე დროს არ იყოს ეთნიკური უმცირესობა და განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფი, თვითიდენტიფიცირებას ახდენდეს, არა როგორც ცალკე ეთნიკური ჯგუფი, არამედ როგორც გარკვეული ეროვნობის ბუნებრივად შემადგენელი ნაწილი. ამის საფუძველი შეიძლება იყოს, როგორც საერთო ეთნიკური წარმომავლობა, ისე საერთო სოციალურ-რელიგიურ-კულტურული გარემო. ამის მაგალითია ქართველი ერი, რომელიც შედგება მეგრულ, ლაზურ, სვანურ ენაზე და სხვადასხვა ქართულ დიალექტებზე მოლაპარაკე სუბეთნიკური ჯგუფებისაგან, რომლებიც მთელი თავისი ისტორიის (საუკუნეების) მანძილზე თავს აღიქვამენ ერთიან ეროვნებად. განსხავებით საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან – აფხაზები, ოსები და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა „ნოვა-თუშების" საკითხი, რომელთა სასაუბრო ენაც ვაინახურის დიალექტია, მაგრამ ისინი თვითიდენტიფიცირებას არა ვაინახებთან, არამედ ქართველებთან აკეთებენ.

პოლიტიკური და სოციალური-რელიგიურ-კულტურული გარემო ანუ საერთო მახასიათებელი ფაქტორი თითქმის ერთნაირია როგორც მეგრელების, ლაზების და სვანებისათვის, ისე საქართველოში მცხოვრები აფხაზებისა და ოსებისათვის. ყველა ისინი, ერთ სახელმწიფოში ცხოვრობენ და დაახლოებით ერთნაირი სოციალურ-რელიგიურ-კულტურული გარემო გააჩნიათ. ყველა მათგანს განმასხვავებელი ფაქტორიც ერთნაირი აქვს – სამეტყველო ენა – თითოეულს საკუთარი გააჩნია, ანუ ამ სებუთნიკური ჯგუფებისათვის ზოგად ქართულ სამყაროსთან დამაახლოებელი ფაქტორიც და განმასხვავებელი ფაქტორიც ერთნაირია. მიუხედავად ამისა, პირველი სამი, თავს ქართველი ერის ბუნებრივ ნაწილად მოიაზრებს, ხოლო უკანასკნელი ორი, თვითიდენტიფიცირებას დამოუკიდებელ (და ზოგ შემთხვევაში ქართველებთან დაპირისპირებულ) ეთნიკურ ჯგუფადაც აკეთებს.

ისტორიული გადასახედიდანაც მეგრელის, ლაზისა თუ სვანისათვის, ქართული კულტურა (ანბანი, ეკლესია და სხვა) ბუნებრივი და საკუთარია, ვინაიდან თვითონვეა მისი მთავარი თანაშემომქმედი. აფხაზისათვის და ოსისათვის კი იგი მართალია ახლო მეზობლის, მაგრამ მაინც „სხვისი" კულტურაა.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნულ სუბეთნიკურ ჯგუფებს შორის განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ერთ შემთხვევაში

საქმე გვაქვს სუბეთნიკური ჯგუფების საერთო წარმომავლობასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს ფაქტორი არ არსებობს. ამის შესახებ საინტერესო სურათს გვაძლევს თანამედროვე ეთნოგენეტიკური კვლევები. ქართველი ერის შემადგენელი სუბეთნიკური ჯგუფების ქრომოსომის ანალიზი მეტყველებს მათ საერთო წარმომავლობაზე. აქ ნათლად ჩანს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთი და იმავე ჰაპლოჯგუფების (G2 და J2) ერთნაირი პროცენტობით დომინანტობა, ანუ ქართველი ერის შემადგენელ (ლაზურ-მეგრულ-სვანურ) ენობრივ ჯგუფებს არ გააჩნიათ საკუთარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ჰაპლოჯგუფები (წარმომავლობა), რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არიან სხვადასხვა წარმოშობის სუბეთნიკური ჯგუფები, რომლებიც შემდგომ, სოციალურ-პოლიტიკური გარემოებების გამო გაერთიანდნენ ერთ ერად, არამედ ისტორიული პროცესების შედეგად ადგილი ჰქონდა გენეტიკურად ერთი, წინარექართული (პირობითად „ქალდური") ეთნოსის შემადგენელი სუბეთნიკური ჯგუფების სხვადასხვა, მონათესავე ენებზე ამეტყველებას.

ამდენად, ქართველი ერის შემთხვევაში სახეზე გვაქვს საერთო გენეტიკური წარმომავლობის ნათელი სურათი, რაც განაპირობებს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სუბეთნიკური ჯგუფების (ლაზ-მეგრელ-სვანების) თვითიდენტიფიცირებას სრულფასოვან ქართველებად. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ისტორიული რეალობა, რომ ოთხასწლიანი (1466-1810) სუვერენული პოლიტიკური გაერთიანების პირობებში, ოდიშისა და სვანეთის სამთავროებში არ ჩამოყალიბდა „სვანური" და „მეგრული" დამწერლობა და ეკლესია, არამედ განვითარდა ზოგად ქართული კულტურა. ეს იყო ამ სუბეთნიკური ჯგუფების თავისუფალი არჩევანის შედეგი.

მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, სამეგრელოსა და სვანეთში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო აპარატის მიერ მეგრული და სვანური იდენტობის გამოყოფას ზოგად ქართულისაგან. იმპერიის მესვეურთა მიერ განხორციელდა მეგრელებისა და სვანების კლასიფიცირება ცალკე ეთნოსად. ასევე დაიგეგმა მეგრული და სვანური ენების დანერგვა სკოლებსა და საეკლესიო მსახურებაში. ყოველივე ამას ადგილობრივი მოსახლეობის მძაფრი საპროტესტო რეაქცია მოჰყვა, რის შედეგადაც მძლავრი საიმპერიო მანქანის მხარდაჭერილი პროექტი ჩაიშალა.

ეს პროცესები გაგრძელდა საბჭოთა კავშირის პერიოდშიც. კომუნისტური იმპერიული მანქანა ორი ათეული წელი ცდილობდა მეგრელ-სვანებში არაქართული თვითშეგნების განვითარებას. 1926 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის დროს, მეგრელების, სვანების, ლაზებისა და აჭარლების კლასიფიცირება მოხდა, როგორც ქართველებისგან განსხვავებული ცალკე ერების.

იმავე პერიოდში, 30-იან წლებამდე, დაარსდა მეგრულენოვანი ბეჭდვითი ორგანო, ადგილობრივ მოსახლეობაში კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის გავრცელების მიზნით, თუმცა ყოველივე ამან შედეგი ვერ გამოიღო და უკვე ახალი აღწერის ჩატარების პერიოდისათვის, 1939 წელს, მეგრელების კლასიფიცირება კვლავ ქართველებად მოხდა და მეგრულენოვანმა ბეჭდვითმა

ორგანომ არსებობა შეწყვიტა.

აღნიშნულ საკითხს უკავშირდება კიდევ ერთი მოვლენა უახლოესი წარსულიდან. აფხაზეთის ომის შემდეგ, აფხაზეთმა მოიპოვა დე-ფაქტო დამოუკიდებლობა და დაახლოებით 250.000 ქართველი აფხაზეთის ტერიტორიიდან გააძევა. აფხაზურმა მხარემ სცადა მეგრული ენის პოპულარიზაცია და გალის რაიონში გამოსცა რუსულ-აფახაზურ-მეგრული გაზეთი. ასევე დაიწყო გადაცემები მეგრულ ენაზე. სკოლებში შეიზღუდა ქართული ენის სწავლება. უეჭველია, რომ ამ ქმედების მიზანი იყო გალის რაიონში დარჩენილი ქართველებისათვის ხელის შეწყობა იმის გაცნობიერებაში, რომ მათ თავი მეგრელებად და არა ქართველებად მიეჩნიათ. აფხაზების ხელში დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობა ყოველმხრივ წახალისებული და მხარდაჭერილი იყო იმ შემთხვევაში, თუ ის თვითიდენტიფიცირებას მოახდენდა, როგორც მეგრელი და არა ქართველი. საპირისპირო შემთხვევაში, ასეთი პიროვნება არაკეთილსაიმედოდ მიიჩნეოდა და ყოველგვარი ხელისშემშლელი პრობლემები შეიძლებოდა შექმნოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ასეთმა პოლიტიკამ შედეგი ვერ გამოიღო და დღემდე გალის რაიონის მოსახლეობა, არაქართულ ეთნიკურ ჯგუფად არ ჩამოყალიბდა.

როგორც ვხედავთ, ზემოჩამოთვლილ ისტორიულ მაგალითებში სახეზე გვქონდა ლაზურ-მეგრულ-სვანურ ენობრივ უმცირესობებზე გარე, დაინტერესებული ძალის პოლიტიკური ზემოქმედების ფაქტორი, რამაც შესაბამისი შედეგი ვერ გამოიღო. ამ ფაქტის საპირწონედ აფხაზური და რუსური სუბეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა სრულიად საპირისპირო მოვლენას, რის შედეგადაც აღნიშნული ჯგუფები, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ჩამოყალიბდნენ.

ამდენად, როგორც ზემოჩამოთვლილი ისტორიული ფაქტები მოწმობენ, საქართველოს რეალობაში (ლაზურ-მეგრულ-სვანურ ენებთან დაკავშირებით) თუმცა სახეზე გვაქვს „უმცირესობად" მიჩნევის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი — ენა, მაგრამ ასევე არსებობს მკაფიოდ გამოხატული უმცირესობის ერთობლივი ნება და სოლიდარობის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ისინი თავს „უმცირესობად" არ მიიჩნევენ. ამ სუბეთნიკურ ჯგუფებში საუკუნეების მანძილზე არის ჩამოყალიბებული ეთნოფსიქიკა, რომელიც მათ ზოგად ქართული ეროვნული ორგანიზმის ბუნებრივად შემადგენელ ნაწილად აქცევს. ამ შემთხვევაში, განსხვავებულ ენებზე მეტყველება არ წარმოადგენს განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებად და საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრულ უმცირესობად აღიარების მახასიათებელს.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, უმცირესობის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმი არის ჯგუფის სუბიექტური ნება-სურვილი, თავი შეერაცხოს უმცირესობად, რაც ეფუძნება საკუთარ წარმოდგენას თავის თავსა და თავის ინტერესებზე. მაშასადამე, ამ საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, ლაზურ-მეგრულ-სვანურ ენებზე მეტყველება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ამ სუბეთნიკური ჯგუფების უმცირესობად აღიარების კრიტერიუმად.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უმცირესობების სტატუსის განსაზღვრისათვის უმთავრეს და გადამწყვეტ ფაქტორად მიჩნეულ უნდა იქნას პიროვნებათა ჯგუფის არჩევანი. პიროვნება და პიროვნებების ჯგუფი თვითონ წყვეტენ, მიეკუთვნებიან თუ არა ამა თუ იმ (ეთნიკურ, ენობრივ და რელიგიური) უმცირესობას.

ისმის კითხვა, ხომ არ ემუქრება საფრთხე იმ ენებს, რომლებიც ქარტიის მოქმედების სფეროში ვერ მოხვდებიან? იცავს თუ არა რომელიმე საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი ასეთ ენებს?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის მიერ მომზადებული გამოცემა სათაურით: – „ნაციონალური სტრატეგიების შემუშავება უმცირესობების პრობლემებისათვის". – ეს არის ერთგვარი სახელმძღვანელო უმცირესობების უფლებების შესახებ. ვრცელ ნაშრომში განხილულია უმცირესობების უფლებების დაცვის სხვადასხვა ასპექტები. ჩვენი თემისათვის საინტერესოა (გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის) საერთო რეკომენდაცია №32 (2009), სადაც აღნიშნულია, რომ უმცირესობათა დაცვის „განსაკუთრებული საშუალებები" არ უნდა ავურიოთ „კონკრეტულ უფლებებში", რომლებიც ეკუთვნიან განსაზღვრულ კატეგორიებს, მაგალითად უმცირესობებს, რათა მათ გამოიყენონ თავისი კულტურა, ენა, თავისუფლად აღასრულონ თავისი საკულტო მსახურება. ასეთი უფლებები მიეკუთვნება მუდმივ უფლებებს, რომლებიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებით [8].

ამდენად, ქარტიის მოქმედება წარმოადგენს „განსაკუთრებულ საშუალებას", რომელთაც განსაკუთრებული საფრთხეები ემუქრებათ, თვითგანადგურების ჩათვლით. ამის პარალელურად, არსებობენ უმცირესობას მიკუთვნებული *ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფები, რომელნიც დაცვის ასეთ „განსაკუთრებულ საშუალებებს" არ საჭიროებენ. მათზე ვრცელდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმები.*

ყველა ადამიანის უფლება, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი კულტურის, რწმენისა და ენის გამოყენებასთან, დაცულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით და იგი წარმოადგენს „მუდმივ უფლებას", რომლის შეზღუდვა და აკრძალვა ყოელად დაუშვებელია [9].

წყაროები და ლიტერატურა:

1. „გაეროს" წესდება; მუხლი 55 (გ).
2. „გაეროს 1948 (10.XII) წლის 217 (III) C რეზოლუცია, 183 პლენარული სხდომა.
3. ფ. კაპოტორტი; „კვლევა ეტნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობის ნარმომადგენელ პირთა უფლებებისთვის", 1977წ.

4. Tomushat C. Status of Minorities under Article 27 of the International Covenant on Civil and Political Rights//Minorities in National and International Laws. New Dehli. 1985. P. 960.
5. „ეუთო"-ს კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი ადამიანის განზომილების შესახებ (1990წ.) თავი IV.
6. გაეროს 1992 წლის 18 დეკემბრის №47/135 დეკლარაცია – „ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობების უფლებების შესახებ". სტატია 3,2.
7. Джонатан Уитли: Рабочий доклад ECMI №42 Июнь 2009г. Грузия и Европейская хартия региональных языков или языков меньшинств; ЕВРОПЕИСКИЙ ЦЕНТР ПО ВОПРОСАМ МЕНЬШИНСТВ (ECMI). СТ. 14-15.
8. Права Меньшинств. Международные и руководство по их соблюдению. СТ.11.
9. „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" გაეროს 1966 წლის კონვენცია.

GIORGI ANDRIADZE

THE STATUS OF MINORITY IN INTERNATIONAL LAW AND GEORGIAN REALITIES

Summary

Protection of Minority is one of the most actuarial cases in the international law.

Develop a definition of "Minority" is main problem in international law and it is very important for the effective protection of minorities.

There is no same approach to the determination of the minority not the doctrine of international law, nor the law of individual countries.

The "European Charter for Regional or Minority Languages" allows all states to identify minority status and list them themselves.

According to international law the most important marker of defining minority (along with the appearance of the characteristic factors) is the community's subjective will to be consider itself as minority, based on its self-estimation and its interests, Hence, issuing from international standards, speaking (Laz-Megrelian and Svan) languages can't be treated as a minority marker, as these sub-ethnic groups for centuries have formed ethno psychics which automatically makes them a natural part of whole united Georgian nation and they don't consider themselves as minority.

In conclusion, because of all of the above-mentioned features, we think that the most important and decisive factor in defining minority status should be choice of the group. The person and the groups decide whether or not to belong to any of the (ethnic, linguistic and religious) minorities.

Г. Т. АНДРИАДЗЕ

ОПРЕДЕЛЕНИЕ СТАТУСА МЕНЬШИНСТВ В МЕЖДУНАРОДНОМ ПРАВЕ И ГРУЗИНСКИЕ РЕАЛИИ

Резюме

Защита меньшинств является одним из актуальных вопросов международного права.

Разработка определения понятия «меньшинства» в настоящее время является одной из главнейших проблем международного права и является весьма существенным для эффективной защиты меньшинств.

В определении понятия меньшинства не существует единого подхода ни в доктрине международного права, ни в законодательстве отдельных государств.

«Европейская хартия региональных языков или языков меньшинств» позволяет всем государствам самим постановлять статус языков меньшинств и их перечень.

Основным критерием для определения меньшинства (наряду с внешними характерными факторами) является субъективное волеизъявление группы быть признанным меньшинством, которое основывается на представлении о себе и своих интересах, когда группа намерена сохранить свою самобытность, культуру, традиции, религию или язык.

Исторические факты свидетельствуют, что в грузинской реальности (в контексте с Лазско-Мегрелско-Сванскими языками), несмотря на то, что на лицо имеется один из ключевых факторов признания меньшинством, - язык, однако наряду с этим присутствуют и ясно выраженная совместная воля меньшинства, и критерий солидарности, по которым они сами себя с «меньшинством» не отождествляют. В этих субэтнических группах на протяжении веков сформировалась этнопсихика, которая диктует им, что они являются неотъемлемой составной частью единого грузинского национального организма. В этом случае, различие в языках не является тем фактором, который позволяет признать их отдельной этнической группой и причислить к меньшинству, определяемому нормами международного права.

Таким образом, с учетом всего вышесказанного, на наш взгляд, главнейшим и решающим фактором в определении статуса меньшинства является волеизъявление самой группы лиц. Отдельные лица и группы лиц, сами решают для себя, принадлежат они или нет к тому или иному (этническому, языковому и религиозному) меньшинству.

ნელი ჩაკვეტაძე, ზაზა სხირტლაძე

ახლად აღმოჩენილი რელიეფი მცხეთაში

2013 წლის გაზაფხულზე, მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქვემო ჭალის უბანში, არაგვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის დროს, საფლავის ქვებთან ერთად რელიეფით შემკული ფილა აღმოჩნდა. თბილი ოქრისფერი ქვიშაქვის მოზრდილი (87x65 სმ, სისქე – 20 სმ) კვადრის ქვედა კიდეზე, შუა ნაწილში გამოჭრილი ნახევარწრიული ფოსოს არსებობით ცხადი ხდება, რომ ქვა განიერი (45 სმ) სარკმლის თავსართს წარმოადგენდა. აღმოჩენის შემდეგ იგი მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე გადაიტანეს. ქვის კვადრის გადაადგილებისას მისი ქვედა მარჯვენა კუთხე ჩამოირღვა; მცირედ დაზიანდა ფილის ზედა მარცხენა კუთხეც. ამასთან, გარდა ახალი დაზიანებებისა, რელიეფის ზედაპირი ისედაც საგრძნობლად გალეული და გამოქარულია.

2013 წლის დეკემბერში რელიეფი გადატანილ იქნა სვეტიცხოვლის ეზოში. იგი ამჟამად საპატრიარქო რეზიდენციაში ინახება.

სარკმლის თავსართის ფილას ნახევარწრიული ღიობის ირგვლივ, ორმაგი, დაბალი ლილვებით შექმნილ მოჩარჩოებაში მოქცეული, ფართო გეომეტრიული მოტივი გადაუყვება; იგი იქმნება ერთ მწკრივად გაყოლებული, არათანაბარი ზომის რომბებში უსწორმასწოროდ ჩაწერილი, იმავე ფორმის მკლავებიანი ჯვრებით; ორნამენტული მოტივის ზემოთ, თავსართის ზედა, განიერ სიბრტყეზე, პირობითად მონიშნული ჩარჩოს შიგნით, კიდევ უფრო ღრმად ჩაკვეთილ სიბრტყეზე, ორფიგურიანი კომპოზიცია გამოუსახავთ. იონიური სვეტის მსგავსი დეკორატიული ხეები, რომლებიც ფილის მარჯვენა და მარცხენა კიდეებზეა „ამოზრდილი“, კომპოზიციის პირობით, შვეულ ჩარჩოებად აღიქმება. თითოეული ხის ერთიანი, მსხვილი ტანი ვოლუტის მაგვარი ორ-ორი ლოკონით სრულდება (ტოტების აღმნიშვნელი ასეთივე ხვეული ლოკონი შეინიშნება ხეების ქვედა კიდეებზეც). მესამე ხე სცენის თითქმის შუაშია გამოსახული; მისი შედარებით დაბალი ტანი ეული ვოლუტით ბოლოვდება. ხეების საშუალებით კომპოზიცია შინაარსობრივად გაყოფილია ორ ნაწილად, რითაც სიმბოლურად ნაჩვენებია ორი სხვადასხვა სივრცე – ჟამიერი და ზეჟამიერი.

კომპოზიციის ცენტრს ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული გოლგოთის ჯვარი ნარმოადგენს. ჯვრის არც ერთი მკლავი სრულად არ შემორჩა, თუმცა კი არსებული ფრაგმენტებით და აღნაბეჭდებით ცხადი ხდება, რომ



1. მცხეთა. სარკმლის თავსართი საქტიტორო რელიეფით.

იგი ტოლმკლავა იყო, ამასთან, სადა ფორმები უნდა ჰქონოდა.

ჯვრის მარჯვენივ, ორ ხეს შორის არსებულ მონაკვეთზე, ნახევრად ინახით მჯდომარე ჩვილედი ღმრთისმშობლის ფიგურა გამოუსახავთ. დედაღმრთისას ამგვარი გამოსახვა სარკმლის ნახევარწრიული მოხაზულობის ღიობითა და მისი მიმდებარე დეკორატიული თავსართითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული – თითქოს ორნამენტის კიდე იქმნება ღმრთისმშობლისთვის დასაბრძანებელ „საყდრად“.


დედაღმრთისას ფიგურა მოზრდილი ზომისაა და ხეებს შორის არეს თითქმის მთლიანად ავსებს. სისავსის შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ რელიეფის ზემოდან შემომსაზღვრავი ხაზი შარავანდითაა „გარღვეული“ და, ამდენად, კომპოზიციის ჩარჩოს განაპირა სიბრტყეზე „გატანილი“.

ღმრთისმშობლის თავის მომრგვალებულ ფორმას კიდევ უფრო ხაზგასმულად წარმოაჩენს ლილვივით შემოვლებულ ვიწრო შარავანდში ჩაწერილი სახის ოვალის წრიული მოხაზულობა (თავის გარშემო თავსაბურის რაიმე კვალი არ ჩანს). ჩაკვეთილი ხაზით გადმოცემული თვალის პირობითი ფორმები არათანაბარი ზომისაა. ბოლოში კუთხოვნად დასრულებული, ერთიან ფორმად გადმოცემული, მოკლე ცხვირი ბაგეებამდე ეშვება. პირის აღმნიშვნელი ხაზის ორივე ბოლო ქვემოთკენაა მიმართული – ტუჩების ამგვარად გამოსახვა რამდენადმე კუშტ იერს სძენს ფიგურის გამომეტყველებას. დიდი ზომის თავი მოკლე კისრით უკავშირდება სხეულს, რომელიც თავის ზომასთან მიმართებით შესამჩნევად მცირეა. დაბალ მხრებს პირობითად ებმის ხელები. ხელის მტევნებზე მსხვილ-მსხვილ ნაკვთებად იკითხება თითქმის თანაბარი ზომის თითები; მათგან შედარებით უფრო დიდი ზომის მარცხენა მტევანი მარაოსებურადაა გაშლილი. ამგვარად გადმოცემული ხელის ფორმები რე-

ლიეფის ახლოდან ხილვისას ძალზე შთამბეჭდავია, რადგან მკაფიოდ ასაჩინოებს ფორმათაგანცდის უშუალობას, ერთგვარ „გულუბრყვილობასაც“ კი.

ღმრთისმშობელი გრძელი, კოჭებამდე დაშვებული სამოსით უნდა ყოფილიყო მოსილი; მაფორიონის კალთაზე დრაპირების აღმნიშვნელი, სულ ორად-ორი ჩაკვეთილი ხაზია შემორჩენილი. მომცრო ზომის ფეხები სამოსის ქობის მარჯვენა კიდეშია ნაჩვენები – ორივე ტერფი ერთი მიმართულებით, მარცხნივ, კომპოზიციის ცენტრისკენაა მიმართული.

ღმრთისმშობლის კალთაში მჯდომი, თითქოს დედის ხელებში მოქცეული, ყრმა მაცხოვრის ფიგურის ფორმები ახლა უკვე საგრძნობლად ცრიატია. რელიეფზე შემორჩენილ სხვა გამოსახულებებთან შედარებით, იგი თითქოს ყველაზე მეტადაა ქვის ზედაპირზე „ჩამდნარი“. თავთან შარავანდის კვალი არ შეიმჩნევა. მკრთალად გაირჩევა ქრისტეს სახის წრიული ფორმის ოვალი და თვალის კაკლის აღმნიშვნელი წერტილები. ყრმას ორივე ხელი თითქოს სხეულთან აქვს მიბჯენილი – ამგვარი ჟესტი მაკურთხეველი მარჯვენის რაიმე ხაზგასმას არ უნდა გულისხმობდეს. ფიგურის სამოსის და ქვედა კი-



2. მცხეთა. სარკმლის თაესართი საქტიტორო რელიეფით. სქემა

დურების წაკითხვა ვერ ხერხდება. მაცხოვრის თავის მარჯვნივ, ჩაკვეთილ არეზე შეინიშნება წითელი ფერის, დაახლოებით 1 სმ. სიგრძის ხაზი; თუკი ეს ფერნაცვალი ხავსის კვალი არ არის, მაშინ, შესაძლოა, საღებავისაგან დარჩენილი ლაქა იყოს. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების ისტორიაში მხატვრული ფორმის მეტი გამომსახველობის მისაღწევად მისი დაფერ-ვისთვის საუკუნეების განმავლობაში ხშირად მიუმართავთ (საყოველთაოდაა ცნობილი კაბენის, წირქოლის, ბზას, ფეტობანის, დოლისყანას, ოშკის, იშხანის და არაერთი სხვა მაგალითი) [1: 227, 143-44; 2: 81; 3: 124]. მრავალასწლოვანი ტრადიციის გათვალისწინებით, არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ



3. მცხეთა. სარკმლის თავსართი. ქტიტორი.

მსგავსი მხატვრული ხერხი გამოეყენებინათ მცხეთის რელიეფის შექმნისასაც. ასეთ შემთხვევაში, ყველაზე უფრო მოსალოდნელი იქნებოდა ფიგურის შარავანდის ჩვენება-წარმოჩენა თავის ირგვლივ ფერის დადებით; ფერის გამოყენება იმ მხრივაც იქნებოდა მოსალოდნელი, რომ არე თავის გარშემო, რელიეფური შარავანდის გადმოსაცემად, კომპოზიციის ამ მონაკვეთზე, საკმაოდ მცირეა.

კომპოზიციის მარჯვენა მონაკვეთზე გამოსახულ, მდგომარე მამაკაცს ორივე ხელი ცენტრალურ არეზე გამოსახული ჯვრისკენ ვედრებად აქვს მიმართული. ეს ფიგურაც ისევე სახასიათოდ გამომსახველი უნდა ყოფილიყო, როგორც ჩვილედი ღმრთისმშობლისა. ფრონტალურად ნაჩვენები სახის მრგვალი ოვალი ნიკაპთან წვეტით ბოლოვდება. სახის ნაკვთები ერთ სიბრტყეზეა ნაკვეთი; თვალის ფორმები ერთი ხაზით აღინიშნება. მსხვილი, ფართო ცხვირის ქვეშ პირის აღმნიშვნელი ხაზის ორივე ბოლო ძირს ეშვება და სახის გამომეტყველებაც, შესაბამისად, მკაცრი და პირობითია. ფიგურის თავს სახის ოვალისაკენ ირიბად ჩაკვეთილი შარავანდი წრის სახედ შემოუყვება; მისი ზედა ნაწილი კვეთს კომპოზიციის შემომსაზღვრავ ხაზს და ჩარჩოს პირზეა შეჭრილი. მამაკაცის სხეული პროფილშია ნაჩვენები – მას თითქოს ტანთ არაფერი უნდა მოსავდეს, გარდა შემოგრაგნილი, მოკლე ტუნიკისა, რომელიც მუხლებს ზემოთ სრულდება. ტუნიკის ზედაპირზე ძალიან მკრთალად დადებული, „თევზიფხურით“ შესრულებული, დრაპირების კვალი ქსოვილის დეკორატიულ შემკულობად აღიქმება. მამაკაცის პროფილში ნაჩვენები ფეხები მუხლებში ოდნავ მოხრილია და ერთი მიმართულებითაა ნაჩვენები. ფიგურა ხელებაპყრობილი და წინგადადგმული ნაბიჯით, თითქოს ე.წ. პროსკინეზისით, ჯვრისაკენ თაყვანისსაცემად და მავედრებელად მიმავალი გამოუსახავთ.

ქრისტიანული იკონოგრაფიული ტრადიციის მიხედვით, წელსზემოთ შიშველს, მოკლე ტუნიკით მოსილს, აბრაამის წიაღში შემავალ ცხონებულ ავაზაკს გამოსახავენ (იხ. აბრაამის წიაღის ვრცელი რედაქციის შემცველი კომპოზიციები სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლებში). მცხეთაში აღმოჩენილ რელიეფზეც, ერთი შეხედვით, შესაძლებელია, სამოთხის წიაღის შემოკლებული რედაქცია ყოფილიყო ასახული. თუმცა კი, მოსალოდ-

ნელია, რომ ამ შემთხვევაში არა აბრაამის ნიაღი და წმინდანი – ავაზაკი (რომელსაც ყოველთვის ჯვარი უპყრია ხოლმე ხელთ), არამედ ჯვრისა და ჩვილედი ღმრთისმშობლისადმი ვედრებად წარმდგარი საერო პირი გამოესახათ და იგი იმხანად უკვე არსებული სახვითი ფორმით – სამოთხის ნიაღისკენ მავალი, ახლადმოქცეული თუ მონანული (შესაძლოა გარდაცვლილი) ქრისტიანის სახით წარმოედგინათ. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო უნდა იყოს ის გარემოება, რომ მსგავსი ტიპის, მოკლე ტუნიკები მოსავთ ნათლისღების ამსახველ კომპოზიციაში წარმოდგენილ საერო პირებს ბრდაძორის მცირე სტელაზე [4: 34].

მცხეთაში ნაპოვნ რელიეფზე საერო პირის ფიგურის არსებობას საეარაუდოს ხდის კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილი გოლგოთის ჯვრის განსაკუთრებული წარმოჩენა; ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებაში გოლგოთაზე – მიწისა და კოსმოსის ცენტრში, აღმართული ჯვარი გაიაზრება, როგორც შემოქმედის ბეჭედი, რომლის ხატებაც სამყაროს საფუძველზეა აღბეჭდილი [5: 90]. რელიეფზე გამოსახული პირიც ვედრებად, პირველყოვლისა, წარუდგება სწორედ ჯვარს (რომელიც, ერთი ხით, მიწისა და ზეცის პირობითად გამიჯნულ ზღურბლზეა აღმართული). ყოველივე ამაში ჯვრის საგანგებო თაყვანისცემის საზრისი ცხადდება. ნიშნეული ჩანს საერო პირთან მიმართებით ჩვილედი ღმრთისმშობლის ხაზგასმულად დიდი ზომა, რაც მიწიერ და ზეციურ სახეთა იერარქიულ ურთიერთმიმართებაზე უნდა მიანიშნებდეს. საგულისხმოა, აგრეთვე, დედაღმრთისას გამოსახვა აყვავებულ ხეებს შორის, ზესთასოფელში, და ამით სოფლად მკვიდრი საერო პირისაგან ერთგვარი „გამიჯნვა“ – ერისკაცი ჯვრისადმი მიმართებით, მისი შუალობითაა წარმდგარი ჩვილედი ღმრთისმშობლისადმი.

კომპოზიციური გადაწყვეტის, ისევე როგორც ფორმათა დამუშავების თუ სხვა სტილური მახასიათებლების მიხედვით, მცხეთის რელიეფის შექმნის საეარაუდო პერიოდთან დაკავშირებით უშუალო პარალელები არ ჩანს (კომპოზიციური ქარგით, ეს რელიეფი თითქოს გარკვეულწილად წააგავს ბზას ეკლესიის დასავლეთი სარკმლის თავსართზე არსებულ სცენას [3: 125]). ამასთანავე, გამომსახველობითი თვალსაზრისით ნიშნეული და დამახასიათებელი ჩანს მასზე წარმოდგენილ სახეთა პირობითობა, დაბალი რელიეფური კვეთა და ხაზგასმული სიბრტყობრიობა, პროპორციების დარღვევა (განსაკუთრებით – უტრირებული ხელები თუ სახეები), კომპოზიციურ სქემაში იერარქიულობის წინ წამონევა და, ამის კვალად, სხვადასხვა გზით მინიშნებული ცალკეული შინაარსობრივი აქცენტები.

რელიეფის შექმნის სავარაუდო პერიოდის განსასაზღვრად ამგვარი მხატვრული ნიშნები, ერთი შეხედვით, ვერ იქნება საკმარისი – ყოველივე ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ის ზოგადი მახასიათებლები, რაც ქართულ ქანდაკებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აღბეჭდავდა. ამასთანავე, რელიეფზე მოცემული ცალკეული სახეები, შესაძლოა, გარკვეულ ეპოქასთან დაკავშირებულ გემოვნებასაც ამჟღავნებდეს; ამასთან დაკავშირებით ნიშნეული ჩანს ის გარემოება, რომ სარკმლის თავსართზე ნაკვეთი, ვოლუტების

მსგავსი ფორმებით დაგვირგვინებული, ხეების მსგავსი ფორმათაგანცდით შექმნილი ხეებია გამოკვეთილი პარხალის ეკლესიის რელიეფზეც [1: 209, სურ. 256].

* * *

ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში ჯვრის თაყვანისცემის თემა და, ზოგადად, ამგვარი იკონოგრაფიის მქონე ჯვრები ეკლესიათა ნაქანდაკევ დეკორში და ქვასვეტებზეც მრავლადაა (სამწევრისის სტელა [6: 5], დმანისის სტელის კაპიტელი [6: 5], წრომის ტაძრის დასავლეთი კარის ტიმპანი [7: 58], საფარის მიძინების ეკლესიის სამხრეთი სარკმლის თავსართი [8: 43] და მრავალი სხვა). მცხეთაში ნაპოვნ რელიეფზე ჯვრის თაყვანისცემის საგანგებო წარმოჩენა არ გამოჩნდება უჩვეულოდ, თუკი გავიხსენებთ, რომ ქართულ საეკლესიო ტრადიციაში ცნობილია გადმოცემა მცხეთაში ჯვრის აღმართვისა და შემდგომ ზეცით ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინების შესახებ [9: 81-163]. ეკლესია ამ მოვლენებს სხვადასხვა დღეს, საგანგებო დღესასწაულებით აღნიშნავდა; წმ. ნინოს ჯვრის აღმართვა იდღესასწაულებოდა აღდგომიდან მესამე კვირა დღეს („დღესა კჳრიაკესა, აღვსებისა ზატიკის-ზატიკისა“) ხოლო ჯვრის გამოჩინება – სულთმოფენობის შემდგომ პირველ ოთხშაბათს. ორივე ეს მოვლენა თავისი მადლმოსილებით უთანაბრდებოდა, ერთი მხრივ, 14 (27) სექტემბერს ჯვართამაღლების და, მეორე მხრივ, 7 (20) მაისს იერუსალიმში აღსრულებული ჯვრის გამოჩინების უდიდეს დღესასწაულებს [10: 84]. ქართლის მოქცევის ქრონიკის მიხედვით, ჯვრის სასწაული რამდენჯერმე აღსრულდა [9: 148, 154-155]. ამათგან ყველაზე აღმატებული გამოცხადება სულთმოფენობის („მარტვილიის“) შემდგომ ოთხშაბათ დღეს მოხდა – სწორედ ეს დღე დაამკვიდრა საქართველოს ეკლესიამ მცხეთაში ჯვრის სასწაულებრივად გამოჩინების დღესასწაულად [10: 88]. საგულისხმოა, რომ ამ დღესასწაულისთვის საგანგებო საგალობელი არ შექმნილა – ამ დღეს იკითხებოდა ის საგალობლები, რომელიც წარმოითქმოდა იერუსალიმში 7 მაისს გამოჩინებული ჯვრის სასწაულთან დაკავშირებით [10: 89]. ყოველივე ეს მით უფრო ნიშნეულია, რომ მცხეთაში ცეცხლოვანი ჯვრის („ჯუარი ცეცხლისაჲ“) გამოჩინების სასწაული მიიჩნეოდა თვით გოლგოთის ჯვრის გაცხადებად, იერუსალიმში მოგვიანოდ (351 წ.), იმავე 7 (20) მაისს, ჩენილი ჯვრის გამოცხადების მსგავსად[1].

სხვადასხვა სივრცესა და დროში აღსრულებული ჯვრის არსობრივად იგივეობრივი გამოცხადებები მჭიდროდ აკავშირებს იერუსალიმსა და მცხეთას; ამ სასწაულით საქართველოს ეკლესიისთვის მცხეთა „მეორე იერუსალი-

1 კონსტანტინე დიდის ერთ-ერთი ვაჟის, იმპერატორ კონსტანცის – არიანული მწვალებლობის მიმდევრის – ზეობისას (337-361 წწ.), იერუსალიმის ცაზე პატიოსანი ჯვრის გამოცხადების სასწაული, მართლმა-დიდებლური სარწმუნოების დასამტკიცებლად, სულთმოფენობის დღეს სასწაულებრივად განცხადდა. ჯვრის სასწაულებრივი გამოცხადების შესახებ იერუსალიმის პატრიარქმა კირილემ (350-387 წწ.) ეპისტოლეთი აცნობა იმპერატორ კონსტანცის და მოუწოდა, დაბრუნებოდა მართლმადიდებლობას. ამ სასწაულით მრავალი იუდეველი და ელინი მოექცა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე [11, გვ. 393].

მად" განიჭვრიტებოდა [10: 86-89]. ამ იგივეობას ცხადყოფს მცხეთის უადრეს ეკლესიათა თუ ადგილთა სახელდებებიც (ანტიოქია, გოლგოთა, ბეთანია, ბეთლემი, გეთსიმანია, ელეონის მთა, თაბორი, სიონი [შდრ. 12, გვ. 6-13]), რომლებიც წმინდა მიწასთან განსაკუთრებული სულიერი სიახლოვის გამო უნდა დამკვიდრებულიყო [13: 358-363; 14: 172-177]. ეს მოვლენა გამორჩეულად აისახა ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაშიც; ამ დღესასწაულებით სახელიდება ადრეული ქართული ეკლესიები. ჯვართან დაკავშირებულ ტრადიციას მრავალმხრივ ასაჩინოებს ადრეული შუა საუკუნეების მონუმენტური ფერწერის, საკურთხევლის წინ აღმართული ჯვრებისა თუ ეკლესიათა ფასადების სამკაულში აღბეჭდილ-ასახული იკონოგრაფიული სახესხვაობები. შუა საუკუნეების საქართველოს სულიერი შემოქმედების გზაზე ზოგადად ჯვრის გამოჩინება-განდიდების ტრადიციის საფუძველი წმინდა მიწიდან მომდინარე კავშირთან განსაკუთრებული დამოკიდებულებით, კონსტანტინე დიდის ძლევის ჯვრის გამოჩინების მახსოვრობით და ქვეყნის მოქცევის ჯვრის გამოჩინებასთან დაკავშირებული მოვლენებით შეიძლება აიხსნას [5: 104-120].

საქტიტორო კომპოზიციის ცენტრში გოლგოთის ხატების – საფეხურებიან კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრის გამოსახვა, ცხადია, იმჟამინდელი საქრისტიანოს მხატვრული აზროვნების ღირებულებებს უნდა წარმოაჩენდეს. ჯვრის შემწეობით მოპოვებული საუკუნო წიაღის დამკვიდრების საგანგებოდ ხაზგასმული ეს იდეა უნდა განსაზღვრავდეს იმ პერიოდის რელიგიური თუ მხატვრული აზროვნების მსვლელობას [5: 55-124].

სარკმლის თავსართის რელიეფური კომპოზიციის შინაარსიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ იგი ეკლესიის სარკმლის თავსამკაული უნდა ყოფილიყო და ფასადის სამკობს წარმოადგენდა. რელიეფურ ფილასთან ერთად, გვიანი ხანის (XIX-XX საუკუნეების მიჯნის) საფლავის ქვების აღმოჩენა იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ათწლეულების წინ არაგვის პირა ჭალაში მონყობილ მინასაყრელზე ქალაქის რომელიმე უბნის ეკლესიიდან და მის გარეშემო არსებული ძველი სასაფლაოდან უნდა მოეტანათ. ასეთად, სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ყველაზე მეტად გეთსიმანიის ეკლესია ჩანს სავარაუდებელი.

* * *

საქართველოს სამხედრო გზის და სარკინიგზო ხაზის, შემდგომ კი მცხეთა-თბილისის მაგისტრალის გაყვანისას მცხეთის სხვადასხვა უბანში არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი აღმოჩნდა [15: 14-15; 16: 1-8; 17: 7, 10; 18, გვ. 228]). იმხანად განხორციელებულ საგზაო სამუშაოებს, ცხადია, მცხეთის ბუნებრივი ლანდშაფტი ნაწილობრივ უნდა შეეცვალა. ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის დასრულების (1922-1927 წწ.) და სრული დატვირთვით ამუშავებისას (1938 წ.) [19: 506], მცხეთის მიდამოებში მდინარე მტკვრის დონის საგრძნობლად აწევამ, არსებული საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთთა გადატანის აუცილებლობა გამოიწვია.

სამხედრო გზის ტრასის ნაწილობრივ შესაცვლელად, მცხეთის დასავლეთ ნაწილში, ე.წ. მოგვთა უბანში არსებული ერთ-ერთი ბორცვი, რომელზეც დგას გეთსიმანიის ეკლესია, ჩამოუჭრიათ (ამჟამად გადის მცხეთა-თბილისის მთავარი ტრასა) [20: 18]. ტაძრის ირგვლივ ვრცელი სასაფლაო იყო; გზის გაყვანის დროს საფლავის ქვების ნაწილი წაუღიათ, ნაწილი კი დაუხერხავთ და ტაძრის მახლობლად, გზის გადაღმა (მისგან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით) აღმართული არსენა ოძელაშვილის ძეგლის (დაიდგა 1949 წელს) კვარცხლბეკისთვის მოუხმარიათ [20: 18].



4. მცხეთა. გეთსიმანიის ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

არსენა ოძელაშვილის ძეგლი ბაზალტით მოპირკეთებულ, ორსაფეხურიან ქვის პოსტამენტზე დგას [21: 241]. კვარცხლბეკზე დაკვირვებისას ცხადი ხდება, რომ მის მოსაპირკეთებლად ნაწილობრივ გამოუყენებიათ ძველი საფლავის ქვები, რომლებიც დაუხერხავთ, ნაწილობრივ გადაუთლიათ და პოსტამენტის საფეხურების გარე, შეუსულ კედლებში ჩაურთავთ; ამ ქვებზე დღესაც გაირჩევა ნაშთები ერთ დროს არსებული ნარნერებისა, რომელთა უმეტესობაც, წაშლის მიზნით, საგანგებოდ დაუკეჭნავთ[1]. საფეხურების თარაზული ზედაპირის მოპირკეთებისას, ახალ ქვასთან ერთად, ალაგ-ალაგ ჩაურთავთ დიდი ზომის ქვიშაქვის კვადრები. ეს კვადრები, იმხანად თითქმის ნანგრევებად ქცეული გეთსიმანიის ეკლესიის პერანგის ქვები უნდა იყოს. სავარაუდოდ, საგზაო სამუშაოებისა და არსენას ძეგლის მშენებლობის დასრულების დროს (დაახლოებით 1938-1949 წლების შუალედში) დარჩენილი სამშენებლო ნაშთები, მცხეთის შემოგარენში უნდა გაეტანათ. ქალაქის ამ ნაწილში აუცილებელი იყო მიწის დაყრა მდინარე არაგვში წყლის დონის აწევისა და გრუნტის მოსალოდნელი დაჭაო-

1 ამაზე მეტყველებს ქვების ზედაპირთა სანახევროდ და არაერთგვაროვნად დაკეჭნა – ნათელია, რომ ძველი საფლავის ქვების დახერხვა-დამუშავების დროს კვარცხლბეკის მოპირკეთების საბოლოო, ერთიან მხატვრულ სახეზე საგანგებოდ არ უზრუნიათ.

ბების გამო. ათწლეულების შემდეგ სარკმლის თავსართი და საფლავის ქვები ქალაქის ამ უბანში დაწყებული მშენებლობისას აღმოჩნდა.


* * *

გეთსიმანიის სახელით ცნობილი ეკლესია ქ. მცხეთის დასავლეთ ნაწილში, სამანქანო გზის მარცხენა მხარეს, მის უშუალო სიახლოვეს (ათიოდე მეტრის ზემოთ), მთის მოვაკებულ ფერდზე დგას. ტაძარი ძველი მცხეთის იმ ადგილზე – მოგვთა უბნის მიმდებარე მონაკვეთზე – მდებარეობს, სადაც, ქართლის მოქცევის ქრონიკის მიხედით, ადგილობრივ ებრაელთა სალოცავი – ბაგინი უნდა ყოფილიყო განთავსებული [9, გვ. 146]. ეს სალოცავი ქალაქის დასავლეთ კიდეში, მოგვთა კართან მდებარეობდა. მთის ფერდს, რომელზედაც გეთსიმანიის ეკლესიაა აღმართული, დასავლეთიდან ემიჯნება ქალაქის დასავლეთი ზღუდე – ბუნებრივ მიჯნას ამ ადგილზე ქმნიდა მომცრო ხევი, რომელიც კოდმანის მთიდან იწყება და მტკვრის მარცხენა ნაპირს უერთდება. ხევის აღმოსავლეთ ფერდზე. გასული საუკუნის შუახანებში ზღუდის ნაშთები იქნა მიკვლეული [22: 55; შდრ. 23: 217]. მტკვრის ხეობით, დასავლეთიდან, მცხეთაში მოსული წმ. ნინოსთვისაც ებრაელთა ბაგინი უნდა ყოფილიყო ის პირველი ადგილი, სადაც მას, მოციქულთა კვალზე, შეეძლებოდა ახალი სარწმუნოების ქადაგება: „ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა დასავალითსა, იყო კარსა მოგუეთისასა, მტკუარსა ზედა. და იყო მცირჱ ბაგინი, სამარხვოჲ მათი, რომელსა ზედა აღჰმართა წმიდამან ნინო ჯუარი ქრისტესი...“, „...ერქუა ადგილსა მას მთავართა სანათლოჲ. და ფრიად დიდებული იყო ადგილი იგი დღეთა ჩუენთა, რამეთუ დგა იგი ველსა, თჳნიერ ნაშენებისა“ [9: 146]. პირველ ქრისტიანთა – ქალაქის ორმოცდაათი მოსახლის მოქცევის ამბავიც ამ „ჰურიათა ბაგინის“ ტერიტორიაზე აღსრულებულ სამისიონერო ღვაწლს უნდა ასახავდეს: „მოინათლნეს ორმეოც და ათი სული სახლისა მათისაჲ, და მკჳდრ იქმნეს მცხეთას შინა...“ [9: 147]. წმ. ნინომ სწორედ ამ ბაგინზე აღმართა ჯვარი – ნიშანი ქრისტიანულ ეკლესიად მისი კურთხევისა; ბაგინი წყვეტს არსებობას, როგორც იუდეური სალოცავი – იგი გამოყენებულ იქნა სანათლავად და ეწოდა „მთავართა სანათლო“ [14: 38-39]. ივარაუდება, რომ ბაგინი – „სტოა“ ბაზილიკის ტიპის ნაგებობა უნდა ყოფილიყო; ეს გარემოება, თავის მხრივ, გარკვეული გაცხადება იქნებოდა ქართლის სამეფოს და მისი მოსახლეობის (მათ შორის – ადგილობრივი ებრაული დიასპორის) მრავალმხრივი კავშირებისა ელინისტურ სამყაროსთან [14: 39], რაც იმხანად ასე მომცველად აღიბეჭდებოდა ყოფისა და შემოქმედების სხვადასხვა სფეროში.



5. მცხეთა. არსენას ძეგლის პოსტამენტისთვის გამოყენებული ძველი საფლავის ქვა ნარნერით.

მეორე სიმბოლური აქტი, რომელიც წმ. ნინოს მიერ ბაგინზე ჯვრის აღმართვის შემდეგ განხორციელდა, ებრაელთა ხელით ბაგინის დამამშვენებელი ხის – კილამოსის მოჭრა იყო. ერთ-ერთი, ჭელიშური, ნუსხის მიხედვით, კილამოსი შედარებულია იმ ხესთან, რომელიც ქართლის მოქცევისას ჯვრების დასამზადებლად იქნა მოძიებულ-მოჭრილი მარტის თვეში [14: 40-41]. სანამ „ქვედა" და „ზედა" ეკლესიები აშენდებოდა, სწორედ ბაგინის ადგილი (რომელიც ქალაქის ზღუდესთან, მტკვრის ნაპირას, „სამარხვოდ" სახელდებული ელიოზის სახლის ადგილსამყოფელით არის მინიშნებული), იტვირთავდა ქართლის სამეფოს დედაქალაქში პირველი ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელობას [14: 35].




6. გეთსიმანიის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადის ცენტრალური ნაწილი აღდგენის შემდეგ.

სამეფოს მოქცევის შემდეგ, მისი დედაქალაქის ერთ-ერთი უბანი – მოგვთა – მცხეთის მოსახლეობის გაქრისტიანების შემდგომ კიდევ დიდხანს განაგრძობდა არსებობას, როგორც არაქრისტიანთა დასახლება. ამასთანავე, ცხადია ისიც, რომ წმ. ნინოს მიერ ჯვრით ნიშანდებული ადგილი მოქცევიდანვე აღნიშნავდა წმინდა ქალაქის ერთ-ერთ საკრალურ სალოცავს.

მცხეთის მოგვთა უბანში (ურიათ უბანი) არსებული უძველესი სალოცავის – გეთსიმანიის ეკლესიის სხვადასხვა სახელი, რომლებიც გადმოცემებს შემოუნახავთ – *ცეცხლის ჯვარი, მოგვთა ეკლესია, ქრისტესჯვრისუბნის ეკლესია* [შდრ. 12: 69] – ზემოთ დასახელებულ მოვლენებთან დაკავშირებული ისტორიული მეხსიერების აღმბეჭდავი უნდა იყოს.

* * *

გეთსიმანიის ეკლესია საშუალო ზომის (8,30x5 მ), აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით გასრულებული, დარბაზული ტიპის ნაგებობაა; დგას ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზე და ნაშენია მუქი ჩალისფერი ქვიშაქვის არათანაბარი მოზრდილი, მქისედ ნათალი კვადრებით. ბოლო დრომდე მისგან შემორჩენილი იყო მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი, სახელდობრ ნახევარწრიული აფსიდი, მორღვეული კონქით (5 მეტრზე ოდნავ მეტი სიმაღლისა), ცენტრში არსებული ერთი ფართო სარკმლით, აგრეთვე დახლოებით 1,5 მეტრის სიმაღლეზე ჩრდილოეთ კედელში შექმნილი, სამკვეთლოსთვის



7. გეთსიმანიის ეკლესია. გეგმა არქეოლოგიური გათხრების შემდეგ (ნ. ზაზუნიშვილის ნახაზი).

განწესებული მომცრო, ოთხკუთხა ნიშით. ფრაგმენტის სახით მოღწეული იყო საკურთხევლის აფსიდის მხოლოდ ჩრდილოეთი მხარი. ნანგრევებად ქცეულ, პერანგშემოცლილ ეკლესიას ასევე შერჩენილი ჰქონდა სამხრეთი შესასვლელის წირთხლის ქვები, აგრეთვე შესასვლელის აღმოსავლეთით, საფასადო წყობის ქვედა რიგში საპირე ქვად ჩაშენებული კანკელის პროფილირებული ფილები. ეკლესიის ნანგრევს ნაწილობრივ ფარავდა ნალექებით მთის ფერდიდან ჩამოტანილი მიწა. მის გარშემო, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, მრავლად იყო XIX-XX საუკუნეების საფლავის ქვები.

ეკლესიის აგების სავარაუდო პერიოდად ადრეული შუა საუკუნეები სახელდებოდა [24: 243; 25: 12; 26: 31; 26: 90]; ამასთანავე, აშკარაა, რომ ის ნაგებობა, რომლისგანაც ბოლო დრომდე ნანგრევიღა იყო შემორჩენილი, უფრო გვიან ხანაში უნდა ყოფილიყო აგებული.


2004 წელს მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ, საქართველოს საპატიარქოსთან შეთანხმებით, ჩატარდა გეთსიმანიის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები (გ. ყიფიანი და ვ. ნიკოლაიშვილი). გათხრების შედეგად გამოიკვეთა ძველი ქალაქის ამ მონაკვეთზე ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში განხორციელებულ აღმშენებლობასთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი ფენა [27]: ა. შუა საუკუნეების (სავარაუდოდ, IX-X სს.) დარბაზული ეკლესია სამხრეთი მინაშენით; ბ. ადრექრისტიანული ხანის (სავარაუდოდ IV-V სს.) ნაშთები – კანკელის ფრაგმენტი; ადრეული ხანის კრამიტების დიდი ოდენობა. გ. ადრეული შუა საუკუნეების სამარხები; დ. ეკლესიის ადგილზე არსებული ადრეული, წინაქრისტიანული პერიოდის ნაგებობის ნაშთები.

გათხრების შედეგად სრულად გამოვლინდა ეკლესიის გეგმა. გაირკვა,

რომ მისი იატაკი მოგებული იყო საგანგებოდ შერჩეული რიყის ქვებით. საკურთხეველი დარბაზის იატაკის დონიდან 45 სმ-ით ყოფილა ამაღლებული, ნახევარწრეზე დიდი მოხაზულობის, თითქოს ნალისებური მიდრეკილების მქონე აფსიდით. მუქი ფერის ბაზალტის ტრაპეზი საკურთხევლის აღმოსავლეთ კედელთან მიუდგამთ.

ეკლესიას მთავარი შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია – გაწმენდისას გამოვლინდა ცოკოლზე დადებული, ერთიანი, მასიური ზღურბლის ქვა, ხოლო ღიობის კუთხეებში, ორივე მხარეს – ოთხკუთხა დამუშავებული ქვებია აღმართული (როგორც ჩანს, კარის კუთხეები მთელს სიმაღლეზე ასე იყო ამოყვანილი). მასიური არქიტრავის ქვა ყოფილა გადებული კარის თავზეც. მეორე შესასვლელი საკმაოდ უჩვეულო ადგილზე – დარბაზის ჩრდილოეთ კედელში, საკურთხევლის ახლოს იყო შექმნილი[1].

ეკლესიას ჰქონდა სამხრეთი კარიბჭე, რომელიც ნაშენი ყოფილა რიყის ქვითა და ქვატეხილით – იგი მოგვიანოდ ჩანს ტაძარზე მიშენებული.



8. გეთსიმანიის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი არქეოლოგიური აღდგენის შემდეგ, აღდგენამდე (ნ. ზაზუნიშვილის ნახაზი).

გათხრებისას, ეკლესიის ინტერიერში და მისი გარე პერიმეტრზე, ასევე დადასტურდა უფრო ადრეული, წინაქრისტიანული ხანის ნაგებობის ნაშთები:

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან გაიწმინდა ბრტყელი კრამიტების ნატეხების ფენა, რომლის ქვეშ აღმოჩნდა ნახანძრალი შრე, ალიზის შელესილობის ნამტვრევები, ანტიკური ხანის ბრტყელი კრამიტი და ფილებით მოგებული იატაკის ნაწილი. ამ ფენას ახ.წ. IV საუკუნეს აკუთვნებენ [27].

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან, მის გასწვრივ, აღმოჩნდა არქიტექტურული მორთულობის – თიხის ტრიგლიფის ფრაგმენტი. იგი, სავარაუდოდ, ამკობდა ადრეული ხანის ნაგებობას, რომელიც ეკლესიის ადგილზე იყო აღმართული – ამ ნაგებობის საძირკველი დადასტურდა ეკლესიის აღმოსავლეთით; ივარაუდება, რომ ნაგებობის პერიმეტრი ეკლესიის ქვეშ, დასავლეთი მიმართულებით ვრცელდებოდა.

ამას გარდა, ეკლესიის აღმოსავლეთით არსებული ქვაფენილის აღების შემდეგ გამოჩნდა კედლის ნაწილი, რომელიც ასევე ეკლესიის ქვეშ შედის. ეს კედელი განახლებული ჩანს. იგი ნაწილია ნაგებობისა, რომელსაც შესას-

1 დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დადასტურდა იატაკში ჩაჭრილი, მომცრო კრიპტაც (2x1x1.5 მ).

ველი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰქონია. შენობის იატაკი ჰიდრავლიკური ხსნარით ჩანს მოსხმული. მასზე დიდი ოდენობით აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების ადრეული ეტაპისთვის დამახასიათებელი კრამიტის ნატეხები და თიხის ჭურჭელი, დამახასიათებელი III-IV საუკუნებისათვის და გავრცელებული შემდგომი ორი ასწლეულის მანძილზე [27]).

ეკლესიის აღმოსავლეთით, ახ.წ. IV საუკუნის ფენის აღების შემდეგ, ხსენებული ნაგებობის ნაშთის ჩრდილოეთით, 3 მ სიგრძეზე დადასტურდა კედელი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით არის დამხრობილი; იგი ეკლესიის სამხრეთი კედლის ქვეშ შედის და მის გარეთაც გრძელდება.

საგულისხმოა, რომ ტაძრის იმ კედლებში, რომლებიც ნანგრევების სახით ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი, აგრეთვე გათხრებისას აღმოჩენილ საპირე ქვებს შორის, დადასტურდა სხვადასხვა პერიოდის სააღმშენებლო მასალები, მათ შორის – ანტიკური ხანის კვადრებიც[1].

არქეოლოგიურმა კვლევამ ცხადყო, რომ ამჟამად არსებული ნაგებობა აგებულ იქნა ფუძეზე ადრეულ ხანის ეკლესიისა, რომელიც გარკვეულ ეტაპზე უნდა დანგრეულიყო; თავის მხრივ, ადრეული შუა საუკუნეების გარკვეულ მონაკვეთთან დაკავშირებული ეკლესია, წინაქრისტიანული ნაგებობის ნაშთებზე, სავარაუდოდ, ადგილობრივ მკვიდრ ებრაელთა სალოცავ ბაგინზე იქნა დაფუძნებული [27; შდრ. 28: 23][2].

შესაბამისად, გამოიკვეთა ეკლესიის აღმშენებლობის შემდგომი სურათიც – ადრე შუა საუკუნეებში აგებული ტაძარი შემდგომში დანგრეულა და გარკვეული დროის შემდეგ ხელახლა აღუდგენიათ [27]; სავარაუდოდ, ბაგინზე დაფუძნებული ეკლესია პირველად უნდა დაზიანებულიყო არაბთა შემოსევების დროს, რის შემდეგაც, არაუგვიანეს VIII საუკუნისა, იგი უნდა აღედგინათ და განეახლებინათ. როგორც იკვეთება, ამ სამშენებლო ფენას – IX-X საუკუნეებს უნდა უკავშირდებოდეს ეკლესიის დარბაზის პროპორციები და აფსიდის ნალისებური მოყვანილობისაკენ მიდრეკილი ფორმაც.

ადრე შუა საუკუნეებში აშენებული ეკლესია, გარკვეული დროის შემდგომ კვლავ დანგრეულა ან საკმარისად დაზიანებულა – იგი განუახლებიათ გვიან შუა საუკუნეებში; დარჩენილი საფასადო წყობის დაუდევარი ხასიათი, მეორადი გამოყენების ქვების სიმრავლე და სარკმლის ფორმა უნდა გამორიცხავდეს XIV-XV საუკუნეებამდელ პერიოდს; შესაბამისად, მესამე სამშენებლო ეტაპი გვიანი შუა საუკუნეების გარკვეული მონაკვეთით განისაზღვრება

1 ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში ერთ-ერთ ქვათლილს ემჩნევა პირონი, რაც მის მეორად გამოყენებაზე უნდა მეტყველებდეს. ამგვარი – მერცხლისკუდა გადაბმისთვის ამოჭრილ პირონებიანი – ქვები მიკვლეულ იქნა ერთიანად გადმოქცეული დასავლეთი კედლის წყობაშიც [27].

2 ნანგრევებადქცეული ტაძრის წყობაში ჩართული, პროფილირებული კანკელის ფრაგმენტის აღნაგობიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ იგი ადრექრისტიანული ხანის დაბალი კანკელის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და, სავარაუდოდ, IV ან V საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი [28: 23]. საგულისხმოა, რომ იმავე ეპოქასთანაა დაკავშირებული ეკლესიაში და მის გარშემო, გათხრებისას დიდი ოდენობით აღმოჩენილი, ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კრამიტის ნატეხები – ესაა მოჩალისფრო კრამიტი, ვიწრო ნაწილში გარდიგარდმო არშიით [27].

[27]. სავარაუდოდ, იმავე პერიოდში უნდა შეცვლილიყო სარკმლის თავდაპირველი ზომებიც[1].

გადმოცემის თანახმად, ეკლესია საბოლოოდ XVII საუკუნის დასაწყისში, ირანის შაჰ აბას I-ის ლაშქრის შემოსევის დროს დანგრეულა [29: 18] – ამის შემდგომ, იგი, როგორც ჩანს, აღარ აღუდგენიათ[2].

ეკლესია 2004-2007 წლებში, ადრინდელი ფენების შენარჩუნებით და ბოლო სამშენებლო პერიოდის გათვალისწინებით, სრულად იქნა აღდგენილი (რესტავრაციის პროექტის ავტორი – ნ. ზაზუნიშვილი). ეკლესიის აღდგენის შემდეგ, 2008 წლიდან, გეთსიმანიის ეკლესიის ეზოში მამათა მონასტერი არსებობს.

* * *

მცხეთაში აღმოჩენილ რელიეფში აღბეჭდილი შინაარსობრივი მიმართებები, ისევე როგორც გარკვეული პერიოდისთვის დამახასიათებელი მხატვრულსტილური მახასიათებლები საკმარისად ხდის, რომ იგი შუა საუკუნეების ადრეულ მონაკვეთში უნდა იყოს შექმნილი; ზოგადმხატვრული ნიშნების განსაზღვრით (ეკლესიისა და რელიეფის ქვის ჯიშის იგივეობით, რელიეფური ფილის სისქის თანაგვარობით, ადრეული სამშენებლო ფენიდან დარჩენილი დიდრონი ლოდების სისქესთან მიმართებით), სარკმლის თავსართი გეთსიმანიის ეკლესიასთან, სახელდობრ, მისი აღმშენებლობის მეორე პერიოდთან უნდა იყოს დაკავშირებული – სავსებით შესაძლებელია, რომ იგი IX-X საუკუნეებში განახლებული ეკლესიის ერთ-ერთი (მოსალოდნელია – აღმოსავლეთი) სარკმელს ამკობდა. ამ მხრივ უთუოდ, ნიშნეული და საგულისხმო ჩანს ადგილობრივ მოსახლეობაში ბოლო დრომდე შემორჩენილი გადმოცემები, რომლებშიც აისახა გეთსიმანიის ეკლესიის სხვა სახელდებები – *ცეცხლის ჯვარი და ქრისტეს ჯვარი*, თავისი საზრისით მრავალმხრივ მიემართება რელიეფურ თავსართზე ასახული კომპოზიციის შინაარსს.

მცხეთაში ნაპოვნ რელიეფზე ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულების არსებობიდან გამომდინარე, მცხეთის გეთსიმანიის ეკლესიის ადრეულ სახელდებასთან დაკავშირებით, შეიძლება ვარაუდის სახით გამოითქვას კიდევ ერთი მოსაზრება:

გამორიცხული არ არის, რომ თავიდანვე თუ არა, მოგვიანოდ, IX-X


1 2004-2007 წლებში განხორციელებული რესტავრაციისას, ტაძრის საკურთხევლის სარკმლის ღიობი აღდგენილ იქნა უკანასკნელი სამშენებლო პერიოდის მიხედვით – შერჩენილი ნანილის სარკმლის თავანების ფასადისკენ დახრის მაჩვენებლის გათვალისწინებით.

2 ნიშნეულია, რომ ეკლესიის შესახებ არსებულ პუბლიკაციათაგან ყველაზე ადრეულებში მას ნანგრევებად მოიხსენიებენ [18: 145; 29: 18].

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, მიწის ზედაპირთან ახლოს, აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი შანდალი, აგრეთვე ოთხი საბეჭდავი, სომხური ასოებით და თარიღებით (ყველაზე ადრეული – 1821 წ., გვიანი – 1861 წ.). ამის საფუძველზე ივარაუდება, რომ XIX საუკუნეში მცხეთაში დამკვიდრებულ სომხური აღმსარებლობის მოსახლეობას დანგრეული ეკლესია უნდა აღედგინა და ღმრთისმსახურება განეახლებინა. უფრო მოსალოდნელია, რომ მოსახლეობა, ნანგრევებადქცეული ეკლესიის შემოგარენს სასაფლაოდ იყენებდა და, შესაძლოა, ამისთვის აუცილებელ ღმრთისმსახურებას აღასრულებდა, ხოლო საბეჭდავებს ეკლესიას სწირავდა.

საუკუნეებიდან მაინც, მცხეთის გეთსიმანია და იქ აგებული ეკლესია გაიგივებული ყოფილიყო იერუსალიმის გეთსიმანიასთან[1].

მცხეთაში გეთსიმანიის ეკლესიის არსებობა და მისი სარკმლის მამკობი, ჩვილედი ღმრთისმშობლისადმი წარმდგარი ქტიტორის ამსახველი, რელიეფური კომპოზიცია სხვა მხრივაც ჩანს საგულისხმო. ცნობილია, რომ იერუსალიმის აღმოსავლეთი კედლის გარეთ, ელეონის მთის ძირში, გეთსიმანიაში, დედაღმრთისას საფლავზე აგებულ ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიაში, ქართველები, უფრო ადრე თუ არა, IX საუკუნიდან მოყოლებული მაინც, მკვიდრობდნენ და გარკვეული უფლებებითაც სარგებლობდნენ [30: 148, 357, შენ. 555-558]: ქართველებს გეთსიმანიის ბაზილიკაში ჰქონიათ თავისი საკურთხეველი; ამასთანავე, იქ, წმინდა მიწის სხვა ეკლესია-მონასტრების მსგავსად, ქართული მწიგნობრობის კერა ასწლეულების მანძილზე უნდა არსებულიყო. ამაზე მეტყველებს ანდერძ-მინაწერები დღეისთვის ცნობილი იმ ხელნაწერებისა, რომლებიც გეთსიმანიაში გადაუნუსხავთ (Sin. 13 – 1044 წ.; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1741 – 1048 წ.; Sin. 89 – XI ს.) [31: 32-33; 32: 174; 33: 250-251]. ეს მოღვაწეობა, ცხადია, იყო ნაწილი იმ გეზისა, რომელიც ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა სასულიერო კერაში მკვიდრ ქართველ მოწესეებს აერთიანებდა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მათს ძალისხმევას სხვადასხვა მხრივ წარმართავდა. ამ სურათს გარკვეულ მასშტაბებს მატებს გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის ძველ სატრაპეზოში XIII საუკუნის მეორე მეოთხედში შესრულებული წარწერა (აგრეთვე განაფული ხელით, გამორჩეული მხატვრული ოსტატობით შესრულებული ნახატი-გრაფიტი), რომელშიც იხსენიება ათაბაგი ავაგ მხარგრძელი და გეთსიმანიელი ძმები – იოსები და ნიკოლოზი, აგრეთვე გრიგოლ



9. გეთსიმანიის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. ნაწილობრივი რეკონსტრუქცია.

1 ახლად აღდგენილი გეთსიმანიის ეკლესია, დღესაც ღმრთისმშობლის მიძინების სახელობისაა (როგორც ჩანს, ასწლეულების მანძილზე არსებული, გადმოცემების საფუძველზე არსებული, ტრადიციის შესაბამისად).

მოხელისძე [34: 431-448; 35: 306-308, ტაბ. 78]. საგულისხმოა, რომ წარწერის მიხედვით, იოსები და ნიკოლოზი მრავალმთაში „შემწედ" მისულან; ნათელია – მათ, ათაბაგ ავაგთან ერთად, გარკვეული დახმარება უნდა გაეწიათ ქვეყნის უდიდესი სამონასტრო გაერთიანებისთვის. ცნობილია იოსების და ნიკოლოზის მიერ იერუსალიმში გადანუსხული ხელნაწერი – Sin. 69 (სტიქარონ-იადგარი), რომელიც სინას მთის ქართული ძმობისთვის იყო გამიზნული, სწორედ იქ გასრულებული და ადგილობრივი წიგნთსაცავისთვის შემატებული [36: 253-254; შდრ. 34: 435-437][1].

საგულისხმო ჩანს ის გარემოებაც, რომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში *გეთსიმანია* არაერთხელ დასტურდება – ცნობილია ამგვარად სახელდებული (როგორც ჩანს, წმინდა მიწის ერთ-ერთ უპირველეს სალოცავთან სხვადასხვაგვარი კავშირის ამსახველი) ადგილები, მათ შორის – ეკლესია-მონასტრები [30: 357, შენ. 553].

ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ჩანს კ. კეკელიძის ცნობა გეთსიმანიის ეკლესიის სახელდებასთან დაკავშირებით. იგი გეთსიმანიად მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, გოლგოთას მთის ძირში არსებულ პატარა სამლოცველოს მიიჩნევს და მას ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიად მოიხსენიებს [13: 362]. სათუოა, მცხეთში მცხეთაში ორი გეთსიმანია არსებულიყო – სწორედ გამო გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა ეს სახელი, დღეისთვის ცნობილის გარდა, სხვა ეკლესიას მოგვიანოდაც შერქმეოდა [26: 30-31]; ამასთანავე, კ. კეკელიძისეულ ცნობაში, ახლადაღმოჩენილ რელიეფთან და მასთან სავარაუდოდ დაკავშირებულ ეკლესიასთან მიმართებით არსებითი ჩანს ის გარემოება, რომ მცხეთაში არსებული გეთსიმანიის ეკლესია, იერუსალიმის ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდისა და საყოველთაოდ თაყვანცემული სალოცავის მსგავსად, ღმრთისმშობლის მიძინებისად უნდა ყოფილიყო სახელდებული[2].

ძველი მცხეთის ტერიტორიაზე კიდევ ერთი, ქრისტიანული სახისმეტყველებითი შინაარსის მქონე, რელიეფის აღმოჩენა, უჩვეულოდ ვერ ჩაითვლება – მცხეთა სიწმინდეებით გაჯერებული ის ადგილია, სადაც ქრისტიანობა ჩაისახა და, იმავდროულად, ჩამოყალიბდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნება. წმინდა ქალაქის მიმართ მუდმივად არსებობდა ცხოველი ინტერესი; საუკუნეების მანძილზე, მცხეთაში არსებული სიწმინდეები გამორჩეულად თაყვანიცემებოდა. სავარაუდოდ, გეთსიმანიის ეკლესიის კუთვნილ, მისი სარკმლის მამკობ რელიეფურ კომპოზიციაში წარმოდგენილი საერო პირის ვინაობასთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას კიდე ერთი ვარაუდი – სარკმლის თავსართის ფილაზე, შესაძლოა, გამოესახათ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ახლადშემდგარი მონანული პირი, მცხეთის წარჩინებული მკვიდრი.

1 ხელნაწერის ერთ-ერთ ანდერძმინანერში გვხვდება გრიგოლის (სავარაუდოდ გრიგოლ მოხელისძის) მოსახსენებელიც.

2 ამასთან დაკავშირებით ნიშნეულია ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის ცნობაც; იერუსალიმის გეთსი-მანიის მსგავსად, მცხეთის გეთსიმანიის ეკლესიის ირგვლივ არსებულა ბაღი, რომელიც XVIII საუკუნეში განადგურებულა [29: 18].

წყაროები და ლიტერატურა:

1. ჯობაძე ვ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ., 2006.
2. ხუნდაძე თ., ძველი აღთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე ნირქოლოდან, Academia, 2, 2001, გვ. 81-92.
3. ხუნდაძე თ., ბზის წმინდა გიორგის ეკლესიის რელიეფები, საქართველოს სიძველენი, 14, 2010, გვ. 122-132.
4. ჯავახიშვილი გ., ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, თბ., 1998.
5. სხირტლაძე ზ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი. თბ., 2008.
6. მაჩაბელი კ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, თბ., 2008.
7. Чубинашвили Г., Цроми. М., 1969.
8. ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI სს. თბ., 1955.
9. მოქცევაი ქართლისაი, ი. აბულაძე რედ., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.) დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ჭურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ტ. I. თბ., 1963, გვ. 81-163.
10. ჭელიძე ე., მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნულობა, გული გონიერი, №1 (4), 2012, გვ. 5-90.
11. მაჩიტაძე ზ., წმინდანთა ცხოვრება, ტ. I. თბ., 2006.
12. ღლონტი ალ., მცხეთის ტოპონიმია. თბ., 1975.
13. Кекелидзе К., К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви, მისივე წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV. თბ., 1957, გვ. 358-363.
14. კიკნაძე ზ., ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები, თბ., 2009.
15. Натроев А., Мцхет и его собор Свети-Цховели, Тифлис, 1900.
16. აფაქიძე, ა., გობეჯიშვილი, გ., კალანდაძე, ა., ლომთათიძე, გ., მცხეთა – I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1955.
17. Долидзе В., Шмерлинг Р., Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1956.
18. აფრასიძე გ., მცხეთა, საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V. თბ., 1990, გვ. 228-232.
19. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I. თბ., 1979.
20. ბარისაშვილი გ., მცხეთის შემოგარენის ტაძრები. გზამკვლევი. თბ., 2013.
21. მამაიაშვილი ი., არსენას ძეგლი, საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V. თბ., 1990, გვ. 241.
22. აფაქიძე, ა., მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბ., 1959).
23. აფაქიძე, ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ., 1963.
24. კინწურაშვილი ს., გეთსამანია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერლობა, V. თბ., 1990, გვ. 243.
25. Северов Н., Чубинашвили, Г., Мцхета. М., 1946.
26. ხოშტარია დ., ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიები მცხეთაში, Academia, 1, 2001, გვ. 24-36.
27. ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ., გეთსიმანიის ეკლესიის არქეოლოგიური კვლევის ანგარიში, გეთსიმანიის ეკლესიის სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოთა პროგრამა. თბ., 2004.

28. გ. ყიფიანი, წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი. თბ., 2004.
29. Е[пископ] К[ирион], О приделахъ Мцхетскаго Патриаршаго храма „Свети-Цховели", Ду-ховный вестникъ грузинскаго экзархата. Прибавление, №9, 1901, с. 13-19.
30. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II. თბ., 1980.
31. ი. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ., 1947.
32. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Н კოლექცია, ტ. IV, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ელ. მეტრეველმა. თბ., 1950.
33. Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря. М., 1940.
34. დ. კლდიშვილი, ავაგ ათაბაგის წარწერა გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტერში, მრავალთავი, XVIII, 1999, გვ. 431-448.
35. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, I, ნაწილი პირველი, გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ [გარეჯის საგანძური, II]. თბ., 1999.
36. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ტ. II, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ც. ჭანკიევმა და ლ. ჯღამაიამ. თბ., 1979.

NELI CHAKVETADZE, ZAZA SKHIRTLADZE

THE DONOR RELIEF FROM MTSKHETA

Summary

The donor relief, found during the building of the residential complex in the old capital of Georgia, Mtskheta, is published in this paper. The stone with the figurative composition is a moulding of the church window. The layman turned towards the Calvary Cross and the Virgin is depicted on it. It is supposed that the relief belonged to the church of Gethsemany, built on the early stage of the Christianity at the western part of the sity and further renovated for several times. Artistic features of the relief, as well as the data of the archaeological excavations of the church gives ground for the dating of the donor composition by the 9th-10th cc.

Н. А. ЧАКВЕТАДЗЕ, З. Н. СХИРТЛАДЗЕ

КТИТОРСКИЙ РЕЛЬЕФ ИЗ МЦХЕТА

Резюме

Публикуетса ктиторский рельеф, обнаруженный при строительстве жилого комплекса в древней столице Грузии – Мцхета. Рельефный камень представляет навершие окна церкви. На ней изображен светское лицо обращенный к Кресту Голгофы и к Богоматери. Высказано предположение, что рельеф принадлежал церкви Гефсимания, построенной в западной части города на раннем этапе христианства и в последствии обновленной неоднократно. Художественные особенности рельефа, вместе с данными археологичесих раскопок церкви, дают основание предположить создание навершия с изображением ктитора в IX-X вв.

ᲖᲐᲖᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ

ᲒᲐᲜᲫᲐᲡᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

განძასარი, „XIII საუკუნის დასაწყისიდან არცახისა და სრულიად ალბანეთის სულიერ და საკათალიკოსო ცენტრად გამოცხადებული ეს შესანიშნავი მონასტერი, მდებარეობს ისტორიული ხაჩენის პროვინციაში, მდინარე ხაჩენაგეტის ზემო შესართავის ახლოს. მონასტერი სოფლის პირდაპირ აღმართული მთის მხარზე პლატოს ამთავრებს, სოფლიდან ორი კილომეტრის სიახლოვეს სამხრეთ-დასავლეთით“[1] [1:36]. გვიანი შუასაუკუნეებიდან არცახს ყარაბაღი ეწოდება.

მრავალი საუკუნის მანძილზე ეს ტერიტორია იყო ალბანეთის კათალიკოსთა რეზიდენცია და არცახის მთავართა განსასვენებელი ადგილი. ვარაუდობენ და ამას ნარატიულ წყაროებთან ერთად ადასტურებს თვითონ წარწერაც, რომ განძასარის ტაძრის ადგილას სხვა უფრო ძველი სასაფლაოს ძეგლები უნდა ყოფილიყო [1:36].

განძასარში სხვაც ბევრი სომხური წარწერაა, მაგრამ ამჟამად გამოსაცემად და სათარგმნელად მე შევარჩიე მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, არცახის (ხაჩენის) მთავრის ჰასან ჯალალ-დავლას წარწერა განძასარის ეკლესიის აშენების შესახებ. წარწერა ერთდროულად არის სამშენებლოც, შეწირულებისაც და სულთა მოსახსენებელიც.

ჰასან დავლას წარწერა განთავსებულია მონასტრის ინტერიერში, ჩრდილოეთის კედლის სარკმლის გარშემო და ქვემოთ, სულ 27 სტრიქონია. წარწერის ნაწილი შესრულებულია წითელი საღებავით, ნაწილს კი წითელი საღებავი ფონად უდევს.

განძასარის 1240 წლის წარწერა ხელახლა გამოსაცემად და სათარგმნელად რამდენიმე მიზეზის გამო ავირჩიე. ჯერ ერთი განძასარის წარწერა იმ უნიკალურ ძეგლთა რიგს ეკუთვნის, რომელსაც საერთო კავკასიური მნიშვნელობა აქვს: 1. უკავშირდება ისტორიულ ალბანეთს. როგორც იოსებ ორბელი წერს: «... центром этого княжества, составлявшего, очевидно, часть древней Албании (Աղուանք), был бассейн реки Хачснаджур (ныне Хачинчай) и отчасти реки Т'арт'ар (ныне Тертер). 2. არმენოლოგიისათვის მის მნიშვნელობას, ვფიქრობ, ახსნა არ სჭირდება. 3. ქართული სახელმწიფოს ისტორიისათვის

1 სამწუხაროდ, მე არც ძეგლი მინახავს და არც მთლიანად წარწერა. წარწერის მცირე ფრაგმენტს ვიცნობ მხოლოდ ამ კორპუსის საილუსტრაციო მასალიდან.

კი მნიშვნელოვანია არცახის მმართველთა მჭიდრო ნათესაური დამოკიდებულება მხარგრძელთა საგვარეულოსთან და მათ შორის გავრცელებული ქართული წარმოშობის, ქართული ფორმის ან მხოლოდ საქართველოში დამკვიდრებული საკუთარი სახელები (მაგალითად, ვახტანგი, ზაქარია, ივანე, ზაზა, გივი), სამწუხაროდ, განძასარის წარწერა და არცახის სხვა წარწერებიც, ქართულ მეცნიერებაში თითქმის არ არის გამოყენებული. ამავე გარემოებამ განსაზღვრა მისი თარგმნა ქართულად და რუსულად, ვინაიდან, თუ მე სწორად ვიცი, განძასარის წარწერის მთლიანი თარგმანი არცერთ ენაზე არ არსებობს.

რაც შეეხება ტექსტის დედნის ენაზე გამოქვეყნებას, ამის საჭიროება დამანახა ჩემთვის ცნობილი ექვსი გამოცემის ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანმა განსხვავებამ. ზოგი განსხვავება ისეთია, რომ მათი დაფიქსირება აუცილებელია არცახის პოლიტიკური ისტორიის სწორად შესასწავლად. გამოცემაში ყველა განსხვავება ვარიანტის სახით არის მითითებული.

წარწერის გამოცემები

განძასარის წარწერის ერთ-ერთი ადრეული გამოცემა (1842 წ.) ეკუთვნის ჰოვჰანეს შახჰათუნიანცს (1799-1849). იგი წარმოშობით იყო სოფელ შაჰრიარიდან. განათლება მიიღო ეჩმიაძინში და აქვე აღიკვეცა ბერად. 1832-1833 წლებში განაგებდა ეჩმიაძინის „მატენადარანს". გაკეთებული აქვს გარკვეული რაოდენობის სომხურ ხელნაწერთა აღწერილობა. 1833 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო საპატრიარქო სინოდის წევრი. 1841 წელს ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად. თანამშრომლობდა მ. ბროსესთან. 1843 წელს დაინიშნა საქართველოს სომხური თემის წინამძღვრად და დასახლდა თბილისში [3:717-718].

ჰ. შაჰხათუნიანის მთავარი ნაშრომია „აღწერა კათოლიკე ეჩმიაძინისა და არარატის ხუთი პროვინციისა". ამ ნაშრომის მეორე ტომში განთავსებულია განძასარის წარწერა [4: 371-372]. სამწუხაროდ მთლიანად წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და მე, „მატენადარანის" ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ხელთ მხოლოდ იმ გვერდების ქსეროასლი მქონდა, რომლებზეც დასტამბულია ეს წარწერა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, ეჩმიაძინის გამომცემლობა ამზადებს ჰ. შაჰხათუნიანცის ნაშრომის ახალ გამოცემას.

განძასარის წარწერის მეორე (პირობითად) გამოცემა ეკუთვნის სარგის ჯალალიანცს (1810-1879). იგი დაიბადა ხაჩენში (არცახი) და მიაკუთვნებდნენ არცახის მთავრების ჰასან-ჯალალიანთა საგვარეულოს. მკითხველისათვის საინტერესო შეიძლება იყოს, რომ 1857-1861 წლებში სარგის ჯალალიანცი იყო საქართველოს სომხური თემის წინამძოლი.

სარგის ჯალალიანცის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია ორ წიგნად გამოქვეყნებული „მოგზაურობა დიდ სომხეთში" [5]. განძასარის წარწერა მოთავსებულია პირველ ნაწილში [6:3-184], რომელიც დაიწერა 1841 წელს[1] და გამოქვეყნდა იმავე წელს (1842), როდესაც გამოვიდა ჰ. შაჰხათუნიანის ნაშრომი. როგორც მკითხველმა ნახა, ჰასან ჯალალიანცის ნაშრომი დაიბეჭდა

1 იხ. დასახელებული წიგნის სატიტულო ფურცელი.

თბილისში, ხოლო ჰოვჰანეს შაჰხათუნიანცისა – ეჩმიაძინში. ყველაფრიდან ჩანს, რომ ისინი არ შეიძლება ერთმანეთის წაკითხვებს ითვალისწინებდნენ, თუკი ადგილზე არ შეხვდნენ ერთმანეთს მუშაობის პროცესში, რასაც არცერთი მათგანი არ აღნიშნავს. მართლაც, მათ ამოკითხვებს შორის საკმაოდ არის განსხვავებები, მაგრამ დამთხვევები ისეთ შემთხვევებშიც კი არის, რომელთაც არ ადასტურებს ორი ბოლო, ბევრად უკეთესი გამოცემა და წარწერის მონახაზი. ეს არის წარწერის მესამე და მეოთხე სტრიქონების მიჯნაზე ამოკითხვა სიტყვისა թագաւոր (მეფე), იმ ადგილას, სადაც წერია ինքնակալ Խաչերդի (თვითმპყრობელი ხანბერდისა). შეცდომის წარმომავლობა ცხადი არ არის, ვინაიდან იგი გამონვეული არ შეიძლება იყოს სიტყვათა გრაფიკული მსგავსებით. ეს შეცდომა მეორდება ი. ორბელის მიერ მომზადებულ გამოცემამდე (1919წ.) სამივე ნაშრომში (მესამე მათგანის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი).

1864 და 1866 წლებში გამოვიდა ორ ტომად მარი ბროსეს მიერ სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის ისტორიის" თარგმანი გამოკვლევითა და კომენტარებით, რომლის მეორე ტომში დაბეჭდილია განძასარის მთავარი წარწერის თარგმანი [7:144-145]. მ. ბროსეს შენიშვნებიდან ჩანს, რომ იგი ითვალისწინებს ჰ. შახჰათუნიანცისა და ს. ჯალალიანცის წაკითხვებს (ზოგჯერ მათ სქოლიოებშიც უთითებს), მაგრამ უპირატესობას თავის ხედვას ანიჭებს. მ. ბროსეს თარგმანში ბევრი უზუსტობაა, მაგრამ იგი ძალიან მნიშვნელოვანია იმის დასადასტურებლად, თუ როგორ იკითხებოდა განძასარის მთავარი წარწერა 1866 წელს. ამ წუთში ჩემთვის მთავარია, რომ მან პირველმა უარყო განძასარის წარწერის ტექსტში ჰასან ჯალალ-დავლას ტიტულატურაში „მეფის" არსებობა, თუმცა ამ ადგილას არც ხანბერდს კითხულობს, როგორც ეს არის ი. ორბელისა და სომხური წარწერების კორპუსის გამოცემებში. აი, ეს ადგილი მ. ბროსეს თარგმანით:

„Au nom de la Sainte-Trinite, Père, Fils et Saint-Esprit, cet écrit solennel est de moi l'humble serviteur de Dieu, Dchalal-Dola Hasan, fils de Vakhtanc et petit-fils d'Hasan-le-Grand, souverain légitime du haut et grand pays d'Artsakh, province aux vast limites. . ." [7:144]

განძასარის მთავარი წარწერის მესამე გამოცემა ეკუთვნის ეპისკოპოს მაკარ ბარხუდარიანცს (1832-1906). მ. ბარხუდარიანცი დაიბადა არცახში და მისი განსაკუთრებული ინტერესი არცახის სიძველეებისადმი, ცხადია, ამითაც იყო გამოწვეული. მან შეკრიბა მრავალი წარწერა და 1895 წელს ბაქოში გამოაქვეყნა წიგნში „არცახი". ამ წარწერებს შორისაა განძასარის 1240 წლის წარწერაც.[1] მ. ბარხუდარიანცს შესაძლებლობა ჰქონდა გაეთვალისწინებინა

1 Արցախ, երկասիրեց Մակար եպիս. Բարխուդարեանց, Բագու, 1895, გვ. 173-174; ახალი გამოცემისათვის იხ. Մակար եպիս. Բարխուդարեանց, Աղուանից երկիր և դրացիք, Երեան, 1999, გვ. 250-251. ძალიან საინტერესოა მ. ბარხუდარიანცის წიგნი Աղուանից երկիր և դրացիք („ალბანთა ქვეყანა და მეზობლები"). ამ წიგნში სხვა მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად მოცემულია სომხურ-უდიური ლექსიკონი. ეს არის ერთ-ერთი ადრინდელი ჩანაწერი უდიური (საინტერესოა, რომ თეითონ „უტიურს" უწოდებს) ლექსიკისა სომხური ტრანსკრიპციით.

თავისი წინამორბედების შრომები, თუმცა მათ ამოკითხვებში არის განსხვავებებიც. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ შაჰხათუნიანცისა და ჯალალიანცის მსგავსად მეოთხე სტრიქონში ისიც კითხულობს სიტყვას **թագաւոր** (მეფე).

2009 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნდა ეპისკოპოს მაკარ ბარხუდარიანცის წიგნის „არცახის" რუსული თარგმანი [8]. ცხადია, ამ გამოცემაში შეტანილია განძასარის 1240 წლის წარწერის თარგმანიც [9:151]. თარგმანი კარგია, თუმცა ზოგან აკლია სიზუსტე. მაგალითად, ხორიშაჰი იერუსალიმში წავიდა არა მაშინ, როდესაც დაიწყეს აღმოსავლეთის სარკმლის ამოყვანა [8:151], არამედ მაშინ, როდესაც იგი დაამთავრეს და დაიწყეს თაღით გადახურვა.

მაგრამ ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი. გასაკვირი ის არის, რომ მთარგმნელმა თავის თავს უფლება მისცა წარწერის ტექსტი მთლიანად არ მოეტანა. მან შეწყვიტა ტექსტის თარგმნა იქ, სადაც აღაპების დაწესება იწყებოდა და ასეთი შენიშვნით გაიმართლა თავი:

„Далее идет перечисление поминальных служб, которые по определенным дням и праздникам и в определенном количестве должны быть отслужены в помин души князя Джалал Асана, его родителей, супруги, братьев и сестер" [8:151, შენ. 150].

მე მესმის, რატომაც შეწყვიტა მთარგმნელმა ამ ადგილიდან წარწერის ტექსტის თარგმნა: ეს არის გასაგებად და სათარგმნელად ყველაზე რთული ადგილი მთელს წარწერაში, მაგრამ ვისთვისაც ლიტურგიკა ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილია ისტორიისა, როგორიცაა ეკლესიის აგება, მისთვის მთარგმნელის საქციელი, რა თქმა უნდა, მეტი რომ არა ვთქვათ, გაუგებარია, თავი რომ დავანებოთ წიგნის ავტორის პატივისცემას.

1903 წელს თბილისში შეიკრიბა ეპიგრაფიკით დაინტერესებულ მეცნიერთა ჯგუფი, რომელმაც გადაწყვიტა, გამოეცა ქართული და სომხური წარწერების კორპუსები. იდეას მხარი დაუჭირა საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ და ამ საქმის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ნ. მარს. სამწუხაროდ, კარგ დასაწყისს განხორციელება არ ეწერა. ამასობაში ნ. მარმა შეიტყო, რომ ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიის რექტორს კ. კოსტანიანცს (1853-1920) გამოქვეყნებული შრომების მიხედვით მომზადებული ჰქონდა ქრონოლოგიურად დალაგებული სომხური წარწერების კორპუსი. ნ. მარის თხოვნით, კ. კოსტანიანცმა მას გადასცა სარედაქციოდ და გამოსაცემად მოსამზადებლად კორპუსის ხელნაწერი. 1913 წელს ნ. მარმა იგი გამოსცა გარკვეული შესწორებებითა და დამატებებით [9]. წიგნში გამოქვეყნებულია განძასარის 1240 წლის წარწერა შაჰხათუნიანცისა და მ. ბარხუდარიანცის გამოცემების მიხედვით [9:81-92]. ბუნებრივია, რომ სიტყვა **թագաւոր** (მეფე) მასშიც ისევე იკითხება, როგორც მის წინამორბედებს აქვთ [10:81]. ვინაიდან კ. კოსტანიანცს განძასარის წარწერაზე თვითონ არ უმუშავია, შესაძლოა არც უნახავს, მისი გამოცემის ვარიანტები წინამდებარე გამოცემაში გათვალისწინებული არ არის. ასეა თუ ისე, კ. კონსტანიანცის გამოცემა შეიძლე-

ბა განძასარის მთავარი წარწერის მეოთხე გამოცემად ჩაითვალოს.

განძასარის წარწერის მეხუთე გამოცემად უნდა ჩაითვალოს იოსებ ორბელის გამოცემა. სამწუხაროდ, მისი წიგნი „განძასარისა და ჰავოცპტუკის წარწერები“ [11], რომელშიც შეტანილია განძასარის მთავარი წარწერა, ჯერაც არ არის ოფიციალურად გამოცემული, თუმცა მისი სტამბურად აწყობილი ქსეროასლი, როგორც ჩანს, ზოგ დაინტერესებულ პირს აქვს ხელთ, მათ შორის მეც.

გამოსაქვეყნებლად მომზადებულ წიგნში ი. ორბელი წერს, რომ ხაჩენის წარწერების შესწავლა და გადმოწერა მან დაიწყო 1908 წლის შემოდგომაზე. მისივე სიტყვით, ამ სეზონში მას განსაკუთრებით აინტერესებდა ცნობები ხაჩენის მთავრის ჰასან ჯალალ-დავლას შესახებ [11:1]. ი. ორბელის მუშაობის მეორე ეტაპი კრებულის შევსებასა და შემოწმებაზე გაგრძელდა 1909 წლის ზაფხულში. იმ პუნქტებს შორის, სადაც არსებული წარწერები მან შეისწავლა ბოლო ექსპედიციის დროს, დასახელებულია განძასარიც [11:1-2]. საკვირველია, მაგრამ სანამ განძასარის წარწერებს ხელახლა მიუბრუნდებოდა, ი. ორბელმა ჰასან ჯალალის შესახებ მოხსენება წაიკითხა საიმპერატორო აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილებაზე 1909 წლის 29 იანვარს და ნაშრომი იმავე წელს გამოაქვეყნა კიდეც [12]. ეფიქრობ, სწორედ ამით არის გამოწვეული ის შეცდომა, რომელიც მან დაუშვა ჰასან ჯალალის ტიტულატურის შესახებ მსჯელობისას.

1909 წლის, როგორც ჩანს, ზაფხულამდე გამოცემულ ნაშრომში ი. ორბელი წერს, რომ ჰასან ჯალალ-დავლას სრული ტიტულატურა შემოინახა განძასარის 1240 წლის წარწერამ:

„Самый пышный титул имеем в надписи 1240 г. имени hAсана Джалала о построении храма в Гандзасарском монастыре. Ես, նուաստ ծառայ Աստուծոյ Ջալալ Դաւլայ Հասան, որդի Վախտանգայ, թոռն մեծին Հասանայ, բնակաւոր ինքնակալ բարձր և մեծ Արցախական աշխարհի, թագաւոր եւ իշխանասահման տէա[ն]գի: «Я, смиренный раб Божий Джалал Давла hAсан, сын Вахтанга, внук великого hAсана, природный самодержавный царь высокой и великой страны арцахской и и имеющей обширные пределы области [хаченской]». Последнее слово я дополняю; в надписи его нет и нет места для него“ [2:158].

მოტანილი ციტატიდან ჩანს, თითქოს ი. ორბელი წარწერას დედანში კითხულობს, თუმცა ეს ტექსტი სიტყვა-სიტყვით გადმოწერილია მ. ბარხუდარიანცის წიგნიდან „არცახი“.

ცოტა ქვემოთ ი. ორბელი ცდილობს ისტორიული სიტუაციით გაამართლოს წარწერაში ჰასან-ჯალალ დავლას թագաւոր (მეფე)-დ მოხსენიება:

„Но если hAсан именовался царем, то он имел на это право, как представитель старшей (ხაზგასმა იოსებ ორბელს ეკუთვნის – ზ.ა.) линии своего рода; а почему вообще их род, взятый в широком смысле, мог претендовать и претендовал на царский титул, вытекает из обстоятельства, на которое уже обратил внимание Броссе. По указанию Броссе, в 1166 году прекратился род сюнийских владетелей, носивших титул царя. . . его место занял ближайший

старший род, род Вахтанга Сакар'яна. Этим и можно объснить в основе царственные претензии Джалала" [2:158-159].

ი. ორბელმა სხვა საინტერესო არგუმენტებიც მოიტანა ჰასან ჯალალ დავლას ტიტულატურაში ფადშახ (მეფე)-ს დადასტურების კანონზომიერების შესახებ[1], მაგრამ ეს ყველაფერი გააბათილა მის მიერვე გამოსაცემად მომზადებულმა წარწერამ, რომელშიც მსგავსი ტიტული არ დასტურდება.

იოსებ ორბელის გამოსაქვეყნებლად უკვე სტამბურად მომზადებულ წიგნს, „განძასარისა და ჰავოცპტუკის წარწერები", გამოცემის წლად ასევე სტამბურად აწერია 1919 წელი. მაგრამ ამ წელს წიგნი არ გამოცემულა. იოსებ ორბელმა სასტამბოდ გამზადებულ ცალში გააგრძელა კორექტურების შეტანა და საკმაოდ ბევრ წარწერას არშიაზე ფანქრით მიაწერა, რომ ეს წარწერა მას არა აქვს. როგორც ჩანს, ასეთი შენიშვნის მქონე წარწერები ი. ორბელს თავისი წინაპარი ავტორებისგან ჰქონდა აღებული და, ალბათ, ვარაუდობდა, რომ ხელახლა ანყობისას გამოცემაში ასეთ განმარტებას ჩაურთავდა. რომ ახალი გამოცემა მომზადდა 1922 წელს, კარგად ჩანს ი. ორბელის მიერ გამომცემლობისათვის თავისი ხელით მიწერილ განმარტებაში, რომელიც მისი თხოვნით უნდა დართვოდა წიგნის შესავალს, IV გვერდის შემდეგ. ხელნაწერ ტექსტს აქვს თარიღიც:

„Прошло пять лет после того, как было написано и набрано мое предисловие. семь лет после того, как основная часть книжки была сверстана. почти тринадцать лет после того, как надписи были собраны. Сейчас я, менее чем когда-либо, надеюсь посетить ещё раз Хачен и проверить свои чтения. С ещё большей тревогой за возможные погрешности и с ещё большим убеждением в необходимости выпустить этот сборник надписей, собранных в местности, где несколько лет свирепствовала война и где человек и природа совместно разрушали древние памятники, я подписываю к печати эту работу.

И. О.

8 января 1922".

ბედის დაცინვაა, რომ წიგნი ასეთი მომზადების შემდეგაც ვერ გამოქვეყნდა. 1966 წელს ერევანში გამოქვეყნდა „სომხური წარწერების კორპუსის" პირველი ტომი (მეორე ტომი მასზე ადრე – 1960 წელს გამოქვეყნდა), რომელშიც დაბეჭდილია ანისის წარწერები, მომზადებული გამოსაცემად ი. ორბელის მიერ. კორპუსის წინასიტყვაობაში ს. ბარხუდარიანი გვამცნობს:

1924 წელს მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის გამომცემლობაში იმყოფებოდა დასაბეჭდად დიდი ხნის წინათ მომზადებული ანისისა და განძასარის წარწერები. ამ წელს ადიდებული ნევა შევარდა აკადემიის გამომცემლობაში და მთლიანად მოსპო გამზადებული ტირაჟი. 1954 წელს ანისის

1 ი. ორბელის შეცდომამ, რომელიც განძასარის წარწერის წინა სამი გამომცემლისაგან მომდინარეობდა, ქართველი მკვლევარის ნაშრომშიც შემოაღწია. იხ. შ. დარჩიაშვილი, ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 2010, გვ. 127. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს თავისი ნაშრომი 1976 წელს ჰქონდა დამთავრებული და მაშინ წარწერის სწორი ნაკითხვა არ შეიძლებოდა სცოდნოდა. ეს კარგად ჩანს ნაშრომისათვის დართული ბიბლიოგრაფიიდანაც.

წარწერების გადარჩენილი ვარიანტი (ნაწილი ხელით ნაწერი, ნაწილი სტამბურად აწყობილი, ხოლო განმარტებები და სათაურები, ბუნებრივია, რუსულად შესრულებული) კორპუსის სარედაქციო კომისიამ სომხურ ენაზე მოამზადა და გამოსცა [13:XXVIII].

1982 წელს ერევანში გამოქვეყნდა „სომხური ეპიგრაფიკის კორპუსის" მეხუთე ტომი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა არცახის წარწერებს [1]. ამ ტომში შეტანილი განძასარის მთავარი წარწერა უკვე მისი მეექვსე გამოცემაა [1: 37-40, სურ. 23 (წარწერის ნაწილი)]. არცახის წარწერების ყველა გამოცემას, რომელიც გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა ი. ორბელს, ერთვის მასზე სათანადო მითითება.

კორპუსის რუბრიკა „შემდგენელისაგან" გვამცნობს, რომ მასზე მუშაობა მიმდინარეობდა 1960-1974 წლებში აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიასთან შეთანხმებით და თანამშრომლობით. სომეხი მეცნიერები მუშაობდნენ სომხური წარწერების გადმოღებასა და ამოკითხვაზე, ხოლო აზერბაიჯანელები არაბული წარწერებისა [1: 5].

როგორც კორპუსს შეშვენის, შემდგენელი, ეპიგრაფისტი ს. ბარხუდარიანი, ყველა წარწერასთან მიუთითებს წინა გამოცემებს, ყველა წარწერას ურთავს მონახაზს და ფოტოს სრულად ან ნაწილობრივ. მინდა შევნიშნო, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ გამომცემელი სქოლიოში მიუთითებდა სხვა ავტორების წაკითხვის ვარიანტებს, მონახაზი იქნებოდა კედლიდან გადმოღებული ზუსტი ასლი წარწერისა, ხოლო წარწერათა ფოტოები იქნებოდა სრული, თუნდაც იგი დიდი ფორმატის ყოფილიყო. კიდევ ერთი, რამაც გამაკვირვა არის ის, რომ ს. ბარხუდარიანი წერს, თითქოს ი. ორბელს განძასარის სომხური წარწერები გამოსაცემად მომზადებული აქვს რუსული თარგმანებით. ვინაიდან ის 1919 წლით დათარიღებულ წიგნს უთითებს, ხოლო მეც ამ წიგნის ქსეროასლი მაქვს ხელთ, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ წარწერების რუსული თარგმანი ი. ორბელს არა აქვს და არც წინასიტყაობიდან ჩანს, რომ იგი მათ თარგმნას აპირებდა. წიგნი მთლიანად რუსულ ენაზე არის დაწერილი, რა თქმა უნდა, გარდა სომხური წარწერებისა.

სომხური წარწერების კორპუსში შეტანილი განძასარის 1240 წლის სამშენებლო წარწერასა და ი. ორბელის გამოცემას შორის დიდი განსხვავება არ არის. მცირე ვარიანტული განსხვავებები მითითებულია ჩემს გამოცემაში. მთავარი კი ის არის, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, თავის გამოცემაში ი. ორბელი ჰასან ჯალალის ტიტულატურაში թագաւոր (მეფე)-ს აღარ ადასტურებს.

P.S.

წინამდებარე გამოცემაში განძასარის 1240 წლის სომხური წარნერისათვის ძირითად ტექსტად აღებულია ბოლო, სომხური წარწერების კორპუსის მეხუთე ტომში შეტანილი გამოცემა. დანარჩენი ყველა გამოცემის (გარდა კ. კოსტანიანცისა, რომელიც არ არის დამოუკიდებელი) ჩვენებები შედარებუ-

ლია მასთან, ხოლო ვარიანტები გატანილია სქოლიოში.

რაც შეეხება ქართულ თარგმანს, იგი შესრულებულია კორპუსის ტექსტზე დაყრდნობით, მაგრამ ითვალისწინებს სხვა გამოცემებსაც. ყველა საჭირო ცნობა და განმარტება ჩატანილია განძასარის 1240 წლის წარწერის ქართული თარგმანის სქოლიოში.

განძასარის ტაძრის 1240 წლის წარწერა
სომხური დედანი

[1] Յանուն Սուրբ Երրորդութեան Հայր և Որդո և Հոգոյն Սրբո այս զիր արձանի և զոր տվի [2]Նա, նուաստ ծառա Աստուծոյ Զալալ Դաւլայ Հասան, որդի Վախտանգա, թոռն մնծին [3]Հասանա, բնակաւոր ինքնակալ բարձր և մնծ Արցախական աշխարհի, ինքնակալ [4] Խանբերդի, յորնասահման նահանգաւք: Զի հայր իմ ի վախճան կենաց նլից [5]իւր աստեացս անդարձ կտակի հաստատեաց ինձ և մարն իմ Խորիշահի, որ էր [6]դուստր մնծ իշխանաց իշխանին Սարգսի՝ զի շինսցուք եկեղեցի ի գերեզ[7]մանատան հարց մերոց ի Գանձասար, զոր սկսեալ մեր :ՈԿՆ: (1216) թվին հայոց աւգնութեամբ բարեր[8]արին և ի խփել լուսամտին արնելից մայրն իմ կրաւնաւորնալ չդաւ յԵրուսաղեմ եր[9]թորդ անգամ և անդէն ի դրան Յարութեան. խարազանազգնաց ճգնութեամբ բազմամնա [10]ժուժկալութեամբ հանգեաւ ի Քրիստոս լուսո վկայութեամբ. և անդէն պահեցաւ: Իսկ մեր զբազմ[11]ածուփ կիրս կենցաղոյս ի մտի եդնալ փոյթ գործո արարնալ աւարտումս եղ[12]ևւ շնորհաւք ողորմութեամբ ամենայգոյթ Տեառն :ՈՁԷ: (1238) թվի գատնորնալ ամենա[13]զան ձնով, պատկերազան, յաւրինակերտ, զմբեթարդ յաւրինուածաւք: Յաւժար[14]ութեան կամաց մերոց. որպէս տեսանէ Աստուած. հոգացաք զպէտս միաբանիցս գեղոր[15]այս Մաչեղ, Հարչանտուս, Բոլորքոչն, :Ա: լուծ, Խաչինաձոր, Նորաշինական [16]գետն, այգեստանս Եղզընգնի՝ զոր իմ հայրն է տվել Սահակայն փուրկադո ոգ[17]ոյն. արձաթենիսն, որ ես տվի՝ խաչաւք, գրանաւք, մասամբք, նշխարաւք պատու[18]ական և ձուլածու ամենայն, սպասուց և հանդերձ երնելի զարդիւք՝ ի փառս Քրիստոսի Աստուծոյ մերո և Աստուծով ի մեր յի[19]շխանութեան նկեղեցիքս ազատ են: Կամայ Տէր Վարդանա, առաջնորդի Սուրբ Ոխտիս և միաբանիցս զրեցաք [20]ժամ զաւազ սեղանն բոլոր տարին մեզ և զայլ ամէն նկեղեցիքս՝ զատիկն իւր ճրագալուցովս՝ իմ հաւրն է: [21] Վախտանգա, Աստուածածնին :Դ: աւրն իմ մարն Խորիշահի և յայտնութիւն իւր ճրագալուցով՝ իմ Եղբարն Զաքարէի, [22]աւազ սեղանն որ իմ է յաստուածածնէն մինչ ի խաչն՝ իմ պապին Հասանա. Յիսնակամտէն մինչ ի յայտ[ն]ութիւն Մամբանա՝ [23]իմ կննակցին, յութաւրա[իր] ց նլիցն մինչ առաջաւորն՝ հասարակաց անյիշատակաց բարեկննդանին :Ա: Շաբ[24]աթն՝ իմ Եղբարն՝ Դաւլին. :Ա: Շաբաթն իմ բրոնրն՝ Մարիոն աղուհացից շաբաթ կիրակէքս՝ իմ Եղբարս՝ Իվանէին, զատկ՝ն [25]մինչ Յաստուածածնին և ի խաչէն մինչ յիսնակամուտն ինձ՝ Հասանա:

Աւրինացաւ նկեղեցիս :ՈՁԹ: (1240) թվին, [26]ի հայրապետութեան Տեառն Ներսիսի Աղուանից կաթուղիկոսի: Հաստատ է գիրս կամաւն Աստուծոյ ով հակառակի ոս[27]ոխն նորա Աստուած է, և ի իւր սուրբք:

Անտոնի տաւնին :Ա: աւր ժամ Յովասաբ միակնց[իին է կամաւն մե]ծին Հասանա:

Շահխաթունեանց. 1. Որդոյ; սյբոյ Հոգոյն; -տվի. 2. ծառայ; Դօլայ; Վախտանգայ. 3. Հասանայ; Արձախական. 4. Խանբերդի] թագաւոր և ի: նահանգաւք] նահանգի: հայրն. 5. մօր; իմ] իմոյ. 6. նկեղեցիս. 6-7. Գերեզմանատուն. 7. Թուին; թվին] - հայոց; օգնութեամբ. 8. բարերարին] + Աստուծոյ; կրօնաւորնալ. 8-9. Երորդ. 9. Խարազնազգնաց. 10. Լուսոյ. 11. – կիրս; գործոյ. 12. շնորհաւք; ամենագութ; թուին; գօտնորնալ. 13. ձնօք; յօրինակերտ; յօրինուածաւք. 13-14. Յօժարութեան. 14-15. գիւղորայս. 15. Հարչանտուս; Բոլորքոջն; Նորաշնական. 16. այգնստանս Սեղնկնի; է] էր; տուեալ; 16-17. փուրկադո ոգոյն] փուրկատորոտայն. 17. Տուին;

խաչօք: գրանօր: նշխարօր. 18. սպասուր; մերոյ. 20. Հօրն. 21. Վախտանկայ; օրն: մօրն Խորիշահին; ճրագալուցովս: Եղբօրն. 22. զաւազ Մամբանայ; պապուն Հասանայ; Մամբանայ. 23. ութօրարէից; բարեկենդանին. 24. Եղբօրն Դօլին; Մարինոյ; Խվանէի. 25. ի աստուածածինն; Հասանայ; թուին. 26. ովքոր 27. սուրբրն; Անտօնի տօնին; օր; Յովասափ; միսկեցին կամատն մեծին Հասանայ.

Ջալալեանց. 1. Որդոյ; սուրբ Հոգոյն. 2. Վախտանգայ. 3. Հասանայ: Արձախական; աշխարհին ինքնակալ - թագաւոր և ի. 4. –Խսներերդի. 5. աստեացս] աստի ի այս: իմ] իմոյ. 6. եկեղեցի] զեկեղեցիս. 6-7. Գերեզմանատունն. 8. բարերարին] + Աստուծոյ: և] ես: խփել] խփիլ. 8-9. երրորդ] երկրորդ. 11. -կիրս; գործոյ. 12. ամենայգութ; թվի] թուին; գաւտէորեալ: 13. ձևով] ձևաւր; զմրէթազարդ; յաւրնուածովք. 13-14. Յաւժարութեամբ 14. հոգացար գայէտս] հոգացութիւն ետու; միաբանից. 15. Մաչեղ հարջանտուս բոլորբոչն] Մակեղ հարկանգուս բոլոր քաչն; խաչինաձոր] խաչինայ որ. 15-16. նորաշինական գետն] նորաշինական գիւղն; 16. այգեստանս եղ[գ]ընգնի] այգեստան սեղնկնի; տվել] ուեալ; փուրկաղոյ Փուրկաթու. 16-17. ոգոյն] Ոտոցն: Արծաթենին: տուի. 18. սպասուր; զարդուր; մերոյ: - Աստուծով ի մեր. 18-19. իշխանութեան; 18. Վարդանայ 20. ամէն] ամենայն; զատկին. 21. Վախտանգայ; Խորիշահին; ճրագալուցովս; 22. զաւազ; -ի; պապուն; Հասանայ: Յիսնակամտին; ի յայտնութիւն] յայտնութեան. 23. յութաւրահրց] յութաւրէից: առաջաւոր; անյիշատակաց] և յիշատակաց; բարիկենդանին; 23-24. Շարաթ; 24. իմ բուերն Մարինոյ] բուրին Մարինու: կիրակին. 25. Յաստուածածինն] ի Աստուածածինն; յիսնակասուտն] յիսնակամուտն. 26. Կաթողիկոսին; կամաւն. 27. Անտաւնի: Յովասափ; է կամաւն] կատարի; Հասանայ.

Բարխուդարեանց. 1. որդոյ; Սրբոյ Հոգոյն; - տվի. 2. ծառայ; Դաւլա; Վախտանգայ; 3. Հասանայ; աշխարհի ինքնակալ + թագաւոր և; 4. –Խսներերդի; հայրն; մարն. 6. զեկեղեցիս. 7. Թուին. 7-8. բարերարին] - Աստուծոյ: կրաւնաւորեալ; Յերուսաղէմ. 8-9. երրորդ] երկրորդ; 9. -և; խարազնագգեաց. 10. լուսոյ; 11. - կիրս; գործոյ. 12. ողորմութեան: ամենագութ; թուին; գաւտէորեալ. 12-13. Ձևաւր; 13. յաւրինուածովք; գուրբաթազարդ. 13-14. Յաւժարութեամբ. 14-15. գիւղաւրայս; 15. հարջանտուս բոլորբոչն] Հարչանտուս բոլորբոչն: Խաչենաձոր; նորաշէնկան. 166. այգեստան; եղգրնգնի] սեղնկնի; է տվել] էր տուեալ. 16-17. փուրկաղո ոգոյն] փուրկատուուցին; տուի; գրանաւր] գրաւր. 18. ձուլածոյ; սպասուր; զարդուր; մերոյ; 18-19. իշխանութեան; 20. սեղանն] խորանն; այլ ամէն. 21. Վախտանգայ; Խորիշահին; յայտնութիւնն; ճրագալուցովս; 22. պապին Հասանա; 23. յութաւրահրց] ութորէից: բարեկենդանին; 24. .Ա.] .Բ.; Մարինայ; 25. յիսնակամուտն; Հասանայ. 26. ով] որ. 27. -նորա; Անտանի; Յովսափ; միայնակեցին: է կամատն] կատարի: Հասանայ.

Որբելի: 7. –Հայոց. 12. շնորհաւր + և; թվին. 13. զմրեթազարդ [յ]աւրինուածաւր + և. 15. խաչինաձորն: նորաշինկան] աշինկան. 16-17. ոդոյն; 21. :Դ:] :Դ: ջրաղալուցով. 25. յիսնակամուտն: թվին.

განძასარის ტაძრის 1240 წლის სომხური წარწერა[1] ქართული თარგმანი

სახელითა წმიდისა სამებისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, ეს წარწერა არის დოკუმენტი[2], რომელიც გავეცი მე, მორჩილმა ღმრთის მონამ, ჯალალ დაულა[3] პასანმა[4], ვახტანგის ძემ, დიდი პასანის შვილიშვილმა, მკვიდრმა თვითმპყრობელმა მაღალი და დიდი არცახის ქვეყნისა, თვითმპყრობელმა ხანბერდისა[5], მრავალსაზღვრიანი ნაპანგებით, ვინაიდან მამაჩემმა, სიცოცხლის აღსარულისას, დაგვიტოვა შეურყეველი ანდერძი [და] დაგვიმტკიცა მე და დედაჩემს ხორიშაჰს[6], რომელიც იყო დიდი მთავართა მთავრის სარგისის[7] ასული, რომ განძასარში,

ჩვენ მამათა განსასვენებელში ავაშენებდით ეკლესიას, რომელიც დავიწყეთ :665: (1216)[9] წელს[9] სომეხთა წელთაღრიცხვით, კეთილისმყოფელი [ღმრთის] შემწეობით. აღმოსაელეთის სარკმლის გადახურვა[10] რომ დავიწყეთ, დედაჩემი მონაზვნად აღიკეცა, მესამედ[11] წავიდა იერუსალიმში[12] და მალე აღდგომის [ეკლესიის] კარზე[13] შეიმოსა ფლასით ხორცის საგვემად, მრავალწლიანი მარხულობით განისვენა ქრისტეს ნათლის რწმენით და იქვე დაიმარხა[14]. ხოლო მე, ცხოვრების ჟამთა სიავე რომ გავითვალისწინე[15], დავაჩქარე საქმე და ყოვლადმონყალე უფლის შეწევნითა [და] მადლით [მშენებლობა] გასრულდა :687: (1238) წელს[16], შემოსარტყული მრავალნაირი გამოსახულებით და გუმბათისებრი[17] თაღებით მოკაზმული.

ხედავს ღმერთი, რომ ჩემი კეთილი ნებით, ამ მონაზონთა საჭიროებაზე ვიზრუნე [და შევწირე] ეს სოფლები: მაშელი, ჰარჯანტუსი, ბოლორქოჩი, ერთი უღელი [ხარ-კამეჩი][18], ხაჩინაძორი, ნორაშინიკის მდინარე[19], ელგნგნის[20] სავენახეები, რომელიც მამაჩემს მიუცია საპაკისთვის ფურკადო[21] სულის[22] (?!), ის ვერცხლი, რომელიც მე მივეცი, ჯვრებით, ბიბლიოთეკით[23] (?), ნაწილებით, პატიოსანი ნეშტით და ყველა გამოჭედილი [ეკლესიის] სამსახურებელი ჭურჭელი, საუკეთესოდ შემკულთან ერთად, ჩვენი ღმრთის, ქრისტეს სადიდებლად. ღმრთის [მადლით], ჩვენი მმართველობისას ეს ეკლესიები თავისუფალნი არიან. წმიდა მონასტრის წინამძღვრის ვარდანის[24] ნებით ბერებმა დაწერეს, რომ მთელი წლის მანძილზე მთავარ საკურთხეველში წირვა ჩემია, ხოლო ყველა სხვა ეკლესიაში აღდგომა, თავისი ვნების კვირის შაბათით, მამაჩემის ვახტანგისაა, ღვთისმშობლობის ოთხი დღე დედაჩემის ხორიშაპისაა და ნათლისღება თავისი შობის ღამით – ჩემი ძმის ზაქარესი. მთაყარი საკურთხეველი, რომელიც ჩემია, ღვთისმშობლობიდან ჯვრის [აღმართებამდე], ეკუთვნის მამაჩემ ჰასანს, ხოლო დიდმარხვის დასაწყისიდან ნათლისღებამდე – ჩემს თანამეცხედრეს მამქანს[25]. შვიდდღიანი [მარხვიდან] გამოსვლიდან არაჯავორამდე ყველასია, საეროდ [ყველასი], ეინც არ მოგვიხსენებია[26]. ყეელიერის ერთი კვირა ეკუთვნის ჩემ ძმას დავლას[27], ერთი კვირა – ჩემს დას მარინს[28], დიდმარხვის შაბათ-კვირა – ჩემს ძმას ივანეს[29], აღდგომიდან ღვთისმშობლობამდე და ჯვრობიდან დიდმარხვის დასაწყისამდე ჩემია, ჰასანისა.

ეკურთხა ეს ეკლესია :689: (1240) წელს[30] უფალი ნერსესის, ალბანთა კათალიკოსის პატრიარქობისას[31]. მტკიცეა ეს ნიგნი ღმრთის ნებით. ვინც ნინააღუდგეს, გაუწყრეს მას ღმერთი და მისი წმიდანები.

ანტონის დღესასწაულზე[32] ჰასანის ნებით 1 დღე წირვა იოასაბ მარტომყოფისაა[33].

კომენტარი

---

1. სომხური წარწერების დიდი ნაწილი ერთდროულად არის სამშენებლოც, შენირულების ნიგნიც და სააღაპეც. სწორედ ასეთია განძასარის 1240 წლის წარწერაც, ამიტომ მისი რაობის განსაზღვრა ერთი სიტყვით შეუძლებელია.
2. այս գիր արձանի է სხვადასხვაგვარადაც შეიძლება ითარგმნოს. ვფიქრობ, ჩემი თარგმანი უფრო ზუსტად გადმოსცემს ავტორის ჩანაფიქრს.
3. სომხური Դաւլայ (დაელა) საშუალო სომხურში შეიძლება ნაკითხული იქნას როგორც Դօլայ / Դօլա (დოლა), მაგრამ աւ>օ სავალდებულო სულაც არ არის, განსაკუთრებით ნასესხებ საკუთარ სახელებში. მიუხედავად ამისა, მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა (შაჰხათუნიანცი, ჯალალიანცი, ბარხუდარიანცი) ამ სახელს კითხულობენ როგორც „დოლა“. სომხურად კიდევ შეიძლება ამის გაკეთება, როდესაც იცი, რომ ხშირად ასეთი დაწერილობის օ (ო) შეიძლება ნაიკითხო როგორც աւ (ავ), მაგრამ ქართულში ეს სრულიად გამორიცხულია (შდრ. შ. დარჩიაშვილი, გე. 127 და საძიებელი). ამიტომ, ჩემი აზრით, მართალია ი. ორბელი, რომელიც თავის სპეციალურ ნაშრომში მას ყველგან ჰასან ჯალალ-დაელა-დ მოიხსენიებს და დაელას ეტიმოლოგიასაც განმარტავს: «Դաւլայ Dawlay ադյ «благополучие». Դաւլայ, в вульгарном чтении Дола». იხ. ჩАсан Джалал, გვ. 164, შენ 37. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვარდან ბარძრბერდელის (აღმოსავლელის) სიტყვები: „მეორე ვახტანგ საქარიანს, ივანეს სიძეს, შიდა ხაჩენის მფლობელს დარჩა ორი ძე, ჰასანი, მოფერებით ჯალალ-ტაველე და ზაქარე, [მოფერებით] ნასრა-ტავე-

ლე" (Մեծին Վարդանա Բարձրբերդեցւոյ Պատմութիւն տիեզերական, ի լոյս ընծայեաց Մկրտիչ Էմին, Մոսկվա, 1861, გვ. 184; ქართული თარგმანისათვის იხ. ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, თბ. 2002, გვ. 158. მე ხელთ არა მქონია ვენეციური გამოცემა, რომელშიც ქართულად მთარგმნელების მოწმობით ყოფილა ჯალალ-დოლა და ნასრა-დოლა). საგულისხმოა, აგრეთვე, რომ „დავლა" უკვე მეთოთხმეტე საუკუნიდან დადასტურებულია საკუთარ სახელად და ქართული გვარების შემადგენლობაში: დავლა, დავლას-ძე, დავლა-ძე, დავლი-ძე, დავლ-იანი-ძე (იხ. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა დაურთო თინა ენუქიძემ, თბ. 1977. გვ. 110,136: ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ. 1986, გვ. 110; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, II, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, თბ. 1993, გვ. 31).

4. ჰასან ჯალალ დაელა, ხაჩენის მთავარი (1214 წლიდან), ტაძრის აღმშენებელი და წარწერის დამკვეთი, 1261 წელს მოკლეს მონღოლებმა (hAсан Джалал, გვ. 157). კირაკოს განძაკელი მას ასე ახასიათებს: „. . . კეთილმსახური მთავარი ჰასანი, რომელიც დისწული იყო დიდ-დიდ მთავართა ზაქარე და ივანესი, კაცი კეთილმსახური და ღმრთისმოყვარე, მდაბალი და წყნარი, მოწყალე და უპოვართმოყვარე, დაუღალავი ღვცვა-ვედრებაში, როგორც ისინი, ვინც უდაბნოში იმყოფებიან. სადაც არ უნდა ყოფილიყო, დღისა თუ ღამის მსახურებას დაუბრკოლებლივ ასრულებდა, როგორც მონასტრები, მხსნელის აღდგომის მოსახსენებლად" (Կիրակոսի Գանձակեցւոյ Պատմութիւն Հայոց, Եր. 1961, გვ.168; რუსული თარგმანი: Киракос Гандзакеци, История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, М. 1976, გვ. 170).
5. ხანბერდის ადგილას განძასარის წარწერის პირველი სამი გამომცემელი და ყველა, ვინც მათ ნაკითხვას ეყრდნობა, მცდარად კითხულობს թագաւոր (მეფე)-ს.
6. ჰ. აჭარიანი ვარაუდობს, რომ საკუთარი სახელი ხორიშაჰი მომდინარეობს სპარსულიდან და ნიშნავს ,,შაჰის მზეს" (Հ. Աճառյան, Հայոց անձնանունների բառարան, հատոր Բ, Երեվան, 1944, გვ. 544). საინტერესოა, რომ ეს სახელი 1481 წლის სომხური ხაჩქარის წარწერაში „ხორეშაჰ" ფორმითაც არის დადასტურებული (Դիվան Հայ վիմագրության, պրակ V, გვ. 87). ასეთი ფორმის არსებობა კიდევ უფრო აახლოვებს ამ სახელს ქართულში გავრცელებულ ხვარეშან/ხორეშანთან და აძლიერებს ჰ. აჭარიანის ვარაუდს მათი საერთო წარმომავლობის შესახებ (Հայոց անձնանունների բառարան, გვ 544), თუმცა მ. ანდრონიკაშვილი ვარაუდობს, რომ ხორეშან საშუალო სპარსულიდან მომდინარეობს (მ. ანდრონიკაშვილი; ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ. 1966, გვ. 511, შენ. 1).
7. სარგის მხარგრძელი, ამირსპასალარი, მამა ზაქარია და ივანე მხარგრძელებისა, რომელთა დაც იყო ხორიშაჰი. მ. ორმანიანი შეცდომით მიიჩნევს, რომ ჰასან ჯალალის დედის, ხორიშაჰის ძმები, ზაქარია და ივანე, ორბელიანები იყვნენ (Մաղաքիա արքիեպիսկոպոս Օրմանեան, Ազգապատում. Բ, Ս. Էջմիածին, 2001, გვ. 1952 - ახალი გამოცემა). უცნაურია, მაგრამ შ. მესხიას ხორიშაჰი არა ჰყავს შეყვანილი მხარგრძელთა გენეალოგიაში (შოთა მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა მე-XII საუკუნის საქართველოში, თბ. 1979, გვ. 318) და არც საძიებელში. თუმცა თვითონ ფაქტი, რომ ზაქარიას და ივანეს და - ხორიშაჰი იყო ხაჩენის მთავრის - ვახტანგის მეუღლე, მან კარგად იცის. შ. მესხია ხორიშაჰს მეორე სახელად ტანკიკს უწოდებს (ჩემი აზრით, შეცდომა შედეგია კირაკოს განძაკელის ტექსტის მცდარი გაგებისა (იხ. Կիրակոսի Գանձակեցւոյ Պատմութիւն Հայոց, Եր. 1961, გვ. 268). ტონკიკ/ტანკიკი იყო მისი ქმრის, ვახტანგის ზედწოდება და არა ხორიშაჰისა (იქვე, გვ. 278). მ. ბროსეს მიაჩნია, რომ ხორიშაჰი იყო ზაქარია და ივანე მხარგრძელების დის თამთას მეორე სახელი და ამ სახელით იყო იგი ვახტანგ საკარიანის მეუღლე (Brosset Marie Félicité. Additions et éclaircissemants a L'Histoire da la Géorgie depuis l'antiqu'en jusqu'en 1469 J.-C. St.-Pétersbourg, 1851, გვ. 273.).

ეს ვარაუდი არგუმენტირებულად არ გაიზიარა ნ. ბერძენიშვილმა. იგი თელის, რომ 1214 წელს დაქვრივებულ ხორიშაჰს უკვე 6 შვილი ჰყავს, რაც შეუძლებელია თამთასთვის, რომელიც მას ივანე მხარგრძელის შვილად მიაჩნია და არა დად. (ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან მე-XIII საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, III, 1966, გვ. 83 და შენ. 20ა). მ. მესხიას ეს საკითხი განხილული არა აქვს და გენეალოგიურ ტაბულაში შეყვანილი ჰყავს ივანე მხარგრძელის და თამთაც და მისი შვილი თამთაც (საშინაო პოლიტიკური ვითარება, გვ. 318).

8. 551+665=1216.

9. ცხადია, ამ დროს ჰასანის მამა ვახტანგი/ვახტანკი/ვახთანკი უკვე გარდაცვლილია. ვარდან აღმოსავლელი ვახტანგის გარდაცვალებას მოიხსენიებს 1214 წლის ამბებთან დაკავშირებით (Պատմութիւն տիեզերական, გვ. 184), რაც საკმაოდ ზუსტი უნდა იყოს. დაახლოებით ამასვე ამბობს კირაკოს განძაკელი: „ხოლო მათმა კეთილმსახურმა დედამ, თავისი ქმრის, ვახტანგის, რომელსაც ტანკიკს უწოდებდნენ, გარდაცვალების შემდეგ, მოაწყო თავისი სამი შვილი ჯალალი, ზაქარე და ივანე და წავიდა წმიდა ქალაქ იერუსალიმში“ (Պատմութիւն Հայոց, გვ. 268). ი. ორბელი ამავე წყაროებზე დაყრდნობით ვახტანგის გარდაცვალებას 1214 წლით ათარიღებს (ჩАсан Джалал, გვ. 161). მარი ბროსე ვახტანგის გარდაცვალებას 1241 წლით ათარიღებს (ვფიქრობ, ი. ორბელი ცდება, როდესაც მ. ბროსეს ამ შეცდომას მიაწერს. შეცდომა უეჭველად კორექტურაა: 1214/1241), რასაც ი. ორბელი ვარდან დიდისა და კირაკოზ განძაკელის ცნობების გავლენით ხსნის (ჩАсан Джалал, გვ. 150). ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ვარდანის და კირაკოზის ცნობები შეცდომის საფუძველი ვერ გახდებოდა. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ვახტანგსა და ხორიშაჰს ექვსი შვილი ჰყავდათ: სამი ვაჟი და სამი ქალი. ამას ზუსტად მიუთითებს ერთერთი სომხური „სახარების“ ანდერძი: „ხოლო მე ვახტანგმა და ჩემმა მეუღლემ ხორიშაჰმა ღმრთის ნებით [ერთად] ვიცხოვრეთ და ვშობეთ სამი ვაჟი და სამი ქალი, ხორციელი მემკვიდრენი“ (ჩАсан Джалал, გვ. 148).

10. როგორც ჩანს, იგულისხმება საკურთხეველის სარკმელი. ი. ორბელი ვარაუდობს, რომ საკურთხევლის სარკმლის გადახურვის შემდეგ იერუსალიმში წასვლა, შესაძლოა, რაღაც ადგილობრივ ან სრულიად სომხურ ტრადიციას უკავშირდებოდეს (ჩАсан Джалал, გვ. 164, შენ.53). მე ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია ტექსტის გაგრძელება (იხ. ქვემოთ, შენ. 35).

11. ჯალალიანცი (გვ. 183) და ბარხუდარიანცი (გვ. 173) კითხულობენ „მეორედ“.

12. ვფიქრობ, ხორიშაჰმა 1214 წელს მეუღლის (ვახტანგ ტანკიკის) გარდაცვალების შემდეგ აღთქმა დადო, იერუსალიმი სამჯერ მოელოცა. როდესაც მშენებლობამ შეუქცევად სიმაღლემდე მიაღწია, დამთავრდა საკურთხეველი, მას უკვე ორჯერ ჰქონდა მოლოცეული იერუსალიმი. ხორიშაჰმა გადაწყვიტა, რომ ქმრის ანდერძი, განძასარში ტაძარი აეგოთ, პრაქტიკულად უკვე შესრულებული იყო და დადგა დრო, რომ თავისი აღთქმა შეესრულებინა: შემონაზვნებულიყო და მესამედ და სამუდამოდ გამგზავრებულიყო იერუსალიმში. მე არ შემიძლია დოკუმენტურად დავამტკიცო, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ იერუსალიმის სამჯერ მოლოცვა აუცილებელი თუ არა, სასურველი პირობა მაინც უნდა ყოფილიყო, იერუსალიმის რომელიმე მთავარ მონასტერში (ასეთი იყო აღდგომის ეკლესია-მონასტერი) მონაზვნად შესადგომად.

13. ერთ-ერთი მთავარი მონასტერი იერუსალიმში გოლგოთასა და უფლის საფლავთან ერთად არის ამაღლების მონასტერი. სამივე მონასტერი ეკუთვნოდათ მართლმადიდებელ (ქალკედონიტ) ქრისტიანებს. ვფიქრობ, ხორიშაჰი მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო გათხოვებამდე მაინც, ისევე როგორც ძმებს შორის მისთვის ყველაზე ახლობელი ივანე მხარგრძელი, ათაბაგი, რომელსაც მან მცირეწლოვანი შვილების აღზრდა მიანდო. ვფიქრობ, მართლმადიდებლობა მან შეინარჩუნა შემდეგაც, როდესაც ის ვახტანგის მეუღლე გახდა. კირაკოს განძაკელი ასე აღწერს ხორიშაჰის ყოფნას იერუსალიმში: „წავიდა იგი წმიდა ქალაქ იერუსალიმში და მრავალი წელი გაატარა იქ სინ-

ანულში, ანცვიფრებდა ყველა მნახველს და გამგონს, რადგან დაურიგა ყოველივე, რაც ჰქონდა უპოვართ და ხელმოკლეთ, აბგარის მეუღლის ელენეს მსგავსად, ხოლო თვითონ იკეებებოდა თავისი ხელით მოპოვებულით. იქ გარდაიცვალა და უფალმა განადიდა განმადიდებელი მისი - ნათელი თაღისებრ გარდამოვიდა მის საფლავზე" (Պատմութիւն Հայոց, გვ. 268). როგორც კირაკოს განძაკელი აღნიშნავს, ხორიშაჰი დიდხანს ცხოვრობდა იერუსალიმში. ვფიქრობ, ხაჩენისათვის მშვიდ დროს ვახტანგის გარდაცვალებიდან მონღოლების შემოსვლამდე (დაახლოებით 1214-1222 წლები) თავისუფლად ააშენებდნენ ტაძარს საკურთხეველის სარკმლის გადახურვამდე. 1222 წლიდან 1240 წლამდე (წარწერის გაკეთებამდე) არის მთელი 18 წელი (მეტ-ნაკლებად), რაც იმ დროისათვის შეიძლება ჩაითვალოს მრავალ წლად.

14. ვინაიდან განძასარის წარწერა შესრულებულია 1240 წელს, ცხადია, ხორიშაჰი ამ დროს უკვე გარდაცვლილია.

15. აი, მითითება ერთ-ერთ მიზეზზე, თუ რატომ დააჩქარა ხორიშაჰმა საბოლოო წასვლა იერუსალიმში, ხოლო ჰასან ჯალალმა ეკლესიის დამთავრება. მართლაც, 1236 წლის ახლოს, „ბრძენმა მთავარმა [ჰასან ჯალალმა] რომ დაინახა უშჯულოთა შემოჭრა, თავისი ქვეყნის მოსახლეობა გაამაგრა ციხეში, რომელსაც ხოხანაბერდს უწოდებდნენ სპარსულ ენაზე. როცა [მტერი] მოვიდა, რომ ალყაში მოექციათ ის, დაინახეს, რომ ციხის აღება შეუძლებელი იყო, მოუწოდეს მას მათთან სიყვარულით მშვიდობისაკენ. მაშინ მან (ჰასანმა), როგორც ბრძენს შეშვენის, მოიწონა მათი განზრახვა. შემდეგ თვითონ ეახლა მათ დიდი ძღვენით. [მათ] განადიდეს იგი, გადასცეს მისი ქვეყანა და კიდევაც დაუმატეს და უბრძანეს მას, წლითიწლობით გაჰყოლოდა მათ საომრად და ერთგულად დამორჩილებოდა მათ. ხოლო მან (ჰასან ჯალალმა) გონივრულად განკარგა თავისი ქვეყანა . . . როცა ისინი მასთან მოდიოდნენ, ქვეყანას არ ავიწროებდნენ "(Պատմութիւն Հայոց, გვ. 269; იხ., აგრეთვე, Հասան Джалал, გვ. 153). ჰასან ჯალალ-დაელას მიეცა ეკლესიის დამთავრების საშუალება, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ყოველთვის ასე არ იქნებოდა.

16. 551+687=1238.

17. գմբաթարդ (გმბათარდ) მე ვთარგმნე როგორც „გუმბათისებრი თაღები" (განძასარის ტაძარი მართლაც გუმბათისებრი თაღებით არის შემკული). ჯალალიანცი და ბარხუდარიანცი ამ ადგილს უფრო კარგად ცნობილ სიტყვას კითხულობენ - գմբաթագարդ (გმბათაზარდ), ხოლო ი. ორბელი საერთოდ ვერ კითხულობს სწორად. ვფიქრობ, ტექსტში აუცილებლად գմբաթարդ უნდა ჩაწერილიყო, ვინაიდან ამ სიტყვას წარწერაში სწორედ ასე კითხულობს კირაკოს განძაკელი მისი შექმნიდან (1238 წ.) ძალიან ახლოს, თუმცა კურთხევას (1240 წ.), როგორც ტექსტიდან ჩანს, ის არ დასწრებია. იხ. Կիրակոս գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց, Երեվան, 1961, გვ. 269.

18. ტექსტი გაუგებარია. ზოგი გამომცემელი :Ա: լուծ „ერთ წყვილს" ხაჩინაძორს აბამს, რაც კიდევ უფრო გაუგებარს ხდის მას. ვინაიდან სომხური լուծ „ლუწ"(ქართული „წყვილის" შესატყვისი) „უღელსაც" აღნიშნავს, მე მაინც ასეთი თარგმანი ვარჩიე. უკეთ არის ეს ადგილი თარგმნილი ნ. ალასანიანის მიერ: „. . . упряжку (надел). . .» (იხ. Арцах, გვ. 151).

19. რა თქმა უნდა, ნარმოუდგენელია, რომ ჰასანს მთელი მდინარე შეეწირა განძასარის მონასტრისთვის. ცხადია, ის გულისხმობს მდინარის მხოლოდ იმ ნანილს, რომელიც სოფელ განძასარს ჩამოუვლის, ამ მანძილზე თევზის რეწვას, სამშენებლო მასალის მოპოვებას და სხვა.

20. ამ ტოპონიმის აგებულება აშკარად არ არის სომხური. უფრო მოსალოდნელია, რომ ის ალბანური ტოპონომის ნაშთი იყოს.

21. სრულიად გაუგებარია, რას ნიშნავს სიტყვა փուրկատր (ფურკადო). მას სხვადასხვა გამომცემელი სხვადასხვანაირად კითხულობს და ზოგჯერ მომდევნო სიტყვასაც აბამენ, განხვავებული წაკითხვით. ასეთი სიტყვა არ დასტურდება სომხურ ლექსიკონებში, ჩვენთვის ცნობილ ალბანურ ტექსტებში და არც უდიური ენის ლექსიკონებში, მათ შორის არც ბარხუდარიანცის უდიურ სიტყვათა ჩამონათვალში სომხური შესატყვისით. ამიტომ

ეს ადგილი უთარგმნელად დაეტოვე.

22. ორბელს აქვს ոդոյն (ოდუინ)-ს. ასეევა სომხური წარწერების კორპუსში მოთავსებულ მონახაზზეც, თუმცა ტექსტში მოცემულია ոգոյն (ოგუინ). მ. ბარხუდარიანცს აქვს „ოტოცნ“.
23. მ. ბარხუდარიანცი კითხულობს գրաւք. სხვა ყველა (ზოგჯერ განსხვავებული ორთოგრაფიით գրաւսաւք-ს. დიდ განსხვავებას ასეთი წაკითხვები არ გვაძლევს.
24. სხვა რომელიმე განძასარის მონასტრის წინამძღვრის - ვარდანის გაიგივება სხვა მრავალ ვარდანთან არ ხერხდება (იხ. Հայոց անձնանունների բառարան, հատոր Ե, 1946, გვ. 85).
25. მამქანი, მეუღლე ჰასან ჯალალ-დაულასი, ქალიშვილი კვირიკე მესამისა. ხაჩენში ააშენა ბეერი ეკლესია, თავისი მეუღლის აშენებულ განძასარის ეკლესიას მიუშენა გავითი. გარდაიცვალა 1260 წელს (Հայոց անձնանունների բառարան, հատոր Գ, გვ. 188). კირაკოს განძაკელის „სომხეთის ისტორიის"რუსულად მთარგმნელი მამქანის სახელს რატომღაც Мамка (მამაკა)-დ წერს. თუ ეს არ არის კორექტული შეცდომა, მაშინ უნდა ეიფიქროთ, რომ მთარგმნელმა ბოლოკიდური ն (ნ) კუთვნილებით ნაცვალსახელურ ძირად („მისი“) ჩათვალა, და რადგან ასეთი ნაცვალსახელი (նորաւ) სრული სახით ტექსტში უკვე იყო, აღარ გაიმეორა. მაგრამ, საქმე ის არის, რომ „-ქან“ ასეთი აგებულების სახელების ძირის ნაწილია. მაგალითად, პაპქან. გულქან, რუზუქან და სხვა (იხ. Հայոց անձնանունների բառարան, հատոր Գ, გვ. 187).
26. მოხდენილი მოსახსენებელია. ძალიან მაგონებს ტრადიციულ ქართულ სადღეგრძელოს.
27. ჰასანის მომდევნო ძმა ზაქარე ნასრა-დავლა. ჰ. აჭარიანი ყვება ისტორიას, როგორ გაილაშქრა ივანე ათაბაგმა განძაკზე სამ ძმასთან - ჰასან ჯალალ-დავლა, ზაქარე ნასრა-დავლა და ივანე, დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა მათთან ერთად (Հայոց անձնանունների բառարան, հատոր Բ, გვ. 183-184). ვფიქრობ, აქ საქმე გაუგებრობასთან გვაქვს და ამას ადასტურებს მის მიერ მითითებული მ. ჩამჩიანის „სომხეთის ისტორიის“ ის ადგილებიც, სადაც ძმები მოხსენიებულნი არიან, მაგრამ არა ამ კონტექსტში (Միքաէլ Չամչեանց. Պատմութիւն Հայոց, հատոր գ, 1786, Վենետիկ, გვ. 185,202.
28. Մարին (მარინ) სახელის ფორმა უცნაურია, ამიტომ სომხურ წარწერათა კორპუსის საძიებელში მიუმატებიათ ա „ა“ - მარინ(ა), რაც ვფიქრობ, სწორი არ უნდა იყოს. ასეთი სახელი არ არის დადასტურებული ჰ. აჭარიანის „სომხურ პირთა სახელებში“, თუმცა მას ჰასან ჯალალ-დაულას დის სახელიც გამორჩენია. საინტერესოა, რომ დაულას სამი და ჰყავდა და დანარჩენ ორს არსად არ ასახელებს. შესაძლოა, ისინი მცირეწლოვანნი გარდაიცვალნენ და ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო მათი დედის ხორიშაჰის იერუსალიმის მოლოცვებისა და ბოლოს მონაზვნად შედგომისა. მაინც მიკვირს, რომ ჰასანი იმ ორი დის სულის მოსახსენიებელს არ აწესებს.
29. ჰასანის ძმა ივანე. გარდა ამისა, მისი სხვა აქტივობა სხვა წყაროებიდან არ ჩანს. საინტერესოა, რომ ხორიშაჰმა (რა თქმა უნდა, ვახტანგის თანხმობით, ორ ვაჟს თავისი სახელოვანი ძმების სახელები დაარქვა: ზაქარია/ზაქარე და ივანე. უცნაურია, რომ ვარდან დიდი (ბარძრბერდელი, აღმოსავლელი) წერს, რომ ვახტანგსა და ხორიშაჰს მხოლოდ ორი ვაჟი დარჩათ: ჰასან ჯალალ-დავლა და ზაქარე ნასრა-დავლა (იხ. შენ. 26). ივანე 1238 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია, ამიტომ მის მოუხსენებლობას ადრე გარდაცვლით ვერ ავხსნით.
30. 551+689=1240.
31. ნერსეს ალბანთა კათალიკოს-პატრიარქი (1235-1262). განძასარის ტაძრის სატფურება (კურთხევა) მისი დამთავრებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამაშიც, შესაძლოა, პოლიტიკური სიტუაცია იყო დამნაშავე, თუმცა წყაროები ამას არ აღნიშნავენ. შედარებით ვრცლად სატფურების პროცესი აღწერილი აქვს კირაკოს განძაკელს: „როდესაც მშენებლობა დასრულდა, ჰყვეს საზეიმო სატფურება ეკლესიის საკურთხებლად. იქ იყო ალბანთა კათოლიკოსი ნერსესიც მრავალი ეპისკოპოსით, აგრეთვე, დიდი ვარდაპეტი (მოძღვარი -ზ.ა.) უანაკანი მრავალი რაბუნით. იქ იყვნენ, აგრეთვე, გრიგ-

ორისი და უფალი ელია წმინდა ვარდაპეტები ხაჩენისა, რომელიც შეემკო ღმერთს ორი კაცით. . . აკურთხეს ეკლესია [იმდენად] მრავალი მღვდლით, რომ ამბობენ, ხუცესთა რიცხვი 700 იყოვო. როდესაც დაბეჭდეს მირონცხებით, [ჰასანმა] დიდი წვეულება გამართა, თვითონ თავისი ხელით მრავალთ და თვითეულს უხვად მიაგებდა პატივს. მოხდა ეს 1240 წელს, ვარდავარის (ფერისცვალების - ზ.ა.) დიდ დღესასწაულზე" (Պատմութիւն Հայոց, გე. 270).

32. იგულისხმება წმ. ანტონ დიდი (251-356), რომელიც ითელება მარტომყოფობის დამწყებად. მისი მოხსენიების დღეა 17/30 იანვარი.

33. იოასაბ მარტომყოფი სხვა წყაროებით ცნობილი არ არის. ვარაუდობენ, რომ ბოლო წინადადება ერთგვარ დამატებასავითაა (P.S.) მთელი წარნერისათვის. საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ჰ. აჭარიანს. იგი ეარაუდობს, რომ განძასარის 1240 წლის ნარნერა დაწერილი და შემდეგ ამოკვეთილია იოასაბის მიერ (Հայոց անձնանունների բառարան, հատոր Գ, გე. 534). აჭარიანი აღარ განმარტავს, მაგრამ, ჩანს, ეარაუდობს, რომ ბოლო წინადადება ამიტომ არის გამოყოფილი მთელი წარნერისაგან.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Դիվան Հայ վիմագրության, պրակ V, Արցախ, կազմեց Ս. Գ. Բարխուդարյան, Երեվան, 1982, გე. 36.
2. И. Орбели. Асан Джалал, князь Хаченский, Избранные труды, Ереван, 1963, стр. 146.
3. Քրիստոնյա Հայաստան, Հանրագիտարան, Երեվան, 2002, გე. 817-818.
4. Հովհաննէս եպս. Շահխաթունեանց, Ստորագրութիւն կաթողիկէ Էջմիածնի և հինգ գաւառացն Արարատեայ, հտ. Ա-Բ, Էջմիածին, 1842. გე. 371-372.
5. Ճանապարհորդութիւն ի Մեծն Հայաստան, աշխատասիրութեամբ Սարգիս Վարդապետի Ջալալեանց, միաբանի Վանաց Սանահնի ի 1841, մասն Ա, Տփխիս, 1842. Մասն Բ. Տփխիս, 1858.
6. Ճանապարհորդութիւն, Ա, გე. 3-184.
7. Histoire de la Siounie par Stephannos Orbélian, Traduite de l'Arménien par M. Brosset, premiere Livraison, Saint-Péterbourg, 1864, seconde Livraison, Saint-Péterbourg, 1866.
8. Епископ Макар Бархударянц, Арцах, Перевод с армянского Пельсона Алексаняна, Издание подготовили Белла Григорян и Вагe Григорян. Санкт-Петербург, 2009.
9. Վիմական տարեգի, ցուցակ ժողովածոյ արձանագրութեանց Հայոց, կազմեաց Կ. Կոստանեանց, Ս.-Պետերբուրգ, 1913, იხ. ნ. მარის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი შესავალი, გე. 1-3.
10. ბუნებრივია, Վիմական տարեգիր-ზე დაყრდნობით ჰ. მანანდიანიც მიუთითებს, რომ ნარატიულ წყაროთაგან განსხვავებით განძასარის 1240 წლის ნარწერაში ჰასან ჯალალ-დავლა მეფედ მოიხსენიება (Հակոբ Մանանդյան, Քնական տեսություն Հայ ժողովրդի պատմութեան, երկեր, Գ, Երեվան, 1977, გე.167).
11. Надписи Гандзасара и Навоцптука, собрал и подготовил в печать Иосиф Орбели, Петроград, 1919.
12. Асан Джалал, князь Хаченский, Известия Императорской Академии наук, 1909, серия VI, т. III, N61.
13. Դիվան Հայ վիմագրության, պրակ I, Անի քաղաք, կազմեց Հ. Ա. Օրբելի, Երեվան, 1966, გე. XXVIII.

ZAZA ALEXIDZE

GANDZASAR INSCRIPTION

Summary

Below is the publication of the critically established text of the Gandzasar Armenian inscription of 1240 published together with the Georgian translation, commentary and introduction. The inscription belongs to the ruler of Arcax (Xachen) Hasan Jalal-Davla. It is simultaneously of builder, donor and also of commemorative kind. The inscription is important not only for its content but also for the historical figures mentioned in it. Especially important is the reference to the mother of Hasan, Shahxatun, who was sister of Zakaria and Ivane Mxargrdzelis. The inscription also abounds with toponyms, church feasts and with linguistic peculiarities.

З. Н. АЛЕКСИДЗЕ

ГАНДЗАСАРСКАЯ НАДПИСЬ

Резюме

Публикуется критически установленный на основании шести изданий текст надписи 1240 года на гандзасарской церкви, с грузинским переводом, комментариями и вступительным словом. Надпись принадлежит главе Арцаха (Хачена) Хасану Джалалу-Давле. Надпись является одновременно строительной, поминальной и жертвенной. Надпись имеет важное значение не только с точки зрения своего содержания. В ней упоминаются лица (особенно интересны сведения относительно матери Хасана Шаххатун, которая была сестрой Закарии и Иване Мхаргрдзели), топонимы, церковные праздники. Представляют определенный интерес также и языковые особенности надписи.

გიორგი სოსიაშვილი

აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ცნობები თბილისის შესახებ

XX საუკუნის დასაწყისი ის პერიოდია, რომელიც განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმებით ხასიათდება მთელს მსოფლიოში და, ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. ახალმა საუკუნემ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. აღნიშნული პერიოდის ირგვლივ არაერთი უცხოური წყაროა გამოვლენილი და შესწავლილი. ვფიქრობთ, ამ მხრივ, ძალზე საყურადღებო ცნობები მოეპოვება ამერიკელ მკვლევარ-მოგზაურს აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონს, რომელმაც კავკასიის რეგიონის გავლით არაერთხელ იმოგზაურა ირანსა და ინდოეთში. შთაბეჭდილებათა წიგნებში: „სპარსეთი წარსული და აწმყო", „კონსტანიპოლიდან ომარ ხაიმის სახლისკენ" ჯეკსონმა საინტერესო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებ. აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონი დაიბადა 1862 წელს. პაპის საპატივსაცემოდ, რომელიც ნიუ-იორკის ალდერმანის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე იყო, ახალშობილს აბრაჰამ ვალენტინ უილიამსი დაარქვეს. ჯეკსონი სწავლობდა, როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებში. 1879 წელს მან ჩააბარა კოლუმბიის უნივერსიტეტში, რითაც საფუძველი ჩაეყარა მომავალი მკვლევრის აკადემიურ კარიერას. იგი აშშ-ში ირანისტიკის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი გახდა. ჯეკსონს თითქმის არასოდეს მიუტოვებია კოლუმბიის უნივერსიტეტი, გარდა იმ პერიოდისა, როდესაც იგი უცხო ქვეყნებში სამოგზაუროდ იმყოფებოდა [1]. თავდაპირველად უილიამსი კლასიკურ ფილოლოგიას სწავლობდა, მაგრამ ამავდროულად ის დიდ ინტერესს ამჟღავნებდა შედარებითი ფილოლოგიის მიმართაც. სწავლობდა ანგლო-საქსურ, სპარსულ და სანსკრიტულ ენებს. სანსკრიტული ენების შესწავლაში მას ედვარდ დელავენ პერი ეხმარებოდა. მან სანსკრიტული ენის შესწავლა კოლეჯის ბოლო საფეხურზე დაიწყო და პერის შთაგონებით, ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ 1883 წელს სწავლა განაგრძო მაგისტრატურის საფეხურზე. აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონმა 1884 წელს მაგისტრის აკადემიური ხარისხი მოიპოვა. ჯეკსონის მიერ უძველეს ხელნაწერთა წარმატებით გამოკვლევის გამო, ინდოეთში მცხოვრებმა ფარსებმა კოლუმბიის უნივერსიტეტს ზოროასტრიზმის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი გადასცეს. ხელნაწერებზე ჩატარებული ნაყოფიერი კვლევების შედეგად ერთი წლის შემდეგ ჯეკსონს ხელნაწერთა დოქტორის ხარისხი მიენიჭა, ხოლო 1886 წელს მომავალი მოგზაური

ფილოსოფიის დოქტორი გახდა. თუმცა, სამეცნიერო ხარისხების ჩამონათვალი ამით არ დასრულებულა. ჯეკსონმა მუშაობა განაგრძო იურისპუდენციაში. ამ სფეროში მისი კვლევითი (1904 წელს) საქმიანობა წარმატებით დასრულდა. მას კოლუმბიის უნივერსიტეტში სამართლის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა [1]. 1886 წელს ჯეკსონმა ერთი წლით კოლუმბიის უნივერსიტეტში ანგლო-საქსური და ინდო-ირანული ენების ინსტრუქტორად დაიწყო მოღვაწეობა. ჯეკსონი დიდ ყურადღებას უთმობდა და აფასებდა ირანულ ტრადიციებს, რაც კარგად ჩანს მის ნაწარმოებში „ზარატუსტრა", ასევე მისი მოგზაურობის პერიოდში შექმნილ ორ ნაწარმოებში: „სპარსეთი, წარსული და აწმყო" და „კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიამის სახლისკენ" [1]. 1891 წელს ჯეკსონი კოლუმბიის უნივერსიტეტში ინგლისური ენის ასისტენტ-პროფესორად აირჩიეს. 1895 წელს ჯეკსონი პროფესორი გახდა და ინდო-ირანული ენების და ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა. მის სამეცნიერო საქმიანობაში ინგლისური ლიტერატურა საბოლოოდ აღმოსავლურ მეცნიერებათა კვლევამ გადაწონა. ჯეკსონი ამერიკის აღმოსავლური საზოგადოების დირექტორი გახდა და დიდი წვლილი შეიტანა ამ საზოგადოების ჟურნალის დაარსებაში. აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის გარდა ჯეკსონი დიდ დროს უთმობდა სამეცნიერო მოღვაწეობასაც. ევროპაში ხშირი სამეცნიერო ვიზიტების გარდა ჯეკსონს თავიდანვე იტაცებდა მოგზაურობა. სწორედ მეცნიერულმა ცნობისმოყვარეობამ და თავგადასავლებისადმი ლტოლვამ არაერთხელ ჩაიყვანა ის ირანსა და ინდოეთში. ყველაზე რთული გამოდგა მისი 1903 წლის მოგზაურობა სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაში, რამაც ასახვა ჰპოვა მის ნაწარმოებში „სპარსეთი, წარსული და აწმყო" (Persia Past and Present: A Book of Travel and Research. New York. 1906). ამას მოჰყვა ორი მოგზაურობა: 1907 და 1910 წლებში. ეს მოგზაურობები აღწერილ იქნა მის ნაწარმოებში „კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიამის სახლისკენ" (From Constantinople to the Home of Omar Khayyam: Travels in Transcaucasia and Northern Persia for Historic and Literary Research. New York, 1911). 1931 წლის ზაფხულში ჯეკსონს განუკურნებელი სენი შეეყარა. 1935 წელს მკვლევარი აკადემიურ საქმიანობას ჩამოცილდა. ღვაწლმოსილ მეცნიერს კოლუმბიის უნივერსიტეტში ემერიტუსის წოდება მიენიჭა. იგი გარდაიცვალა 1937 წლის 8 აგვისტოს.

როგორც აღვნიშნეთ, აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ნიგნებში: „სპარსეთი წარსული და აწმყო", წიგნში „კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიმის სახლისკენ" შეტანილია ცნობები საქართველოს შესახებ. (პირველ წიგნში ერთი თავი ეთმობა თბილისს – საქართველოს დედაქალაქს, ხოლო მეორე ნაშრომის ერთ-ერთ თავში – „შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ" აღწერილია დასავლეთ საქართველო, კერძოდ შავი ზღვის სანაპირო, ქალაქი ბათუმი და მცირე ადგილი ეთმობა ქალაქ თბილისს). შთაბეჭდილებათა წიგნებში დაცულია საინტერესო ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ჯეკსონის წიგნი „სპარსეთი, წარსული და აწმყო" 1906 წელს ნიუ-იორკში გამოიცა. როგორც შესავალში წერს, ავტორი ამ წიგნზე სამი წელი მუშაობდა. მას ირანში 1903 წელს უმოგზაურია. თუმცა მანამდე ის სამეცნიერო მიზნებით ნამყოფი იყო ინდოეთსა და ცეილონში. რო-

გორც თვითონ აღნიშნავს: „1903 წლის იანვრის ბოლო იყო, როდესაც კოლუმბიის უნივერსიტეტიდან ნახევარი წლით განთავისუფლების ნებართვა მივიღე, რათა კვლავ ვწვეოდი აღმოსავლეთს“ [2: 7]. ჯეკსონის დაინტერესების საგანს წარმოადგენდა უძველესი რელიგია – ზოროასტრიზმი, ასევე ირანში არსებული სიძველეები. როგორც მოგზაური აღნიშნავს, წიგნში ერთად იყო თავმოყრილი მოგზაურობის შთაბეჭდილებები და მეცნიერული კვლევები. მისი ჩანაწერები გათვლილი იყო როგორც სტუდენტებზე, ისე ფართო მკითხველზე. ჯეკსონს უსარგებლია მის ხელთ არსებული სხვადასხვა წყაროებით, საიდანაც მდიდარ ინფორმაციას იღებდა არამარტო ირანის, არამედ მთელი აზიის შესახებ. იგი ასახელებს იმ წყაროებს, რომელთაც წიგნზე მუშაობის დროს იყენებდა, მათ შორის: ჰეროდოტეს, არაბ მწერლებს, კერ პორტერს[1], წიგნის შესავალში ჩანს აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის მოგზაურობის მარშრუტი. ამერიკელი მეცნიერი ნიუ-იორკიდან ბერლინში ჩავიდა, სადაც თავის მასწავლებელს, პროფესორ კარლ ფრიდრიხ გელდნერს შეხვდა. აქედან ჯეკსონი სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრა. მისთვის დახმარება გაუწევია ყოფილ მოსწავლეს – მონტგომერ შუილერ უმცროსს. იგი ამერიკის საელჩოში მდივნად მუშაობდა. სანკტ-პეტერბურგიდან ჯეკსონი მოსკოვში ჩავიდა, სადაც გარკვეული პერიოდი დაჰყო. აღსანიშნავია, რომ ჯეკსონს ვაშინგტონიდან ოფიციალური რეკომენდაცია ჰქონდა, რის გამოც მას ყველგან თბილად ხვდებოდნენ. მოსკოვიდან მოგზაური მატარებლით ვლადიკავკაზში ჩავიდა, ვლადიკავკაზიდან ბაქოში გაემგზავრა, ბაქოდან კი თბილისში. თუ რატომ აირჩია ასეთი მარშრუტი, ამას თვითონვე განმარტავს: „იმის ნაცვლად, რომ გზა კასპიის ზღვის გადაკვეთით გამეგრძელებინა და თეირანისაკენ წავსულიყავი, რატომღაც, უფრო რთული გზა ავირჩიე და გეზი ტიფლისისაკენ ავიღე. მინდოდა შევსულიყავი სპარსეთში აზერბაიჯანის გავლით. ეს არის მხარე, რომელმაც, როგორც მე ვიცი ზოროასტრიზმს შთაბერა სული“ [2:11]. მატარებლით ბაქოდან თბილისამდე მანძილის გავლას ჯეკსონმა 14 საათი მოანდომა და თბილისში შეღამებისას ჩავიდა. გზად გაიარა ელისაბედპოლი, იგივე განჯა. როგორც აღვნიშნეთ, ჯეკსონის წიგნში „სპარსეთი ნარსული და აწმყო“ ცალკე თავი ეთმობა თბილისს.

ამერიკელი მოგზაური საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე დღე დარჩა და თბილისის შესახებ ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა. იგი აღწერს ქალაქის იერსახეს, მოგვითხრობს მისი დაარსების შესახებ (რაც სავარაუდოდ მისი ქართველი გიდის – როსტომის ნაამბობი უნდა იყოს), ჯეკსონი აღწერს ასევე თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხს. დიდ ადგილს უთმობს საქართველოს დედაქალაქში მცხოვრებ იეზიდებს. ჯეკსონს დაწერილე-

1 ჯეკსონის მიერ ნახსენები კერ პორტერი – ეს არის ინგლისელი მხატვარი რობერტ კერ პორტერი, მან აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა 1817, 1818, 1819 და 1820 წლებში. გამოსცა ორ ტომიანი ნაშრომი „TRAVELS GEORGIA, PERSIA, ARMENIA, ANCIENT BABYLONIE, During the 1817, 1818, 1819 and 1820. By Sir Robert Ker porter. Vol. I. London 1821; TRAVELS GEORGIA, PERSIA, ARMENIA, ANCIENT BABYLONIE. During the 1817, 1818, 1819 and 1820. By Sir Robert Ker porter. Vol. II. London 1822; პორტერმა ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებ, რომელიც შესულია მისი თხზულების მეორე ტომში.

ბით აქვს აღწერილი თბილისის განლაგება. მოგზაური აქ არსებული არაერთი ღირსშესანიშნაობის შესახებ გვესაუბრება. იგი განსაკუთრებით მოხიბლულა კავკასიის მუზეუმის ხილვით. ვფიქრობთ, ამერიკელი მეცნიერის და მოგზაურის აბრაჰამ ვალენტინ უილიმს ჯეკსონის ცნობები მრავალი საინტერესო დეტალით გაამდიდრებს XX საუკუნის დასაწყისში თბილისის შესახებ არსებულ ჩვენი ცოდნის თვალსაწიერს.

სპარსეთი წარსული და აწმყო
თავი 2
თბილისი, ტრანსკავკასიის დედაქალაქი

„პართიელნი[1] და მიდიელნი[2], ელამიტები[3] და შუამდინარეთის[4], იუდეის[5], კაბადოკიის[6], პონტოსა[7] და აზიის მკვიდრნი".

ახალი აღთქმა, თავი 9.2

თბილისი არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი. ეს იმ ქალაქთაგანია, სადაც დასავლური ცივილიზაცია შეერწყა აღმოსავლურ ტრადიციებს, მაგრამ ამისი ნიშნები არასოდეს გაქრება. იქ იმდენ ენაზე საუბრობენ, რამდენზეც მოციქულებმა სულთმოფენობის დღესასწაულზე დაიწყეს საუბარი და იმდენი ენის ტიპი არსებობს, რამდენიც ძველსა თუ თანამედროვე ცხოვრებას შეუძლია დაიტიოს. ქალაქის სავსე ქუჩებში, ცხვრის ტყავში შემოსილ კავკასიის მკვიდრს ურთიერთობა აქვს სომეხთან, ქართველთან, ირანელთან, ქურთთან, თურქთან და მონღოლთან, ან მაუდში გამონყობილი ევროპულად ჩაცმულთან ერთად დასეირნობს. მუდმივად გადაადგილებადი ჯგუფები და ცვალებადი ფერები ეჯიბრებიან ერთმანეთს მრავალფეროვნებაში. ადგილობრივი უბნების ვიწრო ქუჩები, ბაზრების ლაბირინთები და ჯიხურებს შორის არსებული ხალხით სავსე ადგილები აღმოსავლურია, მაგრამ ქალაქის ევროპული ნაწილები, ფართო ქუჩებით, გრძელი გამზირებითა და დიდი მოედნებით, დასავლურია და მონმობს რუსულ წინსვლას.

რადგანაც იგი ტრანსკასპიის დედაქალაქია, თბილისში განთავსებულია სამოქალაქო და სამხედრო ორგანოების შტაბები. იგი წარმოადგენს ასევე მთავრობის ადგილსამყოფელს. მისი კომერციული თვალსაზრისით ზრდა შესამჩნევი იყო უკანასკნელ წლებში; ქალაქის გული ძგერს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაძლიერებული პულსით და მისკენ ლტოლვა ას სამოცი ათასი მაცხოვრებლის მხრიდან სულაც არ არის გადაჭარბებული.

ისტორიულად თბილისი ყოველთვის გახლდათ ინტერესის საგანი, რადგანაც იგი ძველი საქართველოს დედაქალაქი იყო. ცნობილია, რომ მას ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში პოპულარობა მოუტანა ქართველმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა[8], რომელსაც მოეწონა ეს ადგილი გოგირდის აბანოების სამკურნალო თვისებების გამო. ამ ცხელი წყაროების მნიშვნელობის შესახებ გვიამბობს მეათე საუკუნის არაბი მოგზაური იბნ ჰაუკალი[9], რომელიც აღნიშნავს: „წყალი ცხელია ცეცხლის გარეშე" და იქვე დასძენს, „თბილისი არის სასიამოვნო ადგილი და გააჩნია ბევრი საკვები; მას აქვს ორი

თიხის კედელი, მოჰყავთ ბევრი ხილი. აქვე განვითარებულია სოფლის მეურნეობა". მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, იგი, ისევე როგორც აზიის სხვა ბევრი ქვეყანა, განადგურებული იქნა თემურ ლენგის მიერ[10]. თბილისის მეტროპოლისად განვითარებას მუდმივად თან ერთვოდა თურქების ხშირი თავდასხმები, რასაც მოჰყვა ირანელთა ბატონობა 1801[11] წლამდე, ხოლო ამის შემდეგ თბილისი ხელში ჩაიგდეს რუსებმა და მას შემდეგ იგი რუსეთის მთავრობის ბატონობის ქვეშ დარჩა, სადაც კავკასიის შერეული მოსახლეობის ურჩი ხასიათის გამო აქ დროდადრო არეულობები და აჯანყებები[12] ხდებოდა.

ქალაქი ნაწილობრივ მდებარეობს მთაზე. უძველესი ციხე-სიმაგრე, ასევე აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ არსებული შემაღლებული ადგილები, ქალაქს ტერასულ[13] ეფექტს აძლევს. მის ცენტრში ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოედინება მდინარე მტკვარი[14], რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. მდინარეს, ძველად კიროსად მოიხსენიებდნენ. სწრაფი დინების ორივე მხარეს, რომელიც ქალაქის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს, არის თბილისის უძველესი უბნები, ქართული ნაწილი (ავლაბარი[15]) აღმოსავლეთ ანუ მარცხენა სანაპიროზეა, ბაზრები კი – დასავლეთით ანუ მარჯვენა სანაპიროზე. ჩრდილოეთით მდებარეობს ქალაქის რუსული ნაწილი, რომელიც ესაზღვრება ბაზრებს და მდინარის იმავე მხარესაა, თავისი შესანიშნავი შენობებით, ფართო გამზირებით და გრანდიოზული ალექსანდრეს ბაღით[16], იგი ცენტრს წარმოადგენს. ამ ადგილას, ერთ-ერთი ხიდის გადაკვეთისას, ჩვენ შევდივართ გერმანულ რაიონში[17], რომელიც გადაჭიმულია ქართული კვარტლის ჩრდილოეთიდან და მისი სახელი მომდინარეობს ვიურტემბერგელი ემიგრანტებისგან[18], რომლებმაც გასული საუკუნის დასაწყისში დატოვეს თავიანთი სამშობლო გარკვეული რელიგიური შეხედულებების გამო და თბილისი ახალ სახლად გაიხადეს.

რუსულ უბანში არის მდიდრული შენობები, რომელიც განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის, ფოსტისთვის და ბანკისთვის, აგრეთვე ეკლესიისთვის, თეატრისთვის, კლუბებისთვის, მაღაზიებისთვის, სასტუმროებისთვის, კერძო საცხოვრებლებისა თუ ოფიციალური ადგილებისთვის, ასევე ბაღებისა და პარკებისთვის. ყველა მათგანი გადმოსცემს დასავლურ იდეებს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შენობათაგანია კავკასიის მუზეუმი,[19] საილუსტრაციო მასალის მდიდრული კოლექციით, რომელიც დაკავშირებულია კასპიისა და შავი ზღვის რეგიონებთან. აქ სტუდენტი იპოვის დოქტორ გუსტავ რადეს[20] მიერ რუდუნებით და ყურადღებით დაგროვილი ანტიკვარული ქონების საწყობს, რომელსაც მან თავისი ცხოვრების წლები მიუძღვნა. როდესაც თბილისში ჩამოვედი, მე გავიგე, რომ ეს ენთუზიასტი და ერუდირებული კოლექციონერი სერიოზულად იყო ავად, რაც მისი უკანასკნელი ავადმყოფობა აღმოჩნდა. უსუსური მდგომარეობის მიუხედავად, იგი დაჟინებით მოითხოვდა ჩემს მისვლას და გამომიგზავნა გიდი, რომელიც გამიძღვებოდა მუზეუმში. იგი ისე მეგობრულად მომესალმა და ბოლოს ისე თბილად დამემშვიდობა, რომ ყოველთვის მემახსოვრება.

მუზეუმი უნდა დაათვალიერო გულდასმით. იგი შეუდარებელია, როგორც განსაკუთრებული კოლექცია, რომელიც წარმოაჩენს ბუნების ისტო-

რიას, ფლორასა და ფაუნას, კავკასიის რეგიონის ეთნოლოგიასა და არქეოლოგიას. იმ რეგიონის, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა, როგორც ხიდი აზიასა და ევროპას შორის. კასპიის ზღვის ბინადართა და ცხოველთა ექსპონატებიდან ორმა ნიმუშმა ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რადგანაც ისინი ნახსენებია ავესტაში ან ზოროასტრიულ ბიბლიაში. ერთერთი მათგანი გიგანტური ზუთხის საუკეთესო ნიმუში იყო, რომელიც ცნობილია როგორც *accipenser huso*, თხუთმეტი ფუტის[21] თუ მეტი სიგრძის თევზი, რომელიც, ჩემის აზრით, მოხსენებულია ავესტაში როგორც *kara masya* ანუ მატსია. მეორე იყო ველური ტახების ჯოგი, რომელიც ტაქსიდერმისტმა[22] შესანიშნავად გააკეთა და გამოხატავს *varāza*-ს ანუ ზოროასტრიულ ტექსტებში აღწერილი გარეული ტახის მთელ სისასტიკესა და აგრესიულობას.

ჩვენთვის, დასავლეთელებისთვის, თბილისის მთავარი ხიბლი მდგომარეობს არა მის ევროპულ მახასიათებლებში, არამედ მის აღმოსავლურ იერსა და ნანგრევებში, რომელიც გვიჩვენებს უძველეს ცივილიზაციას. შუასაუკუნების აღმოსავლური სული ჩანს ციხე-სიმაგრეში, რომელიც ქალაქს ზემოდან დასცქერის და მასზე ძველისძველი გალავნებით მბრძანებლობს. უფრო ძველია კოშკის ნანგრევები და მორღვეული წყალსადგომი, რომელიც თბილისის სამხრეთისკენ ბოტანიკურ ბაღს[23] გადაჰყურებს. ხიდები, რომელიც მტკვარს (კიროსი) კვეთენ და ქალაქის ორ მხარეს აერთიანებენ, ნაწილობრივ ძველია და ნაწილობრივ ახალი. ყველაზე საინტერესო, თავისი ხალხმრავლობით ცნობილი თათრების მეიდნის[24] ხიდია, რომელიც ადგილობრივი ბაზრების ერთ-ერთ რაიონს უკავშირდება. ეს ბაზრები არ არის ისეთი აღმოსავლური, როგორც ირანული ბაზრები, მაგრამ მათი ხალხმრავალი ჯიხურები, გამოფენილი საქონლის მრავალფეროვნება, ასევე დაღესტნური ხალიჩებისა და კავკასიური იარაღის შემოთავაზება მიმზიდველ ადგილს ხდის მათთვის, ვინც აღმოსავლეთში ჯერ არ ყოფილა.

იეზიდები ანუ ეშმაკის თაყვანისმცემლები

თბილისში სამ-ოთხდღიანი ვიზიტის განმავლობაში, მე შევაგროვე ინფორმაცია იეზიდების[25] ანუ ეშმაკის თაყვანისმცემლების შესახებ, რომლებმაც ყურადღება მიიქციეს ზოროასტრიზმის[26] – უძველესი სპარსული რელიგიაზე ჩემს მიერ გაკეთებულ კვლევების პერიოდში. ჩემი ინფორმატორები იყვნენ შვედი მისიონერი, მისი უწმინდესობა ე. ჯონ ლარსონი[27] და მისი მეუღლე, რომლებმაც ბევრი სამუშაო ჩაატარეს თბილისსა და მისი მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ იეზიდებთან, გაეცნენ მათ ტრადიციებს, ადათწესებს და რწმენას.

იეზიდები ძირითადად კავკასიაში, სომხეთსა და ქურთისტანში არიან. თუმცა ისინი გაცილებით დიდ ტერიტორიაზე არიან გაფანტული. მათი საცხოვრებელი ადგილი არის აგრეთვე მესოპოტამიაში არსებული მოსულის პროვინცია. ისინი ისტორიის მანძილზე იდევნებოდნენ, ამიტომ მათი რიცხვი დიდი არ არის; კავკასიის რეგიონში თორმეტი ათასი იეზიდია. რამდენიმე

ათასი იეზიდი ცხოვრობს თბილისის შემოგარენში. ისინი არ უწოდებენ თავისთავს იეზიდებს, არამედ იყენებენ მათი პატივსაცემი ტომების სახელებს ან სურვილისამებრ იყენებენ ტერმინს დასნი, ეს ტერმინი გამოიყენება მოსულის მახლობლად არსებული ტომის აღმნიშვნელად, რომელიც ძველი ნინევიის ახლოს არის და მათი რელიგიის სამშობლოა. იეზიდის სახელს სხვადასხვა ახსნა მოეძებნა; ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება იაზდანს, სპარსული ღმერთის აღმნიშვნელ სიტყვას, რადგანაც იეზიდებს სწამთ ღმერთი, თუმცა ისინი მასზე არ საუბრობენ. მეორე ვარიანტი იყო მისი დაკავშირება ქალაქთან იეზდი (იაზდი). მესამე – სახელი მოდის იეზიდისგან, საძულველ მუსულმან ხალიფასაგან, რომელმაც მუჰამედის[29] შვილიშვილი ჰუსეინი[30] მოკლა, ის ჰუსეინი, რომელიც იეზიდების იგავებში მათი რწმენის დამცველად იყო მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს იეზიდების სახელის წარმოშობის რამოდენიმე ვარიანტი, ჩემი შეფასებით, არც ერთი ვარიანტი არ შეიძლება მივიჩნიოთ დამაჯერებელად (ამას მოსდევს იეზიდების სარწმუნოებაზე ვრცელი მსჯელობა, რაც გამოვტოვეთ – გ.ს.).

... რაც შეეხება იეზიდების სოციალურ სტატუსს, მათ თბილისსა და ერევანში[31] დაბალი სოციალური კლასის წევრებად მოიხსენიებენ და მინდა ვთქვა, რომ ასეევა ყველა სხვა ტერიტორიაზე. ისინი თბილისში დასაქმებულები იყვნენ მენაგვეებად და ძირითადად მძიმე სამუშაოებზე. ამ მიზეზით, ისინი ყველაზე უფერული ჩვრებით იყვნენ შემოსილნი. ისტორიები, რაც მათზე თქმულა, მაგონებს ინდოეთში არსებულ „დამგველთა კლასს", მაგრამ თბილისში რუსული მუნიციპალური განკარგულებებით იეზიდების მოვალეობები სხვათა ხელში გადავიდა, რამაც განაპირობა მათი ძირითადი საქმიანობის შეცვლა ბოლო ერთი თუ ორი წლის განმავლობაში.

ზოგადად, ისინი მიეჩვივნენ ქალაქგარეთ ცხოვრებას და დღის განმავლობაში მხოლოდ სამუშაოსთვის ჩამოდიან ქალაქში. მეუღლეები კი დიასახლისები არიან და მიჰყვებიან სოფლის მეურნეობას, ძირითადად მინათმოქმედებას. მოთხოვნა იეზიდების ოჯახებისა არის მწირი და როგორც ჩანს, ისინი კმაყოფილები არიან არსებული ცხოვრების სტილით. დამატებით უნდა ითქვას, რომ თბილისის გარშემო მცხოვრები იეზიდები, მიუხედავად მათი გაუბედურებული ყოფისა, მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების მფლობელები არიან.

თბილისში ყოფნის ბოლო დღეები შემდგომი მოგზაურობისთვის სამზადისს დავუთმე, რადგან სპარსეთი ჯერ კიდევ დარჩენილი იყო სასტუმროებისა და რკინიგზის გარეშე, თეირანის გარდა, შესაბამისად, მოგზაურობა სპარსეთში, შეიძლება ვთქვათ, რომ გახლავთ მსგავსი მოგზაურობისა, უმძიმეს პირობებში.

ქარავანისთვის ტვირთი უნდა იყოს მსუბუქი და რაც შეიძლება მჭიდრო, აუცილებელია სალაშქრო მსუბუქი საწოლი, რომელიც მოგზაურობისას საწოლის, მერხის და სასადილო მაგიდის მაგიერობას გაგიწევთ.

რაც შეეხება ტანსაცმელს, კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რომ ზამთარში ცივ მთებში ძლიერი სიცივეები იცის და ზაფხულში უდაბნოს სიცხეც ასევე ძალიან აუტანელია. ნებისმიერ შემთხვევაში შავი დაბურული სათ-

ვალეები შესანიშნავად იცავს თოვლისგან, მზისგან თუ მტვრისგან. აუცილებელი სამზარეულოს მოწყობილობისა და სამგზავრო ნივთების გარდა, მე აგრეთვე თან წავიღე ტყავის ქამრების მარაგი, ბოქლომები, ორი კამერა, რამდენიმე წიგნი რუკის ჩათვლით, რამდენიმე უბრალო ნივთი საჩუქრად და სხვადასხვა ნივთი, რომელიც შეიძლება დამჭირდეს ხანგრძლივი მოგზაურობისას. გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ამ ნივთების ჩასალაგებლად ორი მძიმე ტყავის ჩემოდანი და სამგზავრო ჩანთა სრულებით საკმარისი იყო, შეიძლება პატარა ტომარა კიდევ დამემატებინა. ქარავანთან ერთად მოგზაურობისას აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, თან იქონიო რამდენიმე პატარა, ვიდრე ერთი ან ორი დიდი ფუთა, რადგანაც ისინი ასე უფრო ადვილი გასანაწილებელია, რათა საპალნე ცხენმა წონასწორობა უკეთ დაიცვას.

სასტუმროში დავიქირავე ქართველი გიდი, მოხუცი როსტომი[32], რომელიც საზღვრამდე გამიძღვა; მისი სახელი ძალიან მომეწონა, რადგან მან ისტორიული რუსტამი[33], სპარსი გმირი გამახსენა. როგორც გიდი, ის კარგად ინფორმირებული იყო და ლინგვისტურადაც შესანიშნავად მომზადებული, ის არანაკლებ 6 ენაზე საუბრობდა. ჩვენი კომუნიკაციის ძირითადი საშუალება ფრანგული ენა იყო.

ბარგი, გასაშლელი ლოგინისა და ბალიშის ჩათვლით, მოხერხებულად იყო შეკრული, საბოლოო სამზადისი დასრულდა და რამდენიმე საათით ადრე მე უკვე მატარებელში ვიჯექი, საიდანაც 15 საათიანი მგზავრობა იწყებოდა ერევნისკენ, სადაც რკინიგზა არარატის მთის[34] ჩრდილქვეშ სრულდება.

შენიშვნები:

1 **პართია (პართიის სამეფო)** (ბერძნ. Παρθία) – ძველი სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა ქრ. შ. 247 წელს კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი თურქმენეთის ტერიტორიაზე. სახელმწიფოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ პართელები, სპარსელები, სომხები, ქურთები და სხვ.

2 **მიდია** (ძვ. ბერძნ. Μῆδοι) – ძველი სახელმწიფო და ძველი ეთნოგრაფიული მხარე ირანის დასავლეთით – მდინარე არაქსიდან ფარსის საზღვრებამდე, სამხრეთით ზაგროსის მთიანეთიდან დასავლეთით დეშთე-ქევირის უდაბნომდე. მიდიელთა ირანულენოვანი ტომები ისტორიისთვის ძვ. წ. IX საუკუნიდან არიან ცნობილნი, როდესაც ისინი შუა აზიიდან (სხვა ვერსიით, კასპიისპირა ჩრდილოეთ კავკასიიდან) ირანში გადასახლდნენ.

3 **ელამიტები** - ელამი – ძველი სახელმწიფო სპარსეთის ყურის აღმოსავლეთ ნაპირზე, თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე. არსებობდა IV - III ათასწლეულებში. დედაქალაქი სუსა.

4 **შუამდინარეთი, მესოპოტამია** – რეგიონი ახლო აღმოსავლეთში, მოიცავს ტერიტორიას ტიგროსსა და ევფრატს შორის. შუამდინარეთი თითქმის მთლიანად მოიცავდა დღევანდელ ერაყს და სირიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, აგრეთვე ირანისა და თურქეთის მცირე ტერიტორიას.

5 **იუდეა** (ებრ. იეჰუდა; ებრ. ერეც-იეჰუდა, „იეჰუდას მიწა") – ისრაელის მიწის ფართო ისტორიული ოლქი სამარიიდან (შომრონი) სამხრეთით მდებარეობს.

6 **კაპადოკია** (ბერძნ. Καππαδοκία, „ლამაზი ცხენების ქვეყანა") – აღმოსავლეთ მცირე აზიაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ოლქის სახელწოდება.

7 **პონტო - პონტოს სამეფო** – ელინისტური სამეფო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად დასახლებული იყო კაპადოკიელებით.

8 **ვახტანგ გორგასალი** – (დაიბ. დაახლ. V საუკუნის 40-იანი წლებში – გარდ. 502) – ქართლის მეფე, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი.

9 იბნ ჰაუკალი – X ს. არაბი გეოგრაფი

10 თემურ ლენგი, ტამერლანი (1336-1405) – შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი (1370-1405), გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის თარაღაის შვილი. თემურ ლენგის ლაშქრობები გამოირჩეოდა სისასტიკით. იგი რვაჯერ შემოესია საქართველოს, რითაც უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოსა და ქაროველი ხალხის შემდგომ განვითარებას.

11 1801 წელი – რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რიგითი გუბერნიის სატატუსით მისი შეერთება

12 აჯანყებები – რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ანექსიის შემდეგ პერმანენტულად ხდებოდა ანტირუსული აჯანყებები. მაგალითად, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1810 წლის იმერეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყება, 1832 წლის შეთქმულება, 1841 წლის გურიის აჯანყება და სხვ.

13 ტერასა – ტერასა [ფრანგ. terrasse] – 1. საცხოვრებელ სახლს მიშენებული აივანი, რომელსაც აქვს ბოძებზე დაყრდნობილი სახურავი. 2. ტერასები – ფერდობზე კიბე-კიბე გაჩენილი ან გაკეთებული ჰორიზონტალური ან ოდნავ დაქანებული ბაქნები.

14 მტკვარი – ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე, რომელიც სათავეს იღებს თურქეთში, ერთვის კასპიის ზღვას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. სიგრძე 1515 კმ. საქართველოში მოქცეულია მტკვრის შუაწელის დაახლოებით 400 კმ. მონაკვეთი.

15 ავლაბარი – თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს.

16 ალექსანდრეს ბაღი – თბილისში არსებული დღევანდელი 9 აპრილის (ზედა ნაწილი) და გოგლა ლეონიძის (ქვედა ნაწილი) ბაღები.

17 გერმანული რაიონი – ქალაქ თბილისის ჩრდილოეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და რკინიგზის სადგურის სამხრეთით არსებული გერმანული უბანი, სადაც ვიურტემბერგიდან გადმოსახლებული (1818) გერმანელების შთამომავლები სახლობენ.

18 ვიურტემბერგელი ემიგრანტები – საქართველოში გერმანელთა დასახლებული პუნქტები XIX საუკუნეში ნარმოიშვა. 1804 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სამხრეთ კავკასიაში ვიურტემბერგელი ემიგრანტების დასახლების გადაწყვეტილება მიიღო. 1817-1818 წლებში საქართველოში ცარის ხელშეწყობით ჩამოსახლდნენ ვიურტემბერგელი გერმანელები, რომლებმაც აღმოსავლეთ საქართველოში შექმნეს რამდენიმე კოლონია.

19 კავკასიის მუზეუმი – მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1852-1919 ნლებში. კავკასიის მუზეუმი, როგორც კომპლექსური სამხარეთმცოდნეო დაწესებულება, დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან (რგსკგ) მწერალ ელადიმერ სოლოგუბის ინიციატივით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ რუსი და ქაროველი მოღვაწეები (ადოლფ ბერჟე, ი. ბარტოლომეი, ნიკოლოზ ხანიკოვი, ალექსანდრე ნიკოლაი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ.). 1853 წლის დამდეგს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ აირჩია კავკასიის მუზეუმის დირექცია (დირექციის თავმჯდომარე ა. ნიკოლაი, ერთ-ერთი დირექტორი ვ. სოლოგუბი, ზედამხედველი ა. ბერჟე).

20 გუსტავ რადე (1831-1903) – რუსი (წარმოშობით გერმანელი) ბუნებისმეტყველი, მოგზაური, გეოგრაფი, ნატურალისტი და ეთნოგრაფი. იყო კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. შეაგროვა დიდძალი ზოოლოგიური, ბოტანიკური და ეთნოგრაფიული ხასიათის კოლექციები.

21 ფუტი – სიგრძის ინგლისური საზომი; უდრის 12 დუიმს (30,5 სმ-ს).

22 ტაქსიდერმისტი – ტაქსიდერმიის სპეციალისტი. (ტაქსიდერმია [ბერძ. taxis მოწყობილობა და derma კანი, ტყავი] – ცხოველთა ფიტულების დამზადება).

23 ბოტანიკური ბაღი – თბილისის ბოტანიკური ბაღი, ყოფილი სამეფო ბაღი, სოლოლაკის ქედის სამხრეთით, მდინარე ნაკისისწყლის (ლელვთახევის) ხეობაში მდებარეობს. რუსეთის იმპერიის მიერ საქაროველოს მიერთების შემდეგ ბაღი სახელმწიფო საკუთრება გახდა. 1845 წელს მას ბოტანიკური ბაღი ეწოდა.

24 თათრების მეიდანი – თათრის მოედანი. „თათრის მოედანი" ეწოდებოდა დღევანდელი გორგასლის მოედნის ადგილას მდებარე თბილისის ერთ-ერთ უძველეს მოედანს. ვახუშტი ბაგრატიონი მას „ციხის მოედანს", ხოლო ჟან შარდენი „სამხედრო მოედანს" უწოდებდა.

25 იეზიდები – ეთნიკური ქურთების მცირერიცხოვანი რელიგიური განშტოება, რომლის მიმდევრები ძირითადად ჩრდილოეთ ერაყსა და თურქეთში ცხოვრობენ, შედარებით მცირერიცხოვანი თემები სომხეთში, საქართველოში, აგრეთვე ირანში, სირიასა და უკრაინაში. იეზიდები ერთ ღმერთს აღიარებენ და თაყვანს სცემენ მთავარანგელოზ მალაქ-ტაუსს, რომელიც ფარშევანგის სახით ჰყავთ წარმოდგენილი.

26 ზოროასტრიზმი – (ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა, ატროშანი, მაზდეანობა), ერთ დროს სასანიდური სპარსეთის ოფიციალური რელიგია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სპარსეთის აქემენიდთა და პართთა იმპერიებში. რელიგია ასევე ცნობილია, როგორც ზარათუსტრიანიზმი.

27 ჯონ ლარსონი – არ იძებნება, თუმცა ტექსტის მიხედვით თუ ვისმსჯელებთ ის სასულიერო პირი იყო, რომელიც მეუღლესთან ერთად გარკვეული პერიოდი კავკასიაში იმყოფებოდა.

28 ქურთისტანი (თარგმანში: ქურთების მიწა) – ეთნოგეოგრაფიული რეგიონი ევრაზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომლის ფარგლებში ქურთები მოსახლეობის აბსოლუტურ ან შედარებით უმრავლესობას წარმოადგენენ. ისტორიულად მდებარეობს ყოფილი ჰურიტების სამეფოების ტერიტორიაზე (ქუროები წარმოშობით ჰურიტებისგან მომდინარეობენ).

29 მუჰამედი – მაჰმადი, (570/571-632), ისლამის დამაარსებელი, რელიგიური მქადაგებელი და პოლიტიკური მოღვაწე. მუსლიმანური ტრადიციისა და ყურანის მიხედვით, ალაჰის უკანასკნელი მოციქული, წინასწარმეტყველი.

30 ჰუსეინი – წინასწარმეტყველ მუჰამედის შვილიშვილი. ჰუსეინი მოკლეს იაზიდ იბნ მუაეიას ბრძანებით, რამაც ბიძგი მისცა სუნიტებსა და შიიტებს შორის განხეთქილების წარმოშობას.

31 ერევანი – სომხეთის დედაქალაქი. მდებარეობს მდინარე რაზდანზე.

32 როსტომი – ქართველი გიდი, რომელიც მეორე მოგზაურობის დროსაც თან ახლდა აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონს.

33 რუსტამი – შესაძლებელია აქ ავტორი გულისხმობს სპარსული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლის „შაჰნამეს" ცნობილ გმირს – რუსტამს. „შაჰნამე" ირანელ მეფეთა ისტორიული ქრონიკების, ეპიკური თხზულებების. მითოლოგიური გადმოცემებისა და ლეგენდების კრებულია. მისი ავტორია სპარსული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი ფირდოუსი.

34 არარატის მთა – არარატი – ეულკანური მასივი მდინარე არაქსის შუაწელში (მარჯვენა ნაპირზე), თურქეთში, სომხეთის საზღვრის მახლობლად. ბიბლიის მიხედვით, არარატის მთაზე გაჩერდა ნოეს კიდობანი.

წყაროები და ლიტერატურა:

1. William W. Malandra, Encyclopedia Iranica, "Abraham Valentine Williams Jackson", 2007; http://www.iranicaonline.org/articles/jackson-abraham-valentine-williams.
2. Abraham Valentine Williams Jackson, Persia Past and Present: A Book of Travel and Research, New York, 1906.
3. Abraham Valentine Williams Jackson, From Constantinople to the Home of Omar Khayyam: Travels in Transcaucasia and Northern Persia for Historic and Literary Research, New York, 1911.
4. Travels Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonie, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker porter, Vol. I, London, 1821.
5. Travels Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonie, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker porter, Vol. II, London, 1822.

GIORGI SOSIASHVILI

ABRAHAM VALENTINE WILLIAMS JACKSON'S REPORTS ABOUT TBILISI

Summary

At the beginning of XX century an American traveler and explorer. Abraham Valentine Williams Jackson had some notable information about Georgia. He also traveled in Iran and India several times across Caucasus region. Jackson gave us interesting notices about Georgia in the books of impressions: "The Past and the Present of Persia", and "From Constantinople to Home of Omar Khayyam." In Jackson's book "The Past and the Present of Persia", one chapter is about Tbilisi. An American explorer stayed in Tbilisi several days and gave us valuable information about the city. He describes the image of Tbilisi, tells us about its foundation (presumably, this was told to him by his Georgian guide Rostom). Jackson also describes different nations living in Tbilisi and pays special attention to the Yazidi living in the capital of Georgia. Jackson describes the layout of Tbilisi in detailed way. The traveler tells us about different sights of Tbilisi. He was especially admired by the Caucasus Museum.

Г. О. СОСИАШВИЛИ

СВЕДЕНИЯ АВРААМА ВАЛЕНТИНА УИЛЬЯМСА ДЖЕКСОНА О ТБИЛИСИ

Резюме

В начале XX века весьма интересные сведения о Грузии можно обнаружить у американского исследователя-путешественника Авраама Валентина Уильямса Джексона, неоднократно путешествовавшего в Иран и Индию проездом через Кавказские регионы.

В книгах впечатлений «Персия прошлое и настоящее» и «От Константинополя к дому Омара Хайяма» Джексон оставил интересные сведения о Грузии. В книге «Персия прошлое и настоящее» Тбилиси уделена целая глава. Американский путешественник останавливался в столице Грузии несколько дней и оставил о Тбилиси бесценные сведения. Он описывает виды города, рассказывает об истории его основания (предположительно, по рассказам его грузинского гида Ростома), повествует о горожанах разной национальности. Много места уделяет Джексон проживающим в грузинской столице изидам. Подробно описывает путешественник месторасположение Тбилиси и беседует о многих его достопримечательностях. Особое восхищение вызвал у него осмотр Кавказского музея.

გურამ ლორთქიფანიძე

ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX–XXI სს. მიჯნაზე
(ნაწილი I)

ანტიკური (კლასიკური) ხანის ჩვენში არსებული არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერ კვლევა-ძიებას საფუძველი XX ს-ის ოცდაათიან წლებში ჩაეყარა. ბერძნულ-რომაული ანუ კლასიკური ანტიკური ხანის სიძველეების ქრონოლოგიური ჩარჩოები ქართულ ისტორიოგრაფიაში ძვ.წ. VII – ახ.წ. IV სს. არის განსაზღვრული. თავის დროზე იყო მცდელობა ამ კულტურულ-ისტორიული ეპოქის ნაცვლად შემოგვეღო სხვა ტერმინები, თუმცა მისი შეცვლა ვერ მოხერხდა [1: 110; 2; 3:123-125]. ის კვლავ რჩება ქართული კულტურის ცივილიზაციური კუთვნილების მაჩვენებლად. მის შესასწავლად ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებულ იქნა პერსპექტიული სამეცნიერო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ქართულ თუ უცხოურ, ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენიებული დაბა-ქალაქების გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლას. მას არაერთხელ აღუნიშნავს თავის პუბლიკაციებსა თუ საჯარო გამოსვლებში: „ერის ნივთიერი კულტურის შესასწავლად არქეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და წერილობითი ძეგლებიდან ამოღებული ცნობებია საჭირო“ [41: გვ. 5]. ამ პროგრამის განხორციელება დაიწყო 1931 წლის მიწურულს, ეგრისის (ლაზიკა) დედაქალაქ „არქეოპოლისში“, სენაკის (ყოფ. ცხაკაია) მახლობლად სოფელ ნოქალაქევში. მას უკავშირებდნენ „ქართლის ცხოვრების“ ციხე-გოჯს, ქუჯის, ფარნავაზ მეფის (ძვ.წ. III ს) ერისთავის რეზიდენციას. ის მნიშვნელოვან, მეტად მარჯვე ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ქართული წყაროები მას „სამზღუდიან“ ქალაქად მოიხსენიებენ [42: 160-162].

პროფ. გ. ნიორაძის რეკომენდაციით ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელად მოწვეული გახლდათ ფრაიბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროფესორი, დოქტორი ალფონს მარია შნაიდერი. მცირე მასშტაბის გათხრები მიმდინარეობდა 1930 წლის მიწურულსა და 1931 წლის დასაწყისში. ფრაიბურგის სამეცნიერო ორგანოში Forschungen und Fortschritte კვლევა და წინსვლა [40: 354-355] ოპერატიულად გამოქვეყნდა მისი საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ექსპედიციის საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ ლ. მუსხელიშვილი და გ. გოზალიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია მცირე დროის მანძილზე მუშაობდა, პირველივე საძიებო სამუშაოები წარმატებული აღმოჩნდა. მო-

სახლეობაში შეგროვდა საინტერესო, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, მათ შორის სამარხეული ინვენტარიდან, სამკაულები, მონეტები და სხვა. გარდა ამისა, არსებობდა ცნობები ნოქალაქევში 1847 წელს ბერძნულ-რომაული მონეტების განძის აღმოჩენის შესახებ, ის მ. ბროსეს ცნობით ნ. დადიანის კოლექციაში ინახებოდა [4: 274; 107]. ამ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებდა გ. ჩუბინაშვილი 1928 წელს დაწერილ სტატიაში „К вопросу о Нокалакеви" [6: 93-103]. 1931 წლის გათხრებმა გამოავლინა ციხე-ქალაქის დამცველი ორმაგი კედელი და მესამე, შედარებით გვიანდელი VI-VII სს-ის გალავანი. ერთ-ერთი ძველი კოშკის იატაკის ქვეშ აღმოჩნდა ბიზანტიის კეისრის მარეკ ტიბერიუსის (518-602 წწ.) ოქროს ფულის, სოლიდების განძი. უძველესი კულტურული ფენა, ახალი წელთაღრიცხვის დამდეგისაა. ახ. წ. IV ს-ის შუა წლებში ეჭვს არ იწვევდა დიდი ქალაქის არსებობა, რომელსაც ეგრის-ლაზეთის სამეფოს დედაქალაქად მიიჩნევდნენ. გათხრებმა დაადასტურა ამ კოლხური გვიანანტიკური ხანის ქალაქის საამშენებლო ხელოვნების და სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალი დონე, კარგად გათელილი კვადრებით ნაგები ქალაქის დამცველი, მკვიდრად ნაგები საფორტიფიკაციო ნაგებობის რთული სისტემით, საიდუმლო გვირაბ-გასასვლელით მდ. ტეხურთან და სხვა, რაც აისახა ექსპედიციის გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ ანგარიშებში. მოგვიანებით გამოქვეყნდა დოქტორ ა. შნაიდერის ზემოთ აღნიშნული გერმანული ანგარიშის თარგმანი [7: 11,12, სქოლიო 27]. იმთავითვე ქართველმა მკვლევრებმა არ გაიზიარეს ექსპედიციის ხელმძღვანელის მოსაზრება, თითქოს ლაზიკის დედაქალაქი, ბიზანტიური წყაროების არქეოპოლისი (ნოქალაქევი) რომაელების მიერ გახლდათ აგებული, რადგან საამშენებლო ხელოვნების დონე აქ მეტად მაღალი ჩანდა. ქართველი არქეოლოგებისათვის, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მიუღებელი აღმოჩნდა გერმანელი კოლეგის დაუსაბუთებელი დასკვნა, რომ ადგილობრივ მკვიდრთ არ ძალუძდათ ასეთი დონის საფორტიფიკაციო სამუშაოების ორგანიზაცია ანუ შესაბამისი სახსრების მობილიზაცია სასახლის, ტაძრების, სამეფო და საზოგადოებრივი აბანოების, წყალმომარაგების ქსელის მშენებლობისათვის. დღემდე შემორჩენილი გვიანანტიკური ხანის ციხე-ქალაქის ნანგრევები „დღესაც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს" [8: 413] მნახველებზე. ივ. ჯავახიშვილის სკოლის ერთ-ერთ რჩეულ წარმომადგენელს, მაშინ ახალბედა არქეოლოგს ლ. მუსხელიშვილს თავის საველე დღიურში აღუნიშნავს: „სრულებით გაუგებარია, რატომ უნდა აეშენებინათ კოლხეთის დედაქალაქი რომაელებს?" [9: 209]. შემდგომმა კვლევა-ძიებამ ნოქალაქევში ნათლად აჩვენა, რომ ქალაქური ტიპის დასახლება ადგილობრივი საწარმოო ძალების მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების საფუძველზე, რომაელებამდე ბევრად ადრე, ადრეანტიკურ ხანაში წარმოშობილა. როგორც აღნიშნავდა ლ. მუსხელიშვილი „ნოქალაქევის დღიურში", ა. შნაიდერს 1930 წლის დეკემბერში თბილისში ჩატარებულ საჯარო მოხსენებაში [9: 297] უთქვამს: „ძველი ქალაქის ძებნა ნოქალაქევში ამაო იქნებოდა"... რომაელებს კი არქეოპოლისი

თითქოს მაშინ უნდა აეშენებინათ, როდესაც „იმპერიის ცენტრი აღმოსავლეთში იქნა გადმოტანილი“, ე.ი. ახ. წ. III-IV სს-ში. ლ. მუსხელიშვილი არ იზიარებდა ა. შნაიდერის მიერ ეკლესიის უკან გავლებულ თხრილში აღმოჩენილი სამარხის ამავე დროით დათარიღებას, რომელიც მას I საუკუნისა მიაჩნდა. შემდგომში ამ ადგილას მართლაც აღმოჩნდა სამაროვანი [7: 25], რომელიც ძვ.წ. IV-I სს-ით დათარიღდა. ლ. მუსხელიშვილი მის მიერ 2,80 მ-ის სიღრმეზე გამოვლენილ ქალის სამარხს, წყვილი ბრინჯაოს სამაჯურების, მინის (პასტის) მძივებისა და დოქების მეშვეობით I ს-ს მიაკუთვნებდა. შემდგომმა კვლევა-ძიებამ მისი ვარაუდი დაადასტურა. ვფიქრობთ, რომ ლ. მუსხელიშვილის წერილი „ნოქალაქევის გათხრების შედეგები და დოქტორ შნაიდერის დასკვნები 1929/30 წწ.“ [9: 292-304] უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა პერიოდის (1921-1991 წწ.) ქართული ანტიკური არქეოლოგიის ისტორიოგრაფიის საწყისად. ნოქალაქევ-არქეოპოლისის პირველი საველე სამუშაოების ანგარიშების პუბლიცკაციას ნამდვილად საეტაპო მნიშვნელობა გააჩნდა. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ 1930 წელს ნოქალაქევის ექსპედიციის სპეციალურად გამოყოფილი სახელმძღვანელო კომისიის ერთ-ერთი წევრი, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ხსენებული ანგარიშის თაობაზე აღნიშნავდა: „ის შეიცავს არქეოპოლისის შესახებ ძვირფას ცნობებს, რომლებიც დიდ სამსახურს გაუწევენ როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევართ, აგრეთვე იმათ, ვინც მომავალში განაგრძობს ნოქალაქევში არქეოლოგიურ სამუშაოებს“ [10: 188]. 1948 წ. პროფესიით გეოლოგმა ი. გრძელიშვილმა, აკად. ნ. ბერძენიშვილის დავალებით შეისწავლა რა ნოქალაქევის საფორტიფიკაციო სისტემების მშენებლობისა და გეოლოგიის საკითხები, აღნიშნა საინჟინრო ხელოვნების მაღალი დონე. ამგვარად, ინტერესი ნოქალაქევის მიმართ არც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შენელებულა. 1971 წელს ნოქალაქევში სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. გამოვლენილ იქნა ელინისტური ფენები [11].

1973 წლიდან აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით ნოქალაქევ-არქეოპოლისში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა განაახლა სტაციონარული არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვ. პროფ. პ. ზაქარაია). ექსპედიციების მუშაობაში მონაწილეობდნენ პროფ. ნ. ლომოური, პროფ, ა. ლექვინაძე და სხვ., თსუ კურსდამთავრებულ ახალგაზრდა არქეოლოგებთან ერთად, რაც არქეოლოგიური გათხრებით წარმატებით დღემდე გრძელდება (ხელმძღვ. პროფ. დ. ლომიტაშვილი). გამოვლენილია ნაქალაქარის საწარმოო უბანი, დასახლება, საკულტო მოედნები, ელინისტური ხანის სამაროვანი. დადგენილია არქეოპოლისის „ხორის“- „ქვეყნის“, ანუ მისი „სასოფლო-სამეურნეო“ ტერიტორიის საზღვრები. მულტიდისციპლინარულმა კვლევებმა (პალინოლოგია, პალეობოტანიკა, ოსტეოლოგია და სხვ.) ნათლად წარმოაჩინეს, თუ რა პროცესები უძღოდა წინ ანტიკური ხანის ქალაქის ნარმოშობას [12: 49-54; 13: 55-58]. ნოქალაქევის ბიზანტიური სახელწოდება

„არქეოპოლისი" ანუ „ძველი ქალაქი" იმაზე მეტყველებს, რომ აქ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური საქალაქო ცენტრი ადრეც არსებობდა, ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ეპოქაში, რაც დოკუმენტურად არის დადასტურებული ნოქალაქევ-არქეოპოლისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომებისა და საველე გათხრების ანგარიშების სამ ტომში [14]. პროფ. ნ. ლომოურმა 1982 წელს „სოციალისტური ბანაკის ანტიკოსების საერთაშორისო გაერთიანების - „ეირენეს" პრაღის კონფერენციაზე წარმოადგინა მოხსენება: „ახალი გათხრები დასავლეთ საქართველოს ძველ ქალაქ არქეოპოლისში", რომლის განხილვაში აკად. რ. გორდეზიანი და ამ ნარკვევის ავტორი ვმონაწილეობდით.

არტეფაქტები ადასტურებენ: ძვ.წ. III ს-ში მაინც არქეოპოლისი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი კულტურულ-ეკონომიკური სკეპტუხიის ცენტრია. ციხე-ქალაქი ახ.წ. IV ს-ში კოლხეთის სამეფოს მემკვიდრის ლაზიკის (ეგრისი) დედაქა-ლაქია. ის სამი ნაწილისაგან შედგებოდა. ძირითადი უბნები მდ. ტეხურის ნაპირას დაბლობში მდებარეობდა, მის ფერდობებზე განლაგებულ სიმაგრეებში გარნიზონი, ციხიონი მდგარა. სულ მაღალი პლატო ციტადელს ანუ შიდა ციხეს ეკავა [15: 144-158]. ციხე-ქალაქის საერთო ფართობი 20 ჰა-ს აღემატებოდა. თავდაცვითი ზღუდის დაბლობიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთ) გასამაგრებლად გალავნის კედლის სამი ზღუდე აუგიათ. გაითხარა ეგრისის მეფეთა ორი სასახლე, ორი აბანო, ადრექრისტიანული (IV-VI სს.) ოთხი ტაძრის ნანგრევები და სხვა. არქეოლოგიური მონაცემებით მტკიცდება, რომ ა.წ. IV ს პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურად ყოფილა აღიარებული.

ნოქალაქევის გათხრებმა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყრო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1973 წლიდან დღემდე ანტიკური ფენების შესწავლისას შედარებით მცირე ნუმიზმატიკური მასალა იქნა მოპოვებული. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებია ძვ.წ. IV – ახ.წ. V სს. 18 ცალი „კოლხურ თეთრებს" ნახევარდრაქმებს განეკუთვნება, გვხვდება ადრიანეს (117-138 წწ.) ვერცხლის მონეტა და სხვა. მათი სიმცირე ჩვენი ისტორიოგრაფიის ჯერაც გადაუჭრელი პრობლემაა. ერთი გარემოება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ანტიკური კოლხეთის როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა რეგიონები ჩართულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობაში, ფულად-სასაქონლო ურთიერთობებში, ცხადია, მეტ-ნაკლები ინტენსივობით. ახალგაზრდა არქეოლოგებმა დ. ლომიტაშვილმა და ბ. ლორთქიფანიძემ შეისწავლეს მასობრივი კერამიკული მასალა ნოქალაქევიდან, კერძოდ სუფრის ჭურჭლის ერთი გავრცელებული სახეობა – სასმისები. მათი ფართო გავრცელება ადრეანტიკური ხანიდან, ამ მკვლევართა დასკვნით, სოფლის მეურნეობის ისეთი სტრატეგიული დარგის აღმავლობის მაჩვენებელია, როგორიცაა მევენახეობა-მელვინეობა [16: 203-209].

2001 წლიდან დგება ახალი ეტაპი ნოქალაქევის არქეოლოგიურ შესწავლაში. შემუშავდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და დიდი ბრიტანეთის რამდენიმე უნივერსიტეტის (კემბრიჯის, ოქსფორდის, ბრეიდგორდის,

საუთჰემპტონის და ვინჩესტერის) „ქართულ-ინგლისური ნოქალაქევის კვლევის ერთობლივი პროექტი". მისი ხელმძღვანელები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დ. ლომიტაშვილი და დოქტორი ი. კოლვინი გამოსაცემად ამზადებენ 2001-2010 წწ-ში ნოქალაქევ-არქეოპოლისში ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევის სამეცნიერო ანგარიშების (ნოქალაქევი IV) მორიგ ტომს. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში 150 უცხოელმა სტუდენტმა გაიარა ნაყოფიერი საველე პრაქტიკა ნოქალაქევში. პირველად გამოიცა ქართულ ენაზე „არქეოლოგიური ძეგლის გათხრა. მეთოდიკა" (ინგლისურიდან ითარგმნა დიდ ბრიტანეთში აპრობირებული სახელმძღვანელო). წიგნის სამეცნიერო რედაქტორია დ. ლომიტაშვილი [17: 11-188]. ნოქალაქევისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ანგარიშების კრებული, რომლის შესავალი წერილი ეკუთვნის ბატონ ბ. ივანიშვილს, 2014 წელს ერთდროულად გამოდის ლონდონსა და თბილისში ინგლისურ და ქართულ ენებზე.

დაწვრილებით არის განხილული ნოქალაქევ-არქეოპოლისში უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგები საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ლოზანის უნივერსიტეტის (შვეიცარია) ერთობლივ კრებულში „სიახლენი უძველეს კოლხეთზე". 2006-2007 წლებში ნოქალაქევში მუშაობდა ქართულ-შვეიცარიული არქეოლოგიური ექსპედიცია. კატერინ მასრეიმ კრებულში წარმოადგინა ნარკვევი, რომელშიც მიმოხილულია ნოქალაქევის გასული წლის ექსპედიციების შედეგები [18: 39-48]. ის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ 1990 წელს შეწყდა არქეოლოგიური გათხრები არქეოპოლისში და აღდგა მხოლოდ 2001 წელს ამის მიზეზი ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომით დანგრეული ეკონომიკა გახლდათ. ამავე ქართულ-ინგლისურ კრებულში წარმოდგენილია მისივე მეორე წერილი „სტრატიგრაფია და კერამიკა ვანსა და ნოქალაქევში. ძველი ცხოვრების წესების რეკონსტრუქცია" (გვ. 59-64).

არქეოპოლისის არქეოლოგიურმა კვლევებმა, რომელშიც მკვლევართა რამდენიმე თაობა მონაწილეობდა, დაადასტურა ჩვენი ანტიკური ისტორიოგრაფიის ღირსშესანიშნავი გარემოება – ნოქალაქევი შიდა კოლხეთის ერთერთ მნიშვნელოვან კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა I-IV სს-ში.

ეგრისის (ლაზიკა)) I-VII სს-ის მატერიალური კულტურის ძეგლები, მათ შო-რის ნოქალაქევ-არქეოპოლისის და სხვა ქალაქების (გურიანთა, ვარდციხე, შორაპანი, სკანდა, ტოლები და სხვ.) არქეოლოგიური კვლევის შედეგები განხილულია პროფ. გ. ჯაფარიძის მონოგრაფიაში [20: 5-220]. ავტორი იძლევა კოლხეთის ამ გვიანანტიკური ეპოქის ძეგლების არქეოლოგიური კვლევის ისტორიას. ის თვლის, რომ 1935 წლიდან იწყება თვისობრივად ახალი ეტაპი ეგრისის მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში. 1935 წლის ზაფხულში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიციამ (ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ.) დაიწყო შორაპანის, სკანდის, ტოლების, ისულას და ბიზანტიურ წყაროებში აღნიშნული სხვა სტრატეგიული პუნქტების კვლევა.

ივ. ჯავახიშვილი XX ს-ის ოცდაათიან წლებში აღნიშნავდა: „ქართული

ისტორიის მკვლევარი ჯერ კიდევ არ ჩავარდნილა ისეთ ხელსაყრელ პირობებში, როგორც სხვა ქვეყანაშია. მას ჯერ კიდევ არ აქვს ხელთ საკმაო არქეოლოგიური მონაპოვარი, რომლის გამოყენება შეიძლებოდა. ამის მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ჯერაც არ მოეპოვება დაწესებულება, რომელსაც ეს საქმე დავალებული ჰქონდეს. ისტორიკოსს ჯერ უფლება არა აქვს არქეოლოგიურ თეორიებს რწმენით დაემყაროს" [20: 71]. ასეთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება შეიქმნა 1932 წელს, მანამდე „არაფრით გამორჩეული" სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის (კიაი) საფუძველზე. მას ეწოდა „კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტი". ხელმძღვანელად დაინიშნა აკად. ნ. მარი, რომელიც სათავეში ჩაუყენეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალს [21: 18]. ამ ფილიალის წიაღში შეიქმნა ახალი ტიპის კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება: „ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი" (ენიმიკი). მისი ხელმძღვანელი გახლდათ ივ. ჯავახიშვილის მოწაფე, პროფ. ს. ჯანაშია. 1936 წლისათვის მან შეძლო ინსტიტუტის გარშემო შემოეკრიბა ახალგაზრდა არქეოლოგები (გ. გობეჯიშვილი, ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე, ა. კალანდაძე და სხვ.). მეცნიერ კონსულტანტის თანამდებობაზე მან პროფ. ივ. ჯავახიშვილი მიიწვია. 1936-37 სასწავლო წელს თსუ „წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრის" გამგედ დაინიშნა პროფ. გ. ნიორაძე. 1937-38 სასწავლო წლიდან მას უკვე „არქეოლოგიის კათედრა" ეწოდებოდა. მისი პირველი ასპირანტი ა. აფაქიძე იყო, მან ასევე პირველმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1941 წლიდან პ. გოზალიშვილთან და ნ. კილაძესთან ერთად, ა. აფაქიძე არქეოლოგიის კათედრის თანამშრომელი გახდა. ამ დროისათვის კვლავ აღდგენილ ისტორიის ფაკულტეტზე ისწავლებოდა: „არქეოლოგიის საფუძვლები", „კავკასიის არქეოლოგია", „არქეოლოგიურ აღმოჩენათა ისტორია და არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკა". ამ უკანასკნელ კურსს კითხულობდა ნინო ხოშტარია, პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი, შემდგომში, 1947 წლიდან 1963 წლამდე, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. ამგვარად აღსრულდა ივ. ჯავახიშვილის გეგმა. უნივერსიტეტმა მოამზადა ეროვნული კადრები არქეოლოგიური კვლევებისათვის, რომლებიც გაიშალა „დიდ მცხეთაში". მომდევნო წლებში გ. ნიორაძემ მოამზადა საპროფესოროდ კიდევ ორი ასპირანტი არქეოლოგიაში – ო. ჯაფარიძე და ტ. ჩუბინიშვილი [22: 158-160]. მათ საველე წვრთნა მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მიიღეს, ისევე როგორც დ. ხახუტაიშვილმა, თ. მიქელაძემ, კ. ფიცხელაურმა და სხვებმა.

აქედან იწყება მნიშვნელოვანი გარდატეხა ანტიკური ხანის ქართულ არქეოლოგიაში. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა მცხეთის, საქართველოს ანტიკური ხანის დედაქალაქის გეგმაზომიერ ფართომასშტაბიან არქეოლოგიურ გათხრებში, რომელიც ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენებით დაგვირგვინდა. შეიძლება ითქვას, აქედან იღებს სათავეს ანტიკური ხანის ქართული ისტორიოგრაფის წარმატებებიც. ახალმა აღმოჩენებმა იმთავითვე ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო.

1937 წელს ივ. ჯავახიშვილმა ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის – „მოამბის" პირველსავე ნომერში ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ახალი პროგრამა (ი. ჯავახიშვილი, 1937) გამოაქვეყნა. ის აუცილებლად თვლიდა არქეოლოგიაში ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების, მათ შორის პალინოლოგიის დანერგვას, რაც დღესაც აქტუალურია. ის საჭიროდ მიიჩნევდა ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, ფოლკლორისტების, აგრონომ-ბოტანიკოსების, ზოოლოგების, მეტალურგების, მელითონეების, ქიმიკოსების ძალისხმევის გაერთიანებას. არქეოლოგია ჩვენში საისტორიო წყაროთმცოდნეობიდან თანდათანობით დამოუკიდებელ საისტორიო დისციპლინად ყალიბდებოდა. ამ დროს გართულებული საგარეო თუ საშინაო, დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, არქეოლოგიას ბოლშევიკური ხელისუფლება განსაკუთრებულ იდეოლოგიურ, პროპაგანდისტულ მოთხოვნებსაც უყენებდა. აღნიშნულმა გარემოებამ თავისი დაღი დააჩნია 1936-1938 წლებში. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავისათვის შემუშავებულ ერთიან სახელმწიფო ღონისძიებებს. ენიმიკს დაევალა შეემუშავებინა რუსთაველის ეპოქის (XI-XII სს.) ნაქალაქარების არქეოლოგიური შესწავლის გრძელვადიანი პროგრამა. საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად არ იშურებდა სახსრებს არქეოლოგიური სამუშაოებისათვის. კულტურისა და ხელოვნების მასობრივ დეკადებს, შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებს უნდა გადაეფარა „წითელი ტერორის" შედეგები, ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ჩატარებული სისხლიანი ანგარიშსწორებები. მათ ამით მთელი მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინათ – ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ბელადის ლ. ტროცკის მტკიცება, რომ საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი, ეროვნებით ქართველი ი. სტალინი „ველური კავკასიის" შვილია, უსაფუძვლო იყო. ამას ადასტურებდა ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები მცხეთიდან.

საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა ანტიკური ხანის წინა აზიის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ეს კარგად წარმოაჩინა არმაზისხევში აღმოჩენილმა, ახ.წ. I-IV სს. დათარიღებულმა, ქართლის (იბერიის) სამეფოს უმაღლესი წრის წარმომადგენლების პიტიახშების (ერისთავების) უმდიდრეს საგვარეულო აკლდამებში 1937-1940 წლებში. მოპოვებულმა არტეფაქტებმა. სამწუხაროდ, „კლასთა ბრძოლის" იდეამ, სხვა დიდ ქართველ მწერლებთან ერთად, 1939 წელს იმსხვერპლა მსოფლიო მნიშვნელობის ანტიკოსი, კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის მიერ 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგის კათედრის გამგედ მოწვეული გრიგოლ წერეთელი (1879-1939). (მას შესთავაზეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა იმ პირობით, რომ სამუშაოდ ლენინგრადის უნივერსიტეტში გადავიდოდა, რაზეც მან უარით უპასუხა). მან უნივერსიტეტში გამოსცა ანტიკური ისტორიოგრაფიისთვის ფასდაუდებელი ბერძნული პაპირუსები, დაცული რუსეთისა და საქართველოს მუზეუმებში. მას ეკუთვნის ალექსანდრიელი მეცნიერისა და პოეტის (ძვ.წ. III ს) აპოლონიოს როდოსელის

ეპიკური პოემის „არგონავტიკის“ თარგმანი და კომენტარები. მასში დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები ანტიკური ხანის კოლხური საზოგადოების შესახებ, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის კლასიკური არქეოლოგიის ვერც ერთი სპეციალისტი. აღსანიშნავია, რომ 1931 წელს თსუ პროფესორობიდან დათხოვნის შემდეგ, გარდაცვალებამდე ის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი იყო. ცხადია, ის ჩართული გახლდათ მცხეთის ექსპედიციის საექსპერტო საქმიანობაში ივ. ჯავახიშვილთან და ს. ყაუხჩიშვილთან ერთად. „სოციალისტურ ახალმშენებლობებზე“ მცხეთაში პროფესიონალი არქეოლოგების მოწვევა აუცილებელი ხდებოდა. „ზაჰესის“ (ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური) მასშტაბური მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ძველი სამაროვანი. მასთან არის დაკავშირებული პირველი ქართული არქეოლოგიური მონოგრაფია, რომლის ავტორი პროფ. გ. ნიორაძე გახლდათ [23; 24: 26-91]. მის მიერ გათხრილი სამარხი გვიანბრინჯაო – ადრე რკინის ხანას ანუ მცხეთის დედაქალაქობის წინარე ეპოქას ეკუთვნოდა. აღმოჩენები ნათლად აჩვენებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული დაწინაურების მაღალ დონეს. გ. ლომთათიძე ამ გათხრებთან დაკავშირებით წერდა: „ამ გათხრებმა „მოგვცა უაღრესად საინტერესო ინვენტარი, კერძოდ ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი“. ეს არის აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ორიგინალური ტიპის, მხედრებისთვის განკუთვნილი გრძელი ეფექტური საჩეხი იარაღი, „რომელიც საქართველოს გარდა მსოფლიოში არსადაა ცნობილი“ [25: 12]. გ. ლომთათიძემ 1944 წელს ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მიძღვნილი მცხეთაში, სამთავროს ველის სამაროვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრებისა და მახვილებისადმი (ნაშრომი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1974 წელს, ავტორის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ).

მეტად საყურადღებოა გ. ნიორაძისეული პირველი ქართული არქეოლოგიური მონოგრაფიის შეფასება მისი გამოცემიდან 82 წლის შემდეგ. მით უმეტეს, რომ შეფასება ეკუთვნის მის ასპირანტს, აკად. ო. ჯაფარიძეს. ის ხაზგასმით აღმიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გ. ნიორაძის ნაშრომს, ბრინჯაოს მახვილისა და სამარხის დათარიღებას [26: 5, 15]. მისი აზრით, გ. ნიორაძემ ამ გამოკვლევით საფუძველი ჩაუყარა ქართულ არქეოლოგიას.

ანტიკური ხანის ქართული არქეოლოგიის ისტორიოგრაფიაში, ასევე საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება 1940 წელს დასტამბულ პროფ. გ. ნიორაძის მონოგრაფიას „ალაზნის ვეისი გათხრები“ [27: 156-242]. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას – ის იმ დროისთვის არქეოლოგიური კომპლექსების სანიმუშო პუბლიკაციას წარმოადგენდა. მონოგრაფიაში განხილულია ენიმიკის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გათხრილი ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ის შვიდი ორმოსამარხი, რომელიც „არხილოსკალოს სამაროვნის“ სახელით არის ცნობილი. სამარხეული ინვენტარი, კერამიკა, სამკაული გ. ნიორაძემ დაუკავშირა მეზობელ აზერბაიჯანში, კერძოდ მუღანისა და მილის ველებში პირველად აღმოჩენილ ე.წ. „იალოულუ თეფეს“

კულტურას. ის ხასიათდებოდა ფუნქციურად მრავალფეროვანი, მათ შორის სპეციფიკური ფორმების, თეთრანგობიანი ზოლებით მოხატული ჭურჭლით. ორმოსამარხებში მიცვალებულები დაუკრძალავთ გვერდულად, კიდურმოკეცილები. დაფიქსირებულია აღაპის ნაშთები, საქონლის, ღორის, ფრინველთა ნაშთები. მკვლევარი სამართლიანად მიანიშნებდა, რომ ეს კულტურა სულაც არ იყო დამახასიათებელი ალაზნის ველის მკვიდრი მოსახლეობისათვის და ალბანური ტომების (უდები) გამოჩენას დაუკავშირა.

1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესიაზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა სტეფანე მენთეშაშვილმა (წარმატებით მუშაობდა ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის დადგენაზე) წარმოადგინა მოხსენება ამ სამაროვნის ეთნიკური ატრიბუციის თაობაზე [28: 18, 19]. ის მიიჩნევდა, რომ ამ კულტურის მატარებლები ბერძნულ-რომაულ წყაროებში არაერთხელ მოხსენიებული „კამბისენეს" (ქართულად კამბეჩოვანი) ავტოქტონური ტომები იყვნენ. ეს ვარაუდი შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა [29: 75-89].

აქედან მოყოლებული, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო კონცეფცია, რომლის თანახმადაც აღნიშნული კულტურა ჰერებს უკავშირდებოდა. დამკვიდრდა ტერმინი „ალაზან-იალოილუთეფეს" კულტურა (ს. ჯანაშია). ჰიპოთეზა – აღნიშნული კულტურის ჰერებთან დაკავშირებისა განავითარა აკად. ა. აფაქიძემ. მისი მოსაზრებების თანახმად, ჰერული კულტურის ფორმირებაში ცალკეულ ალბანურ ტომებს, „იალოილუთეფეს კულტურის" მატარებლებსაც მიუძღვით თავისი წვლილი [30: 272-273]. პროფ. რ. რამიშვილი ვარაუდობდა, რომ რადგან იალოილუთეფეს კულტურის გავრცელების არეალში ჰერები იყვნენ განსახლებულნი ანტიკურ ხანაში, შესაბამისად მას „ჰერული კულტურა" უნდა ეწოდოს [31: 40-41]. აღნიშნულ პრობლემებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა დოქტორმა გ. ლაღიაშვილმა, ის სამართლიანად აღნიშნავს: მკვლევართ მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდათ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზედაც გ. ნიორაძემ მიანიშნა. ამ კულტურისათვის დამახასიათებელი სუფრის ჭურჭელი ალაზნის ველზე ისტორიული ალბანეთის სამხრეთიდან მილისა და მუღანის ველიდან ვრცელდება. შესაბამისად, მართებულია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კიაზო ფიცხელაურის მოსაზრება „იალოილუთეფეს კულტურის" ცნების „ჰერულით" გადაფარვის არამართებულობის შესახებ. იორ-ალაზნის ორმდინარეთის ადგილობრივი ტრადიციული თიხის ჭურჭელი, რომელიც უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, უკავშირდება ჰერებს. „იალოილუს კულტურა" აშკარად შემოტანილია, [32: 206] უცხოა.

ამგვარად, დასტურდება ჯერ კიდევ ბატონ გ. ნიორაძის მიერ მინიშნებული ვარაუდი – ძვ.წ. I ს-ში ალბანური ტომების ინფილტრაციის თაობაზე ალაზნის ველზე. „იალოილურმა კულტურამ" ფეხი ვერ მოიკიდა. არხილოსკალოს სამაროვანი ანტიკური იბერია-ალბანეთის სახელმწიფოების სასაზღვრო ზოლში მდებარეობდა. არქეოლოგიურად ის, როგორც ეს პროფ. გ.

ნიორაძემ დაასაბუთა 73 წლის წინათ, „იალოილუთეფეს" ანალოგიურია. ამ კულტურის ნამოსახლართა კვალი ჰერეთში საერთოდ არ ჩანს! ამ კულტურამ შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში იარსება. ალბანეთისგან განსხვავებით, იორ-ალაზნის აუზში ახ.წ. II-III სს-ში მისი კვალი არსად არ შეიმჩნევა [33].

მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას საერთო ხელმძღვანელობას სწავლულ ექსპერტთა კომისია უწევდა, ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: პროფ. ნ. ჩუბინაშვილი, ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, გ. ნიორაძე, დ. ლომაძე, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი.

1937 წელს „ენიმიკის" არქეოლოგიურმა დაზვერვითმა ექსპედიცამ ალ. კა-ლანდაძის ხელმძღვანელობით მცხეთის რკინიგზის სადგურიდან ორიოდე კმ დასავლეთით, მდ. მტკვრის ნაპირას, მდ. კარსნისხევის შესართავთან მიაკვლია რომაული ტიპის ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ აბანოს ნანგრევებს. ამის მაგვარი ნაგებობა მანამდე ჩვენში საერთოდ არ ყოფილა ცნობილი. კერძო აგარაკების მშენებლობისას აღმოჩნდა ერისთავთა სასახლის ნანგრევები და აგრეთვე გვიანანტიკური ხანის ქვის სარკოფაგები. სამთავროს ველზე საბეითლო (სავეტერინარო) პუნქტის მშენებლობისას გამოვლენილ იქნა ბერძნულ და ებრაულწარწერიანი საფლავის ქვები. საქართველოს მთავრობამ 1938 წელს ეს ადგილები ნაკრძალად გამოაცხადა. შეიქმნა „მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია" (ხელმძღვანელი – ივ. ჯავახიშვილი). მის შემადგენლობაში შედიოდნენ ალ. კალანდაძე, მ. ივაშჩენკო და სხვები. 1938 წელს სადგურ „ზაჰესთან", მტკვრის მარცხენა ნაპირას დაფიქსირდა ძველი ქალაქის დამცველი, მოთეთრო ქვაფილებით ნაგები კედლის საძირკველი. მის ცალკეულ კვადრებზე – ქვის ფილებზე ამოკვეთილია ბერძნული ასომთავრული ასოები (წყობის რიგითობის აღმნიშვნელი ნიშნები. – გ.ლ.), აქედან 13 ბერძნულასოებიანი ქვათლილი გადმოიტანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ლაპიდარიუმში. აკად. თ. ყაუხჩიშვილი ფიქრობდა: შესაძლოა ეს კვადრები იმ კედლის ნაწილი ყოფილიყო, „რომელიც გაუმაგრა ვესპასიანემ იბერებს" [34: 252]. ამ გალავნის კედლის მახლობლად, თბილისი-ფოთი რკინიგზის გაყვანისას, 1867 წელს იქნა ნაპოვნი დიდი ქვის ფილა 17 სტრიქონიანი ბერძნული წარწერით. ვესპასიანე კეისრის ახ.წ. 75 წლით დათარიღებული ეს წარწერა შესრულებული ჩანს საიმპერატორო კანცელარიაში. ანტიკური ქართლის – იბერიის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ეპიგრაფიკული ძეგლის მნიშვნელობა [35] ჩვენს ანტიკურ ისტორიოგრაფიაში შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასდეს...

ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით ინსტიტუტში იღვწოდა სწავლულ ექსპერტთა ჯგუფი (ს. ყაუხჩიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, გ.ფ. წერეთელი, ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, გ. ნიორაძე). მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაფინანსება დაევალა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას. 1938 წელს ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში უკვე ათი

მეცნიერ-თანამშრომელი შედიოდა, ველზე ოქტომბერ-დეკემბერი გაატარა. შედეგები იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ „ექსპერტთა საბჭომ“ მთავრობასთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება მცხეთის არქეოლოგიური გათხრების მასშტაბების გაფართოების თაობაზე. 1939 წელს „მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია“ უკვე 20 მეცნიერი მუშაკით, ორი მხატვრით და ფოტო სპეციალისტით დაკომპლექტდა. ამჯერად არქეოლოგებმა ველზე 7 თვე დაჰყვეს. მუშათა რაოდენობა 80-ს აღწევდა. მაშინ შეიქმნა მცხეთელ პროფესიონალ „მუშა-არქეოლოგთა“ ბრიგადა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საველე არქეოლოგიის დაწინაურებაში. 1938-1939 წლებში მარტო 1055 სამარხი გაითხარა, საველე დავთრებში (ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში) გატარებულია არტეფაქტების ჩვენთვის რეკორდული რაოდენობა – 6632 დასახელების ნივთი, ასეულობით სამარხეული კომპლექსი... ფონდებში ამ დროისათვის დაგროვდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა. აუცილებელი ხდებოდა აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების არა მარტო კამერალური დამუშავება, არამედ მათი სისტემატიზაცია, კატალოგიზაცია; საექსპოზიციო ექსპონატების ზუსტი დათარიღება და გამოფენა. 1939 წლის ზამთარში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესიასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ივ. ჯავახიშვილის მიერ 1937 წელს მოწყობილი არქეოლოგიური ექსპოზიციის (იარსება 1952 წლამდე) პარალელურად, მოეწყო სახელდახელო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი გახლდათ სამთავროს ველზე ორი წლის მანძილზე (1937-1938 წწ.) მოპოვებული მასალები (ოფიცილური მონაცემებით, დღეისათვის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდსაცავში დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ნივთი ინახება). აღნიშნულ სესიაზე მოხსენებით გამოვიდა ივ. ჯავახიშვილი. მან აღნიშნა როგორც გათხრების, ასევე აღმოჩენილი ძეგლების, გამოფენის ექსპონატების მნიშვნელობა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის [25: 16]. თსუ და მისი „არქეოლოგიის კათედრა“ პროფესიონალების აღზრდის, ახალი კადრების „მთავარი სამჭედლო“ ხდებოდა [3: 19].

1940 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მატერიალური შესაძლებლობები, რიცხობრივი შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, მისი მეცნიერული შედეგები ცნობილი ხდება არა მარტო საქართველოში. მის მიღწევებს აშუქებდნენ მაშინდელი სსრკ ჟურნალ-გაზეთები, საკავშირო კინოქრონიკები. იმ წლებში მცხეთის გათხრების სანახავად მოსული ტურისტების, „მშრომელთა მასების ნაკადი“ არ წყდებოდა. 1940 წელი აღინიშნა ახალი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენებით. ეს იყო ჭუშმარიტად ქართული ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის ოქროს ხანა. რესპუბლიკის მმართველობის უმაღლესი ეშელონის „პირველი პირები“ ყურადღებას არ აკლებდნენ მცხეთა-სამთავროს ექსპედიციას. ახლოვდებოდა საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის დიდი პროპაგანდისტული საიუბილეო თარიღი. მის აღსანიშნავად საგანგებო ღონისძიებები დაიგეგმა. მთავრობის

გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ახალი არქეოლოგიური ექსპოზიცია – „მცხეთა-თრიალეთი, საქართველოს უძველესი კულტურული კერები“. გამოფენა დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა 1941 წლის 23 თებერვალს. იმავე საღამოს გაიმართა ახლადდაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი სამეცნიერო სესია. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ს. ჯანაშია საზოგადოების წინაშე წარსდგა ვრცელი მოხსენებით „სამთავროსა და არმაზის არქეოლოგიური გათხრები“.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს, საღამოს, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებისადმი მიძღვნილი საჯარო ლექციის დროს. სიკვდილამდე ორიოდე დღით ადრე არმაზისხევის იბერიის მეფეთა ქართლის პიტიახშების (ერისთავების) II-III სს-ის აკლდამებიდან (სარკოფაგებიდან) ამოკრეფილი უძვირფასესი სამარხეული კომპლექსები, მათ შორის ასპარუგ ერისთავის პორტრეტიანი და ბერძნულ წარწერებიანი ოქროს ბეჭედ-საბეჭდავი, მას, დაბინდებისას, თავად ჩაულაგებია სეიფში, ცეცხლგამძლე ფოლადის ყუთში და ჩაუბარებია სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის მცველებისათვის. მაშინ მას უთქვამს: „ვინ იცის, ამ აღმოჩენების შემდეგ რამდენი რამ შეიქმნება ხელახლა დასაწერიო“ [25: 18]. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიურ ექსპედიციას სათავეში აკად. ს. ჯანაშია ჩაუდგა. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საფუძველზე დაარსდა ახალი სამეცნიერო დაწესებულება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი. მას ივ. ჯავახიშვილის სახელი მიეკუთვნა. ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, აკად. ს. ჯანაშიამ 1941 წლის თებერვალ-მარტში, მცხეთაში არქეოლოგიური ექსპედიციის ორი ჯგუფი მიავლინა: 1) სამთავროში (მ. ივაშენკო და გ. ლომთათიძე) და 2) არმაზში (ა. კალანდაძე); იენისში უნდა დაეწყოთ გათხრები ბაგინეთზე (ა. აფაქიძეს) და ნაქულბაქევში (ლ. მუსხელიშვილს). მე-II მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა მასშტაბური სამუშაოების გაგრძელებას.

1941 წლის მარტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ სამეცნიერო სესიაზე მოხსენებით „Мцхета древняя столица Грузии“ გამოვიდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ს. ჯანაშია. მან შეაჯამა მცხეთაში 1936-1940 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები. ახალი არქეოლოგიური მონაცემების შუქზე დადასტურდა – მცხეთა ანტიკური ეპოქის მნიშვნელოვან საქალაქო კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. (შემონახულია აკად. ს. ჯანაშიას მოხსენების სტენოგრაფიული ჩანაწერი).

მომდევნო წლებში, მიუხედავად დიდი შეჭირვებისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც დავანებული გახლდათ მცხეთა-არმაზისხევისა და სამთავროს არქეოლოგიური მონაპოვარი, მიმდინარეობდა აღმოჩენილი მასალის კამერალური დამუშავება-შესწავლა. ის საფუძვლად დაედო 1943 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს ანტიკური პერიოდის შესაბამის თავებს (გვ. 38-53). მისი ავტორები არიან ივ. ჯავახიშ-

ვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი. სახელმძღვანელომ სტალინის სახელობის სსრკ სახელმწიფო პრემია მოიპოვა.

როგორც აღნიშნულია წინასიტყვაობაში – საქართველოს ისტორიის „მთლიანი კურსი აგებულია მეცნიერულ საფუძვლებზე", ქართული ისტორიოგრაფიის მრავალსაუკუნოვან მდიდარ ტრადიციებზე. მისი „მოკლე კურსი" ხელნაწერის უფლებით გამოვიდა ჯერ კიდევ ბატონ ივანეს სიცოცხლეში, 1940 წელს წიგნის II თავი, რომელიც რამდენიმე პარაგრაფად იყოფა, ეძღვნება საქართველოს ანტიკურ ხანას [36: 38-53], განხილულია იბერია-კოლხეთის სახელმწიფოები, მათი ურთიერთობა აქემენიდების სამეფოსთან და „იონიელ ბერძნებთან", დახასიათებულია ანტიკური ხანის ქართული ქალაქები, მოცემულია მცხეთის არქეოლოგიური გათხრების მოკლე ისტორია. მიუხედავად მაშინ არსებული იდეოლოგიური წნეხისა, წიგნი მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისით, გადმოცემის მანერით, მოხმობილი არტეფაქტების, არქეოლოგიური მასალის სიუხვით, ანალიზით, უზადოა. მას დღესაც არ დაუკარგავს ხიბლი და შეუნელებელი ინტერესით იკითხება. წიგნის ცალკეული მომდევნო პარაგრაფები ეძღვნება ელინისტური და რომაული ხანის საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებს. ავტორების მიერ შემუშავებული ქრონოლოგია-პერიოდიზაციის პრინციპები დღესაც ჩვენი ანტიკური ისტორიოგრაფიის ამოსავალია. 1) ადრეანტიკური ხანა ძვ.წ. VI-IV სს. 2) ელინისტური – ძვ.წ. III-I სს. და რომაული ეპოქა – ახ.წ. I-IV სს. ანტიკური ეპოქის საქართველოს მატერიალური კულტურა ხასიათდება ერთიანი მხატვრული ტიპოლოგიური ნიშნებით, ურბანისტული, საქალაქო ცენტრების დაწინაურებით, ქვეყნის საგარეო სავაჭრო-კულტურული კავშირების გაღრმავებით, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განმტკიცებით.

1944 წელს აკად. გ. ჩუბინაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVII სამეცნიერო სესიაზე წარსდგა მოხსენებით „არმაზის პიტიახშთა ნეკროპოლში აღმოჩენილი ნივთების მეცნიერული დახასიათების ცდა". გამოქვეყნდა მოხსენების თეზისები. დათარიღებასთან ერთად, მოცემული იყო არმაზისხევის სამარხეული კომპლექსის გვიანანტიკური ხანის ოქრომჭედლობის შედევრების ღრმა, ამომწურავი მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი. მან დაასაბუთა, რომ ერისთავთა დიდებული საგვარეულო აკლდამებში აღმოჩენილი ელინისტურ-რომაული სტილის ოქრომჭედლობის ნიმუშები ადგილობრივი წარმოებისაა. ისინი გვიჩვენებენ გვიანანტიკური იბერიის სამეფოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს. ამ მეტად მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევის გამოქვეყნება მოგვიანებით მაინც მოხერხდა [37: 13-189] რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. მან დაადგინა არმაზისხევის არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალი არტეფაქტების მხატვრულ-სტილისტიკური ერთიანობა, მისი თავისთავადობა და ადგილი დასავლურ-აღმოსავლურ ანტიკურ ცივილიზაციებთან მიმართებაში. როგორც აღნიშნავდა აკად. გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შავიზღვისპირეთსა თუ კავკასიონის ჩრდილო ხეობებში აღმოჩენილი არმაზული საიუველირო ნაწარმის

მსგავსი მაღალმხატვრული ნიმუშები ქართული ნივთიერი კულტურის, მისი „მთლიანობა-ერთიანობის" მაჩვენებელია (გ. ჩუბინაშვილი, გვ.76). იმდენად მძლავრი კულტურული იმპულსის მატარებელი აღმოჩნდა „არმაზისხევის საგანძური", რომ საქართველოს ანტიკურ არქეოლოგიაში გაჩნდა ტენდენცია ცალკე კულტურულ-ისტორიული პერიოდის – ე.წ. „არმაზული ხანის" (პროფ. რ. რამიშვილი) გამოყოფისა ჟინვალის ნაქალაქარის თანადროული კომპლექსებიდან, არმაზისხევის სამაროვნის დაკრძალვის წესების ახლებურად გააზრებისა [2: 33-38].

მცხეთის არქეოლოგიური გათხრები განახლდა 1943 წელს. არმაზისხევის რაზმს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები გ. გობეჯიშვილი და გ. ლომთათიძე ხელმძღვანელობდნენ. საზოგადოებრიობის ინტერესი ამ რიგით მეშვიდე არქეოლოგიური კამპანიის მიმართ იმდენად დიდი ყოფილა, რომ მეცნიერებათა აკადემიამ საგანგებოდ დაავალა გ. ლომთათიძეს სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის გამოსაცემად მომზადება [25: 5-80]. მართალია, ის მეტად ცუდი ხარისხის, ე.წ. საგაზეთო ქაღალდზე დაიბეჭდა, მაგრამ სიიაფის გამო ხელმისანვდომი გახლდათ მკითხველთა ფართო წრისათვის. წიგნი სამი თავისგან შედგებოდა და მცხეთის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიას ეძღვნებოდა, მან დიდად შეუწყო ხელი ჩვენში არქეოლოგიის პოპულარიზაციას, სამშობლოს წარსულით ხალხის დაინტერესებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ მისი განვრცობილი რუსული ვარიანტი, ასევე დიდი, სამიათასიანი ტირაჟით გამოაქვეყნა [38: 3-110, XXI ტაბ.]. ამ წიგნს თან ერთვის მცხეთის სიძველეებისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურის ნუსხა როგორც ქართულ, ასევე უცხო ენებზე. ისინი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას ნარმოადგენენ. მათ შორის აღსანიშნავია ა. ამირანაშვილის (ბოლტუნოვა ა. – გ.ლ.) წერილი მცხეთაში ნაპოვნი ანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის შესახებ. ის დაიბეჭდა გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ჟურნალ „არქეოლოგიურ მაცნეში" [39: 1-10]. მაშინ განზრახული იყო მცხეთის გათხრებში მონაწილეობა მიეღო ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ყოფილ ხელმძღვანელს დოქტორ მ. შნაიდერს. შექმნილმა მძიმე საერთშორისო პოლიტიკურმა ვითარებამ მრავალი წლით გადადო ქართველ არქეოლოგთა დასავლეთთან საქმიანი სამეცნიერო კონტაქტები...

მეორე, ასევე მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული არქეოლოგიის ისტორიოგრაფიაში იწყება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ.

წყაროები და ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი თ., ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონეტები. ნოქალქევი, II. „მეცნიერება", თბ., 1987.
2. აფაქიძე ა., გ. ნიორაძე (1986-1951). ბიბლიოგრაფია. შრომები I, 2011.
3. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ს., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა I. თბ., 1956.

4. აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., ჯაფარიძე ო., ხოშტარია ნ. საქართველოს არქეოლოგია. თსუ გამომცემლობა, თბ., 1959. რედ. ა. აფაქიძე.
5. აფაქიძე ა. ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1972.
6. აფაქიძე ა. ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს არქეოლოგიის განვითარების საკითხები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის სერია, 1976, № 2.
7. აფაქიძე ა. არმაზის ციხის ლოკალიზაციის საკითხებისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV, 1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1958.
8. აფაქიძე ა. მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1959.
9. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. „მეცნიერება“, თბ., 1963.
10. აფაქიძე ა. კოლხეთი ძვ.წ. VI-IV სს. თავი მერვე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I. თბ., 1970.
11. აფაქიძე ა., კალანდაძე ს., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. მცხეთა II. თბ., 1978.
12. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. ანტიკური სამყარო და მცხეთა უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაპოვარის შუქზე. კრ. მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით. თბ., 1993.
13. აბულაშვილი თ., ახვლედიანი დ., გურული ე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1934 და 1941 წლებში მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენები. კრ. „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010.
14. ბოკერია მ. დასავლეთ საქართველო: მცენარეულობის განვითარების ისტორია. კრ. „სიახლენი უძველეს კოლხეთზე“, ადამანტის-პრესი, თბ., 2010.
15. გაგოშიძე ი., ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ძვ.წ. I ს. „იბერია-კოლხეთი“, № 3, 2007.
16. გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან (ორგანიზაციული განვითარების გზა). თბ., 1996.
17. გამყრელიძე გ. საქართველოს კლასიკური და ადრემედეური პერიოდის არქეოლოგიის პრობლემატიკა და პერსპექტივები (მოკლე მონახაზი). ო.ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნ. „იბერია-კოლხეთი“, თბ., 2007, № 3.
18. გამყრელიძე გ., დ. მინდორაშვილი, ზ. ბრეგაძე, ბ. კვაჭაძე. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2013.
19. გამყრელიძე გ., საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია. ნიგნში „საქართველოს არქეოლოგია“, I. თბ., 1991.
20. გვინჩიძე გ., ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. ნოქალაქევის ძვ. წ. IV-I სს. სამარხეული ძეგლები: გამომცემლობა „განათლება“, 1988.
21. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1952.

22. გრიგოლია გ. ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბ., 1994.
23. გრიგოლია გ., ლორთქიფანიძე გ., ბარამიძე მ., ფხაკაძე გ. დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. მასალები საქართველოს, კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, თბ., 1973.
24. ზაქარაია პ. ნოქალაქევი – არქეოლოგიური გათხრები, 1978-1982. გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1987.
25. ზაქარაია პ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, III, 1883-1959, გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1993.
26. თვალჭრელიძე ზ. ციხე-გოჯი ელინისტურ ხანაში და დაკრძალვის წეს-ჩვეულებები. კრ. „სიახლენი უძველეს კოლხეთზე". ადამანტის-პრესი, თბ., 2010.
27. კალანდაძე ა. 1937 წ. არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ან-გარიში, ენიმიკის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. 3, 1939.
28. ლალიაშვილი გ. იალოილუთეფეს კულტურის გენეზისის პრობლემა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. საქ. მეცნ. ეროვ. აკად. მაცნე, № 1,2, 2013.
29. ლომიტაშვილი დ. არქეოლოგიური ძეგლის გათხრა, მეთოდიკა. ლონდონი, 1994.
30. ლომიტაშვილი დ. ნოქალაქევი – I, ძვ.წ. VIII-VII სს. განვითარების I ფაზა. კრ. „სიახლენი უძველეს კოლხეთზე", ადამანტის-პრესი, თბ., 2010
31. ლომთათიძე გ. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1944.
32. ლომთათიძე გ. წინაპართა ნაკვალევი, საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები. „საბლიტგამი", თბილისი, 1952. წიგნი ეძღვნება ქართული საბჭოთა არქეოლოგიის დიდი მოამაგის აკად. ს. ჯანაშიას ნათელ ხსოვნას.
33. ლომთათიძე გ. აკად. ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს არქეოლოგია. მიმომხილველი, II, 1951.
34. მუსხელიშვილი ლ. ნოქალაქევის დღიური. ნოქალაქევის გათხრების შედეგები და დოქტორ შნაიდერის დასკვნები 1929/1930 წწ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი (1978-1982 წწ.), „მეცნიერება", თბ., 1987.
35. მაჩაბელი კ. ნინასიტყვაობა გ. ჩუბინაშვილის წიგნისა, არმაზის საგანძური. გამომცემლობა „ნეკერი", თბ., 2007.
36. მუსხელიშვილი ლ. ნოქალაქევის დღიური, ნოქალაქევის გათხრების შედეგები და დოქტორ შნაიდერის დასკვნები, ნოქალაქევი–არქეოპოლისი I, გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1987.
37. მგალობლიშვილი ლ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. (1941-2011). თბ., 2011.
38. მენთეშაშვილი ი. ძველი ანაგისა და ყოლოთოს კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობისათვის. საქ. მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნ. განყოფილების სესია, თბ., 1941 (თეზისები).
39. ნიკოლაიშვილი ე., სიხარულიძე ა. მცხეთის ძველი „პომპეუსის ხიდი". რედაქტორი ა. აფაქიძე. გრაფიკული ილუსტრაციები გ. ყიფიანისა. თბ., 2001.
40. ნიორაძე გ. კარსნის ხევის სასაფლაო. საქართველოს მუზეუმის შრომები, IV. თბ., 1926.
41. ნიორაძე გ. ზემოავჭალის სამარე, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, თბ., 1931.
42. ნიორაძე გ. შრომები I, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბ., 2011. აკად. ა.

აფაქიძის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით.

43. ნიორაძე გ. შრომები II, თბ., 2013. აკად. ო. ჯაფარიძის წინასიტყვაობით და რედაქტორობით.

44. ნიორაძე გ. ალაზნის ველის გათხრები. სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომც. თბ., 1940. მეორე გამოცემა იხ. გ. ნიორაძე. შრომები, II. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბ., 2011.

45. რამიშვილი რ. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. „მეცნიერება", თბ., 1979.

46. რამიშვილი რ. კარსნისხევის სამაროვანი. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V. „მეცნიერება", თბ., 1959.

47. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები ძვ.წ. XV-VII სს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით. „მეცნიერება", თბ., 1979.

48. ყაუხჩიშვილი ს. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I. თბ., 1948. საქართველოს განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტი.

49. ჩუბინაშვილი გ. არმაზის საგანძური, არმაზის პიტიახშთა ნეკროპოლში აღმოჩენლი ნივთების მხატვრული დასკვნების ცდა, გამომცემელი კიტი მაჩაბელი, გამომცემობა „ნეკერი", თბ., 2007.

50. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1928.

51. ჯავახიშვილი ივ. ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებასა და კულტურის სფეროში, ენიმიკის მოამბე, I, თბ., 1937.

52. ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1943.

53. ჯაფარიძე ე. ეგრისის მატერიალური კულტურის ძეგლები (არქეოლოგიური გათხრები, გამოკვლევა). არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ., 2006.

54. Апакидзе А. Города Древней Грузии. «Мецниереба». Тб., 1968.

55. Леквинадзе В. О древнейших оборонительных сооружениях Археополиса. Советская археология, М., 1959, № 4.

56. Церетели Г.В. Армазская билингва, двуязычная надпись, найденная при археологических раскопках в Мцхета. Армази. Издательство АН Грузии, Институт истории. Тб., 1941.

57. Чубинашвили Г. Армазская сокровищница. Тб., 2007.

58. Чубинашвили Г. Сборник «К вопросу о Нокалакеви». Тб., 1973.

59. Amiranashwili A. (Boltunova A.) Zvei Henkel eines silbernen Gefäßes aus Mzchetha (Georgien) Archäologischer Anzeiger, Jahrbuch des Deutschen Archäologischen Instituts. Berlin, 1934.

60. Bround D. Georgian in antiquity. A History of Colchis and Transcaucasian, Iberia 550 bc-ad 562. Claredon press, Oxsford, 1994.

61. Masserey K. Nokalakevi Past Expeditions. News of Ancient Colchis Archaeological paleobotanical and historical research Georgian and Sviss cooperation. Adamantis. press, Tbilisi, 2010.

62. Shncider A.M. Archaeopolis-Nokalakewi Forschungen und Forischitte, VIII, N 27, Fr. 1931.

GURAM LORTKIPANIDZE

THE HISTORIOGRAPHY OF GEORGIAN ANTIQUE ARCHAEOLOGY ON THE BOUNDARY OF XX-XXI CENTURIES (THE FIRST PART)

Summary

The planned researches of antique , Greece-Roman epoch archaeological finds goes back to thirties of XX century in Georgia. The Academician Iv. Javakhishvili has compiled the special programme, which implied archaelogical investigations of Colchic and Iberian cities mentioned in Greece-Roman historical sources.

The cities of Alexander the Great and of later periods situated in the Mtkvari (Kura) gorge are mentioned in Georgian National Chronicles and among them in "Moktsevai Kartlisa" (The Conversion of Kartli) (IV-IXcc.) and "Kartlis Tskhovreba" (The life of Kartli) (XI c.)

In 1930 archaeological "excavations began in historical Colchis (Lazika) Archeopolis, according to Byzantine sources. The head of the expedition was the professor of Fryburg university (Germany) Alfons Maria Shnider. The participants of the expedition were S. Kauckhchishvili, G. Chubinashvili, L. Muskhelishvili and V. Cozalishvili. Archaeological excavations had confirmed the localization of the capital of Lazika at the precise place in IV-VI cc. According to the Georgian Chronicles the capital of Lazika corresponds to "Tsixe Godji" (nowadays Nokalakevi village). The Classical Georgian Archaeology dates back to this period. The 'Gold Period' of Georgian archaeology involves 1935-1941. The famous Georgian scientists Iv. Javakhishvili, S. Janashia, A. Apaqidze, A. Kalandadze, G. Lomtatidze led widescale archaeological excavations in the ancient capital of Georgia. These excavations resulted in publishing I volume of History of Georgia by Iv. Javakhishvili, S. Janashia, and N. Berdzenishvili in 1943, which later was awarded Stalin Prise.

In the next papers we are going to analyse the essential results of post war period Georgian archaeological expeditions and published monographs.

Г. А. ЛОРТКИПАНИДЗЕ

ГРУЗИНСКАЯ ИСТОРИОГРАФИЯ ПО КЛАССИЧЕСКОЙ (АНТИЧНОЙ) АРХЕОЛОГИИ НА РУБЕЖЕ XX-XXI ВЕКОВ

(Часть I)

Р е з ю м е

Зародившаяся в XIX столетии грузинская историография классической (античной) археологии возрождается в тридцатых годах прошлого столетия. Именно в это время в Западной Грузии, в исторической Колхиде – Эгриси профессор Фрайбургского университета А.М. Шнайдер возглавил

археологическую экспедицию Народного комиссариата Грузии. Доктор Шнайдер приступил к археологическим раскопкам Археополиса византийских источников, в окрестностях села Нокалакеви. По грузинским письменным источникам именно здесь находилась резиденция правителя Эгриси Куджи (III в. до н.э.), входящего в Иберское царство. В состав экспедиции входили молодые археологи Л.Мусхелишвили и Г. Гозалишвили.

В 1930-31 гг. общее руководство раскопками возлагалось на группу ученых: И. Джавахишвили, Г. Чубинашвили, С. Каухчишвили, Г. Ниорадзе. В полевых исследованиях непосредственное участие принимали молодые грузинские археологи Л. Мусхелишвили и Г. Гозалишвили. Отчеты были опубликованы в Германии и в Грузии. Изначально Л.Мусхелишвили оспаривал концепцию Шнайдера, связывающего строительство Археополиса исключительно с Римом. С этого периода берет свое начало грузинская историография по античной археологии рубежа XX века. Золотым веком античной археологической историографии в Грузии можно считать 1936-1946 года, когда были проведены археологические раскопки в древней столице Грузии – Мцхета, методом т.н. «широкого охвата». Раскопками были обнаружены мощные фортификационные сооружения, резиденция иберских царей и их скептухов, богатейшие погребальные комплексы и др. Возглавляли раскопки в Мцхета И. Джавахишвили и С. Джанашиа. Ими был разработан план археологического исследования античных городов, упомянутых в греко-римских и грузинских письменных источниках. Мцхетская археологическая экспедиция воспитала целое поколение грузинских археологов–античников (А. Апакидзе, Г. Гобеджишвили, Л. Каландадзе, Г. Ломтатидзе, Н. Хонтариа и др.). Изданные ими десятки монографий обогатили нашу историографию античной археологии рубежа XX-XXI веков. Речь об их исследованиях пойдет во второй части данного очерка.

Результаты археологического исследования древней столицы Грузии (Иберии) Мцхета легли в основу истории античного периода учебника «История Грузии» (И. Джавахишвили, С. Джанашиа, Н. Бердзенишвили). Книга в 1943 году была удостоена Государственной (Сталинской) премии СССР.

ელდარ მამისთვალიშვილი

იოანე ხუცესის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში

ქართველი და უცხოელი მკვლევრების ყურადღება დიდი ხანია მიპყრობილია და კვლევის საგანს წარმოადგენს საკითხი იოანე ხუცესის შესახებ[1]. ზოგი მკვლევარი ამ ლეგენდარულ გმირში შუა აზიის ზოგიერთ ცნობილ ისტორიულ პიროვნებას ხედავს, ზოგი კი, XII-XIII საუკუნის პირველი მეოთხედში მუსლიმანთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მეფეებს. ***ქართველი მეფეების გაიგივება იოანე ხუცესთან, ქართველთ სასახელო ისტორიული ფაქტების უგულებელყოფად მიმაჩნია.*** აღნიშნულ პერიოდში, სირია-პალესტინასთან დაკავშირებულ ევროპელ ჯვაროსნებს არ შეიძლება ქართველებზე ისეთი წარმოდგენა ჰქონებოდათ, როგორც „დოკუმენტებში“ არის წარმოდგენილი.

იერუსალიმის სამეფოს სამხედრო გაჭირვების ჟამს, 1145 წელს, დასავლეთ ევროპაში გავრცელდა ხმა, რომელმაც მაშინდელი საზოგადოების ყველა ფენის სული და გონება დაიპყრო. XII საუკუნის სახელგანთქმული ქრონისტი, ფრეიზინგის ეპისკოპოსი ოტონ ფრეიზინგელი (1111-1158), 1145 წელს გადმოგვცემს: ჩვენ შევხვდით ეპისკოპოსად ახალ ხელდასხმულ სირიელ გაბულის ეპისკოპოსს, რომელმაც მოგვითხრო, რომ რამდენიმე წლის წინათ ვინმე იოანე, უკიდურეს აღმოსავლეთში, სპარსეთისა და არმენიის მხარეს მცხოვრები ქრისტიანული – ნესტორიანული აღმსარებლობის ხალხის მეფე და ხუცესი წავიდა ორი ძმა შამიარდების – მიდიისა და სპარსეთის მეფეების წინააღმდეგ საომრად და დაიპყრო მათი დედაქალაქი ეკბატანა. იოანემ გამარჯვების შემდეგ გააგრძელა გზა, რათა დახმარებოდა რომის წმინდა ეკლესიას იერუსალიმში, ე. ი. იერუსალიმის სამეფოს. მაგრამ როდესაც მდინარე ტიგროსს მიაღწია, ხომალდების უქონლობის გამო ვერ გადალახა და ჩრდილოეთისკენ წავიდა, სადაც გაიგო, რომ ეს მდინარე ზამთრობით იყინება. მან იქ გაატარა რამდენიმე წელი, მაგრამ ამაოდ, მდინარე არ გაიყინა. იგი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო, მით უმეტეს, რომ არაჯანსაღი კლიმატის გამო თავისი მრავალი მებრძოლი დაკარგაო [19: 365].

ოტონ ფრეიზინგენს ყოველივე ზემოთქმული შეუტყვია იმ წერილიდან, რომელიც დასახელებულ სირიელ კათოლიკე ეპისკოპოსს გაუგზავნია რომში.

1165 წელს, იმავე ქრონიკის მიხედვით, ინდოეთის მეფე იოანე ხუცესმა წერილები გაუგზავნა მრავალ ქრისტიან მბრძანებელს, განსაკუთრებით კი

---

1 იმპერატორ კონრად III-ის ძმა დედის მხრიდან და იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბარუსას ბიძა, 1138 წლიდან ქ. ფრეიზინგის (ბავარიაში, მიუნხენის ჩრდილო აღმოსავლეთით) ეპისკოპოსი. მონანილეობდა მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობაში. [13: 379-380].

კონსტანტინოპოლის მეფე მანუილ კომნინოსს და რომის იმპერატორს ფრიდრიხს.

ცნობილია მხოლოდ მანუილ კომნინოსისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი, რომელშიც იოანე ხუცესი აღწერს თავის სახელმწიფოს – „სამ ინდოეთს“, რომლის დედაქალაქი იყო სუზა [14: 442-443]. ახლა ყურადღებას არ შევაჩერებ იმ სახელმწიფოსა და მისი დედაქალაქის სრულიად გაუგებარ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რომელმაც არავითარი კრიტიკული დამოკიდებულება არ გამოიწვია თანამედროვე დასავლეთ ევროპის პოლიტიკოსებში, მათ უდრტვინველად მიიღეს და დაიჯერეს წერილში გადმოცემული სხვა მრავალი „ფაქტი“. იოანე ხუცესის კათოლიკებისადმი დასახმარებლად მისვლის იმედი, ზემოაღნიშნული წერილის დაწერიდან თითქმის 500 წლის შემდეგაც კი ცოცხლობდა [11:12].

1177 წელს პაპმა ალექსანდრე III-მ იოანე ხუცესთან გაგზავნა ვინმე ფილიპე, ის პიროვნება რომელმაც რომში იოანე ხუცესის წერილი მიიტანა. პაპმა იგი კათოლიკე ეპისკოპოსად აკურთხა და თავისი წერილი გაატანა. ელჩი ვენეციიდან გაემგზავრა 27 სექტემბერს.

პაპის წერილი საინტერესო და სიმპტომატურია იმდენად, რამდენადაც იგი შინაარსითა და პათოსით მიესადაგება იმ წერილებს, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში რომიდან იგზავნებოდა არაკათოლიკურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. პაპები, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, თავს იკავებდნენ პოლიტიკური ხასიათის წერილების გაგზავნაზე აღმოსავლეთში, რადგან მათ არ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ იმ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაზე. პაპის კურიის მიზანი ყოველთვის ნათელი იყო: ადრესატს თუ სურვილი ან საჭიროება უბიძგებს კავშირი დაამყაროს რომთან და მისი საშუალებით დახმარება მიიღოს რომიდან და იმ ქვეყნებიდან, რომლებიც პაპის გავლენის ქვეშ არიან, მაშინ მან თავის ხალხთან ერთად უნდა იწამოს კათოლიკური მოძღვრება და შეუერთდეს რომის ეკლესიას [16: 450; 14: 444-445].

დიდი ხნის განმავლობაში ევროპელებს არ სურდათ შეგუებოდნენ აზრს, რომ არც ინდოეთში, არც ეთიოპიაში და არც ჩინეთში არ მოიძებნა წერილში დაწვრილებით აღწერილი მეფე იოანეს სამეფო. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმიზეზოდ არაფერი ჩნდება. დღეისათვის უცხოურ გამოკვლევებში მიღებულია, რომ იოანე ხუცესის შესახებ გავრცელებული ხმების საფუძველი გახდა სინამდვილეში მომხდარი ამბავი: სელჩუკი სულთნის სანჯარის ჯარის განადგურება ცენტრალური აზიის გაერთიანებული ტომების ლაშქრის მიერ კატვანის დაბლობზე 1141 წელს კიდანის გურხანის ელიუშ დაშის მეთაურობით [11: 13]. სავარაუდოა, ელიუშ დაშის მომთაბარეთა ლაშქარში ნესტორიანებიც[1] იყვნენ, რაც ხელს უწყობდა ყალბი შეხედულების ჩამოყალიბებას,

1 ნესტორიანები – მიმდევრები აღმოსავლეთქრისტიანული მოძღვრებისა, რომელიც დააარსა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნესტორმა 428-431 წლებში. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ 431 წელს განკვეთილი იქნა მართლმადიდებლური ეკლესიიდან. ნესტორი ქადაგებდა, რომ ქრისტეში უნდა გამოვყოთ ადამიანური და ღვთაებრივი ბუნებები, რომ იესო იყო მხოლოდ ადამიანი, რომელიც გაღმერთდა. აქედან გამომდინარე, ნესტორი არ სცნობდა მარიამს, როგორც ღვთისმშობელს [12: 25].

თითქოს აღმოსავლეთში არსებობდა ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის მეფე იყო იოანე ხუცესი. იოანე ხუცესისაგან დახმარების მიღების მოლოდინი გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც ასპარეზზე გამოჩნდნენ მონღოლები, რომლებმაც სრულიად შეცვალეს სამხედრო და პოლიტიკური სიტუაცია შუა აზიაში. მათი აღზევების საწყის ეტაპზე ხდება ის მოვლენები, რომლებმაც ხელი შეუწყო ჩვენთვის საინტერესო ლეგენდისადმი ნდობის გაძლიერებას. 1208 წელს ხორეზმშაჰმა მუხამედმა შეძლო თავის მხარეს გადაებირებინა ხოტანის მბრძანებელი და ბუხარა და სამარყანდი დაიკავა. მუსულმანური მოსახლეობა მიესალმა ხორეზმშაჰს, როგორც მხსნელს. მაგრამ მუსლიმანთა ფართო მასები მალე დარწმუნდნენ, რომ ერთმორწმუნე ხორეზმელების უღელი უფრო აუტანელი იყო, ვიდრე მონღოლებისა. სამარყანდში ყველა ხორეზმელი ამოწყვიტეს. 1211 წელს აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა კუჩლუკი, რომელმაც მთელი ძალაუფლება დაიპყრო.

სავარაუდოა, კუჩლუკი თავდაპირველად ნესტორიანი იყო, მაგრამ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ მიატოვა თავისი ქრისტიანი ცოლი და შეუყვარდა ყარა-კიდანელი ქალწული, რომელმაც, როგორც ვარაუდობენ, იგი ბუდიზმზე გადაიყვანა.

კუჩლუკმა ისარგებლა მონღოლების ჩინეთის საქმეებით დაკავებით. მან შეძლო ხორეზმელების შევიწროება და დაიმორჩილა აღმოსავლეთ თურქესტანის დიდი ნაწილი – ალმალიკის გამოკლებით, რომელიც მონღოლების მფარველობის ქვეშ შევიდა. მაგრამ კუჩლუკმა, რომელიც ლ. გუმილევის დახასიათებით, კარგი მხედართმთავარი და ცუდი პოლიტიკოსი იყო, ნება მისცა ნესტორიანებსა და ბუდისტებს დაეწყოთ დევნა მუსლიმანებისა, რომლებიც სახელმწიფოში უმრავლესობას შეადგენდნენ. ამან უბიძგა ხალხს თავისი სიმპათია გადაეტანათ მონღოლთა ხანზე, რომელიც ძლიერ სწყალობდა მუსლიმანებს.

1218 წელს მონღოლებმა კუჩლუკი მოკლეს ალმალიკის დაპყრობის მცდელობისას [11: 176-180].

სიკვდილის შემდეგ კუჩლუკს მიაწერეს სრულიად დაუმსახურებელი დიდება. მის მიერ მუსლიმანების უაზრო დევნას მოულოდნელი რეზონანსი ჰქონდა დასავლეთ აზიის პერიფერიაზე, პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი ცდილობდა მიემხრო ბაღდადის ხალიფა, რომელიც ცუდ ურთიერთობაში იყო ხორეზმშაჰთან. ბაღდადში მცხოვრებმა ნესტორიანელმა პატრიარქმა, ხალიფას თხოვნით, ელჩები გაგზავნა „მეფე დავითთან“, იგივე ხუცეს იოანესთან, რათა მას დაეწყო დივერსიული მოქმედება ხორეზმის წინააღმდეგ. მაგრამ ამ დროს ქრისტიანობიდან გამდგარი კუჩლუკის მთელი ყურადღება კონცენტრირებული იყო ჯუნგარზე და არა შუა აზიაზე [11:176-180]. მიუხედავად ამისა, ხმებმა მისი მუსლიმანების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მიაღწია ჯვაროსნებამდე, რომლებსაც 1218 წელს ალყაში ჰქონდათ მოქცეული ჩრდილო ეგვიპტის ქალაქი დამიეტა. თავდაპირველად ჯვაროსნებმა რამდენიმე ბრძოლა მოიგეს და დამიეტაც კი აიღეს, მაგრამ იმის გამო, რომ შემდეგი ბრძოლა უპერსპექტივო იყო, მათ ეგვიპტე დატოვეს.

ეგვიპტეში ბრძოლების დროს, ჯვაროსნების კრიტიკულ მდგომარეობაში ყოფნისას, გავრცელდა ხმა მოხალისე პოტენციური აღმოსავლელი მოკავშირის შესახებ, რომელიც ქრისტიანების დასახმარებლად მოდიოდა. ამან გამოიწვია იოანე ხუცესისადმი იმედების გამოცოცხლება. სწორედ ეს ჩანს აკრის ეპისკოპოსის ჟაკ დე ვიტრის მიერ 1221 წლის 18 აპრილს პაპ ჰონორიუს III-ისათვის გაგზავნილ წერილში, რომელსაც დაურთო მუსლიმანი თარჯიმნების დახმარებით არაბულიდან ლათინურზე თარგმნილი ხელნაწერები. წერილი ნათელს ხდის იოანე-დავითის პიროვნებასა და მის შესაძლებლობებს.

ჟაკ დე ვიტრის წერილის ფრაგმენტი გამოაქვეყნა რიჰარდ ჰენიგმა. მასში ნათქვამია: ზემოხსენებულმა სერაფიმმა მოისმინა, რომ ინდოეთის მეფე დავითი შეიჭრა მის ქვეყანაში[1], მაგრამ, წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა უკან დაეხია. ამის შემდეგ მოცემულია მეფე დავითის დახასიათება: „ეს მეფე დავითი უძლიერესი და სამხედრო ხელოვნებაში გამოცდილი, ჭკვიანი და უძლეველი ხელმწიფეა, რომელსაც უფალმა ჩვენს დროს მოუწოდა, რათა იყოს ურო წარმართებისათვის და ამოძირკვოს მუჰამედის მოძღვრება და მისი დაწყევლილი კანონი, რომელიც შავი ჭირივით ვრცელდება. ხალხი მას „იოანე ხუცესს“ ეძახის [15: 26]. სერაფიმი „ინდოეთის“ მეფე დავითს ბიბლიურ დავითს ადარებს და აღნიშნავს, რომ ისევე როგორც ახალგაზრდა ებრაელთა მეფე დავითი, თავის ძმებს შორის გამოარჩია უფალმა და ყველაზე აამაღლა, ასევე აამაღლა „ინდოეთის“ მეფე დავითიც. წერილში ნათქვამია, რომ „ინდოეთის“ მეფე დავითის შეიარაღებული ძალები გაყოფილია სამად და წარმართულია გალათიის, ეგვიპტისა და მოსულის მიმართულებით. „იგი დგას ანტიოქიამდე არა უმეტეს 15 დღის სავალზე და მოიჩქარის აღთქმული მიწისაკენ, რათა იხილოს ღვთის საფლავი და აღადგინოს წმინდა სახელმწიფო“ [15: 26], ე. ი. იერუსალიმის ქრისტიანული სახელმწიფო. ჟაკ დე ვიტრი გადმოგვცემს, რომ აღნიშნული წერილის ხელნაწერი მას გადასცეს ტრიპოლის გრაფის მიერ გამოგზანილმა კაცებმა. ასეთივე ცნობები მიუტანიათ აღმოსავლეთის ქვეყნების ვაჭრებსაც. მაგრამ მთავარი ავტორები დავით მეფის შესახებ გავრცელებული ხმებისა, იყვნენ ეგვიპტის სულთნის მიერ დატყვევებული რამდენიმე ქრისტიანი მეომარი, რომლებიც მან თავის ძმას, დამასკოს გამგებელ კორადინს გაუგზავნა. კორადინმა ტყვეები თავის ბატონს, ბაღდადის ხალიფას გადასცა, მან კი ისინი, როგორც ძვირფასი საჩუქარი, მეფე დავითს გაუგზავნა. როცა მეფემ შეიტყო, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, გაათავისუფლა და ანტიოქიაში დააბრუნა.

ბაღდადის ხალიფას მიერ ეგვიპტეში გაგზავნილი კაცებისაგან სულთანმა შეიტყო მეფე დავითის უძლეველობაზე, მის საკვირველ ტრიუმფზე, იმის შესახებაც, მან 200 დღის განმავლობაში როგორ დაიპყრო სარაცინების ყველა ქვეყანა. ამის შემდეგ სულთანმა ბრძანა მასთან მიეყვანათ დატყვევებული ქრისტიანი დიდებულები, რათა მათი საშუალებით დაემყარებინა მშვიდობა მეფე დავითთან. სულთანმა დამასკოსთან განლაგებულ ქრისტიანთა

1 წერილში არ ჩანს ვინ არის სერაფიმი, სად მდებარეობს მისი ქვეყანა.

ჯარში გაგზავნა თავისი ელჩები სამშვიდობო ხელშეკრულების გასაფორმებლად [15: 27].

განსაკუთრებით საყურადღებოა პაპის, ჰონორიუს III-ის მიერ საფრანგეთის არქიეპისკოპოსებისათვის გაგზავნილი წერილი. „პაპი ჰონორიუსი ასე წერდა საფრანგეთის ყველა არქიეპისკოპოსს: კარდინალმა პელაგიუსმა ოკეანის გაღმიდან გვაცნობა, რომ იოანე ხუცესად წოდებული, ღვთისმოშიში დავითი, შეიარაღებული ძალით შეიჭრა სპარსეთში და სპარსეთის სულთანზე გამარჯვების შემდეგ 24 დღეში დაიკავა და დაიმორჩილა მისი ქვეყანა; იქ დაეუფლა მრავალ გამაგრებულ ქალაქსა და ბანაკს. იქიდან იგი ისე სწრაფად დაიძრა, რომ მისი ჯარი დგას 10 დღის მანძილზე უდიდესი და ყველაზე სახელგანთქმული ქალაქ ბაღდადიდან, სადაც იმყოფება ხალიფა, რომელსაც სარაცინები უწოდებენ უმაღლეს მღვდელმსახურს. ამგვარი საშიშროების დროს, სულთანმა ხალაპიამ[1], ძმების – დამასკოსა და ბაბილონის სულთნების ნათესავმა, უბრძანა თავის ჯარს, გაგზავნილს ქრისტიანთა იმ არმიის წინააღმდეგ, რომელსაც ალყაში ჰყავდა მოქცეული დამიეტა, წასულიყო ზემოთდასახელებული ქრისტიანი მეფის წინააღმდეგ. ***იმავე ლეგატმა პელაგიუსმა ავინიონში აცნობა: ქვეყანა ქართველებისა, რომლებიც კათოლიკები[2] და კარგად შეიარაღებულნი არიან, ითხოვენ და იხვეწებიან, რომ მათაც დართონ ნება ეომონ სარაცინებს***. შემდეგ რაინდი-ტამპლიერების წერილებში შეიძლება წავიკითხოთ, რომ სახელდობრ, ამ დავით მეფემ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სპარსეთის მახლობლად დაიპყრო ერთი სამეფო 300 ქალაქით, რომ არ ჩავთვალოთ ციხეები და ბანაკები და ის მეორე სამეფო, რომელშიც 300 ციხესიმაგრის გარდა არის 66 მდინარე და გაყოფილია 40 ნაწილად. მეფე დავითმა 100 ათასი მეომარი შეკრიბა. ყველაფერი, რაც აქ მეფე დავითზე ითქვა მოხდა მიმდინარე წელს, დანარჩენი კი გასულ წელს. მიმდინარე წელს საფრანგეთში გვაცნობეს აგრეთვე, რომ მეფე დავითი ან მისი ვაჟი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, უკვე მივიდა კომანიაში, რომელიც მდებარეობს უნგრეთის იქით, რუსეთის მიწაზე. მან იქ გაანადგურა ზოგიერთი წარმართული ქვეყნები, განსაკუთრებით კომანია და ხუთი თვის განმავლობაში აწარმოებდა სისხლისმღვრელ ომს. მან ამოწყვიტა მრავალი ათასი რუსი, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს, და წარმართების ზოგიერთი რაოდენობა პრუტანისზე და დაანგრია დიდი ქალაქი ტორნაქსი ან ორნარი[3], სადაც დაიარებიან ვაჭრები შორეული ქვეყნებიდან. ამასთან ერთად გვაცნობეს, რომ მის ჯარში არის 40 მეფე და 60 არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსი. მეფე დავითმა იმ ქვეყნებში გაატარა ორი წელი. იტყობინებოდნენ აგრეთვე მრავალ დაუჯერებელს, მაგრამ ეს მცირედიც საკმარისია. ზოგიერთები ამტკიცებდნენ აგრეთვე, რომ ***ქართველები*** არც ქრისტიანები და არც სარაცინები არიან... როცა დავით მეფემ და მისმა ჯარმა შეიტყო დამიეტის დაცემის შესახებ, საზღვაო კუნ-

1 ალბათ, ხალიფა.

2 როგორც მ. თამარაშვილი შენიშნავდა, XII-XIII საუკუნეთა მწერლები ქართველებს კათოლიკებად თვლიდნენ [4: 7].

3 ალბათ, სუდაკი ყირიმში.

ძულებით გაბრუნდნენ, რადგან მათთვის ასე იყო მოხერხებული. ყველა ხმები, რომლებიც წინათ მათზე ვრცელდებოდა, შეწყდა" [17: 7; 15: 29-30].

***

იმის თქმა, რომ ზემოთმოთხრობილ ლეგენდებში პირდაპირ თუ ირიბად აისახა საქართველოს და მისი გამოჩენილი მეფეების – დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული, დეფორმირებული მომენტები, ჩემი აზრით, ნიშნავს საქართველოს ჯვაროსნებთან ხანგრძლივი და საინტერესო ურთიერთობის უგულებელყოფას. ზოგიერთი გამოკვლევის პათოსი ისეთია, თითქოს ჯვაროსნებს და მათი სახით ევროპელებს საქართველო სადღაც შუა აზიის თვალუწვდენელ სტეპებში ან ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ეგულებოდათ, წარმოდგენა არ ჰქონდათ მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რელიგიასა და საბრძოლო შემართებაზე. თითქოს მათი ცოდნა საქართველოზე იმ ზღაპრებით შემოიფარგლებოდა, ზემოთ რომ გავეცანით. მითუმეტეს, ამგვარი უვიცობის დაბრალება რომის პაპებისა და მათი ისტორიკოსებისათვის, უმართებულოა[1].

მასალას, რომელსაც ზემოთ გავეცანით, ვფიქრობ, იცნობდა XII-XIII საუკუნეთა საქართველოს შესახებ არსებული ევროპული წყაროების შესანიშნავი მცოდნე ზურაბ ავალიშვილი. მაგრამ 1929 წელს გამოქვეყნებულ მის წიგნში [1] ისინი ვერ მოხვდა, რადგან მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ აღნიშნული პერიოდის საქართველოსთან. ზ. ავალიშვილის წიგნიდანაც კარგად ჩანს, რომ რომსა და დანარჩენ ევროპაში იმდენად სრული და რეალური ცოდნა ჰქონდათ საქართველოსა და ქართველებზე, რომ მათ მიერ დატოვებულ ცნობებზე დაყრდნობით ხშირად ვავსებთ ან ვაზუსტებთ ჩვენი ქვეყნის წარსულის უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიის ეპიზოდებს.

ზემოთ მოხმობილი წერილებიდან, ვფიქრობ ყურადღებას იმსახურებს ჰონორიუს III-ის მიერ საფრანგეთის არქიეპისკოპოსებისათვის გაგზავნილი წერილი, რომელიც თითქმის მთლიანად მონღოლების დასავლეთისაკენ ლაშქრობას ასახავს. ეს წერილი, ჩემი აზრით, ნათელს ხდის, რომ ევროპელ ჯვაროსნებს და რომის პაპებს არაფერი ეშლებოდათ და ისინი ქართველებსა და მონღოლებს ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ.

წერილში გადმოცემულია სამი სხვადასხვა ამბავი და ისინი თარიღდება დამიეტასთვის ბრძოლებითა (1217-1221) და შემდგომი პერიოდით.

პირველი ამბავის ავტორი არის კარდინალი პელაგიუსი, რომელიც წმიდა მიწაზე მოპოვებულ ინფორმაციას უგზავნის პაპ ჰონორიუს III-ს. კარდინალ პელაგიუსის მიხედვით, იოანე ხუცესმა ანუ დავით მეფემ დაიპყრო სპარსეთი და ბაღდადისაკენ გაეშურა.

1 იოანე ხუცესში დავით აღმაშენებლის დანახვის დიდმა სურვილმა შეიძლება მკვლევარი ამგვარ აზრამდეც კი მიიყვანოს: „მღვდელმთავრობა (დავით – ე. მ.) მეფისა და მისი სასულიერო სახელი იოანე მხოლოდ ვიწრო ეზოტერული წრისათვის უნდა ყოფილიყო ცნობილი. შესაძლოა, ყოველივე ზემოთქმული ტაძრეულებისაგან გავრცელდა ევროპაში, ოღონდ ქართველთა მეფის საზოგადო სახელის გარეშე, რამაც სინამდვილე ლეგენდის საბურველით დაასაიდუმლოვა. ქართველმა მემატიანემ კი პირიქით, საიდუმლოდ შეინახა მღვდელმთავრობა და ხელდასხმის სახელი დაეითისა" [6: 168]

მონღოლებმა ირანი დაიპყრეს 1256 წელს, ბაღდადს კი შეუტიეს 1258 წელს. პელაგიუსის გადმოცემით კი, მონღოლები ირანისა და ბაღდადისათვის ბრძოლებს აწარმოებდნენ ჯვაროსნების მიერ დამიეტას ალყის პარალელურად, რაც სრული შეუსაბამობაა.

მეორე ამბავიც კარდინალ პელაგიუსს ეკუთვნის: „იმავე ლეგატმა პელაგიუსმა ავინიონში აცნობა: „ქვეყანა ქართველებისა, რომლებიც კათოლიკები და კარგად შეიარაღებულნი არიან, ითხოვენ და იხვეწებიან, რომ მათაც დართონ ნება ეომონ სარაცინებს". ის რაც ქართველებზეა ნათქვამი, სიმართლეს შეეფერება იმის გამოკლებით, რომ ქართველები კი არ ითხოვდნენ და იხვეწებოდნენ დამიეტასათვის ბრძოლებში მონაწილეობა მიგვაღებინეთო, პირიქით, ჯვაროსნები გიორგი-ლაშას სთხოვდნენ დახმარებას. ამის შესახებ ვიცით რომის პაპის მიერ გიორგი-ლაშასთვის გაგზავნილი ეპისტოლედან და რუსუდან მეფის მიერ რომის პაპისათვის გაგზავნილი წერილიდან [4: 7].

კარდინალ პელაგიუსის მიერ მოთხრობილი მესამე ამბის წყარო ყოფილა რაინდ-ტამპლიერების წერილები, რომლებშიც მიახლოებით გადმოცემულია მონღოლების მიერ რუსეთის დაპყრობა (1237-1240) და მათი ლაშქრობები დასავლეთის მიმართულებით (1241-1242).

ყოველივე ის, რაც საფრანგეთში გაგზავნილ წერილშია მოთხრობილი, რომ ქართველებთან დაკავშირებულად მიაჩნდათ მის მთარგმნელსა და რედაქტორს, ჩანს ტექსტში ჩასმული განმარტებით – ქართველები. მაშასადამე, მათი აზრით, ის რაც გადმოცემულია წერილში, ყველაფერი ქართველებმა ჩაიდინეს.

ევროპელი მკითხველისათვის რომ გასაგები ყოფილიყო ანონიმი ავტორების ხუცეს იოანე-დავით მეფის და მისი ქვეყნის ბუნდოვანი გეოგრაფიული მდებარეობა შუა აზიაში, ინდოეთის ნახევარკუნძულზე თუ ეთიოპიაში, რ. ჰენიგმა აქცენტი გადაიტანა საქართველოსა და მის მეფეებზე და ზემოთმოყვანილ ფრაგმენტულ ცნობებს დაურთო XII-XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საშინაო და საგარეო ურთიერთობათა ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტების მოკლე მიმოხილვა. იგი ძირითადად დაეყრდნო მ. ბროსეს, ზ. ავალიშვილის, ა. სანდერსის[1] და სხვთა შრომებს [15: 30-37].

ამგვარად, დასახელებული სამი ეპიზოდიდან, მხოლოდ მეორე, რომელშიც ლაპარაკია ქართველებზე, ემთხვევა დამიეტის ალყის პერიოდს, პირველი და მესამე კი ასახავს მონღოლთა ძლევამოსილ ლაშქრობებს ახლო აღმოსავლეთში, რუსეთსა და ცენტრალურ ევროპაში XIII ს-ის 20-30-40-ან წლებში.

დავით აღმაშენებლი და დემეტრე I რომ იოანე ხუცესის პროტოტიპები იყვნენ, ამის დამტკიცებას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა შ. ბადრიძემ [2: 153-175][2]. იგი ლოგიკურად ცდილობდა განემტკიცებინა თავისი მოსაზრებები იმ ისტორიული ფაქტებით, რომლებიც დაკავშირებულია დავით IV-ისა და დემეტრე I-ს სახელებთან: „ამ ფაქტების შუქზე, რომლებიც მიგვანიშნე-

1 სანდერსი არის გერმანიაში მოღვაწე ქართველი ალექსანდრე ნიკურაძის (1900-1981) ფსევდონიმი. მისი ნაშრომის სათაურია: [18]. ამ წიგნის მოძიება ვერ შევძელი.

2 საინტერესოა, რომ ფ. ბრუნს იოანე ხუცესის პროტოტიპად ცნობილი ქართველი სარდალი იოანე ორბელი მიაჩნდა [10: 112-159].

ბენ დავითისა და დემეტრეს მსგავსებაზე (რაც, თავის მხრივ, ჯვაროსანთა ფანტაზიაში საშუალებას იძლეოდა ამ პიროვნებათა იდენტიფიკაციისათვის) – უნდა ვიფიქროთ, რომ სირიელი ეპისკოპოსის მიერ დახასიათებული ხელმწიფის „სახე" კონსტრუირებულია ქართველ მეფეთა შესახებ ჯვაროსანთა შორის გავრცელებული ნახევრად რეალისტური ინფორმაციების მიხედვით. ჯვაროსნულ ფანტაზიაში განდიდებულ ასეთ მეფეებად, ისტორიული თვალსაზრისით, შეიძლება ვიგულისხმოთ ან დავით აღმაშენებელი და დემეტრე პირველი ცალ-ცალკე, ან ორივე მეფე ერთდროულად" [2: 171][1].

ჯვაროსნებს და, მათი სახით, დასავლეთ ევროპელებს, რომ სხვა უფრო სარწმუნო ცნობები ჰქონდათ საქართველოზე, მისი მეფეების საქმიანობაზე და ქართველებთან უშუალო კონტაქტშიც იმყოფებოდნენ, ამაზე სხვა დროს. მანამდე კი უნდა ითქვას შემდეგი: იოანე-დავითის ლეგენდა რომ საყოველთაოდ გავრცელებული იყო და მის შესახებ საქართველოშიც იცოდნენ, ჩანს რუსუდან მეფის მიერ რომის პაპთან გაგზავნილ სიგელში, რომელიც მ. თამარაშვილმა 1223 წლით დაათარიღა. სიგელში მეფე რუსუდანი პაპს განუმარტავს იმის შესახებ, თუ რატომ ვერ შეძლო მისმა ძმამ, გიორგი-ლაშამ ჯვაროსნებისათვის მიცემული პირობის შესრულება სამხედრო დახმარების შესახებ, რომ ამის განხორციელებაში ხელი შეეშალა მის სამეფოში მონღოლების შემოსევის გამო. რუსუდან მეფე წერდა: *„დამიეტში მყოფი შენი ლეგატისაგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ, თუ თქვენც გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერი თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვსი ათასი კაცი ამოგვიწყვიტა. **ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან ისინი ქრისტიანები გვეგონა**"* [8: 176-177; 4: 7-8]. ამირსპასალარიც *შეცბუნებული სწერდა: „ჩვენს ქვეყანას ჯვრის ნიშნებით შენიღბული თათრები შემოესივნენ. გარეგნულად ისინი ქრისტიანულ აღმსარებლებს ჰგავდნენ. ასე მოგვატყუეს და ექვსი ათასამდე კაცი მოგვიკლეს"* [8:178-179; 4: 9].

უაღრესად საინტერესოა ჟამთააღმწერელის გადმოცემა მონღოლების რელიგიური რწმენის შესახებ, რომელიც მხოლოდ ქართველთა დაკვირვების შედეგად არ უნდა შექმნილიყო. დაახლოებით ასე ფიქრობდნენ თურქ-სელჩუკების თავდასხმებით გაწამებული ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ხალხები და აღმოსავლეთიდან წამოსულ ახალ ძალაში თავიანთი მხსნელი ეგულებოდათ. ჟამთააღმწერელის მიხედვით, ქრისტიანობის მიმსგავსებული წესები მონღოლებში ჩინგიზ-ყაენს დაუნერგია: „ამათ აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა უკვდავისა თაყუანისცემა, პირი მზის აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანისცემა, და შუა-თითის წუერის ნებსა ზედა დადება და დატკაცუნება, და მეტი არარაჲ" [9: 158]; „ხოლო აქუნდათ წესად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, რომელსა თენგრი უწოდეს

1 ტ. მაჭარაშვილს შ. ბადრიძის მოსაზრებაზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე პირველის იგივეობა იოანე ხუცესთან საბოლოოდ გადაწყვეტილად მიაჩნია [7: 122-123].

ენითა მათითა. და წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს: „მანგუ თენგრი ქუჩუნ-დურ“, ესე არს: უკუდავისა ღმრთისა ძალითა“ [9: 159].

ჟამთააღმწერელის მიხედვით ხმა ყოფილა გავრცელებული („ითქუა ესეცა“), ვითარმედ ჩინგიზ-ყაენი აღვიდა მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა, და მან ასწავა სამართალი, სჯული, სიწმიდე და სიმართლე, ტყუილისა, პარვისა და ყოლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა: *„თუ მცნებანი ესე დაიმარხნე, ყოველი ქუეყანა შენთ;ს და ნათესავისა შენისათ;ს მიმიცემიეს. წადი და აღიღე ყოველი ქუეყანა, რაოდენ გეძლოს“* [9: 162]. გასაგებია, რომ ჟამთააღმწერელს ჩინგიზ-ყაენი აღქმული ჰყავს, როგორც ბიბლიური მოსე, რომელიც უფლის ნებით ჩინგიზ-ყაენის სახით მოევლინა კაცობრიობას, როგორც ქრისტიანთა გამათავისუფლებელი და ურწმუნოთა დამთრგუნველი. *„ხოლო იქმნა რა ყაენად (ჩინგიზ-ყაენი – ე. მ.) და მივიდა ხატაეთს, და შევიდა ხილვად ეკლესიათა, იხილა მუნ ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, მეყსეულად თაყუანი-სცა და თქუა: „აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე, ამა სახისა იყო. ამან მასწავა ყოველი ესე წესი“. ესე შეიყუარა ჩინგიზ-ყაენმან და მას აკურთხევდის, და ამისი მცნება, რაოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაიცვა“* [9:162].

ამონარიდი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ როგორ მტკიცედ იყო დაკავშირებული XII-XIII საუკუნეებში საქართველო ახლო აღმოსავლეთთან, კერძოდ, სირია-პალესტინასთან. საქართველოში ცნობილი იყო იქაური ფოლკლორი, რომელშიც აირეკლებოდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და სამხედრო ვითარება. სავარაუდოა, რომ ქართველებმაც იცოდნენ თქმულება იოანე-დავით მეფე-ხუცესის შესახებ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები კიდევ ერთხელ აცხადებდნენ მზადყოფნას ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობით თავისი წვლილი შეეტანათ მუსლიმანთა ხელიდან წმინდა ადგილების დახსნაში. მეფე რუსუდანი პაპს აცნობებდა: *„აგრეთვე გაუწყებთ, რომ ხსენებულმა მხედართმთავარმა და ჩვენი სამეფოს ბევრმა წარჩინებულმა მიიღო ჯვარი და თქვენს გამოსვლას ელოდებიან“. ივანე მხარგრძელი: „გვინდა გაცნობოთ, რომ რამდენადაც ჩვენ უკვე მივიღეთ თქვენი ბრძანება, ჩვენ მზად ვართ, მთელი ჩვენი ლაშქრით მოვიდეთ ქრისტიანების დასახმარებლად...“* [4: 8-9] მეფისა და მისი სპასალარის განცხადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ: ***დასავლეთ ევროპაში გავრცელებული წესის მსგავსად საქართველოშიც „ჯვარის მიღება“, ჯვაროსნულ ლაშქრობაში მოხალისედ წასვლას ნიშნავდა. როგორც ჩანს, ეს დასავლეთევროპული წესი და ტრადიცია საქართველოში კარგად იყო ცნობილი და ქართველებს თავი მიაჩნდათ, ზოგადად, დასავლეთევროპული ჯვაროსნული მოძრაობის მონაწილედ.***

XII-XIII საუკუნეთა ახლო აღმოსავლეთის ამბებს და მათში საქართველოს მონაწილეობისათვის მზადყოფნას თუ გადავხედავთ, ზემოაღნიშნულში გადაჭარბებულს ვერაფერს შევამჩნევთ. საქართველოს სწრაფვა, მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ქრისტიანულ სამყაროსთან საერთო იდეოლოგიური საფუძვლების [5: 133] გარდა, განპირობებული იყო პრაქტიკული საარსებო მიზნებითაც. წმინდა მიწის გათავისუფლება ევრო-

პელი ჯვაროსნების მიერ საქართველოს კონკურენტი ქვეყნების – მუსლიმანურის გარდა ქრისტიანული (მართლმადიდებლური) ბიზანტიის დასუსტებაც იყო. ამ უკანასკნელთან ჯვაროსნებს ომების მთელ მანძილზე დაფარული თუ დაუფარავი მტრობა ჰქონდათ.

ქართველების და ევროპელი რაინდების ურთიერთობაზე ჯვაროსნული მოძრაობის პერიოდში ცალკე მონოგრაფიაში ვიტყვი. ამჯერად, მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, რომ ჯვაროსნები საქართველოს და მის მეფეებს კარგად იცნობდნენ ახლო აღმოსავლეთის ჯვაროსანი პოლიტიკური, სამხედრო და საეკლესიო მოღვაწენი (იმავე რეგიონის ქრისტიანული და მუსლიმანური სახელმწიფოების პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ!), მხოლოდ ზოგიერთ მომენტს დავასახელებ: 1. საქართველოს საზღვარს გარეთ მონასტრებში მოღვაწე ქართველი ბერ-მონაზვნების კავშირი ჯვაროსნებთან; 2. დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჯვაროსნებთან; 3. იერუსალიმის უფლის საფლავის ლათინი სამღვდელოების მიერ მამულების ფლობა საქართველოში და რეგულარულად შემოსავლის მიღება; 4. ტამპლიერი რაინდების კავშირი იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერთან; 5. საქართველოს ხელისუფლების კავშირი ჯვაროსნებთან ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინ; 6. გიორგი-ლაშას დიპლომატიური ურთიერთობა ჯვაროსნებთან XIII ს-ის პირველ ოცეულში (თამარ მეფის ნეშტის წმინდა ქალაქში გადასვენებისა და დამიეტისათვის ბრძოლის დროს სამხედრო დახმარებისათვის); 7. ქართული და ლათინური ეკლესიების კავშირი XII-XIII ს-ის პირველი ნახევარში და სხვა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი, 1989.
2. ბადრიძე შ., ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. ნიგნში საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბილისი, 1984.
3. გოგოლაძე ან., იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ, თბილისი, 2005.
4. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, 7.
5. თვარაძე ალ., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული კარტოგრაფიული მასალის მიხედვით, თბილისი.
6. თოიძე ზ., ტამპლიერების ორდენის დამოკიდებულება საქართველოსთან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. „კლიო“, 27, საისტორიო ალმანახი, თბილისი, 2005, 168.
7. მაჭარაშვილი ტ., ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIV საუკუნეებში), თბილისი, 2009, 122-123.
8. ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 176-177;

9. ქართლის ცხოვრება, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
10. Брун Ф., О странствованиях царя-пресвитера Иоанна. Записки императорского Новороссийского университета, т. V (Отдел исследований), Одесса, 1870, 112-159.
11. Гумилев Л. Н., Поиски вымышленного царства (Легенда о государстве пресвитера Иоанна), Москва, 1970.
12. Диль Ш., История Византийской империи, Москва, 1948, 25.История средних веков в ея писателях и изследованиях новейших ученых М. Стасюлевича. III период: от крестових походов до открития Америки: 1096-1492, С._Петербург, 1887, 379-380.
13. История средных веков в ея писателях и изследованиях новейших ученых М. Стасюлевича. III период: от крестових походов до открития Америки: 1096-1492, С.-Петербург, 1887.
14. Хенниг Р., Неведомые земли. Перевод с немецкого Е. К. Краснокутской и А. Д. Райхштейна. Предисловие и редакция А. Б. Дитмара, т. II, Москва, 1961, 442-443.
15. Хенниг Р., Неведомые земли, III. Перевод с немецкого А. В. лисовской, предисловие и редакция И. П. Магидовича. Москва, 1962, 26.
16. Annales Ecclesiastici, auctore Caesaro Baronio Sorano, XIX, Lucca, 1746, 450.
17. Chronika Alberici monachi trium fontium ad annum 1221. Monumenta Germaniae historica, SS XXIII.
18. Sanders Al., Kaukasien, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien, geschichtlicher Umriß, München: Hoheneichen-Verlag, 1942.
19. Scriptores rerum Germanicarum in usum scholarum, rec. Adolf Hofmeister, Hannover_ Leipzig, 1913, 365.

ELDAR MAMISTVALISHVILI

THE PROBLEM CONCERNING PRIEST JOHN IN THE GEORGIAN HISTORIOGRAPHY

Summary

Priest John in the Georgian historiography has been attracting attention of the Georgian and foreign scientists and it has become an object of research for so long. According to the certain part of researchers this legendary hero is associated with some famous historical persons from the Middle East, while another part of researchers associate him with the Georgian kings fighting against the muslims in the first quarter of the XII-XIII centuries.

In my opinion, the issue of the identification of the Georgian kings with Priest John is just ignoring historical facts. In that period, the European crusaders cannot have had such view of the Georgian people as it is described in "documents"

Э. М. МАМИСТВАЛИШВИЛИ

ПРОБЛЕМА ИОАНА ХУЦЕСИ В ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

Резюме

Внимание грузинских и зарубежных исследователей давно обращено к вопросу об Иоане Хуцеси и эта проблема является предметом научных изысканий многих исследователей. Часть учёных видит в этом легендарном герое известную историческую личность Средней Азии, вторая же часть склонна отожествлять его с грузинскими царями, которые боролись против мусульман в конце 12 - первой четверти 13 вв. Отожествление грузинских царей с Иоаном Хуцеси следует считать пренебрежением исторических фактов относящихся к славному имени грузинских крестоносцев.В упомянутом периоде времени европейские крестоносцы, связаные с Сирией и Палестиной, не могли иметь такое представление о грузинах как это представлено в "документах". В них речь идёт об идеализированных героях среднеазиатских стран.

ზურაბ პაპასქირი

განასხვავებდა თუ არა ივანე ჯავახიშვილი ეთნიკურად ე.წ. „ძველ“ და „ახალ“ აფხაზებს

ამ ბოლო დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხი მოიკიდა ცნებამ – „ძველი“ და „ახალი“ აფხაზები,[1] რომლითაც ცდილობენ გამიჯნონ ეთნიკურად გვიან ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფშილ“-„აფხაზები“ თანამედროვე ეთნონიმის „აფსუა“-„აფხაზის“ მატარებელი ხალხისაგან. ამ თვალსაზრისით, ე.წ. „ძველი“ აფხაზები, ანუ ბერძნულ-ბიზანტიური „აბაზგ“-„აფსილები“ და შუა საუკუნეების ქართული წყაროების „აფხაზები“ ეთნიკურად ქართველურ ტომებად, ხოლო თანამედროვე „აფსუა-აფხაზთა“ წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან (XVI-XVII საუკუნეებში) მოსულებადაა გამოცხადებული. თანამედროვე აფსუა-აფხაზთა ეთნიკური ვინაობისა და ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი დამკვიდრების ეს შეხედულება არ ახალია. ის, როგორც ცნობილია, გაჩნდა XX ს-ის 50-იანი წლების I ნახევარში და მისი ავტორია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ძველი ქართული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარი პავლე ინგოროყვა, რომელმაც 1954 წელს გამოსცა გახმაურებული მონოგრაფია გიორგი მერჩულეზე [5:118-189].

თავის დროზე ოფიციალურმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, მაშინდელი მისი ლიდერის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახით, არ გაიზიარა პ. ინგოროყვას ეს შეხედულება და საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა ის [2:125-131]. მოგვიანებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული ისტორიოგრაფიის ერთნიშნა პოზიცია არაერთხელ დაფიქსირდა XX ს-ის 50-80-იან წლებში გამოცემულ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოებსა და სხვა განმაზოგადებელი ხასიათის გამოცემებში, რომელთა შორის საგანგებოდ უნდა გამოვყოთ: „*საქართველოს ისტორიის*“ დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის (მთავარი რედაქტორი აკად. **ნიკო ბერძენიშვილი**); „*აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები*“ (მთ. რედაქტორი **გიორგი ძიძარია**) და, რაც მთავარია, „*საქართველოს ისტორიის ნარკვევების*“ რვატომეული (მთ. რედაქტორი აკად. **გიორგი მელიქიშვილი**), რომლებშიც არ გამხდარა სადავო აბაზგ-აფსილთა აფხაზურ-ადიღური ეთნიკური წარმომავლობა. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი, უკიდურესად გაღიზიანებული სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ თავხედური თავდას-

1 შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე თავგამოდებით ამ ცნებებს ამკვიდრებდა აწგანსვენებული გერონტი გასვიანი [4].

ხმებით საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე (რაც, ბუნებრივია, სავსებით გასაგებია), ყოველნაირად ცდილობს და ერთგვარი აგრესიულობითაც მოითხოვს ქართველი ისტორიკოსებისაგან პ. ინგოროყვას თვალსაზრისის უპირობო აღიარებას.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი კოლეგები არც თუ იშვიათად მიმართავენ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კორიფეების მაღალ ავტორიტეტს და მიაწერენ მათ პ. ინგოროყვას თანამოაზრეობას. საქმე იქამდეც მიდის, რომ თვით სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილიც კი გამოცხადებულნი არიან თანამედროვე „აფსუა-აფხაზთა“ წინაპრების დღეყანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში გამოჩენის თვალსაზრისის მომხრეებად. ანალოგიურ სიტუაციაში მოხვდა დიდი ივანე ჯავახიშვილიც. უფრო მეტიც, ზოგიერთი ჩვენი კოლეგის მტკიცებით, გვიან ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფშილ“-„აფხაზთა“ ქართველური წარმომავლობის თვალსაზრისი სწორედ მისგან იღებს სათავეს, რომელიც შემდეგ თითქოს დაადასტურეს ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა და პ. ინგოროყვამ [7:3].

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სრული გაუგებრობა, რომელიც ეფუძნება სახელოვანი მეცნიერის ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე (1913 წელს) გამოთქმულ ერთ მოსაზრებას, მის მიერვე მოგვიანებით უარყოფილს. მხედველობაში გვაქვს შემდეგი პასაჟი *„ქართველი ერის ისტორიის“* პირველი წიგნის მეორე გამოცემიდან: „...**კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია:** ლაზ-მეგრელებს, **აფშილ-აფხაზებს** და სვანებს“ [14:55]. აი, სწორედ ივ. ჯავახიშვილის ამ შეხედულების სისწორე, როგორც გვარწმუნებს ზურაბ რატიანი, „შემდგომში **გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის** და, განსაკუთრებით, პავლე ინგოროყვას საფუძვლიანი გამოკვლევებით კვლავ და კვლავ დადასტურდა... მაგრამ საბჭოთა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ მიჩქმალა ისტორიული სიმართლე და წამოატივტივა ყოვლად უხამსი სიყალბე, – თითქოს **აფშილ-აფხაზი ქართველი კი არა, აფსუა იყოს, თითქოს აფსუა უხსოვარი დროიდან იყოს აფხაზეთის მკვიდრი და თითქოს აფხაზეთი საქართველოს ნანილი კი არა, უცხო ქვეყანა იყოს**“ [7:3].[1]

იმავე თვალსაზრისს ავითარებდა თეიმურაზ მიბჩუანიც, რომელიც ასევე აფშილ-აფხაზთა ქართველთა სამ შტოსადმი კუთვნილების შესახებ ზემოთმოყვანილ პასაჟზე დაყრდნობით, კატეგორიულად აცხადებდა, რომ „აკად. ივ. ჯავახიშვილი აფშილებს და აფხაზებს ქართველურ ტომად მიიჩნევდა“ და ამას ასაბუთებდა იმით, რომ „დიდი მეცნიერი უსაფუძვლოდ არაფერს ამბობდა. კავკასიის ხალხების ისტორიაშიც მასზე უფრო ღრმად არავინ ერკვეოდა“ [6: 47]. აქვე, თ. მიბჩუანი აღნიშნავს რა პ. ინგოროყვას, ნ. ბერძენიშვილისა და

1 ამავე ნაშრომში ასევე ვკითხულობთ: „როგორც აღვნიშნე, ეს დიდი ხანია გაარკვიეს ივანე ჯავახიშვილმა, **სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა** და პავლე ინგოროყვამ, **ისევე როგორც ის, რომ ძველი, ნამდვილი აფხაზები ქართველები იყვნენ, ხოლო აფსუები გადმოსულები არიან, ივ. ჯავახიშვილის დასკვნა და ს. ჯანაშიას დაკვირვებანი** ზემოთ დავიმოწმე“ [7:41, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**].

ცნობილი აფხაზი მეცნიერის ხუხუტი ბღაჟბას ღვაწლს „აფხაზთა ეთნიკური ვინაობის გარკვევაში“, საგანგებოდ მიუთითებს, რომ **„ყველა მათგანის დასკვნა ემთხვევა აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს აფშილებისა და აფხაზების წარმომავლობის შესახებ**“, რის გამოც „ყველა ეს მეცნიერი აფხაზმა სეპარატისტებმა ანათემას მისცეს“ [6: 47, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**]. პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი და ხ. ბღაჟბა, რომ „აფხაზმა სეპარატისტებმა ანათემას“ გადასცეს (სხვადასხვა „დოზით“), ეს, რასაკვირველია, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ხ. ბღაჟბას მოხსენიება ამ კონტექსტში. გამოდის, რომ ხ. ბღაჟბა პ. ინგოროყვას თანამოაზრე ყოფილა, რაც სრული აბსურდია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა სწორედ ეს მეცნიერი არ გამოვიდა აფშილ-აბაზგთა და აფხაზთა ეთნიკური კუთვნილების პ. ინგოროყვასეული ხედვის მწვავე კრიტიკით [21:279-303]?!

ივანე ჯავახიშვილის წარმოჩენას აფშილ-აბაზგთა და ადრე შუა საუკუნეების აფხაზთა ქართველური წარმომავლობის მომხრედ ცდილობს თანამედროვე აფსუა-აფხაზთა ეთნიკური ვინაობისა და ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი დამკვიდრების პ. ინგოროყვასეული შეხედულების კიდევ ერთი აქტიური დამცველი ჯ. გამახარიაც. მეცნიერის მტკიცებით, ივანე ჯავახიშვილმა, მართალია, რამდენადმე დააზუსტა თავისი შეხედულებები, მაგრამ არასოდეს არ უარყვია მის მიერ 1913 წელს გამოთქმული თვალსაზრისი აფშილ-აბაზგთა ქართული ეთნიკური წარმომაელობის თაობაზე [3:67; 22:97]. ივ. ჯავახიშვილი ე.წ. „ძველ“ აფხაზთა ქართველური ეთნიკური კუთვნილების მომხრედ გამოყვანილია აფხაზეთის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ სხვა არაერთ ნაშრომში.[1]

ჩვენ ამჯერად თავს შევიკავებთ იმის გარკვევისაგან, თუ რა „მიჩქმალა“ და როგორ „ნამოატივტივა“ „საბჭოთა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ... ყოვლად უხამსი სიყალბე, – თითქოს **აფშილ-აფხაზი ქართველი კი არა, აფსუა იყოს...**“ და უშუალოდ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისის განმარტებას შეუდგებით. დავიწყოთ იმით, რომ დიდი მეცნიერის ზემოთმოყვანილი დასკვნა აკადემიკოსებს სიმონ ჯანაშიას და ნიკოლოზ ბერძენიშვილს (ხ. ბღაჟბაზე რომ არაფერი ვთქვათ) არა თუ არ განუვითარებიათ და დაუდასტურებიათ, არამედ ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით ივ. ჯავახიშვილმავე უარყო. ეს მან გააკეთა უკვე „ქართველი ერის ისტორიის“ მომდევნო შევსებულ გამოცემაში [14][2], რომელშიც მას დასჭირდა კომენტარის გაკეთება აკადემიკოს

---

1 ამ მხრივ ბოლოდროინდელი ნაშრომებიდან გამოვყოფდით ს. ალექსაიას სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც, სამწუხაროდ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს [1].

2 საყურადღებოა, რომ ეს გამოცემა, თვით ავტორისავე განმარტებით, მეორისაგან „გეგმითაც და **შინაარსითაც თვალსაჩინოდ განსხვავდება. იგი ძალზე შევსებულია და გადამუშავებული. ამ ნიგნის ორ მესამედზე მეტი სრულებით ახალია** ... გეგმა იმ მხრივ არის შეცვლილი, – აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, – რომ წინა გამოცემის ორივე წიგნის პირველი თავი, რომელშიც საქართველოს საისტორიო გეოგრაფია და **ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები იყო განხილული, გამოცალკევებულია და მთლიან წიგნად არის გამოყოფილი, რომელიც „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალი წიგნი იქმნება** და რომელშიაც საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის გარდა **მცირე აზიისა, კავკასიისა და საქართველოს ძირითადი ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები იქმნება განხილული**. ამ პრობლე-

ნიკო მარის შენიშვნაზე[1]. აი, რას წერს მეცნიერი თავის კომენტარში: „...აკადემიკოსი ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ...[2] აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ. რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს, და დავამატებ ჭანებსაც, მათ მართლა ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ" [14:104, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**].

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი სრულიად გარკვევით წერს, რომ აფხაზები მას „ქართველთა მონათესავე" ხალხად მიაჩნია და არა საკუთრივ ქართველებად. რა არის აქ გაუგებარი? არ გვესმის, რა საჭიროა დიდი მეცნიერის ამ მეტად პრინციპული დაზუსტების იგნორირება[3]. განა ამ დაზუსტების შემდეგ ის ერთადერთი „არგუმენტი", რომლითაც თითქოს მტკიცდება ივ.

მების დიდმა მნიშვნელობამ და სირთულემ, თანაც გამოკვლევათა და თეორიების სიმრავლემ ასეთი გამოყოფა ... აუცილებელი გახადა" (10: 39, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ე.ი. მე-3 გამოცემაში მეცნიერმა შეგნებულად არ შეიტანა „**მცირე აზიისა, კავკასიისა და საქართველოს ძირითადი ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები**", რომლებიც მან მოგვიანებით საგანგებოდ დაამუშავა და შეავსო [11:5-218; 20]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ *„ქართველი ერის ისტორიის"* I ნიგნიდან შეგნებულად ამოღებული ნაწილი *„ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და ბინადრობა"*, *„ქართველი ერის ისტორიის"* I ტომის მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ განხორციელებულ გამოცემებში დამატების სახით შეიტანა აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილმა [16:392-434; 17: 401-441]. ს. ყაუხჩიშვილისაგან განსხვავებით, ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის სარედაქციო კოლეგიამ თავი შეიკავა *„ქართველი ერის ისტორიის"* I ნიგნში ნარკვევის *„ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები. სამშობლო და ბინადრობა"* დაბეჭდვისაგან.

1 ნ. მარი 1915 წელს აფხაზთა რელიგიური რწმენა-ნარმოდგენებისადმი მიძღვნილ ნაშრომში მაღალ შეფასებას აძლევს რა ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებებს ქართულ ნარმართობაზე, საყვედურობს მეცნიერს იმის გამო, რომ მის ნარკვევში «общеяфетическое неволью выдаётся за грузинское, всё время оно называется грузинским, да и сама глава, представляющая собою прекрасный опыт характеристики яфетической религии, имеет надпись «язычество грузин». Естественно потому, что грузинами оказываются не только мингрельцы, сваны и абхазы, но народы Понта и Фригии» [24:121, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)].

2 უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარის ზემოთმოყვანილი დასკვნის ბოლო ფრაგმენტი მთლად ცალსახად აღსაქმელი არ არის. მკითხველი ერთბაშად ვერ გაიგებს, ნ. მარს ეეჭვება მხოლოდ პონტოსა და ფრიგიის მოსახლეობის ქართველობა, თუ ასევე მეგრელების, სვანებისა და აფხაზების. მაგრამ მისი შემდგომი მსჯელობიდან აშკარად ჩანს, რომ მეგრელებს (Мингрелы или эгрцы), სვანებს და აფხაზებს, ჩერქეზებთან, ჩეჩნებთან, ინგუშებთან და ა.შ. ის ქართველებისგან განსხვავებულ „სხვა ხალხებად" („другие народы") მოიაზრებს [24:122]. ასე რომ ივ. ჯავახიშვილმა სწორად გაიგო ნ. მარის შენიშვნა და ამიტომაც მოახდინა მასზე რეაგირება.

3 სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს არ ეხება ჯ. გამახარიას, რომელიც, მართალია, ამახვილებს ყურადღებას ივ. ჯავახიშვილის ამ დაზუსტებაზე, თუმცა იქვე აკეთებს მეტად უცნაურ დასკვნას: „Впоследствии И. Джавахишвили несколько уточнил свои взгляды, но **он никогда не отказывался от приведенного важного научного заключения**". ჯ. გამახარია რატომღაც თვლის, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს დაზუსტება არ უნდა ეხებოდეს ე.წ „ძველ" აფხაზებს: „**Автор, как видно, сознательно не конкретизирует о ком идет речь – о нынешних абхазах, которых грузинами никто не считает, или исторических апсил-абазгах**" [22:97, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.** იხ. აგრეთვე: 3:67). ისმის კითხვა, თუ ივ. ჯავახიშვილი „შეგნებულად არ აკონკრეტებდა", რომელ აფხაზებს („ძველს" თუ „ახალს") გულისხმობდა ის, მაშინ, საერთოდ, რა აზრი ჰქონდა ამ დაზუსტებას?! ნ. მარმა ხომ სრულიად გარკვევით გააკეთა შენიშვნა სწორედ იმ პასაჟზე, სადაც მაინც და მაინც აფშილ-აბაზგებზეა საუბარი და არა ზოგადად აფხაზებზე?

ჯავახიშვილის აფშილ-აბაზგთა ქართული ეთნიკური წარმომავლობის მომხრეობა, „ძალადაკარგულად“ არ უნდა ჩაითვალოს?!

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იქნებ დიდი მეცნიერის მრავალფეროვან ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაში არის სხვა რაიმე ხელმოსაკიდი მასალა, რომელიც გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ის აფშილ-აბაზგებში ქართველურ ტომებს მოიაზრებდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი სახის მასალა ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში არ მოგვეპოვება. პირიქით, მეცნიერის რიგ ნაშრომებში (განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ-ეთნოლოგიურ და ენათმეცნიერულ ძიებებში) გვხვდება უამრავი კომენტარი-დასკვნა, რომელიც ერთნიშნად ადასტურებს, რომ მეცნიერი (პ. ინგოროყვასა და მისი მიმდევრების თვალსაზრისის საპირისპიროდ) სულაც არ ანსხვავებდა ე.წ „ძველ“ და „ახალ“ აფხაზებს. მას ოდნავადაც არ ეეჭვებოდა „აფსუა“-„აფსარ“-„აფსილისა“ და „აფხაზის“ იდენტურობა და გვიან ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ხანის აბაზგებისა და აფსილ-აფშილების, აგრეთვე ქართული „აფხაზების“ ქვეშ ერთნიშნად თანამედროვე აფხაზ-აფსუათა წინაპრებს გულისხმობდა.

ამ მხრივ, რაოდენ არ უნდა გაგვიკვირდეს, პირველ რიგში, *„ქართველი ერის ისტორიის“* იმავე მეორე (1913 წ.) გამოცემა უნდა დავასახელოთ. ივ. ჯავახიშვილი სწორედ იმავე თავში (*„ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და ბინადრობა“*), რომელშიც საუბრობს ლაზ-მეგრელების, **აფშილ-აფხაზებისა** და სვანების ქართველურობაზე, სრულიად გარკვევით მიანიშნებს, რომ **აფშილ-აფხაზები** თანამედროვე აფსუა-აფხაზების ენაზე მეტყველებდნენ. „საფიქრებელია, – წერს მეცნიერი, – რომ პირველად კავკასიაში ის **ქართველი ტომები** უნდა მოსულიყვნენ, რომელნიც ისტორიულად კარგად ცნობილ დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით ბინადრობენ. მაშასადამე, ჯერ **აფხაზები-აფშილები**, სვანები, თუშები და სხვა მთიულები, შემდეგ კი კოლხები და კასხები. ამის მიხედვით, რასაკვირველია, **აფხაზთა, აფშილთა** და დანარჩენ ზემოაღნიშნულ ტომთა **მოსახლეობა თავდაპირველად კავკასიაშიც ახლანდელზე სამხრეთით იქნებოდა**, როცა სხვა ქართული ტომები მეგრელლაზები და ქართები მტრებისაგან დევნილნი, მიაწვებოდნენ სამხრეთისაკენ, მაშინ ისინიც იძულებულნი იქნებოდნენ ჩრდილოეთისაკენ დაეხიათ. **საქართველოს საგეოგრაფიო სახელებში აფხაზების და სხვათა წინანდელი ვრცელი მოსახლეობის კვალი**, რასაკვირველია, **უნდა შენახულიყო** და ვინც ამ საგანს გულდასმით შეისწავლის, ის უეჭველია, საყურადღებო მასალას შეაგროვებს. ჯერჯერობით შეიძლება ორიოდე მაგალითი იყოს დასახელებული. **გურიაში არსებობს სოფელი „დვაბზუ“, რომლის სახელი ნაწარმოებია იმგვარადვე, როგორც ტუაფსე** (დო-აბზუ – ტუ-აფსე). ორსავე შემთხვევაში „დო“ და „ტუ“ მეგრული თავსართია ადგილის აღმნიშვნელი, **ხოლო „აბზუ“ და „აფსე“ უდრის აფსუას, ესე იგი აფხაზს.** მაშასადამე, **ორივე სიტყვა აფხაზთა მოსახლეობას და სოფელს ნიშნავს და ეს გვიჩვენებს, რომ ერთ დროს ახლანდელი გურიის მიწა-წყალი აფხაზებს ეჭირათ.** ამას გარდა, პროკოპი კესარიელის სიტყვით, ჭანეთში შავი ზღვის ნაპირას იყო დაბა „აფსჯრტ-ოს“. თუ ამ სიტყვას ჩვეულ-

ებრივ ბერძნულ ნაკვეცს „ოს“ მოვაშორებთ, დაგვრჩება „აფსჳრტ“, რომელიც უდრის „აფს-ჳრტა“-ს, **ხოლო „აფსჳრ-ტა“ ნიშნავს** აფხაზთა ადგილს. მაშასადამე **ეს საგეოგრაფიო სახელიც აფხაზთა წინანდელი ბინადრობის შერჩენილ კვალად უნდა ჩაითვალოს“** [14:66-67].

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი თავისი ნაშრომის ამ მონაკვეთშიც იმ **ქართველურ ტომებს შორის**, რომლებიც კავკასიაში „ისტორიულად კარგად ცნობილ დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით“ ბინადრობდნენ, **აფხაზებსა და აფშილებსაც მოიხსენიებს**, მაგრამ არც ერთი იმ ისტორიკოსთაგანი, რომელიც ცდილობს, რომ ივ. ჯავახიშვილი ე.წ. „ძველი“ აფხაზების (აფხაზ-აფშილების) ქართველურობის თვალსაზრისის მომხრედ წარმოაჩინოს, რატომღაც არ უთითებს ამ მეორე „არგუმენტს“. და ეს არაა შემთხვევითი, ვინაიდან მეცნიერის შემდგომი მსჯელობა, კერძოდ კი, ტოპონიმების – „დვაბზუ“-„ტუაფსე“-სა და პროკოპი კესარიელისეული „აფსჳრტოს“ – თანამედროვე აფსუა-აფხაზთა ენაზე ახსნა, მთლიანად აქარწყლებს მის მიერვე ოდნავ ზემოთ აფხაზ-აფშილების ქართველურ ტომებად გამოცხადებას, ანუ ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა ამ ნაწილში აშკარად წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, მას ძველი დროის აფხაზ-აფშილები ქართველური მოდგმის ხალხად მიაჩნია, თუმცა მათ სამეტყველო ენად მიიჩნევს ამჟამინდელ აფსუა-აფხაზურს, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ „ქართულის **მონათესავე ენაა**“, განსხვავებით „ქართ-მეგრულ-ჭანურისაგან. ეს ენები ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „უფრო ახლოს სდგანან ერთიერთმანერთზე, **აფხაზური კი უფრო განმარტოებულად სდგას**“ [14:13]. ერთი სიტყვით, სრულიად ნათელია, რომ 1913 წელს და უფრო მოგვიანებითაც,[1] ივ. ჯავახიშვილს მთლად მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონდა აფხაზ-აფშილების ეთნიკურ კუთვნილებაზე. 1928 წლისთვის კი მან, როგორც ჩანს, დააზუსტა თავისი შეხედულებები და ამ დროიდან არც ერთ მის გამოქვეყნებულ ნაშრომში არაა ხსენება აფხაზ-აფშილების ქართველურობაზე.

ივ. ჯავახიშვილისთვის ე.წ. „ძველი“ აფხაზები რომ თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრები იყვნენ, პირდაპირ თუ ირიბად დასტურდება მეცნიერის სხვა პუბლიკაციებშიც. ასე მაგალითად, ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ნაშრომში, მოგვითხრობს რა ანდრიას ქადაგებაზე საკებთან და სოგდიანაში „საცა არის ზღუდე აფსარი“, ავტორი იძლევა ასეთ განმარტებას: **„აფსარი – აფხაზების სახელი** ციხედ გაუხდიათ“ [9:50, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**]. ე.ი. ივ. ჯავახიშვილისთვის „აფსარი“ იგივე „აფხაზია“. ასევე ერთია მეცნიერისთვის „აფსუა“ და „აფსილი“. ამას ადასტურებს მისი მსჯელობა აფსილების აჯანყებაზე ეგრისში „დიდი ომიანობის“ პერიოდში. „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის 1908 წლის გამოცემაში ეს ეპიზოდი დასათაურებულია შემდეგნაირად: „აფსუების აჯანყება“. მასში პროკოპი კესარიელის თხზულებაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ იმ პერიოდში (მე-VI ს-ის შუა ხანები) აფსუას ტომი, „აფხაზებსა და ლაზებს შორის ბინადრობდა და იმთავითვე ლაზებს

1 ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ ზემოთმოყვანილი პასაჟი მეცნიერს თითქმის უცვლელად აქვს შეტანილი 1917 წელს გამოცემულ განმაზოგადებელ ნაშრომში [19:45-46].

ემორჩილებოდა... ბიზანტიელი ჯარი შევიდა **აფსუების ქვეყანაში (აფსილია)** და მშვიდობიანი მოლაპარაკებით იგი ისევ გუბაზს დაუმორჩილა" [13:160, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**]. სხვა (ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის) გამოკვლევაში ივ. ჯავახიშვილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს აფშილები (იგივე აფსუა-აფსილები) „ამიერკავკასიაში საისტორიო ასპარეზზე ქ. შ. პირველ საუკუნეში ჩნდებიან" [11:122].

„აფსუა"-„აფსარ"-„აფსილისა" და „აფხაზის ეთნიკური კუთვნილების თაობაზე საინტერესო მასალას ვხვდებით ნაშრომში *„საქართველოს საზღვრები"*. ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა აფხაზეთთან დაკავშირებით. „სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სამზღვარზე, – წერს მეცნიერი, – **აბხაზეთი იყო და ეხლაც** იგივე კუთხე ჰსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკას. **ისტორიულის ცნობების მიხედვით მე-XI-ე საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა**... მოსამზღვრე ხაზად **მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა...** ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო სამზღვარი წაწეული, რომ **მაშინ ჯიქეთი** და ალანთა ქვეყანაც **აბხაზეთს ეკუთვნოდა**. თუ **ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო და მათი აბხაზეთთან ერთობა სრულებით ბუნებრივად უნდა მიჩნეული იქმნას..."** [12:460, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**].

იქვე მეცნიერი აფხაზურ-ადიღურ ეთნო-ტომობრივ სამყაროს უკავშირებს ტოპონიმ ტუაფსეს, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მას „დოაბზე"-„დოაბზუ"-ს ვარიანტად მიაჩნია: „მაინცადამაინც ცხადია, რომ **დოაბზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საგეოგრაფიო სახელი სწორედ ამასა ნიშნავს"** [12:460, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**]. აფხაზ-ადიღთა ნაკვალევს ხედავდა ივ. ჯავახიშვილი აგრეთვე ჰიდრონიმ „სუფსა"-შიც. მეცნიერის დაკვირვებით, ეს **ჰიდრონიმი ადიღური წარმოშობისაა და უნდა მიანიშნებდეს „აბხაზეთსა და სამეგრელოზე უფრო სამხრეთით მდებარე მინაწყლის ძველის-ძველი მოსახლეობის" ტომობრივ ვინაობაზე**. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ამ მდინარის მარტო ბოლოკიდური წყლის აღმნიშვნელი **ფსა**-კი **არ ამჟღავნებს მის ადიღეურობას**, არამედ თვით ამ სახელის პირველი **სუფ** ნაწილიც: ყუბანის ერთ შემდინარეთაგანს, რომელიც კავკასიის უღელტეხილის ჩრდილო ფერდობისაგან გამოდის და შაფსუგების მიწაწყალს აბაძეხების თემისაგან საზღვრავს, სწორედ **სუფ** ეწოდება" [11:51, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**]. იგივე დასკვნაა განვითარებული ამავე პრობლემაზე ივ. ჯავახიშვილის მიერ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და ისტორიის განყოფილების სხდომაზე 1939 წელს წაკითხულ მოხსენებაშიც [23:235].

და ბოლოს, ივანე ჯავახიშვილს რომ ოდნავადაც არ აეჭვებდა აფშილ-აბაზგთა აფხაზურ-აფსუური ეთნიკური წარმომავლობა, მკაფიოდ ვლინდება მის კომენტარში **მე-VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ერთ ცნობაზე**. ნარკვევში *„ქართველების წარმართობა"*, რომელიც შესულია *ქართველი ერის ისტორიის* I ტომში, **იხილავს რა „ხეთა** მსახურების" არსებობის საკითხს ძველ საქართველოში, მეცნიერს ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს

პროკოპი კესარიელის ცნობა იმის შესახებ, რომ „აფშილები და აფხაზები „ჩვენ დრომდის (იგულისხმება პროკოპი კესარიელის ეპოქა – VI ს. – **ზ.პ.**) თაყვანსა სცემენ ტყეებსა და ხეებსა, იმიტომ რომ მათ ხეები გულუბრყვილოდ ღვთაებად მიაჩნიათ“. ამ ცნობაში ასახული ფაქტის რეალურობის პირდაპირ დადასტურებად ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია ის გარემოება, რომ უკვე თანამედროვე **„აფხაზებს, ეს რწმენა ბოლო დრომდის მტკიცედა ჰქონდათ დაცული და დიდი მონიწებით სცემდნენ თაყვანს ხეებსა და მუხებსა... ისინი ეხლაც მონიწებით უფრთხილდებიან საღმრთოდ განკუთვნილ „ხატის“ ტყეებს და ღვთაებასავით შეჰლაღადებენ მუხის ხეს. ამასთანავე მათ ეხლაც მტკიცედა სწამთ ტყეების ღმერთი, რომელსაც ისინი უწოდებენ „მიზიტხუ“-ს.** ყოველ გაზაფხულზე **მთიელი აფხაზები დიდი ამბით პირველ ყვავილობას... დღესასწაულობდნენ ხოლმე. სახლები მწვანე ბალახითა** და ყვავილებით ჰქონდათ მორთული. წინა ღამეს ახალგაზრდა ქალები მოხუცებულ დედაკაცთა მეთაურობით სიმღერითა და თოფის სროლით მიდიოდნენ ტყეში ხუთყურა ყვავილის საპოვნელად, ყმაწვილი ბიჭები კი ხაზინის საძებნელად მიდიოდნენ. მზე ამოანათებდა თუ არა, ყველანი სიმღერითა, დიდებითა და საგანგებო წესით ყვავილებით მორთულ სოფელში ბრუნდებოდნენ. წინ მოუძღოდათ მოხუცი, თავზე მუხის ფოთლების გვირგვინით შემკული, რომელიც საზვარაკო ირემზე იჯდა, უკან ქალები და კაცები მოსდევდნენ. ყოველ ქალს თან ყვავილი, ან ხის ტოტი უნდა მიეტანა და იმ სამსხვერპლოს ფეხთით დაედო, რომელზედაც **„მიზიტხუ“ ღმერთისათვის ზვარაკი უნდა შეეწირათ.** შესანირავს მოჰყვებოდა ხოლმე ჯირითობა და ყაბახი და, ვინც გაიმარჯვებდა, იმას სამსხვერპლოსთან მდებარე ყვავილი ერგებოდა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე, – განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, – **აფხაზური დღესასწაული „ამშაპ“, რომელიც აპრილის დამდეგს იცოდნენ.** 16 დღის განმავლობაში დღესასწაულის წინათ ხალხი მარხულობდა და ღვინოსაც კი აღარ იკარებდა, თანაც ცდილობდა ზნეობრივადაც განსპეტაკებულიყო. სამი დღით წინ ცოდვათა მონანიება იწყებოდა. წინა ღამეს მთელი სოფელი ღამიანად აიშლებოდა მამასახლისის მეთაურობით და ტყისაკენ მიეშურებოდა იქითკენ, სადაც ყველასაგან სათაყვანებელი საღმრთო მუხა იდგა. ლოცვის წარმოთქმის შემდგომ მამასახლისი ნაბადს წამოიხურავდა ისე, რომ არავინ დაენახა, ხოლო – ხალხი, ჯერ ქალები, მერმე ვაჟები, რიგრიგობით მიდიოდა მუხასთან, აკოცებდა ხანჯალს და დაასობდა მუხას. მერმე ლოცულობდა და ემთხვეოდა მუხას, შემდეგ კი მამასახლისს მიუბრუნდებოდა და აღსარებას ამბობდა ხოლმე. როცა ხალხი აღსარებას გაათავებდა, სოფელში ბრუნდებოდა და მამასახლისი თითოეულს პატარა ნაჭერ წმიდა სანთელს აძლევდა...“ [18:133-134, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**].

ჩვენ ამჯერად ნაკლებად გვაინტერესებს საკუთრივ პროკოპი კესარიელის ზემოთ მოყვანილი ცნობისა და მის ირგვლივ ივ. ჯავახიშვილის მსჯელობის ეთნოგრაფიული ასპექტები, რომელიც თავისთავად უდავოდ საინტერესოა და ძველ დროში ქართველთა და აფხაზთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ახლობლობაზე მიუთითებს. **ჩვენთვის მთავარია, რომ დიდმა მეცნიერმა**

პროკოპი კესარიელის ხანის აფსილ-აბაზგები მიიჩნია თანამედროვე აფხაზთა წინაპრად – ეს სრულიად აშკარაა.

ივანე ჯავახიშვილის შრომებიდან კიდევ შეიძლება არა ერთი მასალის მოტანა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ავტორის დამოკიდებულებაზე განსახილველი თემის მიმართ და ერთნიშნად ადასტურებს, რომ სახელოვანი მეცნიერისთვის არავითარი „ძველი" და „ახალი" აფხაზების პრობლემა არ არსებულა, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლოთ.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ს. ალექსაია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ბათუმი, 2013, – http://www.bsu.edu.ge/humanities/upload/sadoqtoro_sulxan_aleqsaia_2013.pdf
2. ნ. ბერძენიშვილი, პავლე ინგოროყვას წიგნის – „გიორგი მერჩულეს" გამო. – მნათობი, 1956, №12.
3. ჯ. გამახარია, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I საუკუნიდან მე-VIII საუკუნის შუა ხანებამდე. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. თბ., 2007.
4. გ. გასვიანი, აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998.
5. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954.
6. თ. მიბჩუანი, ვინ არიან აფხაზები? – ჯვარი ვაზისა, №1, 1995.
7. ზ. რატიანი, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო. თბ., 1995.
8. გ. როგავა. აფხაზთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. – წგნ. გ. როგავა, აფხაზეთის ისტორიის საკითხები. თბ., 2009.
9. ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბ., 1998.
10. ივ. ჯავახიშვილი, მესამე გამოცემის წინასიტყვაობა. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. თბ., 1979.
11. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბ., 1998.
12. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 12. თბ., 1998.
13. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I. ტფ., 1908.
14. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1-2. ტფ., 1913.
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I. ტფ., 1928.
16. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. I. თბ., 1951;
17. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. I. თბ., 1960;
18. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. თბ., 1979.

19. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მოკლე ისტორია. ნ. I. უძველესი დროიდან I ს-მდე ქ.შ. ქუთაისი, 1917,
20. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. X. თბ., 1992.
21. Х. С. Бгажба. Некоторые вопросы этнонимики и топонимики Абхазии (В связи с работой Павле Ингороква "Георгий Мерчуле"). – აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXVII, 1956.
22. Дж. Гамахария. Территория нынешней Абхазии с I века н.э. до середины VIII в. _ Очерки из истории Грузии. Абхазия. С древнейших времен до наших дней. Тбилиси 2009.
23. И. А. Джавахишвили. Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи. _ თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 12. თბ., 1998.
24. Н. Я. Марр. О религиозных верованиях абхазов. – Христианский восток. Т. IV, в. I, 1915.

ZURAB PAPASKIRI

DID IVANE JAVAKHISHVILI SEE ANY ETHNIC DISTINCTIONS BETWEEN THE SO-CALLED "OLD" AND "NEW" ABKHAZS

Summary

Beginning from the 1990's some Georgian historians, who were irritated by the attacks of the separatists on Georgia and her history, are making attempts to revive P. Ingorokva's concept. According it the so-called "old" Abkhazs ("Apsilae" and "Abazgoi" of the Ancient and Byzantine written sources and "Abkhazs" of the early Medieval Georgian sources) are considered as the "Kartvelian" tribes, while the present-day ("new") Apsua-Abkhazs are declared as the late comers (from the 16th-17th cc.) to the territory of the present-day Abkhazia. In order to justify their state-ments, the followers of P. Ingorokva often turn to the coryphaei of Georgian historical science and ascribe to them opinions similar to the ones of P. Ingorokva regarding the ethnic belongingness of the ancient "Apsilae" and "Abazgoi." Along with the academicians S. Janashia and N. Berdzenishvili, they attributed such statements to Ivane Javakhishvili, the founder of the modern Georgian historiography.

The article gives specific comments of I. Javakhishvili regarding the ethnic belongingness of "Apsilae" and "Abazgoi." They clearly show that he never made any ethnic distinctions between the so-called "old" Abkhazs (i.e. "Apsilae" and "Abazgoi" and the Abkhazs of the early Medieval Georgian sources) and the present-day ("new") Apsua-Abkhazs.

З. В. ПАПАСКИРИ

НАХОДИЛ ЛИ ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ ЭТНИЧЕСКОЕ РАЗЛИЧИЕ МЕЖДУ Т.Н. «ДРЕВНИМИ» И «НОВЫМИ» АБХАЗАМИ

Резюме

В последнее время (примерно с начала 90-х годов прошлого столетия) некоторые грузинские историки, раздраженные нападками сепаратистов на Грузию и её историю, всемерно пытаются реанимировать концепцию П. И. Ингороква, согласно которой, как известно, т.н. «древние» абхазы («апсилы» и «абазги» античных и византийских письменных источников, а также «абхазы» грузинских источников раннего средневековья) объявлены картвельскими племенами, собственно же нынешние («новые») апсуа-абхазы лишь поздними (с XVI-XVII вв.) пришельцами на территорию современной Абхазии. Для достижения этой цели теперешние последователи П. И. Ингороква нередко обращаются к корифеям грузинской исторической науки и совершенно необоснованно пытаются приписать им аналогичное с П. И. Ингороква суждения об этнической принадлежности древних «апсилов» и «абазгов». Наряду с академиками С. Н. Джанашия и Н. А. Бердзенишвили, этой участи не избежал и основоположник современной грузинской историографии акад. Иванэ Джавахишвили.

В статье приведены конкретные высказывания И. А. Джавахишвили относительно этнической принадлежности «апсилов» и «абазгов», которые однозначно свидетельствуют о том, что учёный никогда не отличал этнически т.н. «древних» абхазов (т.е. «апсилов» и «абазгов» и «абхазов» грузинских источников раннего средневековья) от нынешних («новых») апсуа-абхазов.

ზურაბ ხონელიძე

სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე
(რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი)

„ვინცა დაჰყოს იგი არს სატანა, ვინცა გააერთიანოს იგი არს ღმერთი"
(*წმინდა მამათა სწავლებიდან*)

საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გლობალურ სამყაროში ქვეყნის როლის ახლებური გააზრება და მისთვის დამატებითი – საერთაშორისო ფუნქციის შეძენის (ნაწილობრივ, აღდგენის) აუცილებლობა.

მიზნის მიღწევის, არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების, ამოცანებისა და საშუალებების განსაზღვრისათვის ვიხელმძღვანელეთ შემდეგი რეალობით – ქართული სახელმწიფოსადმი ინტერესი განპირობებულია უპირველესად გეოპოლიტიკით. ეს არის მოცემულობა, რომელიც არა მხოლოდ გავლენას ახდენს, არამედ განსაზღვრავს მის ბედსა და დანიშნულებას საერთაშორისო პოლიტიკაში. მიზეზები:

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ: 1. ქვეყანას ვერ მოუპოვა თავისი ბუნებრივ-ისტორიული ფუნქციის შესაფერისი ადგილი და ვერც დროის მოთხოვნის ადექვატური ნაბიჯი გადადგა; 2. ვერ შეძლო საქართველოს მომავალ ბედში ტრადიციულად ჩართული გარე ფაქტორების, თანდაყოლილი კონფრონტაციული ძალების იდენთიფიცირება, თანამედროვე ეტაპზე ორი ძირითადი გეოპოლიტიკური ცენტრის – აშშ-სა და რუსეთის როლისა და მათი ინტერესების გათვალისწინება, ერთის მეორეთი ჩანაცვლების მცდელობის საფრთხე; 3. ვერ გაითავისა, რომ საქართველოს ტერიტორია აშშ-სა და რუსეთის წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, არასაკმარისი სივრცეა ინტერესთა თანხვედრისათვის, მით უფრო, მათი ქართულ სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

- საქართველო, რთული სამეზობლოთი, არ არის ავტონომიური, ჩაკეტილი სისტემა. იგი რელიგიურად, ისტორიულად და გეოგრაფიულად იმ გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესთა გადაკვეთის ეპიცენტრშია, რომელსაც არა მხოლოდ ქართული, არამედ, სამხრეთ კავკასიური, ერთიანი კავკასიური სოციო-კულტურული და პოლიტიკური სივრცე ჰქვია. რეგიონი, ჯერ კიდევ „დიდი აბრეშუმის გზის" ისტორიული ეპოქიდან, საკვანძო-სტრატეგიული მდებარეობით. XXI საუკუნის

ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული – ამერიკის, რუსეთის, ევროპის, თურქეთის, ირანის, აზიისა და სხვა საერთაშორისო ძალთა ინტერეს-ჯგუფებს შორის დაპირისპირების ადგილია.

• საერთაშორისო თანამეგობრობამ – საქართველოს წარსულ ხელისუფალთა არაეფექტური და არათანმიმდევრული საქმიანობის, უპირველესად, საკუთარ ინტერესს მორგებული სახელმწიფო პოლიტიკის, რუსეთის ენერგოიმპერიასთან კონფრონტაციის რეჟიმში ყოფნის, საერთაშორისო სისტემაში რუსეთის ფაქტორისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებით მეტი დაინტერესების შედეგად, ბოლომდე ვერ/არ გააცნობიერა საბჭოთა იმპერიის მიერ ჩვენს ქვეყანაში სუვერენულობის წინააღმდეგ ჩადებული ნაღმების, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პროვოცირების და მისი გლობალურ პრობლემად ქცევის რეალური მიზეზები. იგი, უფუნქციოდ დარჩენილი ქართული სახელმწიფოსადმი არასაკმარისი მოტივაციისა და შიდა პრობლემის ფორმალური ინტერნაციონალიზაციის გამო დღემდე მოუმზადებელია არა თუ მათი მოგვარების, არამედ ცივი ომის შემდგომი რეალობის, ქართულ-რუსული, ერთმანეთზე დამოკიდებული საერთო რეგიონული, საერთაშორისო პოლიტიკაში ფუნქციადაკარგული საქართველოს, კავკასიისა და მთლიანად ევროპის შემდგომი ბედის პერსპექტივის გააზრების თვალსაზრისითაც.

არჩევანამდე – რა გზას დავადგეთ, აუცილებელია განვსაზღვროთ ქართული მისია, ახალი მიზანი, დავასაბუთოთ მისი საჭიროება, სარგებლიანობა და სისტემური მიდგომით ჩამოვაყალიბოთ მიზნის მიღწევის – მსოფლმხედველობისა და გარემო პირობების შესაბამისი, თანმიმდევრული მოქმედების ისეთი ერთიანი გეგმა (პროგრამა), რომელიც დაეფუძნება და მოემსახურება: საქართველოს, ამ გლობალური ფუნქციის მატარებელი, ქრისტიანული (მართლმადიდებელი) ქვეყნის სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და მისი ბედის გამზიარებლის (თანაზიარის), ერთი ფუძიდან წამოსული ერთიანი ერის – ქართველის ყველა პრობლემის სათავის – ისტორიული ფუნქციის აღდგენას; ერთიანი ქართული იდეისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირებას, მის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას.

მიდგომა, ქვეყნის დამატებითი და რეგიონის გამაერთიანებელი ფუნქციის შეძენა (სახელმწიფო პოლიტიკის რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში გადატანა), ერის სუვერენული თვითდაცვის ის ალტერნატიული, ეფექტური იარაღი – ქართული მისიაა, რომელიც პრობლემურიდან პროგრესულ ქვეყნად გარდაქმნასთან ერთად, საქართველოსათვის უმთავრესი – საერთაშორისო ფუნქციის მინიჭებას განაპირობებს.

რეგიონულ სივრცეში უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ სამხრეთი – კავკასია, სადაც მაორგანიზებელი ცენტრის პრიორიტეტული მნიშვნელობა ოდითგანვე საქართველოს ენიჭება. რაც შეეხება კავკასიას – მსოფლიო ხალხთა ცივილიზაციის აკვანს და მის კუთვნილებას. მართალია, იგი, ერთიანი რეგიონია და საქართველოც იმ ისტორიის ნაწილია, რომელსაც კავკასიური ერთობა ჰქვია. მაგრამ ამასთან, ფაქტია, რომ IV საუკუნიდან დღემდე, მისი დამადასტურებელი კოდის მიუხედავად ამ ერთიანობის იდეის რეალიზაცია ვერ

მოხერხდა. ამდენად, ძველი იდეისადმი „ჩაბღაუჭების" ნაცვლად უმჯობესია, მით უფრო დღეს კავკასია კავკასიელ ხალხთა მხოლოდ კულტურულ-ცივილიზაციურ ერთობად განვიხილოთ, ხოლო სამხრეთ კავკასია, სუვერენული სახელმწიფოებისაგან შემდგარ იმ ერთიან რეგიონულ სივრცედ, რომელიც ერთად წარსდგება მსოფლიოს ძირითადი გეოპოლიტიკური ცენტრების – აშშ-ს, რესეთის ფედერაციისა და ევროკავშირის წინაშე. **ფაქტია, პოლიტიკური რეალიზმიდან გამომდინარე, პერსპექტივის გათვალისწინებით, აღნიშნული სირვცისა და მისდამი დამოკიდებულებაში ბევრად მეტი რეალობაა, ხოლო მომავალში – მიმზიდველობა.**

სამხრეთ კავკასიის ერთიან სივრცედ ჩამოყალიბების აუცილებლობას, ახალ რეალობაში, განაპირობებს: ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე მდებარე და მისი დამაკავშირებელი ქვეყნების: საქართველო – აზერბაიჯან – სომხეთის ერთიანი გეოსტრატეგიული მდებარეობა; დადგენილი პოლიტიკური საზღვრები (იგი – მხარე, ურთულესი რისკის რეგიონი, თავისი მეზობლების: რუსეთის ფედერაციის, თურქეთისა და ირანისაგან განცალკევდა); გეოგრაფიული ტერმინი (შეესაბამება რუსულ „ზა კავკაზიეს" და გულისხმობს რუსეთისათვის კავკასიონის გადაღმა – „ი ზა კავკაზომ", საქართველოსათვის კი კავკასიონის გადმოღმა – ამიერკავკასიის ტერიტორიას); ბუნების კანონზომიერება (კავკასიონის ქედმა კავკასია ორ ორგანულ – ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად დაჰყო); პოლიტიკური ცენტრის მიმართ მდებარეობა (გეოპოლიტიკური ცენტრი – რუსეთის სამხრეთის სასაზღვრო ზოლი ჩრდილოეთ კავკასიის მიღმა, სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში აღმოჩნდა); საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით ევროპის დამოკიდებულება საქართველოსადმი (რომელიც მას ისლამური სამყაროსაგან ბუფერის როლსაც უსრულებდა) და პოლიტიკურად მოტივირებული ორიენტაცია სამხრეთ კავკასიაზე, როგორც ერთიან ორგანიზმზე (საერთო განწყობა); კულტურული გარემო (განსხვავებული ჩრდილოური სლავურის, სამხრეთული თურქულისა და ირანისაგან), მსგავსი პოლიტიკური სუბ-კულტურები; აშშ-სა და რუსეთის, ასევე ევროპის, თურქეთის, ირანის მზარდი საგარეო მისწრაფებები და მისით გაჯერებული სამოქმედო გეგმა-პროექტები; საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთის საუკუნეობრივი, ურთიერთგადაჯაჭვული ბედ-იღბალი და თითოეული მათგანის რთული ურთიერთობა რეგიონში მასთან მოსაზღვრე ერთ-ერთ ძლიერ მეზობელთან მაინც: საქართველოს-რუსეთთან, აზერბაიჯანის – ირანთან (რუსეთთან), სომხეთის – თურქეთთან; საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთის საერთო ტერიტორიების იმგვარად გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს, მოსალოდნელი დამატებითი სიკეთით, საერთო სარგებლობას./

სამხრეთ კავკასიის მომავალი (წინააღმდეგობის გაწევის იმუნიტეტის გარეშე, დღემდე ბუნდოვანი), რეგიონის ქვეყნებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად აშშ-სა და რუსეთის, ასევე ევროკავშირის, თურქეთის, ირანის ცალცალკე და საერთო ინტერესებზეა დამოკიდებული. მისი – სივრცის, ერთიანობაში ფლობის, სარგებლის მიღების მიზნებიდან გამომდინარე მოითხოვს აღნიშნული „ძირითადი მოთამაშეების" ინტერესების, ზოგადი ტენდენციების

დონეზე მაინც, განხილვას. ასე მაგალითად: რუსეთი, თავისი სტრატეგიული გავლენის აღდგენას სამხედრო-პოლიტიკური გეოგრაფიის კონტექსტში, ბუნებრივ და კანონზომიერ მოვლენად აღიქვამს. „კარგად" უხამებს ერთმანეთს უსაფრთხოების პოლიტიკას ენერგეტიკულ ინტერესებს, ცდილობს განიმტკიცოს პოზიციები კავკასიასა და შუა აზიაში, დაეუფლოს, ირანთან და სომხეთთან ტანდემში, ენერგორესურსებს, მიაღწიოს აღმოსავლეთ – დასავლეთის სატრანზიტო დერეფნის გაკონტროლებას, ისლამური სამყაროსაგან დაპირისპირების თავიდან აცილებას, ვერ ეგუება რეგიონში თურქეთის როლის ზრდას, მისი პოლიტიკური ორბიტიდან საქართველოს გამოსვლის მცდელობას, დასავალეთით ნატო-ს მოახლოებას, აღმოსავლეთით აზიის გაძლიერებას, ევროპის მოსალოდნელ ენერგოდამოუკიდებლობას, სატრანზიტო მარშრუტებზე კონტროლის დაკარგვას, ის არც შეიარაღებული ძალის გამოყენებას ერიდება, საქართველოს წინააღმდეგ და მისთვის ხელმისანვდომი ძალების გამოყენებაზეც არ ამბობს უარს. რუსეთის მიზანია საკუთარი ინტერესის სასარგებლოდ, შეცვალოს ევროპაში ცივი ომის შემდგომი უსაფრთხოების არქიტექტურა და ახალი პროექტის – „ევრაზესი"-ს განხორციელების მცდელობით, საერთაშორისო თანამეგობრობა შეაგუოს „ახალ რეალობას", დაუბრუნდეს იმ სტრატეგიას, რაც მის გერბზეა გამოსახული: ორთავიანი არწივი, რომელიც ერთი მხრივ ევროპას უყურებს, მეორე მხრივ – აზიას.

ამერიკა, რომელსაც მყარად აქვს ფეხი მოკიდებული ევროპული დემოკრატიის პლაცდარმზე, მსოფლიო ახალ წესრიგში გულისხმობს რუსეთის იმპერიული სულისკვეთების დაძლევას და მისი ენერგეტიკული ამბიციების დასავლურ კალაპოტში ჩაყენებას, ის საქართველოში იცავს თავის კონკრეტულ ინტერესს, ამისათვის მოკავშირედ ესაჭიროება შემდგარი სახელმწიფო, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, როგორიც სამხრეთ კავკასიაა.

ევროკავშირის სტრატეგიული ინტერესია აშშ-სა და რუსეთთან ურთიერთობების შენარჩუნება, რეგიონის უსაფრთხოება, ენერგეტიკული პროექტების დივერსიფიცირება, ევროპის კონტინენტზე აშშ-ს გავლენის შემცირება, რუსულ-ევროპული ალიანსის შექმნა. მართალია, მისმა ჩართვამ ქართულ-რუსულ შეიარაღებულ კონფლიქტში დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთს გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხედ არ მიიჩნევენ, საქართველოსადმი უპირობო მხარდაჭერის სურვილი მაინც პრაგმატიზმმა გადაფარა და სამხრეთ კავკასიაში წარმმართველი როლი კვლავ რუსეთს გადააბარა. ევროპა პოლიტიკურად, იდეოლოგიურად და ეთნოკულტურულადაც არ არის ერთიანი. გამყოფი ხაზი, რომელიც გადის დასავლური ქრისტიანობის აღმოსავლეთ საზღვარზე, ერთმანეთს აშორებს დასავლეთ კათოლიკურ, პროტესტანტულ, აღმოსავლეთ მართმადიდებლურ და მუსლიმურ ნაწილებს. არც ევროკავშირსა და ნატო-ს შორის არსებობს აუცილებელი კავშირი, ალიანსის გაფართოების საკითხი არ დამდგარა ამ სახელმწიფოთა დღის წესრიგში.

თურქეთი, რეგიონის დამოუკიდებელი მოთამაშე სახელმწიფოდან რეგიონული ძალის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად გარდაიქმნა. მისი ინტერესები, გარკვეულწილად დაემთხვა აშშ-სა და დასავლეთის გეოსტრატეგიულ

ინტერესებს, რომლებიც ცდილობენ არ დაუშვან ირანული, ასევე რუსული გავლენის დომინირება რეგიონში. დღეს თურქეთში მიმდინარე ცვლილებების პროცესი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შეამცირებს აგრესიული პანთურქიზმის, თურქული ნაციონალიზმის მემკვიდრეობას, ატლანტისტურთან ერთად გაზრდის ევრაზიულ მიდრეკილებებს, რაც შეიძლება დადებითად აისახოს არა იმდენად სამხრეთ კავკასიაზე, რამდენადაც თვით თურქეთის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტატუსსა და ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მედიატორის როლზე. თუმცა, ვარაუდი, კომპრომისი რეგიონში რუსეთ-თურქეთის ერთობლივ გავლენაზე ნაკლებად მოსალოდნელია. მიზეზი: სხვა ძალების მსგავსად, ორივე მხარის ინტერესია არ დაუშვან ერთმანეთის გაძლიერება ერთპიროვნული კონტროლის ხარჯზე, რუსეთის გამოხატული პოზიციის საწინააღმდეგოდ, ნატო-ს წევრი თურქეთის მცდელობა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების, „სომხური გენოციდის", ქურთების საკითხის და ე. წ. „თურქული ძმობის" – აზერბაიჯანის მფარველობის გამო. ასევე, რაც მთავარია, „პანთურქიზმის იდეა", რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობს და ხმელთაშუა ზღვიდან ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე ყველა თურქული მოდგმის ხალხების გაერთიანებასა და ე. წ. პანთურქული სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს (შუა აზიის ქვეყნების მოსახლეობაც, ტაჯიკების გარდა, გენეტიკური კავშირით თურქულ ჯგუფს მიეკუთვნება), ნინააღმდეგობაში მოდის რუსულ სახელმწიფო ინტერესებთან და სხვ.

ირანი, სამხრეთ კავკასიის მეზობლობის მიუხედავად, რეგიონის ნაკლებად მნიშვნელოვანი მოთამაშეა, მაგრამ მისი როლის შეუფასებლობაც გაუმართლებელია. იგი აზერბაიჯანს დღემდე „ბაქოს რესპუბლიკას" უწოდებს და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ეთნიკური აზერბაიჯანელების რაოდენობა დაახლოებით სამჯერ აღემატება თვით აზერბაიჯანში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობას, მისთვის მხარდაჭერა ყარაბაღის კონფლიქტში არ აღმოუჩენია. თეირანი საერთო საზღვრის პრინციპის, რუსეთისა და შიდა რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე, ინარჩუნებს აზერბაიჯანთან კეთილმეზობლურ და სომხეთთან სტრატეგიული პარტნიორობის პოლიტიკას, რომ არაფერი ვთქვათ აშშ-სა და ისრაელის ირანისადმი დამოკიდებულებაზე და იმ მოსალოდნელ საფრთხეებზე, რაც შეიძლება მოყვეს ამ უკანასკნელის სურვილს ფლობდეს ბირთვული ტექნოლოგიების სრულ ციკლს, გაძლიერდეს მუსლიმურ სამყაროში. რთულია პროგნოზირება თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ადვილია და აუცილებელიც არის თქმა იმისა, რომ საქართველოს არ სჭირდება მტერი ირანის სახით. ირანს, ჩრდილოეთ რეგიონის სტაბილურობიდან გამომდინარე, როგორც მინიმუმ, დღესაც შეუძლია ხელი შეუშალოს რეგიონის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზების განლაგებას და სამხრეთ კავკასიაში სტატუს ქვოს იმ სახით შეცვლას, რომელიც აშშ-ის როლს ცალმხრივად გაზრდიდა. მას, თურქეთისაგან განსხვავებით, აშშ-ფოთებს არამარტო ეთნიკური ან ეკონომიკური, არამედ რეგიონში ორი სუპერ სახელმწიფოს აშშ-რუსეთის ინტერესთა შეუსაბამობიდან გამომდინარე, მისთვის მოსალოდნელი სამხედრო საფრთხეები.

სამხრეთ კავკასია, რომელიც პრაქტიკულად არასოდეს დაკარგავს თავის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას, მართალია მისი შემადგენელი ქვეყნების, ხალხების საერთო სახლია. მაგრამ, ისტორიული, ასევე მორალური თვალსაზრისით მათგან ერთადერთს – საქართველოს შესწევს უნარი შეცვალოს საკუთარი, ასევე მეზობელი სახელმწიფოების ბედი, გადამწყვეტი როლი ითამაშოს ახალი – ერთიანი რეგიონული მოდელის შექმნაში და ამ გზაზე დანარჩენებიც თანამონაწილენი გახადოს. პოლიტიკური თამაშების – „ვინ ვის გვერდითაა" მიუხედავად, საერთო სივრცეში ერთიანობის იდენტიფიკაცია, ორმხრივი, მხოლოდ საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის ურთიერთობის ფორმატში რეგულირდება, რეგიონით დაინტერესებული ყველა საგარეო ძალა პრიორიტეტულ მნიშვნელობას სწორედ საქართველოს ანიჭებს. ფაქტიურად, დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის ხალხები იმდენად იყვნენ თავისუფალნი, რამდენადაც საქართველო, როგორც წინამძღოლი, იყო ძლიერი. ამ საკუთარი, გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიზმზე დაფუძნებული, არაერთხელ დასაბუთებული მისიის განხორციელება საქართველომ მომავალშიც უნდა უზრუნველყოს; სამხრეთ კავკასიაში მისწრაფებები, თავისი არსით, ყოველთვის ანტიიმპერიულ ხასიათს ატარებდა. საერთო სივრცეში სეპარატიზმი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოძრაობის აღმავლობისა და რუსული პოლიტიკური ორბიტიდან ქვეყნის გამოსვლის მცდელობის კვალობაზე ძლიერდება;

ამდენად, საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიზანმა გამოკვეთა ჩვენი უპირველესი ამოცანა – ქვეყანა მიუბრუნდეს საკუთარი განვითარების შეწყვეტილ ტრაექტორიას, მისი მიღწევის საშუალება – თანამედროვე გლობალურ სამყაროში შევქმნათ არა მხოლოდ ქართული (თუნდაც ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე დაფუძნებული, რომელიც ჩვენს გარდა არავის დააინტერესებს), არამედ საერთო ღირებულებათა, ინტერესების დაბალანსებისა და დამატებით კეთილდღეობას მორგებული ისეთი რეგიონული – გლობალური პროექტი, რომელსაც ისტორიული, ბუნებრივი და გეოგრაფიული ფაქტორები დაედება საფუძვლად; მოსალოდნელი შედეგი სამხრეთ კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის ახალი სამშვიდობო ურთიერთობათა გრძელვადიანი, ინტერესთა თანხვედრის ერთიანი მიდგომითა და მასში საერთაშორისო თანამეგობრობის გარანტირებული მონაწილეობით, განაპირობებს:

I. საქართველომ დაიბრუნოს სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი მედროშის უნიკალური ფუნქცია, წარსულის გათვალისწინებით. შეცვლის ქვეყნისადმი განწყობას, შეაჩერებს ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკური ელიტებისა და არა ერების დაკვეთას, მათ შორის რეგიონში „ცენტრის" გადაწევის, საქართველოს იურისდიქციის აღდგენის მცდელობით გამოწვეულ ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს, საქართველოს კი სამხრეთ კავკასიისა და მთლიანად, კავკასიის კონტექსტიდან ამოვარდნის დინამიკას. რაც მთავარია, დააჩქარებს პროცესის უკან – წარსულის მიმართულებით (ორიენტაციადაკარგული საქართველოს – სამხრეთ კავკასიასა

და კავკასიაში, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების – საქართველოში) მობრუნებას და რეალობის გააზრებით, საერთო რეგიონული პრობლემის – კონფლიქტების (აფხაზეთში, ე. წ. სამხრეთ ოსეთში და მთიანი ყარაბაღის) ერთიანი ძალისხმევით მოგვარებას.

II. განვსაზღვროთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების – საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთის არა მხოლოდ ცალ-ცალკე, არამედ მთლიანობაში არსებული და დღემდე გამოუყენებელი ერთიანი რესურსი – ეკონომიკური პოტენციალი (სივრცე, რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, ფუნქციონირებს თავისი შესაძლებლობის მხოლოდ 6-7%-ის ფარგლებში), საზიარო ინტერესებიდან გამომდინარე შევქმნათ მათი სამხედრო – პოლიტიკური, სავაჭრო – ეკონომიკური დაახლოების, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ახალი ურთიერთდამოკიდებულების რეგიონული მოდელი. უზრუნველვყოთ სამხრეთ კავკასიის, როგორც ერთიანი, უსაფრთხო სივრცის მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრირება (უახლოეს პერსპექტივაში, საერთო ბაზრის გათვალისწინების, სავაჭრო – სატრანზიტო ცენტრის აღდგენისა და კონკრეტული საერთაშორისო პროექტების რეალიზაციის შედეგად, რეგიონის შესაძლებლობები მინიმუმ 10-ჯერ გაიზრდება).

III. ახალი სამეზობლო პოლიტიკის სამშვიდობო პლატფორმით ჩამოვაყალიბოთ (კონსენსუსის შედეგად) სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შიდა – ეროვნული და გარე – კოლექტიური უსაფრთხოების, თავდაცვის ერთიანი რეგიონული სისტემა. ერთის მხრივ – მსოფლიოს დომინანტ სახელმწიფოს – აშშ-ს, რეგიონული ლიდერის – რუსეთის, ევროპის, თურქეთის, ირანისა და შუა აზიის ფაქტორის გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიური რეგიონული სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მისი მიღწევის მიზნით სამი ქვეყნის სამხედრო – პოლიტიკური ალიანსის შექმნაც კი, თუ ამისი აუცილებლობა დადგა და ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური, აზერბაიჯანულ-სომხური საზოგადოებების მშვიდობიანი თანაცხოვრების საჭიროება) ვაქციოთ საერთო ინტერესის საგნად; მეორეს მხრივ – მათაც სრულად დავანახოთ საქართველოს ახალი ფუნქციის აუცილებლობა და რეგიონის, როგორც ერთიანი სივრცის ინტეგრირების საჭიროება საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში.

მიზნის მიღწევის სხვა დანარჩენი მცდელობა, როგორც დღემდე (საერთო რეგიონული კავშირის გარეშე, განცალკევებული, ერთიან ინტერესს მოკლებული) მომავალშიც არაეფექტური იქნება, დაგვაცილებს ეროვნული, რეგიონული უსაფრთხოებისა და მასთან ორგანულად დაკავშირებული პრობლემის – კონფლიქტების გადაწყვეტას, გაგვიჩენს ახალ საფრთხეებს, მოითხოვს ჩვენთვის მიუღებელი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნაწილის, მაგალითად, „მშვიდობა ტერიტორიის სანაცვლოდ" დათმობას, ან საქართველოს მიერ რუსეთის ახალ პროექტში – ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში („ევრაზესში") გაწევრიანების თაობაზე წინასწარ განაცხადს და სხვ.

წარმოდგენილი არასტრუქტურირებული მოდელი, „სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე", როგორც იდეა, არც ახალია და არც ძველის, ჩვენი დიდი წინაპრების (განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის) არასრულად

განხორციელებული ნააზრევის ასლია. იგი (ახალი – კარგად დავიწყებული ძველი) მკვეთრად განსხვავდება ძველი ქართული – „კავკასიური სახლი"-ს, „მშვიდობიანი კავკასიის", მით უფრო, კავკასიის ერთიანობაში ფლობის, ძველი – „ამიერკავკასიის სეიმი"-ს, „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის", „ამიერკავკასიის კონფედერენციის", „ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის", ასევე ერთიანი ქართული სახელმწიფოს მრავალსუბიექტიან ერთეულებად დაშლის – ახალი და უახლესი რუსული (მისივე დომინირებით, 1+3 ფორმატი, რუსეთს + საქართველო – აზერბაიჯან – სომხეთის საპარლამენტო ოთხეული; 3+3 ფორმატი, რუსეთ – თურქეთ – ირანს + საქართველო – აზერბაიჯანი – სომხეთი, „კავკასიის კონფედერაცია", „ევრაზიიზმის თეორია"), ე. წ. ემერსონის ფორმატის – „სტაბილურობის პაქტი კავკასიისათვის", თურქულის (აგვისტოს ომამდე ფორმატი, საქართველო – აზერბაიჯან – სომხეთს + თურქეთი – რუსეთი და შემდგომ ირანთან ერთად „კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა"), სომხურის („სამხრეთ კავკასიის კონფედერაცია", „სომხეთ-საქართველოს ფედერაცია") სააკაშვილის მიერ გაჟღერებული „საქართველო – აზერბაიჯანის კონფედერაცია" და სხვა არაქართული პროექტებისაგან. ახალი რეგიონული მიდგომა (საქართველო ინტერესთა წონასწორობის სასწორი) სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოდან თითოეულს იმ ქმედებისათვის მოამზადებს, რომელთა სწორად განსაზღვრული ინტერესების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება არა დამოუკიდებლად, არამედ ერთობლივად, მხოლოდ პარტნიორობის საფუძველზე ფორმულით – I. ფორმატი 3=1+1+1; თუ საჭიროებამ მოითხოვა ფორმულით II. ფორმატი 3=2+1.

I. 3=1+1+1, იგულისხმება – საქართველო + აზერბაიჯანი + სომხეთი; II. 3=2+1, იგულისხმება საწყის ეტაპზე ფორმატი 2, საქართველოს + აზერბაიჯანი ანუ ის ორი სახელმწიფო, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს, აერთიანებენ შავსა და კასპიის ზღვებს, მოიცავენ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიისა და მოსახლეობის საერთო რაოდენობის 80 პროცენტს, ევროატლანტიკური სივრცისა და ევრაზიული დერეფნის სტრატეგიულ მონაკვეთს, დიდი ენერგეტიკული პოტენციალის მქონე გეოგრაფიულ არეალს. შემდგომ, მიუერთდება ასევე ჩვენი მეზობელი და მეგობარი სახელმწიფო + 1 სომხეთი (ვერ დარჩება იზოლირებული). შედეგად მივიღებთ, საქართველო + აზერბაიჯანისა და სომხეთთან ერთად (შემდგომ ეტაპზე მაინც) ერთიან სივრცეს, რომელიც შიდა რეგიონული კავშირით (საქართველო – აზერბაიჯანის შემთხვევაშიც კი) ჩვენს უპირველეს სტრატეგიულ პარტნიორს – აშშ-ს, ევროკავშირს, თურქეთს, ირანსა და ყველაზე დიდ მეზობელ სახელმწიფოს – რუსეთს, განაწყობს დაიწყონ ერთმანეთთან მჭიდროდ შეკრულ კომპონენტთა კონსტრუქციის შექმნა, ფორმატით – 3+3+2. (საქართველო – აზერბაიჯანი – სომხეთი + რუსეთი – თურქეთი – ირანი + აშშ – ევროკავშირი) ანუ ჩამოაყალიბონ ახალი სტაბილური ჯგუფი, ყოველგვარი გაყოფისა და დაპირისპირების ხაზების გარეშე და საერთაშორისო თანამშრომლობისა თუ უსაფრთოების ერთიანი სისტემის გაძლიერების მიზნით „საქართველო-პრობლემა" კოლექტიური თავდაცვის,

კრიზისული სიტუაციების მართვის, ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის ფაქტორად აქციონ. **შეცდომა იქნებოდა ამ შესაძლებლობის (დღემდე გამოუყენებელი პოტენციალის) ხელიდან გაშვება.**

საფრთხეებიდან გამომდინარე, გარედან მუდმივი დახმარების იმედით, ცალ-ცალკე სხვის ინტერესებში მოქცევა, პრორუსული, პროამერიკული, პროდასავლური, დიფერენციაციის თემებით მანიპულირება, საქართველოში დამკვიდრებული სტერეოტიპებითა და წუთიერი სიმპატია – ანტიპატიებით (,,აშშ ან რუსეთი". „ამერიკასთან თუ რუსეთთთან", „ნატო", „ნეიტრალიტეტი", „ნატო ან ნეიტრალიტეტი", „ნატო ან რუსეთი", „არც ნატო, არც ნეიტრალიტეტი" და სხვა) პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების დაყოფა არის არა ტაქტიკური, არამედ სტრატეგიული შეცდომა. იგი, უკეთეს შემთხვევაში, უმცირესი პარტნიორის დროებითი ხვედრიდან გამომდინარე, მიზნის მიღწევის, ძირითადი პრობლემის – ერთიანობის აღდგენის, კონფლიქტების მოგვარების არც გარანტიაა და არც გზა, პირიქით – მხოლოდ ყალბი მოლოდინია. ნუთუ ასე ძნელია იმის გაგება, რომ სახელმწიფოებრიობაზე ზრუნვა არ ნიშნავს ქვეყნის ორიენტაციას მხოლოდ დასავლეთზე ან ჩრდილოეთზე. ჩვენს შემთხვევაში (იქნებ გასაჭირმა სიბრძნეს ამჯერად მაინც გვაზიაროს), ყოველგვარი ცალმხრივი მხოლოდ ერთი მიმართულებით კავშირი, ანუ „პრო", გარდა „პროქართული"-სა, როგორც უცხო მოდელი, ვერ მოემსახურება ქართული სახელმწიფოს ინტერესებს.

პროექტის ძირითადი იდეა – **„საქართველომ – რეგიონში და რეგიონმა – ევრაზიულ სივრცეში იტვირთოს ფუნქცია და დაიმკვიდროს ღირსეული, მისაღები ადგილი"** – რთული, მაგრამ განხორციელებადია. მისი შესაძლო წინაპირობაა საქართველოს გეოპოლიტიკურად დასაბუთებული ფუნქციიდან გამომდინარე, ქვეყნისა და რეგიონისადმი თანამეგობრობის მხრიდან გაჩენილი დამატებითი მოტივაცია, დომინანტი ძალების, უპირველესად, აშშ-ისა და რუსეთის (რომელთა ურთიერთობის ხარისხი საქართველოს თავისუფლების ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია) ინტერესები, დროში მათი არა მხოლოდ ერთმანეთისადმი, არამედ ქართულ სახელმწიფო ინტერესთან თანხვედრა – თავსებადობა (ჩვენთვის მოკავშირე, მხოლოდ რეალური, მფარველზე უფრო საიმედო პარტნიორი იქნება) და სამხრეთ კავკასიური სივრცისადმი ერთიანი, კომპლექსური მიდგომა.

პოლიტიკური სინერგიის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი – ერთიანი სისტემა (არა აშშ-ს, ან რუსეთის ხარჯზე, მათთან ურთიერთობების ფასად და არც რომელიმეს სანაცვლოდ) განაპირობებს:

– აიხსნას, თუ რა უარყოფით შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ ემოციურმა ფონმა და ერთიანი იდეის, ეროვნული იდეოლოგიის გარეშე ქართველი საზოგადოების პროდასავლურ (ლიბერალური დასავლეთის) – პრორუსულ (ფსევდო-დემოკრატიული რუსეთის) სეგმენტებად პოლარიზებამ, საქართველოს მიერ თავშესაფრის ძიებამ, ანუ რომელიმე ერთი – აშშ-ის, ან რუსეთის მიმართულებით არჩევანმა და რა უპირატესობა გააჩნია სამხრეთ კავკასიის რეგიონულ სივრცეს;

- რეგიონის „გახსნილობას", საქართველოს რუსეთისაგან იზოლირების მცდელობით გამოწვეული კონფრონტაციის ნაცვლად, რუსეთთან ურთიერთობების კორექციას, ევროპასთან ინტეგრირების ბუნებრივი პროცესის დაჩქარებას, აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავებას, მათი მხარდაჭერის ეფექტიანობას (მით უფრო, როცა აშშ, ასევე ევროპა თბილისზე მეტად მოსკოვთან ურთიერთობის შენარჩუნებითაა დაინტერესებული და სანამ რუსეთი საქართველოს მხოლოდ მტრად აღიქვამს, დახმარება უფრო აქტიური ვერ იქნება);

- საქართველოს, პარტნიორი სახელმწიფოების მხარდაჭერით, რუსეთის დომინირების სივრციდან საქართველო-აზერბაიჯანისა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის სივრცედ გარდაქმნას (რუსეთის ინტერესი სამხრეთ კავკასიაში უფრო დიდია, ვიდრე მხოლოდ აფხაზეთზე და ე. წ. სამხრეთ ოსეთზე კონტროლი, სეპარატისტული რეგიონებისადმი მუდმივი მხარდაჭერა რუსეთს გრძელვადიან პერსპექტივაში დააზარალებს);

- რუსეთს, საქართველოს მხრიდან, რომლის აქტიური პოლიტიკური მოქმედების არეალი შემოიფარგლება მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სივრცით, მნიშვნელოვნად მოუხსნის – ჩრდილოეთ კავკასიის მაპროვოცირებელ (ჩრდილოეთ კავკასიის მომავალი გარკვეულწილად საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მომავალზეა დამოკიდებული), კავკასიურ ეთნოცენტრიზმთან დაკავშირებულ რიგ პრობლემებს, ხელს შეუწყობს რუსულ საზოგადოებაში მილიტარისტული „ანტიქართული" და ქართულში „ანტირუსული" რიტორიკის შეცვლას;

- საქართველოს გარემო, საარსებო სივრცე – ბუფერი ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროებს შორის (ისლამური კარი), მართლმადიდებლობასთან ასოცირებული და მისი მოსარჩლე ისტორიული დიდი მეზობელი ქვეყნის – რუსეთისათვის იქცეს უსაფრთხოების უზრუნველყოფად იმ ახალ სარტყელად, რომელიც არ გარდაიქმნება მისთვის საფრთხის შემცველ, მათ შორის, ისლამური ფუნდამენტალიზმის სამიზნედ, „კავკასიის ისრაელად";

- დააფიქროს რუსული საზოგადოება, რატომ ექმნებათ რუსეთის სახელმწიფოსაგან ყველაზე დიდი პრობლემები ერთიანი აღმსარებლობისა და მჭიდრო თანამშრომლობის სურვილის მქონე, მათთვის ყველაზე ახლო ერებს: ქართველებს, ბელორუსებს, უკრაინელებს. რატომ ეწერებიან რუსეთის მეზობელი სახელმწიფოები ნატო-ში შესვლის ღია თუ ფარულ რიგში, ხოლო აფხაზეთის, ე. წ. სამხრეთ ოსეთის, ყარაბაღის, დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმები, რატომ მიისწრაფვიან რუსეთთან ინტეგრაციისაკენ;

რეგიონი, უპირველესად, მისი შემკრები ქვეყანა – საქართველო, როგორც ორი დიდი სამყაროს, ევროპისა და აზიის, დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა და კულტურათა შესაყარი, ევრაზიულ სივრცეში ახალი გეოპოლიტიკური კონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი (სივრცე, მარად ცოცხალი და უნიკალური თავისებურებებით, სადაც თავმოყრილია კავკასი-

ური, თურქული, სპარსული და სლავური კულტურები, ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციები), როგორც სრულიად ცალკე სამყარო, შესაძლებელია იქცეს საერთო ფუძიდან აღმოცენებული სამი უძველესი რელიგიის – ქრისტიანობას, იუდაიზმსა და ისლამს შორის ტოლერანტული ურთიერთდამოკიდებულების დაცვის, აუცილებელი დიალოგის წარმართვის უნიკალურ ადგილად; ცივილიზაციათა შორის დამაკავშირებელ, ინტეგრაციული მიმზიდველობის მქონე ერთგვარ რეგიონულ ცენტრად, მსოფლიოს ახალ „მშვიდობის ზონად".

ვგულისხმობთ, შვეიცარიის მსგავს, მხოლოდ ახალ, თანამედროვე რეგიონულ მოდელს, სადაც წარმოდგენილი იქნება არა ერთი ქვეყანა და არც ერთი რელიგიის ქვეყანათა ჯგუფი, არამედ, ერთ რეგიონში სხვადასხვა, ძირითადად მაინც ქრისტიანული და ისლამური რელიგიის მატარებელი ქვეყნები, რომელთათვის იუდაიზმის ცხოვრების წესი არ იქნება მიუღებელი. მსოფლიოში მსგავსი მოცემულობით მხოლოდ ერთადერთი რეგიონული სივრცეა და იგი სამხრეთ კავკასიაა. ასევე, მსგავსი მიზიდულობის მქონე მაგალითის თვალსაზრისით, საყურადღებოა თვით საქართველოს დედაქალაქი – თბილისი, მისი ძველი ცენტრი, ე. წ. მეიდანი, სადაც საუკუნეების განმავლობაში ქართველები აზერბაიჯანელები, სომხები, ებრაელები, რუსები, ქურთები და სხვა ერის შვილები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ.

ოპტიმიზმის საფუძველს, აღნიშნულ და სხვა ღია (ასევე ფარულ) გარემოებებთან ერთად, იძლევა: I. **დრო** – როგორც ცვლილების პროდუქტი (და არა პირიქით), ჯერ კიდევ არსებობს, ვინაიდან ამ ეტაპზე: აზერბაიჯანისა და სომხეთის, სომხეთისა და თურქეთის რადიკალური დამოკიდებულება მთიანი ყარაბაღის გამო (ასევე, აზერბაიჯანის რუსეთთან და ირანთან ურთიერთობის ხარისხი) გამორიცხავს მათ შორის პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევას; აშშ და რუსეთი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ აფიქსირებენ განსხვავებულ პოზიციებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით და როგორც საქართველოს, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში (დაკავებულნი არიან რა მათთვის უფრო მნიშვნელოვანი გლობალური თემებით), საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულან და სხვ. **შესაძლებლობა გვეძლევა დავცილდეთ მოსალოდნელ კატაკლიზმებს, დრო ჩვენდა სასიკეთოდ შემოვატრიალოთ და ჩვენი ბედის გადაწყვეტის დარჩენილ (მცირე) დროში მხოლოდ მაყურებლის როლში არ აღმოვჩნდეთ.**

II. **ახალი ფორმატი** – რომელიც გულისხმობს განსაკუთრებულ ხაზგასმას რეგიონული თანამშრომლობის კომპონენტებზე, მოიცავს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას და წარმოადგენს რუსეთზე საუბრის ნაცვლად, რუსეთთან და ამერიკასთან შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკებების წარმართვის, რეგიონის ერთიან, გეოპოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების, მისი საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემაში ინტეგრირების, ერთმანეთზე დამოკიდებული რეგიონული პრობლემის – კონფლიქტების (აფხაზეთში ე.წ. სამხრეთ ოსეთში და მთიანი ყარაბაღის) მოგვარების ერთადერთ რეალურ გზას; **ახალი, გეოპოლიტიკურად დასაბუთებული სტრატეგიის კეთილშობილური და ჰუმანური მიზნები შეიძლება იმ საკმარის მოტივაციად იქცეს, რაც საერთაშორისო თანამეგობრობას განაწყობს აღიაროს ქართული სახელმწიფოს**

მნიშვნელობა, განვითარებული სამყაროს ღირსეულ, სრულუფლებიან ნევრად ქცევის საჭიროება და უზრუნველყოს მისი (რეგიონის ბედის განმსაზღვრელი სახელმწიფოს) ტერიტორიული მთლიანობა.

III. **ახალი ფუნქცია** – რომელიც თანამედროვე სამყაროში საქართველოს გამოუყენებელი რესურსის ინტელექტუალური, გეოპოლიტიკური ახლებური გააზრებით, ქვეყნისათვის საერთაშორისო ფუნქციის მინიჭებას, სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ორგანულ ნაწილად გარდაქმნას, ხოლო რეგიონულ სივრცეს კი აშშ-რუსეთს შორის გეოპოლიტიკური კომპრომისის საგნად აქცევს.

სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე, არ არის მხოლოდ ქართული პროექტი, იგი, ტერიტორიით პატარა, განსაკუთრებული სივრცობრივი მდგომარეობის მქონე, ჩვენი სახელმწიფოს მისიიდან გამომდინარე, მრავალ წელთა ძიების, ბრძოლისა და შეთანხმების შედეგია. მისი სისტემური და თანმიმდევრული რეალიზაცია მოემსახურება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ქვეყნის ხელისუფლების დადებითი იმიჯის შექმნას შესაძლებელს გახდის სოციალური ფენის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის მიუხედავად ჩვენი დიასპორის, ახალგაზრდობის, მთლიანად საზოგადოების, ამ მშვიდობიანი ეროვნულ-ზნეობრივი (არა მხოლოდ დასავლური – ლიბერალური, მით უფრო, რუსული – შოვინისტური თუ ქართული – ულტრანაციონალისტური) იდეის გარშემო გაერთიანებას და სარგებელს მოუტანს, როგორც საკუთრივ საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ისე ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს. **ავტორის ღრმა რწმენით, ეს ზოგადქართული იდეა-მიზანი ხორცს შეისხამს მხოლოდ ქართული ხელისუფლების, ქართული ეკლესიისა და ქართული საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით.**

ნყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. დავითაშვილი, „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია", თბილისი, „მეცნიერება".
2. ა. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 2006, „ნეკერი".
3. ე. აკობია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, თბილისი, 2006, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
4. ვ. მელიქიძე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბილისი, 006, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
5. გ. ხელაშვილი, ა. რონდელი. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. ახალი აზრი 2003 №6(12): 317.
6. ჯ. სტიგლიცი, ,,გლობალიზაცია და მისი თანამდევი უკმაყოფილება''. თბილისი: 2012, ,,საუნჯე".
7. Jaquet, Louis.., Small states in International Relations". Stockolm, 1971. Almquist and Wiksell.
8. Worsley, Peter. „The three worlds culture&world development". Chicago, 1984. The University of Chicago press.
9. Lieber Robert and Ruth E. Wiesberg. „Globalization, Culture, and Identities in Crisis. International Journal of Politics, Culture and Society", 2002. Vol. 16 No. 2 (Winter): 273-296.

10. GREENPEACE online. Home page on-line. interneti. http://www.greenpeace.org/international/en/System-templates/Search-results/?all=georgia; bolo naxva, 5 agvisto, 2009.
11. EUROPA. "Preventing dangerous climate change," EUROPA online. interneti. http://ec.europa.eu/clima/policies/brief/eu/index_e.htm; ბოლო ნახვა, 7იანვარი, 2010.

ZURAB KHONELIDZE

SOUTH CAUCASIA - GEOPOLITICAL SPASE

Summary

In the present work, based on the understanding of historically and geopolitically sound functions of Georgia, I have submitted a draft plan (brief version) for settlement of the domestic, Pan-regional irreversible process and global issues.

We believe that in a life of every people and every country there comes the time when according to the faithful strategic tasks and their implementation resources making the offering of a new Georgian project (especially when our State, its territory has become a common project and the ground of another State or States for its implementation) means the revival of our national faith. Today for Georgia, the power of which lies in its diversity and effectiveness in expanding of its space, this is exactly the kind of historic moment. This is the only correct choice, and what's more – this is our fateful destiny!

I do hope that, in order to form a full-fledged State, our attempts to make sense of the current geopolitical reality, which will help us to clearly predict and avoid possible threats and find consensus in the definition of new priorities in the future will be successful.

We believe our efforts will not be in vain this time.

ვახტანგ გოჩილაძე

დიდი მეფე ბაგრატ III კურაპალატი — გარდაცვალებიდან 1000 წელი

2014 წლის 7 მაისს, ოთხშაბათს, 1000 წელი შესრულდა „დიდი და ყოვლითურთ ძლევა-შემოსილი მეფე ბაგრატ მესამის“ გარდაცვალებიდან. ბაგრატ III „მეფობდა ოცდათექუსმეტ წელს“ და „მხცითა შუენიერითა შემკობილი“ 52 წლისა ფანასკერტში გარდაიცვალა, საიდანაც წაასვენეს აფხაზეთში და მის მიერ აგებულ ბედიის ტაძარში დაკრძალეს.

ბაგრატ ბაგრატიონის ძირითადი მიზანი საქართველოს გაერთიანება იყო და როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, თავისი მტკიცე ხასიათით, ბრძნული და წინდახედული მმართველობით, ვაჟკაცური გულადობითა და შორსმჭვრეტელური პოლიტიკით“ მიზანს მიაღწია (20:132).

ამ ბოლო დროს, მართალია, აღდგენილი იქნა ბაგრატ III-ის მიერ აგებული, ახლა „ბაგრატის ტაძრად“ წოდებული სიონი, ამ ტაძრის მშენებლობის დამთავრების 1000 წლის იუბილეს აკად. მ. ლორთქიფანიძემ სპეციალური ნარკვევი – „მეფე ბაგრატ III“ მიუძღვნა, მაგრამ მე მაინც მგონია, საქართველოს გამაერთიანებელი მეფის ღვაწლი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ დაფასებული. ძველი მემატიანე ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ დიდ წარმომადგენელს ასე ახასიათებს: „ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ჴელმწიფეთა ყოვლითა განგებითა. ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ჴელმწიფენი, მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი, მოლაშქრედ ვითარცა თჳსნი და მისანდობელნი. და დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მისნი; მომადლა დღეთა მისთა მშჳდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა. და უკუეთუ ვინმე ინებოს თჳთოეულად წარმოთქმად ყოველთა განგებულებათა მისთა, **მოუძლურდეს ძალი მისი**, რომელთაგან მცირედი წარმოვთქუ ჟამთა სიგრძისაგან არა-დავიწყებისათჳს“ (13:281-282). მემატიანე იქვე დასძენს, ისიც უნდა ვთქვა „...შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათჳს” (13:282).

ბაგრატ III-ის ღვაწლის „მატიანე ქართლისა“-ს ავტორისეული შეფასება ყველა დროის ქართველთათვის სახელმძღვანელო უნდა იყოს – საქართველოს მეფეთაგან ხომ მხოლოდ რამდენიმეს ხვდა წილად თავიანთ თანამედროვეთაგან „დიდ მეფედ“ წოდებულიყო, მათ შორისაა ბაგრატ მესამეც.

ძველი მემატიანეს მიერ ასევე „დიდ მეფედ“ წოდებულ ვახტანგ გორგასლანთან მისი შედარება, ბაგრატის თანამედროვეთა მიერ საქართველოს წინაშე ბაგრატ III-ის დიდი ღვაწლის აღიარებაა.

ბაგრატ III ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნება რომაა საქართველოს ისტორიაში და მისმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანწილად რომ განსაზღვრა იმ ეტაპზე ქართული ქვეყნების უდიდესი ნაწილის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება (12:5), ეს საკამათო არაა, მაგრამ თუ ბაგრატ ბაგრატიონის პიროვნულ ღირსებებს, წარმომავლობასა და ნათესავთა ვინაობას გავითვალისწინებთ, იგი თითქოს განგებამ მოუვლინა სამეფოებად დაშლილ და შინაპოლიტიკური ბრძოლებით დასუსტებულ საქართველოს. 975 წელს ქართლის ტახტზე ასული მცირეწლოვანი ბაგრატ ბაგრატიონი „იმდროინდელ საქართველოში არსებული სამი სამეფო სახლის მემკვიდრე იყო. მამის ხაზით მას „ქართველთა მეფობა“ ეკუთვნოდა, დედის ხაზით „აფხაზთა მეფობა“, ხოლო, როგორც ტაოს უშვილო მეფის დავით კურაპალატის შვილობილს, „ტაოს მეფობა“; ის თავის პიროვნებაში განასახიერებდა საქართველოს ერთიანობას“ (12:19).

X საუკუნის 70-იან წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე ბაგრატ III-ის გამოსვლა ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებისათვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპს დაემთხვა (8:128). იმ ხანად შიდა ქართლი „აფხაზთა“ უსინათლო მეფის თეოდოს III-ის (975–978) სამფლობელოს წარმოადგენდა. ფეოდალურმა ანარქიამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მის მეფობაში მიიღო, რითაც ისარგებლეს კახეთის სამთავროს მესვეურებმა და დაიწყეს ბრძოლა ქართლის დასაუფლებლად.

შექმნილი ვითარება კარგად გააცნობიერა ქართლის ერისმთავარმა იოანე მარუშის ძემ. მან ისიც კარგად იცოდა, შიდა ქართლის პრობლემა ბაგრატ III-ის აღმზრდელის დავით III ტაოელის გარეშე ვერ გადაწყდებოდა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „დავით ტაოელს არც ხელისუფლების მოყვარეობა აკლდა და არც პატივმოყვარეობა, მაგრამ მან საკუთარ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დააყენა (12:25) და იოანე მარუშის ძეს, რომელიც იყო „კაცი ძლიერი და ერმრავალი“, ამოუდგა მხარში. იოანე მარუშის ძემ დავით მეფეს აუხსნა, რა მდგომარეობა იყო „აფხაზთა“ სამეფოში და შესთავაზა, შიდა ქართლი ან მას დაეკავებინა, ან თავისი შვილობილისათვის – ბაგრატისათვის გადაეცა (12:25).

975 წელს, იმ დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე დავით III „წარმოემართა ძალითა თჳსითა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად“. კახელები ქართლს გაეცალნენ. დავით III ქვახვრელს დადგა. იქ ეახლა მას იოანე მარუშის ძე და დავით მეფემ „აღიღო მისგან უფლისციხე“ (13:272). შეთანხმებისამებრ, დავით III-მ ქართლი ბაგრატს გადასცა, მაგრამ იმ ხანად ბაგრატი რადგან სრულასაკოვანი არ იყო, „თანაგანმაგებელად დაუტევა მამა მისი გურგენ“. იქ შეკრებილ „ქართველ აზნაურობას“ კი უბრძანა: „ესე არს მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“-ო (13:274).

საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე ქართლის ფეოდალებმა დავით III-ის ქართლიდან წასვლისთანავე მოიშველიეს კახეთის სამთავროს ლაშქარი, შეიპყრეს ბაგრატ მეფე, მისი დედ-მამა და კახეთს წაიყვანეს. დავით III-ის ჩარევის შედეგად ქართლის ფეოდალთა ეს გამოსვლა, მართალია, მარცხით დამთავრდა, მაგრამ იმ ხანად 13 წლის მეფის ხასიათის ჩამოყალიბებაში ამ ფაქტმა გარკვეული გავლენა მოახდინა.

978 წელს ბაგრატ III აფხაზეთშიც გაამეფეს. ამის შემდეგ „ვითარ გარდაჴდა.... წელიწადი ორი", ბაგრატ მეფემ „იწყო განგებად" და ყოველ საქმეს უდგებოდა ისე, როგორც პაპა მისი „დიდი გიორგი მეფე", უმეტესად კი თავისი გამზრდელის – დიდი დავით მეფე კურაპალატის მიმსგავსებულად იქცეოდა – „იხილვებოდა მის თანა ყოველი საქმე კეთილისა" (13:275).

როგორც ჩანს, დავით III-სთან თათბირისას გადაწყვიტა ბაგრატ მეფემ თავისი ბიძა – თეოდოს III მმართველობისათვის ჩამოეშორებინა. თვით რომ ერთადერთი ბატონი ყოფილიყო (20:126) და „ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა, გინა შიში უწესობისათჳს მისა მიმართ" ჰქონოდათ (13:276), უმჯობესად ჩათვალა თეოდოს III დავით კურაპალატის კარზე გაეგზავნა. ამიერიდან, – წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, – „საქართველოს გაერთიანების საქმე მტკიცე ხასიათისა და შეუდრეკელის ნების პატრონს მეფეს ჩაუვარდა ხელში; დაუღალავად მუშაობდა იგი სამეფოს კეთილდღეობისათვის და არას დროს გარკვეულს გზას არ გადაუხვევდა, არც დაბრკოლების წინ შეჩერდებოდა და უკან დაიხევდა. აფხაზეთშიაც და ქართლშიაც ბაგრატი წესრიგის დამყარებას შეუდგა" (20:126).

ბიძის მმართველობიდან ჩამოცილება ახალგაზრდა მეფის პირველი გაბედული ნაბიჯი იყო. ქვეყნის საკეთილდღეოდ და გასაერთიანებლად მას ასეთი ნაბიჯის გადადგმა შემდეგ არაერთხელ მოუხდა. 975 წელს ქართლში გამეფებულ ბაგრატ III-ს, როგორც ითქვა, დავით III-მ თანამმართველებად მშობლები დაუდგინა. ბაგრატ III-ის მამას – გურგენს, ბაგრატ II რეგვენის ძეს, ქართლზე პრეტენზიები არ ჰქონდა, მაგრამ ბაგრატ III-ის დედა გურანდუხტი, როგორც აფხაზთა მეფის გიორგის ასული, ქართლს თავისად თვლიდა. მან საერთო ენა გამონახა ქართლის დიდებულებთან, რომლებიც პირობითად „მორჩილებასა შინა [იყვნენ] გურანდუხტისასა", ფაქტობრივად კი დამოუკიდებლად განაგებდნენ „საქმეთა ქართლისათა" (13:276). ამიტომ, 980 წელს, როცა ბაგრატ III ქალაქ ქუთაისიდან უფლისციხისაკენ გამოემართა, რათა უშუალოდ თავის ხელში აეღო ქვეყნის მმართველობა, ქართლის ფეოდალები ქავთარ ტბელის მეთაურობით „მოლრისის თავს დაუხვდნენ". ბაგრატ III-მ ისინი დაამარცხა, „მოვიდა უფლისციხეს, აღიღო ციხე დედისაგან თჳსისა, დაყვნა დღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი; წარიყვანა დედა თჳსი და წარვიდა ქუყანად აფხაზეთისა" (13:276).

„მატიანე ქართლისას" ავტორის თხრობიდან გამომდინარე, ბაგრატ მეფემ თითქოს მშვიდობიანად „განაგნა საქმენი ქართლისანი", მაგრამ ქართლის ოპოზიციის დამარცხება, „დღენის" საქმე არ იყო. პროფ. ზ. ალექსიძის თანახმად, ქართლში გადმოსულ ბაგრატ III-ის მოწინააღმდეგეთა შორის მისი

დედა — დედოფალი გურანდუხტიც იყო. ამ მხრივ „მატიანე ქართლისას" ცნობა ატენის სიონში მიკელეული გერგიუმ ერჰასანის ძის სომხური წარწერით დასტურდება. უფლისციხის დაკავებისას ბაგრატ III-ს, როგორც ჩანს, გურანდუხტ დედოფლის წინააღმდეგობის დაძლევაც მოუხდა. დედოფალი „ფაქტობრივად ექსორიაყო" – ქართლიდან აფხაზეთში გაბრუნებულმა მეფემ დედოფალიც ქუთაისს გაიყოლა" (1:56-57). ზ. ალექსიძე ბაგრატ III-ის მიერ მეტოქე მეფის მოცილებას და ყველა „ურჩის" შეცვლას „ერთგულითა და მისანდობლით" დაახლოებით 980 წლიდან – დაახლ. 982 წლის ახლო ხანამდე მომხდარ ფაქტად თვლის (1:55-56).

ქართლში არსებული პოლიტიკური ვითარების გაანალიზებისას ჩვენი მკვლევრები ძირითადად დიდგვაროვანთა ოპოზიციის არსებობაზე მიუთითებენ, მაგრამ არავის უკვლევია, „ერთგულები და მისანდობნი" ბაგრატ მეფეს ქართლის საეკლესიო წრეებში თუ ჰყავდა. „მცხეთის საბუთს" („მელქისედეკის დაწერილი") იმ ცნობას თუ გავითვალისწინებთ, რომელშიც ამ საბუთზე ხელმომწერი ერთი პირი თავს „გლახაკს, უღირსს" და „რეცა სახელით კათალიკოზს" უწოდებს (4:286), ბაგრატ მეფეს გარკვეული ცვლილება ქართლის ეკლესიის მმართველთა შორისაც უნდა განეხორციელებინა, მითუმეტეს, „მცხეთის საბუთში" პირდაპირაა მითითება ქართლის კათალიკოსი მელქისედეკ I ბაგრატ III-ის „გაზრდილი" რომ იყო (4:283).

როგორც გაირკვა, დაახლოებით 982 წელს ბაგრატ მეფემ ქართლის კათალიკოსი სვიმონ III გადააყენა (მისი ქართლში კათალიკოსობა ასახულია საეკლესიო მუზეუმის № 86 ხელნაწერში 21:280) და საკათალიკოსო ტახტზე მელქისედეკ I დასვა. სვიმონ III აფხაზეთის კათალიკოსად იწოდა, მაგრამ მას მოღვაწეობა ქალაქ ქუთაისში არ გაუგრძელებია. ერთიან ქვეყანას ერთიანი ეკლესია სჭირდებოდა, ამიტომ, როგორც ჩანს, ბაგრატ III-მ ისიც დავით III-ის კარზე გააგზავნა. 1001 წელს, როცა ოლთისში სამეფო კარმა არსებობა შეწყვიტა, გიორგი მთაწმიდელის ბიძებთან ერთად სვიმონ III ხახულის ლავრაში გადავიდა. იქ გაეცნო მას 1019 წელს ტაძრისიდან ჩასული ახალგაზრდა გიორგი (მთაწმიდელი) და შემდეგ იქვე მოღვაწე დიმიტრისთან ერთად თავის „გამზრდელთა" შორის დაასახელა. სვიმონ III იხსენიება ახალციხური ტყავის სახარების მინაწერში „სჳმეონ აფხაზეთისა კათალიკოსად". სვიმონ III იგულისხმება იმ კათალიკოსთა შორის, რომლებიც 1003 წელს ბაგრატის ტაძრის მშენებლობის დამთავრების ზეიმში მონაწილეობდნენ და, ცხადია, იმ პიროვნებაში, რომელმაც „მცხეთის საბუთს" ხელი „რეცა სახელით კათალიკოზად" მოაწერა (7:52-67).

„სჳმეონ აფხაზეთისა კათალიკოსის" გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსის სახელო მოიშალა. 1004 წლის რუის-ურბნისის „ძეგლისწერაში" იოანე უკვე სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქად იწოდება (7:62). საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი კი ბაგრატ III-ის „გაზრდილი" მელქისედეკ I იყო.

ქართლიდან ქუთაისში გადასვლის შემდეგ ბაგრატ მეფეს და დედოფალ გურანდუხტს ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ. 1003 წელს მისი დასრულება

ბაგრატ მეფემ დიდი ზეიმით აღნიშნა. „მატიანე ქართლისას" ავტორის სიტყვით, ბაგრატ მეფემ „აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველი ჴელმწიფენი და კათალიკოსნი, მღდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა საჴელმწიფოთანი" (13:281). ამ დიდ ზეიმს, რა თქმა უნდა, საქართველოს კათალიკოსი მელქისედეკ I-ც დაესწრებოდა. იმ ხანად, როგორც ახლა გაირკვა, დამთავრებული იყო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის „ახლად შენება", მაგრამ არც ჩვენს ძველ საისტორიო წყაროებში და არც თვით სვეტიცხოვლის წარწერებში ქართული არქიტექტურის ამ შესანიშნავი ძეგლის მშენებლობაში ბაგრატ III-ის წვლილზე არაფერია ნათქვამი, რაც იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ სვეტიცხოვლის „ახლად შენების" დროს მცხეთა და მისი შემოგარენი ჯერ კიდევ თბილისის საამიროს მფლობელობაში იყო. სამაგიეროდ, როგორც ეს „მცხეთის საბუთიდან" ჩანს, „წმიდა დედაქალაქის" საამირო გადასახადისაგან გათავისუფლებით, სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობაში გარკვეული წვლილი ამირა ალი ბენ ჯაფარმაც შეიტანა. XI ს-ის დამდეგიდან მცხეთაზე უკვე ბაგრატ III-ის ხელისუფლება გავრცელდა და მელქისედეკ კათალიკოსს მეფემ სვეტიცხოვლის ყოფილი მამულების შეუვალობა დაუდასტურა. ბაგრატ III რომ დიდად ზრუნავდა ეკლესია-მონასტრებზე, ეს ბედიის ტაძრისადმი მისი შენაწირებითაც ჩანს. „მატიანე ქართლისას" ავტორი აღფრთოვანებული წერს: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათჳს დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა" (13:281). ბაგრატ III-ის ზეობის ხანაში ქუთაისის სიონის, სვეტიცხოვლისა და ბედიის ტაძრებს გარდა, ხომ არაერთი სხვა ტაძარი აიგო, მეფე ბაგრატი, როგორც ჩანს, ყველა მათგანს გულუხვად სწირავდა.

დიდ საეკლესიო მშენებლობათა გარდა, ბაგრატ მეფის საზრუნავს ქვეყნის მდგომარეობის განმტკიცება წარმოადგენდა, და მან „ვითარცა ჴელოვანმან მენავეთ-მოძღუარმან [როცა] განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა" (13:276), ურჩი ყმის, კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის დამორჩილება გადაწყვიტა. მიუხედავად ინტრიგებისა, რომლის მიზანი იყო დავით III-სთან მისი დაპირისპირება, ბაგრატ III-მ მოახერხა კონფლიქტი მშვიდობიანად მოეგვარებინა. იგი „მარტოდ-მარტო მივიდა დავით კურაპალატთან, ითხოვა შენდობა" და აუწყა, რომ მას მხოლოდ რატი ბაღვაშის დამორჩილება სურდა. დავით კურაპალატისაგან ამის ნება მიიღო და 989 წელს კლდეკარის საერისთავო შეერთა. რატი ბაღვაში „დაჯდა მამულსა თუსსა არგუეთს" (13:277-278; 20:127).

ბაგრატ მეფის მამასთან – გურგენ მეფეთა მეფესთან წაკიდებას ისახავდა მიზნად ბიზანტიის იმპერატორის ბასილ II-ის ქმედებაც, როცა 1001 წელს ტაოში შემოსულმა ბაგრატ მეფეს კურაპალატის, ხოლო გურგენ მეფეთა მეფეს მაგისტროსის ტიტული უბოძა. მემატიანეს შენიშვნით, შვილისათვის

უფრო მაღალი ტიტულის მიცემით იმპერატორს სურდა მამა-შვილი „მტერ ეყვნა ერთმანეთისა“, მაგრამ წადილს ვერ მიაღწია. „გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერ აღძრა გული მისი ზაკჳთა“ (18:382). იმ ხანად მამა-შვილის მცდელობა ბასილ II-საგან დავით კურაპალატის მემკვიდრეობა მიეღოთ, მარცხით დამთავრდა.

1008 წელს, ბაგრატ III-მ მამის – გურგენ მეფეთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობით მიიღო: ტაოს ჩრდილო ნაწილი (ამიერ ტაო), შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი. საქართველო ამიერკავკასიაში უძლიერესი სამეფო გახდა. ამიერიდან ბაგრატ III „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ტიტულს ატარებდა (8:128).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის დაუფლების შემდეგ, საქართველოსათვის კახეთის შემოერთების ჯერი დადგა. ამ პრობლემის გადაჭრა ბაგრატ მეფემ ჯერ მშვიდობიანად სცადა და „კახეთის ქორეპისკოპოს დავითს“ ქართლის ციხეების დაბრუნება მოსთხოვა. დავითმა პასუხად დაცინვით შემოუთვალა: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენ შორის დამაჯერებელ მკლავი და ომი“ (13:278). ბაგრატ III იძულებული გახდა, სამხედრო მოქმედებები დაეწყო – კახეთ-ჰერეთი თავის სამეფოს შემოუერთა (20:131), ეს იყო 1010 წელს.

იმხანად იმიერ ტაოს („დავითის მემკვიდრეობა“) თბილისის, ტაშირისა და შულავერის ხეობათა გარდა, საქართველოს ყველა კუთხე ბაგრატ III-ს მმართველობას ემორჩილებოდა, თუმცა მის საგამგეო ტერიტორიაზე რჩებოდნენ ცალკეული მფლობელები, რომლებიც გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. როგორც ვნახეთ, ბაგრატ III მტკიცე ხასიათს ავლენდა, როცა საქმე ქვეყნის ერთიანობას ეხებოდა. ამ მხრივ მან დედა – გურანდუხტ დედოფალიც არ დაინდო, მმართველობას ჩამოაშორა ბიძა – თეოდოს III, სცადა თავის მამობილის – დავით III-ის სამეფოს დაპატრონება. ამჯერადაც მან მტკიცე ნაბიჯი გადადგა: თავისი მამის დისწულები, კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლები სუმბატი და გურგენი სადარბაზოდ მიიწვია ფანასკერტში, შეიპყრო და თმოგვის ციხეში გადაიყვანა, სადაც 1012 წელს გარდაიცვალნენ (8:128).

როცა ბაგრატ მეფე საქართველოს საქმეებს აგვარებდა, განძის ამირა ფადლონმა დაიწყო კახეთისა და ჰერეთის „ჟამითი-ჟამად მეკობრეობით და პარვით რბევა“ (13:279). ფადლონის ასეთი ქმედებანი ბაგრატ III-მ სომხეთის მეფე გაგიკთან კავშირში აღკვეთა. ისინი ფადლონის სამფლობელოში შევიდნენ, ბაგრატ მეფემ „წარმოტყუენა ქუეყანა რანისა“, „დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი“ (13:280). ფადლონმა შენდობა ითხოვა. დიდებულების რჩევით, ბაგრატ მეფემ ფადლონს „აუწყა ზავის დასტური“. ფადლონმა ყოველწლიური ხარკი იკისრა. 1010–1014 წლებს შორის საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარიც უსაფრთხო გახდა საქართველოსათვის.

XI ს-ის ავტორი სუმბატ დავითის ძე ბაგრატ III-ის ღვაწლს ასე აჯამებს: ბაგრატ, აფხაზთა მეფემ, კურაპალატმა დიდმა „დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადა-

განი და შირვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფებითა, ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე" (18:382).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბაგრატ III-მ 36 წელი იმეფა და 52 წლისა გარდაიცვალა ფანასკერტში. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო საქართველოსათვის, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი ბიზანტიას ჰქონდა მიტაცებული, დედაქალაქი კი ჯერ კიდევ უცხოელთა ხელში რჩებოდა. დანაკლისი იყო ოჯახისათვის, უპირველეს ყოვლისა, უფლისწულ გიორგისათვის, რომელიც იმ ხანად „ჯერ კიდევ სრულჰასაკოვანი არ იყო" (20:133).

ზემოთ საკმაოდ ვისაუბრე ბაგრატ III-ის ღვაწლზე საქართველოს წინაშე, მაგრამ ამ დიდი პიროვნების სრულად წარმოსაჩენად მინდა ბაგრატ III-ის ოჯახზეც მოგახსენოთ. დაკვირვებული მკითხველი ალბათ იკითხავს – 52 წლის მეფეს, რომლის ზეობა 36 წელს გრძელდებოდა, გარდაცვალებისას რატომ არ ჰყავდა „სრულჰასაკოვანი" ძეო?

ბაგრატ III-ის ოჯახური მდგომარეობის შესახებ სრულ წარმოდგენას ვერც ძველი ქართული წყაროები და ვერც მის მიერ აგებულ „ბაგრატის ტაძარზე" არსებული წარწერები გვიქმნიან. ამ ტაძრის ერთი წარწერა ნაკლულია, ხოლო მეორეში ვკითხულობთ: „† მ მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა: მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამენ" (17:54).

როგორც ტექსტის გამომცემელი პროფ. ვ. სილოგავა წერს, წარწერაში ბაგრატის მამა გურგენი რადგან ცოცხალი ჩანს, ხოლო თვით ბაგრატ მეფე კურაპალატის ტიტულით იხსენიება, წარწერა 1001-1008 წლებით თარიღდება (17:53). წარწერაში ბაგრატ მეფის შემდეგ ნახსენები დედოფალი, რა თქმა უნდა, ბაგრატ III-ის ის მეუღლეა, რომლისაგან მას გიორგი შეეძინა. მაგრამ დასმული კითხვა – 1014 წელს გიორგი უფლისწული რატომ არ იყო სრულასაკოვანი, პასუხგაუცემელი რჩება.

1014 წელს საქართველოს სამეფოს ტახტზე ასული გიორგი I-ის დაბადების თარიღით აკად. ივ. ჯავახიშვილი დაინტერესდა. 1014 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ასული გიორგი I, – წერს ივ. ჯავახიშვილი, – მაშინ „წლისა ათექუსმეტისა" ყოფილა. უფრო მეტიც, „მატიანე ქართლისაჲ"-ს ანა დედოფლისეულ ნუსხაში გიორგის წლოვანებად 12 წელია მითითებული (20:133). ასე რომ, – დასძენს ივ. ჯავახიშვილი, – სუმბატის ცნობებიდან გამომდინარე, გიორგი I 998, ხოლო „მატიანე ქართლისას" ავტორის ცნობით, 1002 წელს დაბადებულა (20:133).

როგორც ზემოთ ითქვა, ბაგრატ III 980 წელს სრულწლოვანი – 18 წლისა გახდა და ქვეყნის ერთპიროვნულ მართვას შეუდგა. ივარაუდება, რომ მას იმავე ხანებში მეუღლეც უნდა შეერთო, თუმცა მისი ძე გიორგი მხოლოდ 998 ან 1002 წელს დაბადებულა – რა მოხდა, 18/20 წლის განმავლობაში განა ბაგრატ III-ს მეუღლე არ ჰყავდა?

ამ შემთხვევაში გარკვეულ ისტორიულ რეალობას ხომ არ უნდა შეიცავდეს აკად. ე. მეტრეველის მიერ მოხმობილი მასალა? მისი სიტყვით, ერთადერთი ცნობა, რომელიც, თითქოს, გიორგის გარდა ბაგრატის სხვა ვაჟიშვილებზედაც მიუთითებს, შემოუნახავს XVIII ს-ის სომეხ ისტორიკოსს ჩამჩიანს, რომლის მიხედვით შეუვსია მ. ბროსეს მის მიერ შედგენილი ქართველ ბაგრატიონთა გენეალოგია (15:22). ამ გენეალოგიიდან ვგებულობთ, რომ ბაგრატს ჰყოლია ორი მეუღლე და პირველი მეუღლისაგან მას ჰყავდა ძე გურგენი (15:22).

აკად. ე. მეტრეველს ეს გურგენი, მართალია, გიორგი I-ად მიაჩნია (15:22), მაგრამ „გურგენი“ და „გიორგი“ აშკარად სხვადასხვა სახელებია. ბაგრატ მეფემ თავის პირმშოს, როგორც ჩანს, ტრადიციისამებრ, მამის სახელი დაარქვა, მაგრამ რატომ „განუკვეთა ღმერთს იგი სამონასტრო სამსახურისათვის“, ძნელი სათქმელია (გურგენი მონაზვნობაში ბასილად იწოდა). იმ ხანად უფროსი შვილის ღვთისადმი მიძღვნა, მართალია, ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ჩვენ ვიცით, გრიგოლ ხანძთელი „საშოჲთგანვე დედისაჲთ [რომ] შეწირული იყო ღმრთისა დედისაგან თ;სისა“ (5:133), ხოლო გიორგი მთაწმიდელის მშობლებმა, აღთქმისამებრ, „პირველი ნაყოფი თ;სი... ვითარცა იქმნა... შ;დისა წლისაჲ შეწირეს ღმერთსა“ (6:345), მაგრამ ბაგრატ მესამეს თავისი უფროსი ძე ხომ ტახტის მემკვიდრედ უნდა გაეზარდა – მგონი ნათელია, გურგენის ხახულის ლავრაში განწესებით რას შესთხოვდა მეფე ღმერთს.

ბაგრატ III-ს რომ ორი მეუღლე ჰყავდა და პირველი მეუღლისაგან რომ უნდა შესძენოდა მას ხახულის ლავრაში მოღვაწე ბასილი ბაგრატის ძე (ასევე მისი და, ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე), ამის შესახებ ქართველი ავტორები კარგა ხანია უთითებენ. ჯერ კიდევ ანტონ I კათალიკოსი (გარდაიცვალა 1788 წ.) თავის „წყობილსიტყვაობაში“ წერდა:

„ვასილი წარმო მეშუთაგან ჩინებულთა,
ძე ბაგრატისი, ვჰგონებ რეცა მეფისა“ (2:168, № 717, 718).

1813-1828 წლებში შედგენილ „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილმა ბასილი ბაგრატის ძე ბაგრატიონთა სახლის წევრად (9:172), ხოლო პ. იოსელიანმა ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის“ გამოცემისას (1853 წელს) უკვე ბაგრატ III-ის ძედ (19:240, შენ. 129) გამოაცხადა. მსგავს დასკვნამდე მივიდა პორფირი უსპენსკიც (22:762).

ახალი დროის მკვლევართაგან კი აკად. კ. კეკელიძემ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე მიუთითა: „ფერის ჯოჯიკის ძეს ცოლად ჰყოლია ბაგრატ III-ის ქალი, დაი ბასილი მოღვაწის და გიორგი პირველისა“ (10:214). კ. კეკელიძის შემდეგ პროფ. ლ. მენაბდემ აღნიშნა: „ხახულის ცნობილი მოღვაწეა ბაგრატ მესამის შვილი ბასილი, რომელსაც გიორგი მთაწმიდელის აღზრდაშიც მიუღია მონაწილეობა“ (14:456). ბასილი ბაგრატის ძე რომ ბაგრატ III-ის ძე იყო, ამის შესახებ მიუთითა პროფ. ი. ლოლაშვილმა ქართულ ენციკლოპედიაში ბასილი ბაგრატის ძისადმი მიძღვნილ ნერილში (11:221).

ქართველ ფილოლოგთა შორის დამკვიდრებულ ზემომოტანილ მოსაზრებას აკად. ე. მეტრეველი სკეპტიკურად უყურებდა. მისი თქმით, „ძნელი

დასაჯერებელია, რომ ბაგრატ მესამეს ჰყოლოდა ასეთი სახელმოხვეჭილი ძე და ასული, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე, და ეს აღუნიშნავი დარჩენილიყო სუმბატის ქრონიკაში და „მატიანე ქართლისაში". ეს წყაროები არც ბასილს და არც ფერის მეუღლეს არ იცნობენ, ორივე წყაროში კი მეფეთა გენეალოგიაზე დეტალური ცნობებია დაცული" (15:22).

დასახელებულ წყაროებში ბასილ ბაგრატის ძეზე და მის დაზე რომ ცნობები არაა, ეს აკად. კ. კეკელიძის მითითების უარსაყოფად არ გამოდგება. ეს წყაროები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის „ახლად შენების" შესახებაც არაფერს წერენ, რაც მთავარია, მათში არაერთი უზუსტობაცაა (13:284).

ბაგრატ III-ის ოჯახის შესახებ არსებული მასალები პირველად 2011 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „ათასწლოვანი სვეტიცხოველი. ნარკვევები" გავაანალიზე და მონოგრაფიის დასრულებისას გული მწყდებოდა, ბაგრატ III-ს რომ ორი მეუღლე ჰყავდა, სათანადოდ დასაბუთებული არ მქონდა. საჭირო ცნობის მიკვლევას არც ველოდი, რადგან ვფიქრობდი, 250 წლიდან ქართულ ისტორიოგრაფიას ასეთი ცნობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა-მეთქი. ერთ დღეს, შემთხვევით, ხელში ავიღე კრებული, რომლის ერთ გამოკვლევაში ბრეთის საწინამძღვრო ჯვრის წარწერა იყო მოყვანილი – სწორედ მასშია ცნობა ბაგრატ III-ის პირველი მეუღლის შესახებ. წარწერაში ნათქვამია: „ქ. დაამყარე და ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე ძეი მეფეთა მეფისა გურგენისი. ქრისტე შეიწყალე მართა დედოფალი" (23:72).

როგორც შემდეგში გავარკვიე, აღნიშნულ ცნობას თ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ „ქრონიკების" პირველი ტომის გამოცემისას (1892 წ.) მიაქცია ყურადღება და აღნიშნა: „მართა დედოფალი უნდა იყოს აქამდე უცნობი მეუღლე ბაგრატ III-ისა"-ო (16:152). ბრეთის საწინამძღვროს წარწერა გაანალიზებული ჰქონდა აკად. გ. ჩუბინაშვილსაც (23:72).

წარწერაში „ბაგრატ აფხაზთა მეფის" (ბაგრატ III-ის) მამად დასახელებული „მეფეთა მეფე გურგენი" რომ ბაგრატ III-ის მამაა, ეს საეჭვო არაა. იგი 994 წლიდან იწოდა მეფეთა მეფედ. მეორე მხრივ, წარწერაში ბაგრატ III და გურგენ მეფეთა მეფე რადგან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით არ იხსენიებიან, წარწერის შესრულების დროდ 994-1001 წლებს შორის მონაკვეთია მიჩნეული (23:73). წარწერის შესრულებისას (უფრო სწორად, ჯვრის დამზადებისას) დედოფალი მართა გარდაცვლილი ყოფილა. მართა უნდა მივიჩნიოთ ბაგრატ III-ის პირველ მეუღლედ. ბრეთის საწინამძღვრო ჯვარი გაბრიელ საფარელის მიერაა დამზადებული (23:73; 3:42) და მესხ მოღვაწეს ბაგრატ III-ის ოჯახური ამბები კარგად ეცოდინებოდა.

ბრეთის საწინამძღვრო ჯვარზე არსებული წარწერის სახით ჩვენს ხელთაა უნიკალური ცნობა, რომელიც ახალი მასალით ავსებს ჩვენს ცოდნას საქართველოს გამაერთიანებელი მეფის – ბაგრატ III-ის ოჯახის შესახებ. ახლა ვიცით, რომ მისი პირველი მეუღლე ყოფილა მართა დედოფალი, რომლისგანაც უნდა შესძენოდა ბაგრატ III-ს ერთი ძე გურგენი (მონაზვნობაში ბასილი

ბაგრატის ძე) და ერთი ასული – დიდი სახელმწიფო მოღვაწის ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე. აქვე უნდა დავსძინო: ხახულის ლავრაში მოღვაწე ბასილი ბაგრატის ძე დიდი მამის ღირსეული ძე იყო. 1019 წელს ხახულის ლავრაში ჩასული გიორგი (მთაწმიდელი) მას „დიდს“, „მოძღვარს და განმანათლებელს ქუეყანისა ჩუენისას“ უწოდებს (6:348). ნიშანდობლივია ისიც, რომ როგორც ფერისი, ისე მისი წინაპრები ბაგრატიონთა სახლის დიდი ერთგულები იყვნენ. სავარაუდოა, სწორედ ბაგრატ III-სთან და გიორგი I-თან ახლო ნათესავობის გამო დასაჯა ბასილ II-მ, 1022 წელს აჯანყებულთაგან მხოლოდ ფერის ჯოჯიკის ძე, მისი ოჯახი კი ტაოდან კონსტანტინოპოლში გაასახლა (7:150).

მემატიანე შეუძლებლად თვლიდა „ყოველთა იმ განკარგულებათა“ ჩამოთვლას, რაც ბაგრატ III-მ ქვეყნისათვის მოიმოქმედა – „მოუძლურდება ძალი მისი“-ო. მე მაინც ვცადე, ვახტანგ გორგასლის დარი მეფის დიდი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე მისი გარდაცვალებიდან 1000 წლისთავზე თანამედროვე საზოგადოებისათვის ერთხელ კიდევ მომეთხრო.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ალექსიძე ზ., ატენის სიონის სომხური ნარწერები. თბ., 1978.
2. ანტონ ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა“, ნიგნი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ, თბ., 1972.
3. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974.
4. ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნისა. საქართველოს ისტორიის საკითები, ნიგნი IV, თბ., 1967.
5. გიორგი მერჩული, შრომაი და მოღუანებაი ღირსად-ცხორებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი. ჩვენი საუნჯე, ძველი მწერლობა, ტ. I. თბ., 1960.
6. გიორგი მცირე, ცხორებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაი. ჩვენი საუნჯე, ძველი მწერლობა. ტ. I, თბ., 1960.
7. გოილაძე ვ., ათასწლოვანი სვეტიცხოველი. ნარკვევები, თბ., 2011.
8. გუჩუა ვ., ბაგრატ III. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II, თბ., 1977.
9. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტ. II, თბ., 1948.
10. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1960.
11. ლოლაშვილი ი., ბასილი ბაგრატის ძე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2. თბ., 1977.
12. ლორთქიფანიძე მ., მეფე ბაგრატ მესამე. ქუთაისი, 2002.
13. მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.
14. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკვეთი მეორე. .....
15. მეტრეველი ე., ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, თბ., 1952.

16. ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა. თფილისი. 1892.
17. სილოგავა ვ., ლაპიდარული წარწერები. II, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.
18. სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.
19. წყობილ-სიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუ'ლისა კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართუელოსა. თბილისი, 1853.
20. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983.
21. Кекелидзе К. С., Древнегрузинский архиератикон. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. XII, თბ., 1973.
22. Успенский П., История Афона (часть III), Киев, 1877.
23. Чубинашвили Г., Грузинское чеканное искусство, Тб., 1959.

VAKHTANG GOILADZE

THE GREAT KING BAGRAT III CUROPALATES- THE 1000TH ANNIVERSARY OF HIS DEATH

Summary

In May, 7, 2014 it is the 1000th anniversary of the death of king Bagrat. He is one of those Georgian kings whoarementionedby old authors as "great". Bagrat III reigned 36 years and created united Georgia. The personality of young Bagrat Bagrationi already determined the unification of Georgia. He was heir of the three royal families of those days Georgia. From Father's side he owned the right to become "king of Georgians" and "king of Abkhazs" rom mother's side. He also owned the right to become "king of Tao", as an adopted son of childless king of Imier - Tao, David Curopalates. Besides the territoriesobfained by inheritance, he attached 'to his lands the principalities of Klde - Kari and Kakhet - Hereti.He strengthened the eastern frontiers of the country. In his fight for uniting Georgia he was merciless even towards his relatives. Together with him for uniting Georgia were fighting: eristavi (ruler) of Kartli, Ioane son of Marusni, king of Tao, David Ili, Catholicos of Kartli Melkisedek I.

It became clear that those scientists (K. Kekelidze, L.Menabde, I. Lolashvili), who, based on the old tradition, believed that Basil, who was active in Khakhuli lavra was a son of Bagrat III. Basil should have been his son with his first wife queen Marta, who died before 998. This viewpoint is proved by the inscription on Breti cross.

В. И. ГОИЛАДЗЕ

ВЕЛИКИЙ ЦАРЬ БАГРАТ III КУРОПАЛАТ – 1000 ЛЕТ СО ДНЯ КОНЧИНЫ

Резюме

7 мая 2014 года исполнилась 1000 лет со дня кончины великого царя Баграта III-го. 36-летнее царствование Баграта III-го (конец X и начало XI вв) является особенно важным этапом с точки зрения создания единой Грузии – Сакартвело.

Во время царствования Баграта Багратиони дело объединения грузинских земель стало реальным. Престол «Царя абхазов» он наследовал по линии матери, он был единственным сыном «Царя картвелов» Гургена и наследником куропалата Давида III-го царя Имиер-Тао. В процессе объединения Грузии он подчинил себе непокорного эристава Триалети – Рати Багваши. После смерти отца (1008 г.) Баграт III стал «Царем картвелов» и владетелем отцовского наследства (Амиер-Тао, Шавшети, Самцхе-Джавахети). В 1010 г. он присоединил «Царство кахов и ранов». В борьбе за объединение грузинских земель, Баграт не пощадил и своих ближайших родственников, представителей рода Багратионов, братьев Гургена и Сумбата. После чего большая часть грузинских земель была объединена под единодержавной властью Баграта III-го – «Царя абхазов, картвелов, кахов и ранов». Объединение грузинских земель Баграт III осуществил при поддержке эристава Картли Иоанна Марушис-дзе и царя Имиер-Тао Давида III-го куропалата. Согласно автору «Матиане Картлиса» политическая власть Баграта III охватывала и соседние народы Кавказа.


В царствовании царя Баграта III были построены: т. н. храм Баграта в Кутаиси, Светицховели и церковь в Хциси в Картли, Никорцминда в Раче, Бедия в Абхазии и др.

Согласно нашему исследованию, правы были те ученые (К. Кекелидзе, Л. Менабде, И. Лолашвили), которые считали монаха Хахульского монастыря Басили, сыном царя Баграта III-го.

ნანა ხაზარაძე

გიორგი მელიქიშვილი

2013 წლის 30 დეკემბერს მსოფლიო რანგის მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელს, საზოგადო მოღვაწეს, სახელმწიფო და აკადემიური პრემიების მრავალგზის ლაურეატს გიორგი მელიქიშვილს 95 ნელი შეუსრულდებოდა. ბატონი გიორგი მარადჟამს მშვიდი, გაწონასწორებული, კეთილმოსურნე, თავმდაბალი პიროვნება იყო, ორიგინალური კონცეფციებით, იდეებით, ჰიპოთეზებით აღსავსე.



რასაკვირველია, 2002 წლის მარტის სევდიან დღეებში ვერ ვიფიქრებდი, რომ ბატონი გიორგის სიცოცხლის გზას 1918 წლიდან 2002 წლამდე მეც გავივლიდი. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი დიდი მასწავლებლის გამოუქვეყნებელ მემუარულ ჩანაწერებს წავიკითხავდი, მის სულიერ სამყაროში ასე ღრმად ჩავიხედავდი, ჩემთვის სრულიად ახალ, მეოცნებე, გულღია, ლაღ, სხვადასხვა ქვეყნების ტბებსა, ზღვებსა და ოკეანეებში ცურვით აღტაცებულ, ჭადრაკისა და ფეხბურთის დიდად მოყვარულ, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ურთიერთობისას ბავშვად ქცეულ, ოჯახის წევრებისათვის ასე ნაცნობ და ჩემთვის ასე უცნობ, მაგრამ კიდევ უფრო დიდ და საინტერესო ბატონ გიორგის აღმოვაჩენდი.

გიორგი მელიქიშვილი თბილისის ძველ უბანში – ხარფუხში, 1918 წლის 30 დეკემბერს ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაიბადა. ნიჭიერებითა და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით პატარა გიორგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა. ქართული ნერა-კითხვა სკოლამდელ ასაკში, ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში, შეისწავლა. იქვე რუსულ ენასაც დაეუფლა და მათემატიკასაც. შემდგომში ბატონი გიორგი უდიდესი მადლიერებით იხსენებდა მათ მეზობლად მცხოვრებ სასულიერო პირს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მოძღვარს, ივანე ქავჟარაძეს, რომელმაც მომავალ დიდ მეცნიერს შრომაც შეაყვარა,

პასუხისმგებლობის გრძნობაც გაუღვიძა და სწავლა-განათლების მშვენიერ სამყაროსაც აზიარა.

მომავალი პროფესიის არჩევანზე ბატონი გიორგი ბევრს ფიქრობდა: მას ისტორიაც იზიდავდა და ასტრონომია-ფიზიკაც. ბოლოს ისტორიის მუზის – კლიოს მსახურება გადაწყვიტა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე პირველკურსელ გიორგი მელიქიშვილს ქართველ მეცნიერთა თანავარსკვლავედი დახვდა. მას ბედნიერება ჰქონდა მოესმინა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, ლევან მუსხელიშვილის, გიგო ნათაძის, ალექსანდრე ნამორაძის, გიორგი გოზალიშვილის, გიორგი ჩიტაიას, გიორგი ნიორაძის, კოტე ბაქრაძის, მოსე გოგიბერიძის, იასე ციცაძისა და სხვა ცნობილ მეცნიერთა ლექციები. უნივერსიტეტში სწავლის წლებში ბატონი გიორგის მომავალ კვლევა-ძიებათა პრობლემატიკა თანდათან გამოიკვეთა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ძველი ისტორიის იმ სამეცნიერო წრის აქტიური წევრი გახდა, რომელსაც ძველი მსოფლიოს ისტორიის მაშინ უკვე კარგად ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი გიორგი გოზალიშვილი ხელმძღვანელობდა. ბატონი გიორგი აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაშიც.

იდუმალებით მოსილი ძველაღმოსავლური სამყაროს შესწავლის სურვილი ბატონ გიორგის განსაკუთრებით მას შემდეგ მოეძალა, როდესაც სიმონ ჯანაშიას მიერ საქართველოში მოწვეული ცნობილი ავსტრიელი მეცნიერის, მსოფლიოში აღიარებული ურარტოლოგის, კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის და ხეთოლოგიის ფუძემდებლის, ჩეხი მეცნიერის, ბედრჟიხ ჰროზნის ლექციების კურსს დაესწრო.

1939 წლის შემოდგომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინების დიპლომით დამთავრების შემდეგ, გიორგი მელიქიშვილი იმავე უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტურის პირველ კურსზე ჩაირიცხა, სპეციალობით: „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“. გიორგი გოზალიშვილისავე რჩევით, ასპირანტმა ურარტოლოგიის დარგში დაოსტატება გადაწყვიტა, თუმცა სიმონ ჯანაშიაც და ნიკოლოზ ბერძენიშვილიც მას, როგორც გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულს, საქართველოს ისტორიის პრობლემატიკაზე მუშაობას არაერთგზის სთავაზობდნენ. ბატონი გიორგი გიორგი წერეთელთან ლურსმული დამწერლობისა და ურარტული ენის შესწავლას შეუდგა. პირველმა წარმატებულმა შედეგებმაც არ დააყოვნა: 1941 წლის ნოემბრისათვის ბატონი გიორგი ლურსმულ დამწერლობასაც დაეუფლა და ურარტულ ენასაც, შეეძლო დამოუკიდებლად ამოეკითხა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაუნჯებული ურარტული წერილობითი ძეგლები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლისას (1939-1941 წწ.) გიორგი მელიქიშვილმა ფრიადზე ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული კურსები ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში (ზოგადი კურსი), ფრანგულ ენაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში.

1941 წლის ნოემბერში სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილისა და გიორგი

წერეთლის ერთსულოვანი შუამდგომლობით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის თანხმობით, გიორგი მელიქიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურიდან ახლად დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) ასპირანტურაში იქნა გადაყვანილი. უფრო მეტიც, იმავე ქართველ მეცნიერებს განზრახული ჰქონდათ იგი ლენინგრადში გაეგზავნათ, სადაც სამეცნიერო კვალიფიკაციას ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეთა – ვ. სტრუვეს, ბ. პიოტროვსკის, ი. დიაკონოვისა და სხვათა ხელმძღვანელობით აიმაღლებდა. სამწუხაროდ, ამ კეთილ განზრახვას ასრულება არ ეწერა: 1941 წლის 22 ივნისს დაწყებულმა ომმა შეუძლებელი გახადა ლენინგრადს ბატონი გიორგის გამგზავრება.

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ბატონი გიორგის სამეცნიერო ხელმძღვანელები გიორგი წერეთელი და სიმონ ჯანაშია ბრძანდებოდნენ. გიორგი წერეთელი მას ასურულ-ბაბილონურ (აქადურ), ურარტულ, ძველ ებრაულ და არაბულ ენებში ამზადებდა, სიმონ ჯანაშიასთან კი საქართველოსა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კარდინალურ პრობლემებს ეუფლებოდა. ძველი ბერძნულის ცოდნას ბატონი გიორგი ს. ყაუხჩიშვილს უმადლოდა, ხოლო გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენებისას – თ. ავილოვს.

ძველი (ე. წ. „მკვდარი") და ახალი ენების დაუფლებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება-დამუშავების პარალელურად ბატონი გიორგი ინტენსიურად მუშაობდა საკვალიფიკაციო ნაშრომზე: „ურარტუს სამეფოს წარმოქმნა". თანდაყოლილმა ნიჭიერებამ და თავაუღებელი შრომის გამორჩეულმა უნარმა აქაც ახალგაზრდა მკვლევარს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა. 1944 წლის გაზაფხულზე საკუთარი ხელით, ულამაზესი კალიგრაფიით გადაწერილი სადისერტაციო ნაშრომის სამი ეგზემპლარი გიორგი მელიქიშვილმა თავის სამეცნიერო ხელმძღვანელს, გიორგი წერეთელსა და ოფიციალურ ოპონენტებს – სიმონ ჯანაშიას და მაქსიმე ბერძნიშვილს წარუდგინა.

ბატონი გიორგის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული საჯარო პაექრობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1944 წლის 15 დეკემბერს გაიმართა. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ურთულეს პრობლემატიკაზე გიორგი მელიქიშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევა-ძიების შედეგებმა სამეცნიერო საბჭოს წევრთა მოწონება დაიმსახურა. სამეცნიერო საბჭომ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ერთსულოვნად მიანიჭა. მოგვიანებით იგივე გადაწყვეტილება მოსკოვში მაშინ არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამაც მიიღო.

წლების მანძილზე დიდი მეცნიერებისაკენ გიორგი მელიქიშვილის გზის გამკვლევი და დიდი გულშემატკივარი, იმჟამად კი ოპონენტი სიმონ ჯანაშია თავისი რეცენზიის დასკვნით ნაწილში აღნიშნავდა: „შეიძლება ითქვას, ჩვენ წინაშე ისეთი მკვლევარია, როგორ მკვლევართა მომზადებაც ჩვენს ამოცანას შეადგენს. ამხ. გ. მელიქიშვილი უკვე იმდენად იცნობს სამ ევროპულ

ენას, რომ თავისუფლად სარგებლობს ამ ენებზე არსებული ლიტერატურით. იგი იცნობს და დაუფლებულია კიდევ რთულ კატეგორიას ამ წყაროებისა – ლურსმულ წყაროებს. ამ ლურსმული წყაროების ციტირება ნაშრომში და, საერთოდ, მეთოდოლოგიური მხარე ნაშრომისა ამჟღავნებს სერიოზულ, ნამდვილ მეცნიერულ სკოლას, რომელიც დისერტანტს გაუვლია. ეს არის დამსახურება ამხ. დისერტანტის ხელმძღვანელისა, შემდეგ, ალბათ, მეცნიერული გარემოცვისა და შემდეგ, უეჭველად, თვით დისერტანტისა. ამით არ ამოიწურება ჩვენი დისერტანტის ღირსება; აქ არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო დებულებები, რომლებიც საკმაო წვლილს შეიტანენ ამ რთულ და უაღრესად დახლართულ სფეროში".

ბატონმა გიორგიმ თავისი დიდი მასწავლებლის – სიმონ ჯანაშიას იმედი სრულად გაამართლა. მან ურარტოლოგიას, ძველაღმოსავლური მეცნიერების ერთ-ერთ ურთულეს დარგს განვითარების ახალი პერსპექტივები გადაუშალა.

1944-1957 წლები ბატონმა გიორგიმ თავდაუზოგავ შრომაში გაატარა. პირველი ორენოვანი (ქართულ-რუსული) სამეცნიერო სტატია სათაურით: „ურარტუს ღვთაებათა საკულტო ცენტრები" – მან 1946 წელს „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში" (ტ. III, №6) გამოაქვეყნა. 1947-52 წლებში მეცნიერი „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში", „Вестник древней истории"-ს ფურცლებზე, „ანალებში", „მიმომხილველში" პირველწყაროების სკრუპულოზურ ანალიზზე დაფუძნებული, არა ერთი ახალი დებულების შემცველი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომით წარსდგა.

1947-1952 წლები დიდი სამზადისი იყო ეტაპობრივი მნიშვნელობის ნაშრომების შესაქმნელად და გამოსაქვეყნებლად, რომელთაც ბატონ გიორგის საყოველთაო აღიარება მოუპოვეს და მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობაში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრეს.

„Вестник древней истории"-ს 1953 წლის №№ 1, 2, 3, 4-სა და 1954 წლის №1-ში ბატონი გიორგის „Урартские клинообразные надписи", ხოლო 1954 წელს თბილისში მისი ფუნდამენტური მონოგრაფია – „Древневосточные материалы по истории народов Закавказья. I. Наири-Урарту" – გამოქვეყნდა. ურარტული ლურსმული წარწერების მელიქიშვილისეული კორპუსი სპეციალისტებს იმ დროისათვის ცნობილი უკლებლივ ყველა ურარტული წარწერის ტრანსლიტერაციას, რუსულ თარგმანს, კომენტარებს, ურარტული ენის გრამატიკას და საძიებლებს სთავაზობდა. ამ გამოცემაზე აღმოსავლეთმცოდნეთა აღფრთოვანებულმა რეაქციამ არ დააყოვნა. მსოფლიოში ცნობილმა ურარტოლოგმა და ხეთოლოგმა იოჰანეს ფრიდრიხმა „Вестник древней истории"-ს რედაქციას, 1953 წლის პირველი ნომრების გამოქვეყნებისთანავე, საგანგებო წერილით მიმართა, სადაც ქართველი მეცნიერის ნამუშევარი მსოფლიო ურარტოლოგიის უდიდეს მიღწევად შეაფასა.

ბატონი გიორგის ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსისადმი და, საერთოდ, მისი ურარტოლოგიური ძიებებისადმი ამგვარი აღტაცებული დამოკიდებულება იოჰანეს ფრიდრიხს, რომელსაც მეცნიერი თავის „მემუა-

რულ ჩანაწერებში" „ჩემს კერპს" უწოდებს, ბერლინიდან გამოგზავნილ წერილებში არაერთგზის გამოუვლენია.

„Вестник древней истории"-ს 1953 წლის №1-ს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, პროფესორი იგორ დიაკონოვი და მსოფლიოში აღიარებული სხვა არაერთი მეცნიერი გამოეხმაურა.

მოვლენებს წინ გავუსწრებ და დავძენ, რომ კიდევ უფრო დიდი მოწონება და აღიარება ხვდა წილად „Урартские клинообразные надписи"-ს წიგნად გამოცემას, რომელიც 1960 წელს მოსკოვში განხორციელდა. ეს ფუნდამენტური ნაშრომი, რომელსაც მაშინ ანალოგი არ მოეპოვებოდა, იმ დროისათვის ცნობილ 500-მდე ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლსაც გვაცნობდა და ურარტული გრამატიკის საიდუმლოებათა ამოხსნის წარმატებულ შედეგებსაც გვაზიარებდა. ფასდაუდებელია „კორპუსისათვის" დართული ურარტული ენის ლექსიკონი, რომელიც ყველა ურარტული სიტყვის, საკუთარი სახელისა და იდეოგრამა-დეტერმინატის სიმფონიას წარმოადგენს. ბატონ გიორგიმდე ამ მასშტაბის და ამ ხარისხის სამუშაო არც ჩვენში და არც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არავის ჰქონია შესრულებული.

ბატონი გიორგის პირად არქივში თვალსაჩინო რუსი ურარტოლოგის, „Халдоведешс"-ს, „Язык Ванской клинописи"-ს და სხვა არაერთი ურარტოლოგიური ნაშრომის ავტორის, ერთ დროს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერისხულ აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის წერილებიც ინახება. ამ გზავნილიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთის მაღალ სამეცნიერო წრეებში გიორგი მელიქიშვილის ურარტოლოგიური ძიებანი.

აღრფთოვანება „Урартские клинообразные надписи"-ს 1960 წლის გამოცემასთან დაკავშირებით ვერც იტალიელმა ცნობილმა ურარტოლოგმა, მარიო სალვინიმ დამალა, რომელმაც ამ გამოცემას „ურარტოლოგთა ბიბლია" უწოდა.

ბატონი გიორგი ყველა იმ საქებარ სიტყვას, რომელიც მის ურარტოლოგიურ ძიებებთან დაკავშირებით იყო გამოთქმული, ალბათ, გულისყურით უსმენდა, მაგრამ როგორც მეცნიერის პირადი ჩანაწერებიდან და მიხეილ წერეთლისადმი მიძღვნილი წერილიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ურარტოლოგიის კორიფეს", მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ის რადიო-ინტერვიუ იყო, რომელიც უკვე მხცოვანმა მეცნიერმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უცხოეთში ჩაწერა, სადაც მსოფლიო ურარტოლოგიაში ქართველ მეცნიერთა მიერ შეტანილი დიდი წვლილის მაგალითად თავისი ძმისშვილი – გიორგი წერეთელი და გიორგი მელიქიშვილი დაასახელა.

1954 წელი ბატონი გიორგისათვის ფეხბედნიერი სხვა მიზეზებითაც აღმოჩნდა. ამ წელს ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსთან ერთად ძველაღმოსავლური ისტორიოგრაფია ზემოთ უკვე მოხსენიებული მონოგრაფიით: „Наири-Урарту"-თი გამდიდრდა. ამ ნაშრომით კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ გიორგი მელიქიშვილმა ურარტოლოგია თვისობრივად ახალ

საფეხურზე აიყვანა. როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ეს მონოგრაფია კომპლექსური კვლევის სამაგალითო ნიმუშია. მასში უმდიდრესი პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე სიღრმისეულადაა შესწავლილი ნაირი-ურარტუს ისტორიული გეოგრაფიის, უძველეს ახლო აღმოსავლეთში განსახლებულ მრავალრიცხოვან ხალხთა ეთნიკური კუთვნილების ურთულესი საკითხები, გაშუქებულია ამ მსხვილი რეგიონის სხვადასხვა ეთნოსთა ისტორიული განვითარების პროცესები, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადაა აღდგენილი ნაირი-ურარტუს სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური წყობის სურათი, გამოვლენილია მისი თავისებურებანი და, ამასთანავე, წარმოჩენილია ამ ქვეყნის მოსახლეობის კულტურისა და რელიგიის ისტორიის სრულიად ახალი ასპექტები.

1954 წელი ბატონი გიორგის ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტით აღინიშნა. ამ წლის 30 აპრილს „Урартские клинообразные надписи"-ს და „Наири-Урарту"-ს საფუძველზე შექმნილი სადისერტაციო ნაშრომისათვის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების სამეცნიერო საბჭომ მას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა. ოპონირებას დისერტანტს რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენლები - ვ. სტრუვე, ნ. მეშჩანინოვი და ბ. პიოტროვსკი უწევდნენ. დაცვამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ოპონენტებმა გიორგი მელიქიშვილი ქება-დიდებით აავსეს. უფრო მეტიც, ურჩიეს, იგივე სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლადაც წარედგინა. ლენინგრადში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით ჩასულმა ქართველმა ახალგაზრდებმა - თ. გამყრელიძემ, ა. მენაბდემ, გ. გიორგაძემ, ო. ცქიტიშვილმა, ზ. შარაშენიძემ ბატონი გიორგის გამარჯვებით დიდად გაიხარეს. აშკარა იყო, რომ ამიერიდან ურარტოლოგიის საერთაშორისო ცენტრი ბინას საქართველოში დაიდებდა.

ნაშრომებისათვის „Урартские клинообразные надписи" და „Наири-Урарту", ლენინური პრემიის დაარსების პირველივე, 1957 წელს, 39 წლის გიორგი მელიქიშვილმა, საბჭოთა ისტორიკოსებს შორის პირველმა, დაიმსახურა ქვეყნის ეს უმაღლესი ჯილდო.

ძველაღმოსავლური ძიებანი ბატონ გიორგის არც XX საუკუნის 60-80-იან წლებში შეუწყვეტია. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ გამოცემებში მან ძველაღმოსავლური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი გამოსცა.

გიორგი მელიქიშვილის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაში ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის კვლევას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ ურთულესი პრობლემის სხვადასხვა ასპექტის სკრუპულოზურ შესწავლას მეცნიერის არაერთ ნაშრომში ვხვდებით, მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავშირებული გიორგი მელიქიშვილისეული კონცეფცია მთელი სისრულით მაინც მის ორ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევაშია ჩამოყალიბებული. ესენია: თბილისში 1965 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია: „საქართველოს,

კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის" (თბილისი, 1970) და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" I ტომში შესული, მისი ავტორობითვე შესრულებული გამოკვლევა: „ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი".

ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში ბატონმა გიორგიმ დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემის მიმართ. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ იგი აქტიურად ჩაერთო 1954 წელს საქართველოში ამ პრობლემისადმი მიძღვნილ საკმაოდ ცხარე დისკუსიაში. დისკუსიის მსვლელობისას წარმოთქმული მისი მოხსენების თეზისები 1954 წელსვე გამოქვეყნდა, ხოლო 1955 წელს იმავე პრობლემასთან დაკავშირებული მელიქიშვილისეული ნააზრევი სრულყოფილად აისახა მონოგრაფიაში: „საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის".

ბატონმა გიორგიმ აღნიშნული პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს შემდგომშიც არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა. უკვე 1958 წელს მან დიდი შრომა გასწია ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის დასადგენად. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს, „ქართლის ცხოვრების", ბერძნულ-რომაული და ძველი სომხური წერილობითი წყაროების მონაცემთა ურთიერთშეჯერების გზით და, ამასთანავე, ქართლის (იბერიის) სამეფოში და ახლო აღმოსავლეთში ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მიმდინარე რთული პროცესების გათვალისწინებით, მეცნიერმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ძველი ქართლის (იბერიის) ისტორიის ქრონოლოგიაში. ასეთივე გამოწვლილვითი კვლევა ჩაატარა მეცნიერმა ძველი ქართლის (იბერიის) მეფეთა სიის ქრონოლოგიის შესწავლის მიმართულებითაც და იმ ახალ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ სიებში არსებითი ხასიათის ხარვეზები არსებობს, კერძოდ, გამორჩენილია იმ ქართველ მეფეთა სახელები, რომლებიც ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებიდან ვიდრე ახ. წ. III საუკუნემდე ქართლში (იბერიაში) რეალურად მოღვაწეობდნენ. ამ საკითხს მეცნიერი 1978 წელს კვლავ მიუბრუნდა სამეცნიერო წერილში: "ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ" (მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1978, 3, გვ. 54-63). იმავე თემას ეხება აკადემიკოს ბ. პიოტროვსკის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში 1985 წელს გამოქვეყნებული მისი სტატიაც: „Список царей древней Картли (Иберии)".

1962-1967 წლებში გიორგი მელიქიშვილმა ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველ ისტორიასთან დაკავშირებით ახალი თვალსაზრისის შემცველი კიდევ ორი ნაშრომი გამოაქვეყნა: „ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა „მოამბე", 1962, გვ. 221-237) და „ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა „მაცნე", 1967, გვ. 48-60).

ბატონი გიორგის სამეცნიერო ინტერესების გათვალისწინებით, სავსე-

ბით კანონზომიერი იყო, რომ იგი ვერც იმ საერთაშორისო და იმდროინდელ საკავშირო დისკუსიების მიმართ იქნებოდა გულგრილი, რომლებიც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ე. წ. „აზიური წესის" რაობის პრობლემასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა. რაკი ეს დისკუსიები ძველაღმოსავლურ და ანტიკურ საზოგადოებებში სოციალური წყობის რაობის ახლებურ იდენტიფიკაციას ისახავდა მიზნად, უკეთ კი, ამ საზოგადოებაში მონათმფლობელური წყობის არსებობას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, ამგვარ დისკუსიებში მონაწილეობა საბჭოთა ისტორიკოსებისათვის არც თუ ისე უსაფრთხო უნდა ყოფილიყო. ეს ვითარება საკმაოდ თვალნათლივ გამოჩნდა მოსკოვში, 1966 წლის 3-8 თებერვალს გამართულ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, კულტურისა და ფილოლოგიისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციის მუშაობის დღეებში, როდესაც მისი მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მათ შორის, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნენი:

ი. დიაკონოვი, მ. გელცერი, ნ. პასტოვსკაია და სხვები), დისკუსიის თავიდან აცილების მიზნით, „თეორიულ არდადეგებს" ითხოვდა, ხოლო მეორე – გააფთრებით იცავდა საბჭოთა მეცნიერებაში გაბატონებულ თვალსაზრისს ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის შესახებ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე შემდგარ დისკუსიაზე ბატონი გიორგის მოხსენებამ, საკმაოდ დაძაბული სიტუაციის მიუხედავად, დიდი მოწონება დაიმსახურა (რის მოწმეც ამ ნარკვევის ავტორიც იყო).

ზემოხსენებულ დისკუსიაზე, მეცნიერთა საკავშირო და საერთაშორისო ფორუმებზე წაკითხულ მოხსენებებში, ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე შესრულებულ მრავალრიცხოვან სამეცნიერო პუბლიკაციებშიც, იმ დროისათვის არსებული პირველწყაროების მთლიანობაში გააზრების საფუძველზე, ბატონმა გიორგიმ საკუთარი, სრულიად ახალი კონცეფცია წარმოადგინა როგორც კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაციის, ასევე ძველაღმოსავლურ და ანტიკურ საზოგადოებაში საკუთრების ფორმებისა და კლასობრივი სტრუქტურის ურთულესი პრობლემის შესახებ.

სამეცნიერო წრეები საბჭოთა კავშირშიც და მის ფარგლებს გარეთაც გიორგი მელიქიშვილის ორიგინალურ კონცეფციას დიდი ინტერესით შეხვდნენ. მან არაერთი თანამოაზრე და მომხრე შეიძინა. [3]

XX საუკუნის 50-90-იან წლებში ბატონმა გიორგიმ საზოგადოებას საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების რაობის შესახებ საკუთარი ხედვაც არაერთგზის გააცნო. მელიქიშვილისეული ახალი თვალსაზრისი თავდაპირველად მის კაპიტალურ მონოგრაფიაში "К истории древней Грузии" აისახა (1954). შემდეგ წლებში იმავე პრობლემასთან დაკავშირებული კვლევაძიების შედეგებმა ასახვა ჰპოვა კონცეპტუალური ხასიათის ისეთ ნაშრომებში, როგორებიცაა: „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების საკითხი" („მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 1966); „საქართველოს ისტორიის ნარკვევები I" (თბილისი,

1970); „К вопросу о социально-экономическом строе древней Иберии (Картли)" (ВДИ, 4, 1977, с. 188-195); „ძველი ქართული სახელმწიფოები და მათი სოციალ-ეკონომიკური წყობილება" (საერთაშორისო ქართველოლოგიური მეორე სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1993, გვ. 5-16) და სხვა.

1979 წელს წერილობითი წყაროებისა და XIX-XX საუკუნეებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ერთობლიობაში გააზრების გზით, გიორგი მელიქიშვილმა ნაშრომში: „ქართველ მთიელთა სოციალ-ეკონომიკური დახასიათებისათვის" („მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 1979, გვ. 19-41) ქართველ მთიელთა (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, სვანეთი) სოციალ-ეკონომიკური წყობის განვითარების საკუთარი ხედვა წარმოადგინა.

ბატონი გიორგის სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ძიებანი ზემოაღნიშნულით არ შემოფარგლულა. მონოგრაფიაში: „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებები და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი" (თბილისი, 1973, 167 გვ.) და სტატიაში „ისევ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", № (6965), 1994, 1 აპრილი) ავტორმა სრულყოფილად წარმოაჩინა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების რთულ პროცესში ცალკეული ქართული პოლიტიკური გაერთიანებების როლი და ადგილი. ამასთანავე, ჩამოაყალიბა საკუთარი კონცეფცია ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებისა და ერთიანი ქართველი „ფეოდალური ხალხის" გენეზისის პრობლემების შესახებ. ამ მიმართულებით გიორგი მელიქიშვილის მიერ განხორციელებული შრომატევადი ძიებები წარმატებული აღმოჩნდა. მისმა ზემოხსენებულმა მონოგრაფიამ 1976 წელს ყოველი ქართველი ისტორიკოსისათვის სანუკვარი ჯილდო – აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა..

ბატონ გიორგის ძველი აღმოსავლეთის, საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიისა და კულტურის მანამდე ნაკლებად შესწავლილი სხვა ასპექტებიც აინტერესებდა. საყურადღებო შედეგებით დაგვირგვინდა მეცნიერის ძიებანი მეტალების – „რკინის", „ვერცხლის" და „ფოლადის" აღმნიშვნელი ტერმინების ქართულ ენაში შეღწევის გზების შესახებ.

ტერმინოლოგიური ძიებების თვალსაზრისით, არანაკლებ ინტერესს იმსახურებს 1966 წელს გიორგი მელიქიშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატია: „შავი ზღვა ძვ. წ. XIII-XII სს-ის ასურულ ლურსმულ წარწერებში" („კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", 1966, გვ. 26-33), სადაც იგი თუქულტინინურთა I-ისა (ძვ. წ. 1245-1209 წწ.) და თიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული „ზემო ზღვის" იდენტიფიკაციის საკითხს ეხება და ამ ტერმინს შავ ზღვას უკავშირებს.

ბატონი გიორგი არაერთი კოლექტიური ნაშრომის გამოცემის ინიციატორი, ავტორი და რედაქტორი გახლდათ. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, პირველობა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულს

ეკუთვნის, რომლის გამოცემა გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე სრულად ასახავს. ქართულ ისტორიოგრაფიაში „ნარკვევებს" ანალოგი ჯერ-ჯერობით არ მოეპოვება.

ბატონი გიორგი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის მთავარი რედაქტორი, I ტომის რედაქტორი და ამავე ტომის ერთ-ერთი ავტორი გახლდათ. ამ ტომში შესული მისი ნარკვევები (ტ. I, გვ. 5-24; 38-76; 312-619; 644-660) პირველწყაროთა მაქსიმალური მრავალფეროვნებით, მათი ანალიზის მაღალი დონითა და ახალი თვალსაზრისების სიმრავლით გამოირჩევა.

1982 წელს ამ შესანიშნავი გამოცემისათვის გიორგი მელიქიშვილს, ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ბატონი გიორგი სხვა არაერთი კოლექტიური ნაშრომის გამოცემის მოთავეც იყო. 1971 წელს მისი თაოსნობით, რედაქტორობითა და ავტორობით არა მხოლოდ სტუდენტმა-ახალგაზრდობამ, არამედ ძველი აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებულმა სპეციალისტებმაც ძველაღმოსავლეთმცოდნეობის ყველა იმდროინდელ მიღწევაზე დაფუძნებული „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის" სახელმძღვანელო მიიღო, სადაც ცნობილმა ქართველმა მკვლევრებმა, ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით, სრულად წარმოადგინეს ძველი აღმოსავლეთის ყველა ძირითადი ქვეყნის (შუმერის, ეგვიპტის, ხურიმითანის, ხეთების, ურარტუს, ფინიკიის, პალესტინის, ასურეთის, ბაბილონის, ირანის, ფრიგიის, ლიდიის, ინდოეთის, ჩინეთის) ისტორია. დასახელებული ნაშრომის მეორე, გადამუშავებული ვარიანტი 1988 წელს გამოიცა. ამ კოლექტიური სახელმძღვანელოს როგორც პირველ, ისევე მეორე გამოცემას ურარტუსადმი მიძღვნილი ბატონი გიორგის შესანიშნავი ნარკვევები ამშვენებს. დიდი წვლილი შეიტანა გიორგი მელიქიშვილმა „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათიის" შექმნაშიც, რომელიც მკითხველს ძველაღმოსავლურ ენებზე შესრულებული, სხვადასხვა ხასიათის (ისტორიული და რელიგიური ტექსტები, სამართლის ძეგლები, ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტები და ა. შ.) წერილობით წყაროებთან ერთად ურარტული ლურსმული წარწერების მელიქიშვილისეულ ქართულ თარგმანებსაც აცნობს (გვ. 264-295).

გიორგი მელიქიშვილს სხვებზე უკეთ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირუთვნელი ისტორიის ცოდნას მოზარდი ახალგაზრდობის პატრიოტული და მოქალაქეობრივი სულისკვეთების აღზრდისათვის. სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ იგი არც საქართველოს ისტორიაში სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის ცალკეული ნარკვევების დაწერაზე ამბობდა უარს. პირველი ასეთი ნარკვევი: „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე" – მან საშუალო სკოლის VIII-X კლასებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოსათვის მოამზადა, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ წლებშიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვან სფეროში. მისი მონაწილეობით საშუ-

ალო სკოლის მოსწავლეთათვის ისეთი ქართულ-რუსულენოვანი სახელმძღვანელოები შეიქმნა, როგორებიცაა: „История Грузии", I. Учебное пособие (Тбилиси. 1960, с. 3-63); „საქართველოს ისტორია", სახელმძღვანელო VIII-X კლასებისათვის, (მეორე გამოცემა), (თბილისი, 1960, გვ. 3-69); „საქართველოს ისტორია", სახელმძღვანელი VIII-X კლასებისათვის, (მესამე გამოცემა), (თბილისი, 1961, გვ. 3-63); „История Грузии". Учебник для IX-XI классов, (Тбилиси. 1963, с.3-57); „საქართველოს ისტორია, (საკითხავი წიგნი)", შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი და ავტორი შემდეგი პარაგრაფებისა: §§3, 4, 9-11, 16-20 (თბილისი, 1980, გვ.11-17; 27-31; 39-57); იგივე წიგნი ბატონი გიორგის ავტორობითა და რედაქტორობით 1990 წელსაც გამოიცა და ა. შ.

ბატონი გიორგი არაერთი ისტორიოგრაფიული ნარკვევის ავტორია. ერთ-ერთი ამგვარი ნაშრომი მან 1971 წელს ქართული ეროვნული ისტორიოგრაფიის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი გზის შეფასებას მიუძღვნა: „საქართველოს ისტორიოგრაფიის მიღწევები 50 წლის მანძილზე". წინასიტყვაობა ნაუმძღვარა წიგნს: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი".

თავისი დიდი მასწავლებლების, აკადემიკოსების - ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და გიორგი წერეთლისადმი უღრმესი პატივისცემა ბატონმა გიორგიმ სხვადასხვა დროს დაწერილ ისტორიოგრაფიულ ნარკვევებში მრავალგზის დაადასტურა.

გიორგი მელიქიშვილი დროს არც სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების შექმნისათვის იშურვებდა. გავიხსენოთ ისეთი სამეცნიერო პოპულარული ნაშრომები როგორიცაა: („ურარტუ", „ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის", „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები") და ა.შ.

გიორგი მელიქიშვილი წლების მანძილზე ხალისით თანამშრომლობდა "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" გამომცემლობასთან. ამ გამოცემის ცალკეულ ტომს ბატონი გიორგის არაერთი სტატია ამდიდრებს.

ორიოდე სიტყვა ბატონი გიორგის სამსახურეობრივი კარიერის შესახებაც უნდა ითქვას. 1944 წელს, ასპირანტურის კურსის დამთავრებისთანავე, აკადემიკოს ს. ჯანაშიას თაოსნობით ბატონი გიორგი მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში იწყებს. 1944 წლის აპრილიდან ივლისამდე იგი ამ ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, 1944 წლის ივლისიდან – 1953 წლის ივლისამდე – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1953 წლის ივლისიდან 1961 წლის ივლისამდე – სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის, მოადგილე. 1954-1961 წლებშივე გიორგი მელიქიშვილი ინსტიტუტში თავისივე დაარსებული ძველი ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელია. 1961 წელს, საბჭოთა კავშირში შეთავსების აკრძალვის სპეციალური კანონის ამოქმედებისას, ბატონი გიორგი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან დირექტორის მოადგილედ უნდა დარჩენილიყო, ან ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების სრულუფლებიანი გამგე გამხ-

დარიყო. მან ძველი ისტორიის გამგეობა არჩია. გიორგი მელიქიშვილი ინსტიტუტის ყოველმხრივ წარმატებულ ამ განყოფილებას 1999 წლამდე ურყევ ბურჯად ედგა.

აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წლის 6 ნოემბერს აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ბატონი გიორგის კანდიდატურა წარუდგინა. საერთო კრებას ესწრებოდნენ აკადემიკოსები: ირ. აბაშიძე, შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ა. ბარამიძე, ა. ბოჭორიშვილი, კ. გამსახურდია, ი. დოლიძე, ვ. თოფურია, გ. ლეონიძე,

აკ. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, გ. ჯიბლაძე; წევრ/კორესპონდენტები: ი. აბულაძე, ქ. ლომთათიძე, რ. ნათაძე, გ. ჩიტაია. აზრი გამოთქვეს: გ. ახვლედიანმა,

კ. გამსხურდიამ, შ. ნუცუბიძემ, ი. დოლიძემ, რომელთაც მხარი ერთსულოვნად დაუჭირეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორად ბატონი გიორგის არჩევას. კენჭისყრის პროცედურა გ. ახვლედიანმა, კ. გამსახურდიამ და შ. ნუცუბიძემ ჩაატარეს. გიორგი მელიქიშვილი დასახელებული ინსტიტუტის დირექტორად ერთხმად აირჩიეს. ასეთივე იყო საქრთველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების ვერდიქტიც. ამ თანამდებობაზე მან 1965 წლიდან 1999 წლამდე იღვაწა. აქვე დავძენ, რომ ინსტიტუტის დირექტორად ახალი ვადით ბატონი გიორგი რამდენიმეჯერ აირჩიეს. უკანასკნელი არჩევნები 1997 წლის 4 ივლისს შედგა, თუმცა, არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ, 1999 წლის თებერვალში, ბატონმა გიორგიმ თხოვნით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტს, აკადემიკოს ა. თავხელიძეს, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. ბატონი გიორგის თხოვნა დაკმაყოფილდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში, ბატონი გიორგის პირად საქმეში, 1999 წლის 18 თებერვლით დათარიღებული №32 დადგენილება ინახება, რომელიც გვამცნობს:

„1. აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, თანახმად პირადი თხოვნისა, განთავისუფლდეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან ა. წ. 18 თებერვლიდან.

2. ისტორიული მეცნიერებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის აკადემიკოსი.

გ. მელიქიშვილი დაინიშნოს ინსტიტუტის საპატიო დირექტორად დირექტორის ხელფასის შენარჩუნებით, გამოეცხადოს მადლობა და საპრემიო ფონდიდან დაჯილდოვდეს 4 თვის ხელფასით".

დადგენილებას ხელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემის პრეზიდენტი ა. თავხელიძე აწერს.

ეს იყო 1999 წელს. მაგრამ მანამდე იყო 1960 წელი, როდესაც ბატონი გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ერთხმად აირჩიეს. იყო 1967-1971 წლებიც, როდესაც გიორგი მელიქიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გახლდათ, იყო 1965 წელი, როდესაც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა, იყო 1956 წელი, როდესაც გიორგი მელიქიშვილმა პროფესორის წოდება მიიღო. იყო 1988 წელი, როდესაც ბატონი გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს. 1999 წლამდე ბევრი სხვაც იყო ისეთი, რამაც, ზემოაღნიშნულთან ერთად, ბატონი გიორგის სახელი უკვდავყო.

გიორგი მელიქიშვილმა ქართული მეცნიერების მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გაიტანა. იგი მეცნიერთა არაერთი საკავშირო და საერთაშორისო ფორუმის მონაწილე გახლდათ; ბრწყინვალე მოხსენებებით წარსდგა და ეროვნული საისტორიო მეცნიერება ღირსეულად წარმოაჩინა აღმოსავლეთმცოდნეთა XXIV და XXV კონგრესებზე მიუნხენსა და მოსკოვში (1957, 1960 წწ.), სტოკჰოლმში, მოსკოვსა და ლოს-ანჟელესში გამართულ ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესებზე (1960, 1970, 1973), ანთროპოლოგ-ეთნოგრაფთა საერთაშორისო კონგრესებზე ტოკიოში და ჩიკაგოში (1968, 1973). გიორგი მელიქიშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ასირიოლოგთა საერთაშორისო შეხვედრებში, რომლებიც ყოველწლიურად იმართება ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, აგრეთვე, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ხელოვნებისა და ფილოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციებში (მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი), სოციალისტური ქვეყნების აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონფერენციებში („შულმუ"), ანტიკოს-ისტორიკოსთა საერთაშორისო კონფერენციებში („ეირენე") და ა. შ. ახალი კონცეფციებითა და ჰიპოთეზებით გაჯერებული მელიქიშვილისეული მოხსენებები, როგორც წესი, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე უმალვე ქვეყნდებოდა და სამეცნიერო წრეების განსაკუთრებულ ინტერესსა და მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

1965-1999 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა) ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საისტორიო მეცნიერების აღმავლობაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი გიორგის მიერ 1954 წელს დაფუძნებული ძველი ისტორიის განყოფილების შესახებაც, რომელიც, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ძველაღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლის ჩამოყალიბების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენდა.

გიორგი მელიქიშვილმა მუხლჩაუხრელად არა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში იღვაწა. 1944 წლიდან მოყოლებული, მრავალი წლის მანძილზე, იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის ისტორიის, ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე, სადაც სხვადასხვა ჰუმანიტარულ სასწავლო დისციპლინებში ლექციებს წარმატებით კითხულობდა.

ბატონი გიორგი არაჩვეულებრივი მეცნიერ-ხელმძღვანელი გახლდათ. მართალია, მომავალი საკვლევი პრობლემატიკის შერჩევას ჩვენი ინტერესების, შესაძლებლობების, სიბეჯითისა თუ ნიჭიერების გათვალისწინებით საზღვრავდა, საზღვარგარეთიდან მიღებულ ახალ სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურასაც დიდი ხალისით გვაცნობდა, ჩვენს პირველ, გამოსაქვეყნებლად მომზადებულ ნაშრომებსაც გულისყურით ეცნობოდა და განყოფილების სხდომაზე ნაკითხულ მოხსენებებსაც ყურადღებით უსმენდა, მაგრამ თავად კვლევა-ძიების პროცესში, როგორც წესი, არ ერეოდა, სრულ თავისუფლებას გვაძლევდა.

ბატონი გიორგის დამსახურება ეროვნული მეცნიერების, ქვეყნისა და ქართველი ერის წინაშე პრემიებითა და სამთავრობო ჯილდოებით არაერთგზის აღინიშნა. როგორც უკვე ითქვა, 1957 წელს მას ლენინური, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობისა (1976 წ.) და საქართველოს სახელმწიფო პრემიები (1982 წ.) მიენიჭა. დაჯილდოებული იყო ორდენებით: „საპატიო ნიშნის" (1966 წ.), „შრომის წითელი დროშის" (1976 წ.), „ოქტომბრის რევოლუციის" (1966 წ.), აგრეთვე, სხვადასხვა მედლებით 1946, 1970, 1975, 1985 წლებში.

2010 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემია დააარსა. მადლობა განგებას, რომ ამ პრემიის პირველი ლაურეატის პატივი მერგო.

მადლობა განგებას, ჩემს დიდ მასწვლებელთან 45 წლიანი, მარად კეთილად მოსაგონებელი ურთიერთობის სიხარული რომ მომანიჭა.

NANA KHAZARADZE

GIORGI MELIKISHVILI

Summary

The article is dedicated to the 95th anniversary of the birth of the prominent Georgian scholar, doctor of historical sciences, professor, academician of the Academy of Sciences of Georgia, teacher, public figure, laureate of state and academic prizes - Giorgi Melikishvili.

The work deals with the scholar's invaluable contribution to the development of branches of humanities highly difficult to research - namely, oriental studies, Caucasiology, Kartvelology.

In the article the creative path of the world-renowned scholar, respected in Georgia and far beyond its borders, is presented in the light of results of his fundamental research of many years, as well as enthusiastic reviews of Georgian and foreign colleagues, published and unpublished memoirs, travel notes and epistolary materials.

Н. В. ХАЗАРАДЗЕ

ГЕОРГИЙ МЕЛИКИШВИЛИ

Резюме

Статья посвящена 95-летию со дня рождения выдающегося грузинского учёного, доктора исторических наук, профессора, академика Академии наук Грузии, педагога, общественного деятеля, неоднократного лауреата государственных и академических премий - Георгия Меликишвили.

В статье речь идёт о бесценном вкладе учёного в развитие сложнейших для изысканий отраслей гуманитарной науки – востоковедения, кавказоведения, Картвелологии.

В статье творческий путь ученого с мировым именем, почитаемого и в Грузии и далеко за ее пределами, представлен в свете итогов его многолетних фундаментальных исследований, а также, восторженных отзывов, рецензий грузинских и иностранных коллег, опубликованных и неопубликованных мемуаров, путевых записей и материалов эпистолярного жанра.

კიტი მაჩაბელი

ვახტანგ ბერიძე – 100

ქართული კულტურის დიდი მოამაგე და ნიჭიერი მკვლევარი, ფართო ერუდიციის მეცნიერი და მკვლევართა თაობების აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე და ჭეშმარიტი მოქალაქე – ასეთი იყო ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვახტანგ ბერიძე. მისი ცხოვრება სამეცნიერო მიზნის მიღწევისათვის ღრმად შეგნებული, მიზანდასახული შრომის იშვიათი მაგალითია.



მომავალი მეცნიერის ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის, განსაკუთრებით მამის – გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, ლინგვისტის, რუსთველოლოგის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვუკოლ ბერიძის გავლენას. სწორედ აქედან იღებს სათავეს მშობლიური კულტურისადმი განსაკუთრებული სიყვარული, ქართული ენისადმი უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება, რაც კარგად ჩანს ვახტანგ ბერიძის სამეცნიერო ნაშრომებში, რომლებიც არა მხოლოდ მაღალი სამეცნიერო დონით, არამედ იშვიათი ლიტერატურული ღირსებებით გამოირჩევა.

ოჯახშივე ჩამოყალიბდა ვახტანგ ბერიძის ინტერესთა სფერო – იგი შესანიშნავად ხატავდა, მას ლიტერატურული ნიჭიც აღმოაჩნდა. მამის ბიბლიოთეკაში იგი უკვე სკოლის წლებში ეწაფებოდა გამოცემებს ქართული კულტურის ისტორიის შესახებ, ეცნობოდა მსოფლიო ხელოვნების შედევრებს. ამას ემატებოდა მუსიკალური განათლება, ფრანგული ენის სერიოზული დაუფლება.

ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურის განყოფილების დამთავრების შემდეგ (1936 წ.) ვ. ბერიძე შედის თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტურაში ხელოვნების ისტორიის სპეციალობით. საესებით კანონზომიერია, რომ ხელოვნების სიყვარულმა იგი მიიყვანა ქართული სახელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელთან, აკა-

დემიკოს გიორგი ჩუბინაშვილთან. ეს მოხდა 1938 წელს და მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა ერთობლივი მუშაობა ეროვნული ხელოვნების ისტორიის საკითხებზე, მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში ქართული ხელოვნების მიღწევების დასამკვიდრებლად.

თავიდანვე გამოიკვეთა ვ. ბერიძის უმთავრესი სამეცნიერო ინტერესი – შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. ამ მიზნისათვის აუცილებელი იყო აქამდე შეუსწავლელ ძეგლთა სისტემური კვლევა. ვ. ბერიძის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად ქართულ ხელოვნებათმცონდეობას შეემატა ღრმად შესწავლილ და ზუსტად განსაზღვრულ ხუროთმოძღვრების ძეგლთა მთელი წყება: ეხვევის ტაძარი ,,დედა ღვთისა", სავანის წმიდა გიორგის ეკლესია, წინარეხის ტაძარი, თბილისის ,,ლურჯი მონასტერი", კაცხის ტაძარი, გომისჯვარი, აგარის მონასტრის ,,ტრაპეზი", ადიგენის რაიონის ისტორიული ძეგლები, ,,მაღალაანთ ეკლესია", ხობის ტაძარი. კვლევის პროცესში კოლეგებთან ერთად მან აზომა ძეგლთა უმეტესობა.

მასალის დაგროვებასთან ერთად, ცალკეული ძეგლების კვლევიდან იწყება გადასვლა ეროვნული ხუროთმოძღვრების ისტორიის ზოგად პრობლემებზე. მაგრამ საამისოდ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი და გასააზრებელი. ვახტანგ ბერიძე, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის მხარდამხარ, შეუპოვრად იბრძოდა დასავლეთის მეცნიერებაში ქართული ხელოვნების ისტორიის შესახებ არსებულ დამახინჯებათა წინააღმდეგ. იგი თანმიმდევრულად ამკვიდრებს აზრს ქართული ხელოვნების თავისთავადობისა და ორიგინალობის შესახებ. მართალია, შვეიცარიელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს წყალობით, მე-XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ევროპა გაეცნო შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებას, მაგრამ მისივე ,,დამსახურებაა" ქართული ხელოვნების დამოკიდებული ხასიათის, მისი არაორიგანალურობის შესახებ გავრცელებული მოსაზრება. ნაშრომში ,,ქართული ხელოვნების ისტორიის დამახინჯებათა წინააღნდეგ" (1949 წ.) ვ. ბერიძემ კრიტიკულად განიხილა უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ნაშრომები ძველი ქართული ხელოვნების საკითხებზე და დაასაბუთა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ გავრცელებული ,,თეორიების" მცდარობა და აჩვენა, რომ ქართულმა ხელოვნებამ განვლო მრავალსაუკუნოვანი განვითარების ორიგინალური გზა და რომ ქართველმა ხუროთმოძღვრებმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიო სამშენებლო ხელოვნების საგანძურში.

ვ. ბერიძემ, შუა საუკუნების ქართული ხუროთმოძღვრების კვლევისას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხელოვნების ამ დარგის ისტორიის საკვანძო საკითხებს. თემებისა და პრობლემების შერჩევაში ზუსტად გამოკვეთილმა პრინციპებმა იჩინა თავი. ცალკეული ხუროთმოძღვრული ძეგლების კვლევასთან ერთად დღის წესრიგში დადგა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ხუროთმოძღვრების თავისებურებათა გამოვლენა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამხრეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებას

(,,სამცხის ხუროთმოძღვრება, მე-XIII–XVI სუკუნეები", 1955 წ.). თავად მეცნიერი სამცხისადმი ასეთ ყურადღებას აღნიშნულ ეპოქაში საქართველოს ამ კუთხეში არსებული ისტორიული ვითარებით, ეკონომიკური მდგომარეობით, ინტენსიური სამშენებლო საქმიანობით ხსნის. სამცხის ხუროთმოძღვრების ძეგლთა კვლევამ მეცნიერს ქართული ხუროთმოძღვრების ეპოქისმიერი სტილური ნიშნების გამოვლენის საშუალება მისცა.

მეცნიერი მიზანმიმართულად იკვლევდა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს, ცალკეული ისტორიული ეპოქების ეროვნული სამშენებლო ხელოვნების თავისებურებებს, ძეგლთა სხვადასხვა ტიპებს. მისი კვლევის სფეროში მოხვდა ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საკითხები (,,ადრექრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრება. მე-IV-VIIსს.", 1974 წ), მე-XI-XIII საუკუნეთა ქართული სამშენებლო ხელოვნების ძირეული პრობლემები (,,ზოგი ასპექტი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრებისა მე-X საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-XIII საუკუნის დასასრულამდე", 1976 წ.). ასეთივე მნიშვნელოვანი იყო ვ. ბერიძის ნაშრომი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ (,,მე-XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება", 1983 წ.). ორ ტომში წარმოდგენილი იყო ამ ეპოქის საქართველოს ქალაქების როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხუროთმოძღვრების ფართო პანორამა. ქართული ხუროთმოძღვრების სტილური თავისებურებები, კონსტრუქციული მიგნებები, დეკორის ხასიათი ნაჩვენებია ბიზანტიურ, რომანულ, სომხურ და რუსულ ხუროთმოძღვრების ძეგლებთან შედარებით. ვ.ბერიძემ მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომი მიუძღვნა ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებას (,,ტაო-კლარჯეთის ძეგლთა ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში", 1981 წ.).

მეცნიერს აინტერესებდა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ქართულ ხუროთმოძღვრებასთან, სამშენებლო ხელოვნებასთან. ამან განაპირობა ისეთი განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნა, რომლებშიც ჩვენ თვალწინ იშლება შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცლები (,,ძველი ქართული ხუროთმოძღვრება", 1974 წ). ვ. ბერიძის ნაშრომი ,,შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება მე-IV საუკუნიდან მე-XVIII საუკუნემდე" (ედიტ ნოიბაუერთან თანაავტორობით) გამოიცა ბერლინსა (1980 წ.) და ვენაში (1981 წ.), რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ხელოვნების საერთაშორისო აღიარებისათვის.

ვ. ბერიძემ 90-იანი წლების დასაწყისში სათავე დაუდო დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის ინიციატივას – ქართული ხელოვნების ისტორიის ექვსტომეულის მომზადებას. შედგა ამ მონუმენტური ნაშრომის გეგმა, დაიწყო მუშაობა ქართული ხელოვნების ცალკეული დარგების ზოგადი ისტორიის შესაქმნელად. სამუშაოს ნაწილი შესრულდა, მაგრამ თბილისში მომხდარმა მოვლენებმა, ინსტიტუტის ხანძარმა გაანადგურა ამ გამოცემისთვის მომზადებული მასალების ნაწილი, დაიღუპა ნახაზებისა და ფოტოების უმდიდრესი არქივი, ბიბლიოთეკა. ამან მნიშვნელოვნად შეაფერხა წარმატებით დაწყებული საქმე. საბედნიეროდ, გადარჩა ექვსტომეულისთვის მომზადებული ბატონი ვახტან-

გის ტექსტი და ამ მასალის გამოქვეყნება სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურას ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან ნაშრომს შემატებს.

ვ. ბერიძემ თავისებურად მოიხადა ვალი ძველ ქართველ ოსტატ-ხელოვანთა წინაშე. მის ნაშრომში ,,ძველი ქართველი ოსტატები" (1967 წ.) გაცოცხლდა ქართველ შემოქმედთა გრძელი ნუსხა, რომელთაც თავის ქმნილებებში უკვდავყვეს თავისი სახელები. ,,საუკუნეთა მანძილზე ოსტატთა მრავალი თაობა არა მარტო აგროვებდა და ავითარებდა პროფესიულ ცონდას, არამედ აგრეთვე მემკვიდრეობით უანდერძებდა ერთმანეთს, როგორც წმიდათაწმიდას, თავისი საქმის უსაზღვრო სიყვარულს" – წერდა ავტორი წიგნის შესავალში. ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილნი გახდნენ ხელოვანნი, რომელთა ნიჭზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული დიდებული ტაძრები, კედლის მხატვრობის ბრწყინვალე ნიმუშები, კალიგრაფიულად გადაწერილი და იშვიათი ოსტატობით დასურათებული ხელნაწერი წიგნები, ჭედურობის გამორჩეული ქმნილებები.

1937 წელს დაბეჭდილი ახალგაზრდა მეცნიერის პირველი სამეცნიერო წერილი ,,მომავალი ტფილისი" თითქოს საწინდარი იყო იმ უდიდესი ამაგისა, რომელიც ვახტანგ ბერიძემ დასდო მშობლიური ქალაქის შესწავლას. თბილისის თემა ლაიტმოტივად გასდევს მეცნიერის მთელ მოღვაწეობას. რთულია თბილისისადმი მიძღვნილი ვახტანგ ბერიძის ყველა ნაშრომის ჩამოთვლა. მათში შესწავლილია დედაქალაქის ხუროთმოძღვრული ძეგლები – ,,ლურჯი მონასტერი", თბილისის მეტეხი, ნარიყალა, ქალაქის ისტორიული განვითარება. განსაკუთრებული სისრულით არის გამოკვლეული მე-XIX საუკუნის თბილისის ხუროთმოძღვრება ორტომეულ ნაშრომში ,,თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წწ" (1960, 1963 წწ.). პირველ ტომში ავტორი განიხილავს დედაქალაქის ხუროთმოძღვრული სახის განვითარებას 1801 წლიდან ვიდრე 60-იან წლებამდე. მეორე ტომში – მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1917 წლამდე. წიგნში ფართოდ არის გამოყენებული მდიდარი საარქივო მასალა, ძველი ფოტოსურათები. არქიტექტურის ევოლუცია მოცემულია ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ფონზე. დიდი ყურადღება დაეთმო ქალაქგეგმარების საკითხებს. აქვეა თბილისში მოღვაწე არქიტექტირტების ბიოგრაფიები. ვახტანგ ბერიძე თბილისის ნამდვილი მემატიანეა.

ვ. ბერიძის სამეცნიერო ინტერესები მხოლოდ ხუროთმოძღვრებით არ შემოიფარგლებოდა. მან გამოიკვლია გვიანი ეპოქის კედლის მხატვრობის მნიშვნელოვანი ნაწარმოები (,,მცხეთის კათედრალის ,,სვეტიცხოველი" და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში", 1948 წ.), რომელიც მხატვარ გრიგოლ გულჯავარასშვილს ეკუთვნის. მეცნიერი დაინტერესდა გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა საინტერესო ჯგუფით – მე-XV-XIX საუკუნეების ქართული ნაქარგი გარდამოხსნებით (,,ქართული ნაქარგობის ისტორიიდან, გარდამოხსნები", 1983 წ.), რომელთაც მხატვრული ღირებულების გარდა ისტორიული მნიშვნელობაც აქვთ მათზე მოთავსებული წარწერების წყალობით.

ვ. ბერიძემ დიდი ყურადღება დაუთმო თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების საკითხებს. მეცნიერს აღელვებდა ქართული სამშენებლო ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობა, მისი ხვალინდელი დღე. იგი იკვლევდა ახალი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზებს, აფასებდა ქართველ შემოქმედთა საქმიანობას. თავის ნაშრომებში მან დიდი ყურადღება მიაქცია თანამედროვე არქიტექტურაში ისტორიული მემკვიდრეობის გამოყენების საკითხებს. ამ პრობლემებს მიეძღვნა ნაშრომები: ,,ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრება" (1951 წ.), ,,ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია" (1955 წ.) და მრავალრიცხოვანი წერილები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებსა თუ კრებულებში.

ქართულ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში მხატვრული ანალიზის სიღრმით, დახვეწილი სტილით გამოირჩევა მისი ბრწყინვალე ნარკვევები და გამოკვლევები ევგენი ლანსერეზე, იოსებ შარლემანზე, ლადო გუდიაშვილზე, ელენე ახვლედიანზე, ქეთევან მაღალაშვილზე, გიორგი სესიაშვილზე. მისი მონოგრაფიები ფიროსმანზე, ლადო გუდიაშვილზე, დავით კაკაბაძეზე გამოქვეყნებულია საქართველოში და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია ახალი ქართული სახვითი ხელოვნების შესახებ (ნ. ეზერსკაიასთან თანაავტორობით. მოსკოვი, 1975 წ.). ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი მიძღვნილი ვ. ბერიძის ნაშრომები გამოქვეყნებულია გერმანულ, იტალიურ, ინგლისურ, რუსულ ენებზე.

უაღრესად მნიშვნელოვანია ვ. ბერიძის მოღვაწეობა ქართული ხელოვნების საერთაშორისო ასპარეზზე გასატანად. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი შრომების პუბლიკაციები ევროპაში, ქართული ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებზე საზღვარგარეთ წაკითხული ლექცია-მოხსენებები. ამგვარად გაგრძელდა ხაზი, რომელიც მტკიცედ დასახა აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა – მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში ქართული ხელოვნების ადგილის დამკვიდრება, მისი საერთაშორისო მნიშვნელობის აღიარების მიღწევა.

ვ. ბერიძის ინიციატივით 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოვიდა ქართული ხელოვნებით დაინტერესებული იტალიელ მეცნიერთა ჯგუფი. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციებში მათი მონაწილეობით დაიწყო ქართველ და იტალიელ მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომლის შედეგი იყო ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი ექვსი საერთაშორისო სიმპოზიუმი იტალიაში (ბერგამო 1974წ. ბარი და ლეჩე 1980წ. პავია და ტორბა 1986წ.) და საქართველოში (1977, 1983 და 1989 წლები). ბერგამოს სიმპოზიუმით დაიწყო ქართული ხელოვნების საერთაშორისო აღიარების ახალი ეტაპი. სიმპოზიუმთან დაკავშირებით გაიხსნა იტალიელი კოლეგების მიერ მოწყობილი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა, რომელმაც დიდი წარმატებით იმოგზაურა იტალიის ქალაქებში. ეს იყო ქართული ხელოვნების მიღწევების საყოველთაო აღიარება. სიმპოზიუმებში მრავალი ქვეყნის მეცნიერებმა მიიღეს მონაწილეობა.

ვ. ბერიძის ინიციატივით მჭიდრო კონტაქტები დამყარდა ბერძენ კოლეგებთან, რასაც მოჰყვა ბერძენ და ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა შეხვედრები კუნძულ პატმოსზე (1981 წ.) და ათენში (1990 წ.). ამ სამეცნიერო შეხვედრების მთავარი თემა იყო ბიზანტიურ და ქართულ ხელოვნებათა ურთიერთობების საკითხები. ბატონი ვახტანგის ძალისხმევით ინსტიტუტმა აქტიური შემოქმედებითი კავშირები დაამყარა რუსეთისა და სომხეთის ხელოვნების ინსტიტუტებთან. მოეწყო არაერთი ერთობლივი კონფერენცია და სამეცნიერო შეხვედრა, გამოიცა შუა საუკუნეების ხელოვნების სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი კრებულები.

ვ. ბერიძის მთელი ცხოვრება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან არის დაკავშირებული. 1941-1948 წლებში იგი ინსტიტუტის სწავლული მდივანი იყო, 1948-1957 წლებში – განყოფილების გამგე, 1957-1973 წლებში – დირექტორის მოადგილე, 1973-1988 და 1996-2000 წლებში – ინსტიტუტის დირექტორი, 1988-1996 წლებში – საპატიო დირექტორი. მისი პირადი მაგალითი – საქმისადმი უსაზღვრო თავდადება, არაჩვეულებრივი თვითდისციპლინა, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა ინსტიტუტის თანამშრომელთათვის მუდმივი მისაბაძი მაგალითი იყო. ინსტიტუტში შექმნილი იყო კეთილგანწყობის, ურთიერთთანამშრომლობის, საერთო საქმისადმი ერთგულების შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც დიდად უწყობდა ხელს სამეცნიერო მუშაობას. ყველა ცდილობდა სრული დატვირთვით ემუშავა, რათა დაემსახურებინა ბ-ნი ვახტანგის შექება.

არსებობდა ვახტანგ ბერიძის მოღვაწეობის კიდევ ერთი სფერო, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო მისი ცხოვრება. ეს იყო პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც განუყოფელი იყო მისი სამეცნიერო მუშაობისაგან. 1935 წელს ვახტანგ ბერიძე, ჯერ კიდევ მეხუთე კურსის სტუდენტი, შევიდა აუდიტორიაში და მას მერე ექვსი ათეული წლის განმავლობაში იგი სტუდენტთა თაობებს აზიარებდა მშვენიერების სამყაროს – ინდუსტრიულ ინსტიტუტში, თეატრალურ ინსტიტუტში, კონსერვატორიაში, 1939 წლიდან კი უცვლელად თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მის ყოფილ სტუდენტებს დღესაც ახსოვთ ვახტანგ ბერიძის ბრწყინვალე ლექციები – ხელოვნების ზოგადი ისტორიისა და ქართული ხელოვნების ისტორიის კურსები. სამხატვრო აკადემიაში მის ლექციებს აკადემიის სტუდენტების გარდა ხშირად სხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

ვახტანგ ბერიძე აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩეოდა. იგი მუდამ ქვეყნის კულტურული ცხოვრების შუაგულში იყო. დიდია მისი ღვაწლი ქალაქთმშენებლობის პრობლემების გადაწყვეტაში, ხუროთმოძღვრების ძეგლთა რესტავრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, ეროვნული მემკვიდრეობის გადარჩენისა და მისი შენარჩუნების საქმეში. წლების განმავლობაში იგი ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული

მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვახტანგ ბერიძის დაბადებიდან ასი წელი შესრულდა. მეცნიერის, მოქალაქის, ადამიანის ცხოვრება განვლილი წლების რაოდენობით არ განიზომება, არამედ იმ საქმეებით, რომლებითაც ეს წლებია აღნიშნული, იმ წვლილით, რომელიც მან თავისი მოღვაწეობით შეიტანა ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. ვახტანგ ბერიძემ ღირსეულად გააგრძელა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პატრიარქის, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის გზა და ქართულ სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებაში თავისი ღრმა კვალი დატოვა.

KITTI MACHABELI

VAKHTANG BERIDZE – 100

Summary

Acad. Vakhtang Beridze's scholarly legacy is an important impact in the study of Georgian culture. His numerous works cover various aspects of Georgian art and architecture. More than two decades he was a director of the G. Chubinashvili Institute of the History of Georgian Art. Together with important monographs dedicated to the medieval Georgian church architecture V. Beridze produced works on modern and contemporary art and culture. His writings, which are based on fundamental architectural and artistic analyses of the particular monuments and branches of art (e.g. embroidery) significantly fostered understanding of historical processes taking place in Georgian material culture throughout centuries.

К. МАЧАБЕЛИ

ВАХТАНГ БЕРИДЗЕ – 100

Резюме

Историк искусства, доктор искусствоведения, профессор, действительный член Академии Наук Грузии Вахтанг Вуколович Беридзе внес значительный вклад в изучение грузинского национального искусства. Главная сфера его исследований вопросы истории грузинской архитектуры. Научные труды В. Беридзе посвящены как отдельным памятникам древнегрузинской архитектуры, так и различным историческим периодам ее развития и решению глобальных проблем истории этого искусства. Многочисленные исследования В. Беридзе касаются широкого спектра вопросов развития различных отраслей древнего и современного грузинского искусства. Более двух десятилетий В. Беридзе возглавлял Институт Истории Грузинского Искусства им. Г.Н. Чубинашвили. Своей научной, педагогической, общественной деятельностью В. Беридзе оставил глубокий след в исследовании важнейших вопросов истории грузинского искусства.

ИВАНЕ ШЕРВАШИДЗЕ

БАЗИСНЫЕ ИДЕЙ В ФАМИЛИЯХ ШЕРВАШИДЗЕ И МАРШАНИА

SHERVASHIDZE Как и многие наименования верховных правителей в других традициях, связано с небесным происхождением от индоар. *sarva- 'весь, целый, невредимый, совершенный (о чистом небе в контексте непорочного зачатия)': др.-инд. sarva- 'весь, целый, полный, без изъяна', 'все', авест. hawrva- 'весь, целый', 'совершенный', 'благо, благополучие, спасение', 'счастье' (имея прямое соответствие в др.-индийском, др.-иранская маркированная форма входит в состав богов, единых в семи проявлениях). Исходное слово, конкретный источник которого пока неизвестен, стоит в занском (мегрело-чанском) род.-имен. п. -sh-i- и расширен грузинским термином родства dze 'сын' в словообразовательной функции, ср. зан. Sharashia 'Шарашиа (о Шервашидзе)', в которой закономерно чередуются фонемы v - w, конфликт сонантов упрощает основу, а после показателя род.-имен. п. -sh-i- груз. -dze меняется занским реликтом алломорфов -va : -wa от абх. *ba 'сын '(< a-pa). Это хорошо соотносится с абхазским толкованием настоящей фамилии как Chachba 'Чачба' (с классификатором - Achachba 'Ачачба'). Она выводится из зан.-абх. *cashba, букв. 'сын неба' - зан. ca 'небо' (слово, по-видимому, соответствует др.-фриз. se: 'море', ср.-дат. see то же, первонач. тж '[космический] океан') в род. п. перед абх. *ba 'сын' (в абхазском языке грамматическая категория падежа отсутствует) и точно переводит форму Шервашидзе, которая, в свою очередь, вслед за акад. С. Джанашиа, должна быть признана вторичной по отношению к этимологической Sharvashidze 'Шарвашидзе' (а обычно предполагаемая в качестве праформы топонимическая лексема Shirvan 'Ширван' - семантически проблемной и фонетически труднопреодолимой). Менее вероятна трактовка зан. Sharashia от мифологически отмеченной ипостаси Небо-Бога, символа священной царской власти - перс. shar 'лев [царь зверей]' (< xshathra- 'власть', 'царство', так J. Darmesteter, иначе P. Horn) в сванском род. п. - *sharash с занскими распространителями на конце или от омонимичной занской *sharash, с допущением протезы. Что касается фамилии Sharvashidze, то усматривать в ней персидский сегмент и манифестацию морфем в виде *shar-va-sh-i-dze, должно-быть, также малосостоятельна.

MARSHANIA Как и во многих мифологических представлениях и ритуале других традиций, связано с культом медведя - с доисторическим мотивом семи ярких звезд на конфигурации Большой Медведицы и Полярной звезды, расположенной в ручке ковша Малой Медведицы ночного неба. Слово восходит к иран. *arsha- 'медведь': авест. arsha-, хорезм. hrs, осет. ars и др. На одном из этапов своего развития в абхазской мифопоэтической системе существующее обозначение медведя профанируется и происходит заимствование новой формы из осетинского языка через сванское языковое посредство, ср. родовые имена - сван. Arzian 'Арзиан(и)', абх. Arshba 'Аршба' (между тем, в отдельной проверке нуждается отношение формы Arzian со сванским словосложением arazayan 'восьмилетний', увязываемым с символикой чисел 'четыре' - 'восемь'. В родовом имени абхазского дворянского дома Marshan, Amarshan 'Маршан, Амаршан' морфемный ряд запретного слова усложнен. Он состоит из классных показателей (нулевого и а-) перед сванским префиксом абстрактных имен m- (рефлекс картв. *m-) в функции дериватора вторичного табу (табуирование слова, уже являющегося табу) и сванского суффикса -an (< -yan < -ian, формант притяжательности, который в антропонимах равен груз. dze 'сын', shvili 'дитя', 'ребенок'), в то время как зап.-грузинский вариант формы - Marshania 'Маршания' расширен занскими парадигмами -i-a. К этому ср. абх. amarshana 'сердитый' (с дополнительным аффиксом, первоначально о медведе), а тж северокавказские эвфемизмы - лак. ars 'сын', дарг. urshi то же и др., указывающие на особую культовую и ритуальную значимость медведя, как принято считать, после волка, высокоорганизованной волчьей стаи (не исключено, что настоящий порядок условно-символического распределения на иерархической лестнице воображаемых фигур священных животных в темных областях Млечного Пути отражен и во взаимосвязи родов Шервашидзе - Маршания). Любопытно, но фамилию Marshan, Amarshan с таким же успехом можно выводить и от иран. *arshaina- : авест. arshan- 'мужчина', ' мужской' с картвельским префиксальным прикрытием в силу табу, который этимологизируется на почве и.-е. *wers- 'лить', 'проливать (о дожде)' : *wers-en- с первоначальным значением 'изливающий семя', 'мужской', ср. фразу из хеттского ритуала плодородия "медведь же на вас [деревьев] вскочил" (Т. В. Гамкрелидзе/Вяч. Вс. Иванов). Сюда же имя легендарных царей Ирана Arshan 'Аршан', имеющее мотивировку (к сочетаемости словоформы arshan- с авест. varaza- 'кабан' от и.-е. *wers-, т. е. с биол. самцом, см. Ch. Bartholomae), и. собств. основателя парфянской династии Arsa:k 'Аршак', сакральная значимость числа 'восемь' в образе Будды, мотив вызывания дождя стимулированием небесных медведей через посредство стаи волков - созв. Псов, инсценированный в ритуальных плясках "людей-волков" (людей в волчьих шкурах), в хеттской традиции - вместе с "людьми-медведями" и т. п.. Однако, как бы там ни было, можно констатировать, что связь родового имени Marshan, Amarshan, Marshania с мифологемой медведя, со священным животным Небо-Бога, верифицируется с достаточной очевидностью.

გამოხმაურება წიგნზე „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ (თბილისი, 2011)*

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის და ინტეგრაციის პირობებში უაღრესად აქტუალურია ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის ფიქსაციის, კულტურულ ღირებულებათა გადარჩენის საკითხი. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“. იგი ეთნოლოგიის სფეროში შესრულებული პირველი ნაშრომია. რომელიც თავისი შინაარსით უნიკალურია. წიგნი ეძღვნება ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელს, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას, რომლის მოღვაწეობის პირველი ნლები ეთნოლოგიის სფეროში, პროფესორ ვ. ბარდაველიძესთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან (ამჟამად ეროვნული მუზეუმი) არის დაკავშირებული. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. ნადირაძე; ლექსიკონის რედაქტორი აკადემიკოსი რ. მეტრეველია, რომლის დიდი ღვაწლი პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის მრავალტომეულისა (1975-1987) და ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი უნიკალური ენციკლოპედიური ლექსიკონის (2002) მომზადებასა და გამოცემაში საყოველთაოდ ცნობილია. ავტორ-შემდგენლები ძირითადად ეთნოლოგები არიან, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი დღეს ჩვენს შორის აღარ არის. აღსანიშნავია, რომ „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ მომზადდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ამ ღირსშესანიშნავი ნაშრომის უპირველესი მიზანია საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე და დღეს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ქართველთა უძველესი და უმდიდრესი, ხშირ შემთხვევაში უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა, რომელსაც ჭეშმარიტად ქართული ცივილიზაციის სათავეებთან მივყავართ. ნაშრომში, ტერმინთა განმარტებასთან ერთად, თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული საილუსტრაციო მასალა, რომელიც, თავის მხრივ, ეთნოგრაფიული ლექსიკონის მიმართ ინტერესს ბევრად ზრდის.

მატერიალური კულტურის თითოეული ძეგლის, ხშირ შემთხვევაში ვრცელი განმარტება წარმოდგენას გვიქმნის ეთნოლოგიის დარგში არსებულ მიმართულებებსა და ამ მიმართულებების კვლევის სიღრმეზე, როგორიცაა მაგალითად, სამეურნეო კულტურა, მიწათმოქმედება, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, მეთევზეობა, კვების კულტურა, ხელოსნობა, მეჭურჭლეობა, საბრძოლო იარაღი, ფეიქრობა, ნაგებობანი, მუსიკა, მედიცინა, ტრანსპორტი და სხვა. ყოველივე ამან ასახვა პპოვა ეთნოგრაფიულ ლექსიკონში, სადაც მოცემულია თითოეული ხივთის დანერილებითი აღწერილობა, მასალა, რისგანაც დამზადებულია ეს ნივთი, დამზადების წესი, ფუნქცია და მისი ადგილი ხალხურ ყოფაში, გავრცელების არეალი. უფრო მეტიც, ლექსიკონში ცალკეა წარმოდგენილი ამა თუ იმ მატერიალური ძეგლის შემადგენელი კომპონენტების ტერმინოლოგია და შესაბამისი განმარტებები, თითოეული მათგანის მნიშვნელობა ძეგლის

* წაკითხულია წიგნის პრეზენტაციაზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის სააქტო დარბაზში 2013 ნლის 12 დეკემბერს.

სრულყოფაში. მატერიალური კულტურის ნიმუშების, მათ შორის სახვნელი იარაღის სხვადასხვა სახეობანი, მიესადაგება ბუნებრივ-სამეურნეო პირობებს და ლოკალურ თავისებურებებს, ესენია: აჩაჩა, ორხელა, დიდი გუთანი, არონა, ჯილღა, რომელიც ერქვანის სახელწოდებითაა ცნობილი. მინიშნებულია სახვნელი იარაღების კონსტრუქციული სიახლოვე და სპეციფიკა. თითოეული მათგანის დახასიათება შესანიშნავად ასახავს ქვეყნის ვერტიკალურ ზონალობას (მთა, ზეგანი, ბარი).

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ლექსიკონის შინაარსობრივ მხარეზე, თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ლუდზე, რომელიც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით და უტილიტარული დანიშნულებით დიდ ინტერესს იწვევს. ლუდი ჯვარ-ხატებში რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. „ლექსიკონში“ მოცემულია ტერმინის ეტიმოლოგია, ლუდის გავრცელების არე, დამზადების წესი და ფუნქცია ხალხურ ყოფაში. საუბარია აგრეთვე ლუდის შუამდინარულ (შუმერულ) წარმომავლობაზე, რაც მრავლისმეტყველია ქართულ-წინააზიური კულტურულ-ისტორიული თუ გენეტიკური კავშირების ასპექტით. ნაჩვენებია კულტურულ-სამეურნეო კავშირები ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ურარტუსთან, ეგვიპტესთან.

ლუდი, როგორც უძველესი დროიდან მომდინარე ქართული კულტურის ელემენტი, ცალკე წიგნად გამოიცა. წიგნის ავტორი ე. ნადირაძეა. ეძღვნება ქართველი ეთნოლოგის ანდრო ლეკიაშვილის ხსოვნას. წიგნმა „ქართული ლუდი“, რომელიც გამოცემულია კომპანია „ნატახტარის“ მხარდაჭერით, მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო მოიარა. იგი, მსგავსად წიგნისა „სამოსი“, რომლის ავტორი აგრეთვე ბატონი ელდარია, ორგანული ნაწილია „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის“, სადაც ამ „წმინდა“ სასმელის შესახებ ვრცლად არის საუბარი.

ლექსიკონში და „ქართულ ლუდში“ უხვადაა წარმოდგენილი ჭურჭელი, მათ შორის - ლუდის მოხმარებისათვის საჭირო ჭურჭელი - ვერცხლის, სპილენძის, ხის, რქის, ესენია: ჯამი, თასი, ყანწი, ჯიხური, კონჩხი, სამთვალი და სხვა. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ჯვარ-ხატებისადმი შენირულ ვერცხლის საკრალურ სასმისებს. ამ მხრივ ე. ნადირაძის კვლევის ინტერესთა არეში მოექცა თრიალეთში აღმოჩენილი ვერცხლის თასი (ძვ. წ. II ასწლეულის I ნახევარი). თასის ორივე ფრიზი ლექსიკონში დაწვრილებით არის აღწერილი და ნაჩვენებია მისი სოციალურ-რელიგიური ასპექტი. მნიშვნელოვანია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სასმისზე ასახული მთავარი ღვთაებისადმი „წმინდა“ სასმელის შენირვის რიტუალში, შესაძლოა, სასმელად „წმინდა“ ლუდია გამოყენებული. მით უმეტესად, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ბოლო დრომდე არსებულ რელიგიურ დღესასწაულებში, „სადიდებელთაის“ რიტუალში, რომელიც ფორმით და შინაარსით თრიალეთის ვერცხლის სასმისზე ასახული რიტუალის ანარეკლია, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „წმინდა“ ლუდის შესმას. „ლექსიკონში“ წარმოდგენილია რელიგიურ დღესასწაულებში „წმინდა“ ლუდის შესმასთან დაკავშირებული წესები, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ფანდური, რომელიც სიმღერასთან ერთად, როგორც თანმხლები საკრავი, ორგანულად არის დაკავშირებული „წმინდა“ ლუდის შესმის წესებთან. ეს საკრავი, სხვა საკრავებთან ერთად, აღწერილია ლექსიკონში. თასზე ასახული კომპოზიციისა და მისი რელიგიური ასპექტების შესახებ ვრცლად არის მსჯელობა აგრეთვე „ქართულ ლუდში“, მაგრამ ამ საინტერესო საკითხზე და კიდევ სხვა მრავალ საკითხზე საუბარი ამჯერად შორს ნაგვიყვანს. ამგვარად, ზემოხსენებული მსჯელობიდან ჩანს, რომ ლექსიკონი არ წარმოადგენს მხოლოდ ტერმინთა ჩამონათვალს, არამედ ეს ტერმინები უმეტესწილად მოიცავს მათ ირგვლივ არსებულ ყოველმხრივ მონაცემს.

„ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ და მატერიალური კულტურის ცალკეული ძეგლების შესახებ გამოცემული ეთნოგრაფიული წიგნები, მაგალითად, მაღალ მეცნიერულ და მხატვრულ დონეზე შესრულებული „ქართული

სამოსი", „ქართული ლუდი", შინაარსობრივად ქმნიან ერთიან საოცარ სიმფონიას, რომელიც ქართული კულტურის ამ ელემენტებს ერთმანეთთან ჰარმონიულად აკავშირებს. ლექსიკონში წარმოდგენილი მდიდარი ქართული ლექსიკა, ვფიქრობ, მომავალში ენათმეცნიერთა ცალკე შესწავლის საგნად იქცევა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და რამდენიმე სიტყვით შევეხო ე. ნადირაძის, როგორც ამ შესანიშნავი პროექტის ავტორის სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. იგი მრავალი საყურადღებო ნაშრომის ავტორია. წლების მანძილზე ნარმატებით ხელმძღვანელობს ეთნოლოგიის დარგს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და ღირსეულად აგრძელებს ბატონ გ. ჩიტაიას და ქალბატონ ვ. ბარდაველიძის მიერ მუზეუმში დანყებულ საქმეს. იგი რედაქტორია ეთნოლოგიური კრებულების, რომლებიც ყოველწლიურად ქვეყნდება საქართველოს მუზეუმის მესვეურთა ძალისხმევით. სწორედ მისი ამ მოღვაწეობის შედეგია პირველი ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის გამოცემა, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მომზადდა და ქართველთა უძველესი დროიდან მომდინარე კულტურის ღირსშესანიშნავი მატიანეა.

ნინო მაისურაძე

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობა", 1–I, თბ., 2013, 512 გვ.

სამეცნიერო-ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომეულის „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის" რიგით მესამე ნიგნი ეძღვნება კახეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. გამოსაცემად იგი მოამზადა ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის რედაქციამ, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრთან ერთად. ნიგნის მიზანია კახეთის მინა-წყალზე შემორჩენილი ისტორიული, არქეოლოგიური, ხუროთმოძღვრული და მონუმენტური ხელოვნების ძეგლების აღნუსხვა და აღნერა, სათანადო სახვითი მასალის (ნახაზების, ფოტოსურათების) დართვით.

რედაქციის გადაწყვეტილებით ნიგნის გამოცემა გადაწყდა ორ ნაწილად, რაც განაპირობა ძეგლების სიმრავლემ და აქედან გამომდინარე, ტექსტობრივი და საილუსტრაციო მასალის დიდმა მოცულობამ. ნიგნის შემადგენელი ნაწილების თანაზომიერების დაცვის გამო ნიგნში მუნიციპალიტეტები განლაგდა არა ანბანური რიგით, არამედ მასალის მოცულობის შესაბამისად. ამიტომ პირველ ნაწილში მოთავსდა გურჯაანის, დედოფლისწყაროს და ყვარლის მუნიციპალიტეტები, ხოლო მეორეში – თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტები.

მრავალი წლის განმავლობაში მასალა მზადდებოდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში. ინსტიტუტებში საამისოდ შექმნილ საგანგებო განყოფილებებში დიდზე დიდი მუშაობა გასწიეს და ძალიან მდიდარი მასალა მოიპოვეს კიდეც.

მუშაობის დროს არა მარტო შორეულ, ძნელად მისაწვდომ, მიუარდნილ კუთხეებში, არამედ ადვილად მისაწვდომ ადგილებშიც კი მოულოდნელად ჩნდებოდა საყურადღებო, მანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი საეკლესიო, სათავდაცვო და საერო ნაგებობათა ნაშთები, ზოგჯერ შედარებით კარგად შემორჩენილი, ზოგჯერ უმნიშვნელო ნანგრევის სახით, რომლებიც მაინც უნდა მოხვედრილიყო აღნერილობაში; ამას გარდა, ახლა ძეგლად იქნა აღიარებული ბევრი საერო ხუროთმოძღვრების ისეთი ნაგებობა, მით უფრო XIX-XX საუკუნეებისა. რომლებიც მანამდე,

ამ თვალსაზრისით, ყურადღების გარეშე რჩებოდა. ამასთან, ყველა ამ ძეგლს, ემატებოდა ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტებიც.

ტომს წინ უძღვის ნაკვეთი „რედაქციისგან“, სადაც ამ გამოცემის მიზნები, მისი მომზადების პირობები და პრინციპებია წარმოდგენილი. ამას მოსდევს „შესავალი“, სადაც მოთხრობილია ამ რეგიონის ისტორია უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. ყოველი მუნიციპალიტეტის ძეგლთა მიმოხილვას წინ უძღვის თავ-თავისი შესავალი, რომელშიც მკითხველი იპოვის ზოგად ცნობებს მუნიციპალიტეტის, შემდეგ კი მისი ცენტრის შესახებ. ყოველ მუნიციპალიტეტში სოფლები და თვით სოფლებში არსებული ძეგლები ანბანის რიგზეა დალაგებული. ყოველ მათგანს თავ-თავისი ნომერი აქვს და ამ ნომრებით არის აღნიშნული ყოველი ძეგლისადმი მიძღვნილი ტექსტი შეიცავს მის დეტალურ აღწერას. იქ, სადაც კედლის მხატვრობაც არის – დანერილებით ცნობებს მის შესახებ. ტექსტს თან ერთვის შესაბამისი სახვითი მასალა, რაც ნათელ ნარმოდგენას გვიქმნის ძეგლების შესახებ. იგივე ითქმის არქეოლოგიურ ძეგლებზეც – კარგად არის წარმოდგენილი ალაზნისა და შირაქის ველების და ბევრი სხვა განათხარი ძეგლიც. საგანგებოდ მინდა მოვიხსენიო მხატვრობის ძეგლები, რომელთა აღწერაში დასახელებულია ყველა სიუჟეტი და ცალკეული გამოსახულება; ასეთი ინფორმაცია, ყველა სხვასთან ერთად, დიდად ზრდის წიგნის პრაქტიკულსა და მეცნიერულ ღირებულებას.

გარდა ძველი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებისა, ტომში ახალი ისტორიის მრავალი ფაქტიც არის წარმოდგენილი. მათდამი ინტერესი მით უფრო დიდია, რომ მათი უმეტესობა პირველად არის ფიქსირებული და პირველად ხდება ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი. ასევე ამდიდრებს წიგნს მასში წარმოდგენილი საერო არქიტექტურის დამახასიათებელი ნიმუშები – აქ ფეოდალთა სასახლეებიც არის და ხალხური საცხოვრებლებიც.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ წიგნში ჩვენი ნივთიერი კულტურა მრავალმხრივ არის წარმოდგენილი. იქმნება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დიდი სიმდიდრის შთაბეჭდილება. ეს შთაბეჭდილება მით უფრო საფუძვლიანია, რომ აქ არ არის არც ერთი ფაქტი – არც წვრილმანი, არც მნიშვნელოვანი – სათანადო დასაბუთებაზე რომ არ იყოს დამყარებული. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ტექსტის ნამდვილი პროფესიული დონე.

ტომს დართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია, ასევე: საცნობარო აპარატი, რომელიც დიდად აადვილებს მის ხმარებას; პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების, სახელიანი ძეგლების საძიებლები, მოხატული ეკლესიების და ეკლესიების ქრონოლოგიური საძიებლები. მითითებულია აგრეთვე არქიტექტურულ ანაზომთა და ნახაზების, ფოტოსურათების ავტორთა, რუკა-სქემების შემსრულებელთა გვარები, ასე, რომ უყურადღებოდ არ დარჩენილა არავინ, ვისაც წვლილი მიუძღვის ტომის მომზადებაში.

რა თქმა უნდა, ასეთი გამოცემა, რომელიც პირველად ხორციელდება, არ შეიძლება უნაკლო იყოს. თვით სარედაქციო წერილშია ნათქვამი: „მიუხედავად ჩვენი სურვილისა, რაც შეიძლება სრული მასალა იყოს შეტანილი აღწერილობაში, მკითხველს მაინც ვერ მივცემთ ამის გარანტიას – ალბათ გამოგვრჩა ძეგლი, მოვლენაო“. მოსალოდნელია ზოგი უზუსტობაც. შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ტომის გამოცემაც – გამორჩენილი ძეგლებისა და შესწორებებისთვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოლო ათწლეულში მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდებოდა, იმდენი გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი რამ მოხდა იმ სფეროშიც, რომელსაც ეს ნიგნი ეძღვნება, რომ ყველაფრის ასახვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ, როდესაც მესამე ნიგნის მეორე ნაწილიც მთლიანად გამოიცემა, ხელთ გვექნება კახეთში ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის სრული მეცნიერული კატალოგი. არა მგონია, რაიმე დასაბუთება ესაჭიროებოდეს ზოგადად ამგვარი გამოცემის სრულიად განსაკუთრებულ ღირებულებას.ამდენად ნიგნი ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ნუგზარ ანდღულაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი 55 წლისაა

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს 2013 წელს დაარსების 55 წელი შეუსრულდა. ინსტიტუტი სამართალმემკვიდრეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, რომელიც 2006-2010 წლებში სსიპ სტატუსით შედიოდა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შემადგენლობაში, ხოლო 2011 წლიდან დღემდე არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სახელწოდებით.

ნიკო ბერძნიშვილის ინსტიტუტი დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1958 წლის 23 იანვრის დადგენილებით, რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის ამავე წლის 21 იანვრის განკარგულება.

ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სხდომა და სამეცნიერო სესია, რომელიც 2013 წლის 2-3 დეკემბერს ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საიუბილეო სხდომა, რომელიც 2 დეკემბერს გაიმართა უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში, გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ. მან ვრცლად ისაუბრა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსებისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ.

სხდომას უამრავი ხალხი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ სამეცნიერო-კვლევითი დანესებულებების წარმომადგენლები ბათუმიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, მის მეცნიერ-თანამშრომლებს 55 წლისთავი მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ადრესებისა და წიგნების სახით აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ სულიკო თებიძემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორებმა დოდო ჭუმბურიძემ, ნუნუ მინდაძემ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, საქართველოს ანდრია პირველწოდებულის საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა, სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დირექტორმა გიორგი ირემაძემ, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორმა, ემერიტუს-პროფესორმა ამირან კახიძემ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორმა აკაკი ბერიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ, აგრეთვე, ნიკო ბერძნიშვილის ინსტიტუტის დირექტორი როინ მალაყმაძე, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე.

მეორე დღეს, 3 დეკემბერს, უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის დარბაზში ჩატარდა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელზეც მთავარი მოხსენება თემაზე: „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავი“ წაიკითხა ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა როინ მალაყმაძემ. თანამოხსენებები გააკეთეს ინსტიტუტის

ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების, ისტორია-არქეოლოგიისა განყოფილების უფროსებმა, მთავარმა მეცნიერმა-თანამშრომლებმა. მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა შუშანა ფუტკარაძემ, ნოდარ კახიძემ, ბიჭიკო დიასამიძემ. სამეცნიერო სესიაზე სიტყვით გამოვიდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ემერიტუს-პროფესორი იური ბიბილეიშვილი. სესიის დასასრულს გაიმართა წიგნის „აჭარული საუნჯე", I პრეზენტაცია და ნაჩვენები იქნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „საქართველოს ეროვნული გმირი სელიმ ხიმშიაშვილი".

სამეცნიერო სესიაზე შეჯამდა და ანალიზი გაუკეთდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას განვლილი 55 წლის მანძილზე. აღინიშნა, რომ ინსტიტუტმა წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზანს – ამ ხნის მანძილზე იგი გადაიქცა ქართველოლოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერული კვლევა-ძიების მნიშვნელოვან კერად. ინსტიტუტი იკვლევდა და დღესაც ნაყოფიერად იკვლევს აჭარისა და მისი მეზობელი დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ძირძველი და მუჰაჯირი ქართველებით დასახლებული რეგიონების ეთნოლოგიის, ფოკლორისა და დიალექტოლოგიის. ისტორიისა და არქეოლოგიის მეცნიერულ პრობლემებს.

კვლევის შედეგები ასახულია ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომელთა რაოდენობა 2300-ზე მეტია. მათ შორისაა: 80-ზე მეტი მონოგრაფია, 90-ზე მეტი 5 დასახელების დარგობრივი კრებული. გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ინსტიტუტის შრომების 9 ტომი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეული, ქალაქ ბათუმისა და მისი შემოგარენის წარსულისა და თანამედროვეობის ამსახველი ოთხი ტომი, „აჭარული საუნჯის" პირველი ტომი და ა.შ. ამ გამოკვლევებს საფუძვლად უდევს ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ისტორიულ-არქეოლოგიური კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციებისა და მივლინებების პერიოდში მოძიებული საველე მასალები. განვლილ პერიოდში ინსტიტუტმა გამართა 120-ზე მეტი ექსპედიცია აჭარაში, საქართველოს სხვა რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართველებით დასახლებული კუთხეები). საექსპედიციო მასალების საფუძველზე ინსტიტუტში შეიქმნა მდიდარი სამეცნიერო ფონდი (საველე დღიურები, საილუსტრაციო მასალები), რომლებიც მეცნიერულ-კულტურული მემკვიდრეობის ძვირფასი შენაძენია.

ინსტიტუტის არსებობის 55 წლის მანძილზე ყველაზე დიდ წარმატებად უნდა აღინიშნოს სამეცნიერო კადრების მომზადება ინსტიტუტის სამეცნიერო პროფილით, რომელიც ძირითადად ხორციელდებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიზნობრივი თუ დაუსრებელი ასპირანტურის გზით. ამ ხნის განმავლობაში სულ დაცულია 12 სადოქტორი და 38 საკანდიდატო დისერტაცია ეთნოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ეკონომიკის, ფოლკლორის დარგებში. ინსტიტუტის დაარსების დღისათვის აქ მხოლოდ კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე 3 თანამშრომელი იყო. ამჟამად ინსტიტუტში 27 თანამშრომელია. რომელთაგან მეცნიერულ მუშაობას ენევა 22 კაცი.

მართალია, ინსტიტუტის სამეცნიერო კადრები. წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ნარმატებით აგრძელებს დაწყებულ მუშაობას დასახელებული რეგიონების მეცნიერული შესწავლის საქმეში. ინსტიტუტის ეგიდით დღესაც იმართება რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ხასიათის სამეცნიერო ფორუმები, კომპლექსური ექსპედიციები აჭარასა და მის ფარგლებს გარეთ. გამოიცემა ინსტიტუტის შრომები, დარგობრივი კრებულები, სხვადასხვა სახის ბუკლეტები, მზადდება დოკუმენ-

ტური ფილმები. ინსტიტუტი კვლავაც ინარჩუნებს ერთ-ერთ წამყვან როლს ქართველოლოგიურ-ჰუმანიტარული კვლევა-ძიების საქმეში. ამაში დიდია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აჭარის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის როლი, რითაც ინსტიტუტი დიდად მადლიერია.

საიუბილეო სხდომასა და სამეცნიერო სესიაზე კიდევ ერთხელ მტკივნეულად დაისვა საკითხი ინსტიტუტისათვის წართმეული იმ შენობის დაბრუნებისა, სადაც იგი დაფუძნდა და 50 ნელზე მეტი ხნის მანძილზე განაგრძობდა ფუნქციონირებას. ინსტიტუტი იმედოვნებს, რომ ამ მხრივაც აღსდგება სამართლიანობა და მას დაუბრუნდება კუთვნილი შენობა, რომელიც უცხოურ კომპანიაზე გასხვისდა.

გურამ ლორთქიფანიძე, ნოდარ კახიძე

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ჰუმანიტარულ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხანგრძლივი ტრადიცია და სოლიდური გამოცდილება გააჩნია. უნივერსიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და კვლევით ერთეულს ისტორიისა და არქეოლოგიის სასწაულო-სამეცნიერო ცენტრი წამოადგენს. ცენტრი აქ ნინათ არსებული ისტორიის კათედრის მემკვიდრეა. მას სათავეში ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი უდგას.

უნივერსიტეტისა და ცენტრის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევენ მეცნიერული პროდუქციის პუბლიკაციას. ბოლო 3 წლის განმავლობაში ცენტრმა სამეცნიერო შრომების ხუთი კრებული გამოსცა. მათში დაბეჭდილი სტატიების უმრავლესობა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურას ეკუთვნის.

ცენტრი ყოველწლიურად მართავს საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს. მათგან ზოგი თემატურია, ზოგის პრობლემატიკა მკაცრად შემოფარგლული არ არის, მაგრამ თითოეულ კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენებები სიახლეს შეიცავს და მეცნიერულ მიმოქცევაშიც პირველად სწორედ კონფერენციის მეშვეობით შემოდის.

2014 წლის 22 თებერვალს გორის სახელმწიფო უნიეერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ინიციატივით დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მოეწყო. კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი.

საერთაშორისო კონფერენციის დღის წესრიგში 19 მოხსენება იყო შეტანილი. მათ შორის 2 მოხსენების ავტორები მოლდოვას სახელმწიფო უნიეერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ. მოლდოველების გარდა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის, საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის პროფესორ-მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა. მასპინძელი უნივერსიტეტი კონფერენციაზე 7 მოხსენებით იყო ნარმოდგენილი.

როინ მეტრეველმა მოკლედ მიმოიხილა დავით აღმაშენებლის ზეობის მნი-

შენელოვანი მოვლენები და ძირითადი ყურადღება თვით დავით IV-ის მეფობის შეფასებაზე გაამახვილა. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებლმა თავისი წარმატებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით განამტკიცა ქართული სახელმწიფო და გაზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

ელდარ მამისთვალიშვილმა კონფერენციაზე გამოიტანა შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობის მეტად საყურადღებო თემა, სახელდობრ: დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხი.

მოხსენებაში დღეისათვის ცნობილი ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში მოძიებული ფაქტებისა და საფუძვლიანი ვარაუდების გაანალიზებით, ნარმოჩნდა მკაფიო არგუმენტები, რომლებიც ავტორს შემდეგი დასკვნის საფუძველს აძლევს: მე-XII საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის დროს, საქართველოს სირია-პალესტინის ჯვაროსანთა სახელმნიფოებთან საკმაოდ მაღალი დონის სამხედრო-პოლიტიკური კაეშირ-ურთიერთობა ჰქონდა.

გიორგი სოსიაშვილის მოხსენება საქართველოს შესახებ აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ცნობების ანალიზს მიეძღვნა.

ცნობილი ირანისტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონი საქართველოში 1911 წელს იმყოფებოდა. ამ მოგზაურობის შედეგები აისახა მეცნიერის წიგნში „კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიამის სახლამდე". ნაშრომი მრავალ ინფორმაციას შეიცავს ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულის ნარმოსაჩენად და საგულისხმო პირველწყაროდ გვეელინება. აღსანიშნავია, რომ ეს მასალა აქამდე ქართულად ნათარგმნი არ ყოფილა და იგი სამეცნიერო მიმოქცევაშიც პირველად ჩაერთო.

გივი ღამბაშიძის მოხსენება შეეხო ინგუშეთში მდებარე ტყობა-ეერდას ტაძარში შემონახულ კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ის ლაპიდარულ წარწერას. აღინიშნა, რომ ეს ქრისტიანული ტაძარი იმიერკავკასიის ქვეყნებში გამორჩეულია თავისი ისტორიულ-კულტურული და არქიტექტურულ-დეკორატიული ასპექტებით. ტყობა-ეერდა ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ ამ ტაძრიდან მომდინარეობს ქართული სამოციქულო ეკლესიის სამი იერარქის: გიორგი ეპისკოპოსის (X ს.), არსენ II კათოლიკოსის (955-980 წწ.) და კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ის (1010-1033 წწ.) წარწერები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მელქისედეკ I-ის ტყობა-ეერდული წარწერის შესნავლის ისტორიის, წაკითხვადათარიღებისა და ხსენებული ქართველი მღვდელმთავრის „აღმოსავლეთის პატრიარქად" წოდების საკითხებს.

ზურაბ პაპასკირის მოხსენების თემა იყო „ბიზანტიური თანამეგობრობის" არსის და ამ თანამეგობრობაში ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ადგილის საკითხისათვის".

ცნება ,,ბიზანტიური თანამეგობრობა" სპეციალურ ლიტერატურაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც 1971 წელს გამოქვეყნდა ცნობილი რუსი ბიზანტიოლოგის დ. ობოლენსკის ფუნდამენტური მონოგრაფია „The Byzantine Commonwealth. Eastern Europe, 500-1453". ამ მეცნიერის აზრით, ,,ბიზანტიური თანამეგობრობა" ,,ზეეროვნულ ერთობას" ნარმოადგენდა, რომელიც საერთო მართლმადიდებელ რწმენასა და ბიზანტიის იმპერატორის უზენაესობას ეფუძნებოდა.

აღინიშნა, რომ ქართულ ბიზანტისტიკაში ობოლენსკის ხსენებულმა ფორმულამ ნაკლები ინტერესი გამოიწვია, მაშინ როდესაც ქართული პოლიტიკური ერთეულები ამ თანამეგობრობის ნანილი იყო. მოხსენებაში გაანალიზდა ბიზანტიის იმპერიის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართული სამყაროს ადგილისა და როლის განსაზღვრისადმი მიძღვნილი ზოგიერთი პუბლიკაცია.

ოთარ ჯანელიძის მოხსენებაში ,,ერთა ყრილობა კიევში 1917 წელს და საქართველო" წარმოჩნდა, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ძირითადი პოლიტიკური ძალები იზიარებდნენ პრინციპს: „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში." ისინი

მოელოდნენ, რომ ქვეყნის შემდგომ ბედს რუსეთის დამფუძნებელი კრება გადაწყვეტდა. მსგავს თვალსაზრისს იცავდა იმპერიის სხვა ჩაგრულ ხალხთა უმრავლესობაც, რომლებიც არ აყენებდნენ რუსეთისაგან სწრაფი ჩამოშორების მოთხოვნას.

1917 წლის სექტემბერში კიევში გამართულ რუსეთის ერთა წარმომადგენლების ყრილობას 90-ზე მეტი დელეგატი დაესწრო. ყრილობის მუშაობაში საქართველოდან ფედერალისტი იოსებ ბარათაშვილი და ეროვნულ-დემოკრატი იოსებ მაჭავარიანი მონაწილეობდნენ. ი. მაჭავარიანმა საქართველოს პოლიტიკურ უფლებათა აღდგენა მოითხოვა, ხოლო ი. ბარათაშვილმა დასვა საკითხი, პიროვნების თავისუფლებაზე მეტად ეცნოთ ერის, როგორც კოლექტიური პიროვნების უფლება.

ყრილობამ ერთხმად დაუჭირა მხარი რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას, მაგრამ ბოლშევიკურმა სახელმწიფო გადატრიალებამ რუსეთისა და ყოფილი იმპერიის ხალხების მომავალი სულ სხვა გზით წარმართა.

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის მოხსენება ეხებოდა ნადირ შაჰის ათწლიან ლაშქრობებს (1734-1744 წწ.) დაღესტანში და ქართლის მონაწილეობას ამ პროცესში. გაანალიზდა აღმოსავლეთ კავკასიაში, მათ შორის ქართლის სამეფოში შექმნილი ვითარება, მოყოლებული მე-XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ ჩათვლით. ფართოდ გაშუქდა ნადირ შაჰის მიერ დაღესტანში მოწყობილი ლაშქრობები, მათი გამომწვევი მიზეზები, ირანის საგადასახადო პოლიტიკის სიმძიმე და ამ პოლიტიკით გამონვეული აჯანყებები.

ხაზი გაესვა ხსენებულ ლაშქრობათა გავლენას აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობაზე და გამოიკვეთა ის პოლიტიკური და ეკონომიკურ შედეგები, რაც ამ ლაშქრობებმა იქონია ქართლის სამეფოზე.

ნოდარ შენგელიას მოხსენებაში ნარმოდგენილი იყო ახალი ოსმალური საარქივო მასალა, როგორც მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის პირველწყარო, კერძოდ, თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბულის არქივში დაცული დოკუმენტი ,,2100, № 1“, რომელიც შეეხება სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ცალკეულ საკითხებს, მათ შორის ფეოდალური მინათსარგებლობის ფორმას თიმარატს, ქედხუდის ინსტიტუტს, გადასახადებს, რომლებიც სპერის მხარის სოფლებში იკრიბებოდა და სხვა.

მამუკა ჯოლბორდმა ყურადღება გაამახვილა მე-XII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, დავით აღმაშენებლის მემატიანის წიგნიერებისა და მსოფლმხედველობის პრობლემაზე. „ცხოერება მეფეთ-მეფისა დავითისის“ ავტორის თხზულების, ასევე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, მემატიანე დროის შესაფერი ფართო განათლების მოაზროვნედ და მეფე დავით IV-ის ღირსეულ თანამებრძოლად წარმოჩინდა.

მომხსენებლის დასკვნით, ქრონისტი დიდი ქართველი მონარქის მოღვაწეობას მრავალფეროვან საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ობიექტურად და სრულფასოვნად აღწერს. ამასთან, თხზულების ტექსტი შესაბამისობაშია სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიურ მოსაზრებებთან და არ სცილდება მის ფარგლებს.

ახალგაზრდა მკვლევარმა **გიორგი ნარიმანიშვილმა** გიორგი I-ის მიერ წარმოებული საერთაშორისო პოლიტიკის ერთი ასპექტი, კერძოდ ქართველი მეფისა და ეგვიპტის ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობები განიხილა.

მომხსენებელი შეეცადა გაერკვია, თუ რატომ აირჩია გიორგი I-მა მოკავშირედ მაინცდამაინც ხალიფა ალ-ჰაქიმი. გ. ნარიმანიშვილის აზრით, ამ კავშირის საფუძველი პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრა უნდა ყოფილიყო. განსხვავებული კულტურისა და სარწმუნოების მქონე ორი ქვეყნის მისწრაფებები, გარკვეულ დროსა და ვითარებაში, ერთმანეთს დაემთხვა, რამაც საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლის შესაძლებლობა შექმნა.

თამარ გოგოლაძემ გააშუქა საკითხი თუ როგორაა ინტერპრეტირებული სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ ტექსტში დიდგორის ბრძოლის ერთი ეპიზოდი. მომხსენებელმა შეისწავალა დიდგორის ეპოპეის სტრატეგიული დაგეგმვისა და დაწყების

საკითხი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში და შეადარა იგი ალექსანდრე ორბელიანის დრამის – „დავით აღმაშენებელი“, კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიის – „დავით აღმაშენებლისა“ და დათო ტურაშვილის მიერ შექმნილი კინოსცენარის შესაბამის პასაჟებს. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, როგორ აისახება მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში რეალური, ისტორიული ამბავი.

ზურაბ ოქროპირიძე კონკრეტული ისტორიული წყაროს, „ოქროპირიძეებისადმი გაცემული წყალობის წიგნის“ მიხედვით შეეხო დავით აღმაშენებლის მიმართებას შიდა ქართლისადმი.

მომხსენებელმა წარმოადგინა მასალა, საიდანაც ირკვევა, რომ დისევ-ულბითი სვეტიცხოველისათვის ჯერ კიდევ მელქისედეკ I-ს (1010-1033 წ.წ.) შეუნირავს. მომდევნო პერიოდშიც ქართველ მეფეებს არაერთხელ განუახლებიათ ეს შეწირულობა. მოხსენებაში განხილული იყო დავით აღმაშენებლის ზრუნვა ლიახვის ხეობის მცხოვრებლებისადმი, სამეფო კარის მცდელობა შიდა ქართლის ლაშქრის გაზრდა-განვითარებისათვის და სხვათა.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე გოჩა ჯაფარიძის, მალხაზ მაცაბერიძის, ჯაბა სამუშიას, დიანა და მარცელ ბენჩეცების, იგორ კეკელიას და სხვათა მოხსენებები.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გადაწყვეტილებით, დიდი მეფის, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი კონფერენცია ტრადიციული გახდება და ყოველი წლის თებერვალში გაიმართება.

ოთარ ჯანელიძე

ახალი წიგნები:

რ. ასათიანი, საით მიდის საქართველო? სოციალ-ეკონომიური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. რედაქტორი ვ. პაპავა. თბ., „სიახლე", 2014; 368 გვ.

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოში მიმდინარე პროცესები 1991-2012 წლებში, განხილულია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის წინააღმდეგობები და სირთულეები

დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიკაცია. შემდგენელი ა. დაუშვილი, თბ., „უნივერსალი", 2014, 546 გვ.

კრებული აკადემიკოს დ. მუსხელიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის საკმაოდ დიდ ამპლიტუდას-თითქმის ნახევარ საუკუნეს (1956-1913 წლებს) მოიცავს და შედგენილია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით.

ა. თოთაძე, გურიის მოსახლეობა, რედაქტორი ა. სახვაძე, თბ., „უნივერსალი", 2014, 90 გვ.

ნაშრომში განხილულია გურიის ისტორიული დემოგრაფიის საკითხები, გურიის მოსახლეობის დინამიკა XVIII-XX სს-ში.

ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, „საარი", თბ., 20014, 200 გვ.

წიგნი ქართული და უცხოური დოკუმენტური და ნარატიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით განხილულია ჯვრის მონასტრის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდი, მისი არსებობის თითქმის ყველა მხარე, მოცემულია დღეისათვის შემორჩენილი ან დაკარგული მრავალი ფრესკისა და წარწერის ფოტოფირი.

ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები. სომხეთი საქართველოში. მეორე გამოცემა. თბ., 2014, 238 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ზ. ჭიჭინაძის ორი ნაშრომი, რომლებიც მან გასული საუკუნის დასაწყისში დაბეჭდა. წიგნს წინასიტყვაობა, კომენტარები და გამოკელევა დაურთო ქ. ქუთათელაძემ.

ა. მღებრიშვილი, გორი XIX საუკუნის რუსულ წყაროებში, რედაქტორი ს. სიგუა, თბ., „უნივერსალი", 2014, 172 გვ.

წიგნში მკითხველის წინაშე გამოტანილია რუსულ ნერილობით წყაროებში დაცული ცნობები გორზე, რომელთა უმრავლესობა პირველად იბეჭდება ქართულ ენაზე.

ვ. გურული, ილია. რედაქტორი ს. ვარდოსანიძე, თბ., „არტანუჯი", 2014, 238 გვ.

ნ. წულუკიძე, ქართული მითოსის ინდური ფესვები. რედაქტორი უ. ოქროპირიძე, თბ., 2014, 192 გვ.

ნაშრომში განხილულია ქართული ფოლკლორის, წარმართიანობის, ეთნოლოგიის საკითხები არიან - ქართლის პრობლემასთან კავშირში.

შ. ნინუაშვილი, ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926), თბ., „ქართული აკადემიური წიგნი". თბ., 2014, 470 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების შესწავლის პირველ ცდას.

კ. მაჩაბელი, ქვაჯვარა- SPOLIA ქვემო ქართლის ხუროთმოძღვრებაში, თბ., „ნეკერი", 2014, 76 გვ.

ნაშრომში გამოკვლეულია ქვემო ქართლის VIII-IX სს. საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში გაერცელებული პრაქტიკა - სატაძრო მშენებლობაში ადრექრისტიანული ხანის ქვაჯვარათა რელიეფური ფრაგმენტების გამოყენება

Р. Метревели „Святая Царица Тамар". სტოკჰოლმი, საგამომცემლო CATCC Press, 2014, 296 გვ.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. მასში მოთხრობილია თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა
თბილისი 2014
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press
Tbilisi – 2014
52, Rustaveli Ave.